საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

5-11 აგვისტო №32(658) * ფასი 1,50 ლარი



გვ. 75 რა მიაჩნია სალომე ქათამაძეს „იურმალაზე“ თავის შეცდომად და რა არ აპატია მას ტოტო კუტუნიომ

გვ. 2 რის გამო დაიწყო შორენა ბეგაშვილსა და თიკო სადუნიშვილს შორის „ფეისბუქ-ომი“

ISSN 1987-569X



გვ. 22 რა წვლილი მიუძღვის ლაშა ხოზაშვილს ამერიკის საუკეთესო დასების ტოპ-ხუთეულში შესული „ბოსტონ-ბალეტის“ წარმატებაში და ვისთან ერთად აწყობს ის „მალჩიშნიკებს“



გვ. 70 როგორ ზრუნავს ერთდროულად ქმარსა და 3 თვის შვილზე „პირველი ვიცე-მის მსოფლიო“ – მაიკო საყვარელაშვილი



გვ. 18 რომელი „მაფიის“ წევრია მარინა ბერიძე და როგორ „მონათლა“ ის დოიმ



გვ. 74 რატომ იწვევენ მსოფლიოს ცნობილი თეატრების სპექტაკლებში გიორგი გაგნიძეს და რით აოცებს ის მუდმივად დიდ მაესტროებსა და მაყურებელს

## მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

# რის გამო დაიწყო შორენა ბეგაშვილსა და თიკო სადუნიშვილს შორის „ფეისბუქ-ომი“

*მართალია, სატელევიზიო სეზონი ივლისის ბოლოს იხურება და, შესაბამისად, ჩვენი ცნობილი ადამიანები მხოლოდ აგვისტოსა და სექტემბრის დასაწყისში ახერხებენ დასვენებას, მაგრამ, აუზებთან და ზღვის სანაპიროებთან საცურაო კოსტიუმებში გამოწყობილი ცნობილი ქართველების „ფეისბუქზე“ გამოჩენილი ფოტოები იმის მანიშნებელია, რომ, ყოველდღე თუ ვერა, შაბათ-კვირას მაინც ახერხებენ განტვირთვას. თუმცა, ეს ნაკლებად ეხება* ***შორენა ბეგაშვილს****, რომლის გვერდიც ასევე სავსეა მსგავსი „მადის აღმძვრელი“ ფოტოებით, რომლებიც უფრო ამა თუ იმ გადაცემის, რეკლამის და სხვა ტიპის გადაღებებს უკავშირდება, ვიდრე დასვენებას.*



**– მოგზაურობა გირჩევნია თუ დასვენების დღეების ზღვის სანაპიროზე გატარება?**

**შორენა ბეგაშვილი**: აქტიური დასვენების მომხრე ვიყავი და ვარ, სხვა ტიპის დასვენებას არ ვაღიარებ – უბრალოდ, მბეზრდება.



**– ბულგარეთში დასვენება მოახერხე თუ გადაღებებით ძალიან იყავი დატვირთული?**

– ბულგარეთში სამუშაო პროცესი იყო და არა შვებულება, როგორც აქ გავრცელდა ხმები. . გადაღებების პროცესში კი დასვენება შეუძლებელია, მაგრამ,, როდესაც სხვას იღებდნენ, საკმაო დრო მრჩებოდა იმისთვის, რომ დამესვენა და ოქროს ქვიშების მთელი თვალისმომჭრელი სილამაზე შემეგრძნო. თამამად შემიძლია, ვთქვა, რომ ბულგარეთი დასვენებისა და გართობისთვის საუკეთესო ადგილია.



**– შეიძლება, რომ შვებულება იქ გაატარო?**

– შესაძლებელია, თუმცა, ჯერ გადაწყვეტილი არ მაქვს, სად წავალ. იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ, სადაც არ უნდა წავიდე, ის ადგილი აუცილებლად ზღვასთან ახლოს იქნება. მოგზაურობა, ახალი ადგილების ნახვა ძალიან მიყვარს; მიყვარს ფეხით სიარული, დათვალიერება, ეგზოტიკური ადგილების აღმოჩენა, მაგრამ, ამას წელიწადის სხვა დროს ჩავსვამდი, ზაფხულში კი მზეს და წყალს ვერ ვღალატობ. თუმცა, გამორიცხული მაინც არაფერია...

**– ევროპის დედაქალაქებში ფეხით ხეტიალს საბერძნეთის კუნძულების, ნიცას ან კაპრის სანაპიროების დალაშქვრას ამჯობინებ?**

– ყველაფერს თავისი დრო აქვს. აგვისტოში რა ჯობია საბერძნეთის სულ თეთრ კუნძულებს, ლურჯ ზღვას და კაშკაშა მზეს, ან, თუნდაც ნიცის ქვიშიან სანაპიროებს... ევროპაში სამოგზაუროდ წასვლა დეკემბერშიც გადასარევია, თუნდაც, საშობაოდ. ასე რომ, ზაფხული აქტიური, თავგადასავლებითა და სიამოვნებით სავსე უნდა იყოს.

***ეს ინტერვიუ უკვე ჩაწერილი მქონდა, როდესაც თიკო სადუნიშვილმა ერთ-ერთ ინტერნეტ-გამოცემასთან ინტერვიუს დროს, მასა და შორენა ბეგაშვილს შორის დაპირისპირების მიზეზები გაიხსენა და მოყვა ის ისტორია, რის გამოც მათი ურთიერთობა იმ დონემდე დაიძაბა, ერთმანეთს აღარ ესალმებოდნენ. ამის გამო „თბილისი ლაივში“ ფარული ჩანაწერები და ბევრი უხერხული მომენტიც ვნახეთ. თიკოს მიერ ამ ამბის გახსენებაზე შორენასა და მას შორის ერთგვარი „სტატუს-ომი“ გაიმართა, რასაც მთელი „ფესიბუქ-საზოგადოება“ თვალყურს ადევნებდა და ელვის სისწრაფით ვრცელდებოდა საინფორმაციო სააგენტოების მიერ. თიკოს ინტერვიუს შორენა ასე გამოეხმაურა: „თიკო, საყვარელო, დაგითმობ ჩემი დასვენების 3 წამს (მეტად არ ღირხარ). მე გაგაფრთხილე, რომ ჩემზე არ გელაპარაკა (მაგრამ შენ პირს რა დახურავს). ტელეკამერების წინ მე ბევრი რამ გამიკეთებია, მაგრამ ჩემი პირადი ცხოვრება ყოველთვის სუფთა იყო. თუმცა, ეს არავის გასარჩევი არ არის და შენ რა გგონია, ციხეში რომ დადიოდი გამოძახებაზე ეს მარტო შენ იცი? სახელი გაითქვი იმით, რომ ყველა გადაცემაში ჩემი ლანძღვით იყავი დაკავებული, რამ გაგაბოროტა, მე ხომ მაინც არაფერი მომაკლდება ამით. წამლის გულისთვის ყველაფერზე წამსვლელი იყავი, თმა დაივარცხნე და დაგავიწყდა რაღაცეები? იფიქრე ბევრი, სანამ შენს აზრებს გადმოაფრქვევ. ან წადი ბავშვს მიხედე, თუმცა ამასაც ვერ გააკეთებ, დედობა გაქვს ჩამორთმეული.“ ამ ძალიან სერიოზულ ბრალდებებს თიკო სადუნიშვილმა ორდღიანი პაუზის შემდეგ უპასუხა. ღია წერილი შორენა ბეგაშვილს***



„ძვირფასო შორენა, სიმართლე გითხრა, დიდხანს ვფიქრობდი, გამოვხმაურებოდი თუ არა შენს „პოსტს,“ მერე იმაზეც ვფიქრობდი, ეს რა ფორმით გამეკეთებინა, ყველაზე ადვილი შენი მსგავსი ბრალდებების გამოქვეყნება იყო, რომელსაც დამეთანხმები, დიდად ჭკუის დატანება არ სჭირდება. როგორც ამბობ, ამ დიდებულ ტექსტს სამი წამი დაუთმე და გილოცავ! ამით გაუნათლებლობის გამოვლინების უმაღლესი მაგალითი დაგვანახვე.



მადლობა ღმერთს, მშობლებმა ისე გამზარდეს, ასეთივე სტატუსის ჩემგან გამეორება იმწამსვე გამოირიცხა. არა და სულ გაჩუმებაც არ გამოვიდოდა, გაგიგონია ალბათ დუმილი თანხმობის ნიშანიაო. პირადად მე, ამ გამოთქმას ვერც ვიტან და არც ვეთანხმები, მაგრამ ის ხალხი, ვინც „ლაიქებით“ გცხრილავს, ასეთი მარტივი ლოგიკით ცხოვრობს. კარგად იცი, ჩვენი სკანდალების ისტორიაც ჟურნალისტების გაფეტიშებულია. ვწუხვარ, ჩემი, როგორც წამყვანის პროფესიული მოვალეობის შესრულება, პირად მტრობად თუ აღიქვი.

იმ იაფფასიანმა ჭორებმა, რომელზეც შენ ლაპარაკობ, ძალა ორიათასიან წლებში დაკარგა. აი, სწორედ მაშინ, პლასტიკური ოპერაციების გასაკეთებლად ჯართს რომ აგროვებდი (დიახ, ჩვენც ვუყურებთ პროფილს ხანდახან:)). კარგად ვაცნობიერებ, პოპულარობას ბონუსად ათასი ბინძური ჭორიც რომ მოჰყვება, ამის წინააღმდეგ იმუნიტეტი დიდი ხნის წინ გამოვიმუშავე.



მერწმუნე, შენს ბრალდებებს იარაღის მუქარის ქვეშაც არ გამოვეხმაურებოდი, მაგრამ ერთი რამ შეგეშალა, ის, რაც 10 წლის შვილის დედას არ ეპატიება. შეიძლება, შენთვის დედობრივი მოვალეობის შესრულება საკუთარი ინტიმური სცენების საყურებლად შვილთან ერთად პრემიერებზე სიარულია. თუმცა, ამ ქმედების გაკრიტიკება ჩემს კომპეტენციაში არ შედის.

აი, ჩემი შვილი კი უკვე 11 წლისაა, „ფეისბუქზე“ საკუთარი გვერდიც აქვს, რომელზე შესვლას ეს დღეები სხვადასხვა მიზეზით ვუკრძალავ, სადმე შენ ბინძურ სტატუსს, არ გადაეყაროს. ის ამას არ გაპატიებს!

ვიცი, ეს წერილი ბევრ ჩემს ახლობელს გაანაწყენებს – „არ იმსახურებს შენგან ყურადღებას”, „ნუ დახვალ მაგის დონემდე”, „იაფფასიან ინტრიგაში გხვევს,” მაგრამ სიამაყე იქ მთავრდება, სადაც ჩემი, როგორც დედის, შეურაცხყოფა იწყება.

ერის სექსსიმბოლოვ, ჩათვალე, ეს წერილი ჩემგან უდიდეს საჩუქრად, რომლის სანაცვლოდ, ბოდიშის მოხდას მოვითხოვ ჩემი შვილისა და ჩემი, როგორც დედის, წინაშე! შენ კი მინდა, წარმატებები გისურვო და საკუთარი ასოს პოვნა „იღბლიან ბორბალში.“

P.S. თუ შეიძლება ქართული შრიფტით მოგვიბოდიშე.“

***პასუხის პასუხი, როგორც დიდი ილია იტყოდა, შორენამ ლათინური შრიფტით გასცა, რომელსაც ჩვენ ქართული შრიფტით გთავაზობთ. „ჩემი პოსტის გამოქვეყნების შემდეგ, ძალიან ბევრი კეთილისმსურველი გამოუჩნდა თიკოს და ისეთი რაღაცეები მომწერეს მის განვლილ ცხოვრებაზე, რაც ხალხს ძალიან დააინტერესებდა. მივხვდი, რატომ არის გაბოროტებული და რატომ ერჩის ყველას. გისურვებ, თიკო, გეპოვოს ისეთი ადამიანი, რომელიც შეგიყვარებს ასეთ გადაღეჭილს, განათლებულს და ბოროტს.“***

***ჯერჯერობით, ინციდენტი ამ პოსტის შედეგად ამოწურულია. მიუხედავად ასეთი მკვეთრი პოსტებისა, ორივე მათგანი პრესასთან ამ თემაზე უფრო ვრცლად საუბარზე უარს ამბობს.***

**ანა სარალიძე**

# ს ა რ ჩ ე ვ ი


რატომ არ დაბომბა ქართულმა არტილერიამ როკის გვირაბიდან გამომავალი გზა და რატომ არ ჩააგდო საერთაშორისო თანამეგობრობამ სათვალავში ქართველი სამშვიდობოების დაღუპვის ფაქტი ............ 4



რა დათმობებს მოსთხოვს რუსეთი აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს და რატომ აღარ სწყალობს კრემლი აღიარებულ აფხაზეთს ............ 6

რატომ გააქტიურდა საქართველოზე ნარკოტრასის სომხური ვექტორი და რა მარშრუტს გაივლის საქართველოდან ევროპისკენ მიმავალი ნარკოტიკი............8



რატომ არ აქვს დავით უსუფაშვილს არანაირი უძრავი ქონება და რა დაუჯდა მას თინა ხიდაშელის საცხოვრებელი ბინის გარემონტება ............ 9

რატომ ითიშება მარკეტებში ღამით მაცივრები და რატომ არის გამლღვალი და ისევ გაყინული პროდუქტი უმაცივროდ შენახულზე უფრო საშიში ............ 10

რისთვის გაიღო 27 ლიტრი სისხლი ერაყის დიქტატორმა სადამ ჰუსეინმა და რამდენი მილიარდი დოლარი ინახებოდა მის სახელზე უცხოურ ბანკებში ............ 12



რატომ სდარაჯობდა პოეტი გიორგი ბუნდოვანი ტერენტი გრანელის საფლავს და ვინ მოიპარა ბოლოს მიცვალებული ..... 13

რა ბრალდებას პასუხობს ირაკლი ლომაია და რაში ადანაშაულებს ის ეკა კვალიაშვილს ........ 14

ადვოკატი გირჩევთ ............ 16

ინტიმური საუბრები ............ 17

როგორი ქალები სჭირდებათ კაცებს რეალურად და რატომ აქვთ ქალებს ილუზიები კაცებთან დაკავშირებით ............ 20

რატომ აუღო „ჩესტი” მილიციელმა პლეხანოველ კიკას და რით გამოირჩეოდა თბილისური რესტორანი „ბო-მონდი” ............ 23

რა წესების დაცვაა აუცილებელი ეკლესიაში და რატომ აძლევენ ადამიანები ერთმანეთს არარსებული აკრძალვების გამო შენიშვნებს............24

მოძღვარი გვირჩევს............25

რომელი ბრაზილიელი ფეხბურთელის მეტსახელია „ცხოველი” და „არსენალის” რომელი ფეხბურთელი იყო ჩართული პორნოინდუსტრიაში ............ 26

ექიმის რჩევები ............ 29

რა ტრაგედია მოხდა დიდი მაესტროს – ოდისეი დიმიტრიადის ცხოვრებაში და როგორ დაამეგობრა მან თავისი ცოლები ............ 30

რაზე მიგანიშნებთ ბინაში ობობების მომრავლება, თაგვების „სტუმრობა” და ჭიანჭველების გამოჩენა ............ 32



რამდენ ათას დოლარს შეადგენდა რობერტ დე ნიროს ჰონორარი გახმაურებულ ფილმში „ტაქსის მძღოლი” და რომელი როლისთვის ვერ გაიარა მან ქასთინგი „ნათლიმამაში“ ............ 34

როგორ აპირებდნენ ინგლისელები სტალინის მოტყუებას ............ 35

შეკითხვა ასტროლოგს ............ 36

რატომ უნდა დავაკვირდეთ შვილის გუნებას გაღვიძებისთანავე და როგორ მოვაწყოთ ბავშვის საძინებელი სწორად ............ 36

კვირის დღეების ასტროპროგნოზი .... 45

კოსმეტოლოგის რჩევები............47

როგორ იძია შური ცოლმა ქმარსა და მის საყვარელ ქალზე............48

რა გარდატეხა მოახდინა თაკო ნაცვლიშვილის ცხოვრებაში „ვიქტორიას სეკრეტის“ ჩვენებამ და სად ჩაანაცვლა მან ნინო ცქიტიშვილი............50

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს............51



ვეტერინარის რჩევები............56

ფლორის სამყაროში............56

როგორ გაუსწორდა სიძე სიმამრს თავის სახლში და რატომ გადააბრალა მან საკუთარი დანაშაული მამას............57

ქურდული ცხოვრება............58

მკვდარი ვერსია ............ 66

ვინ დასაჯა სიკვდილით აბიბოს ნეკრესელი და რატომ ჩაქოლეს ფეხმძიმე ქალი დღევანდელი ქაშუეთის ტაძრის ტერიტორიაზე ... 72



რატომ იწვევენ მსოფლიოს ცნობილი თეატრების სპექტაკლებში გიორგი გაგნიძეს და რით აოცებს ის მუდმივად დიდ მაესტროებსა და მაყურებელს ....... 74



# ყურადღება!

## „აკადემია ლიბერთი-პროფი“

ისწავლეთ ჩვენთან ერთდროულად სკოლისა და პროფესიულ პროგრამებზე. მიიღეთ ატესტატი და პრესტიჟული სპეციალობის პროფესიული დიპლომი!

მიღება: მე-10 მე-11 და მე-12 კლასებში. სპეციალობები: ტურ-ოპერატორი; ბუღალტერია; ფარმაცევტული პრეპარატების წარმოება; კომპიუტერული ინტერნეტტექნოლოგიები.

მისამართი: ზაზიაშვილის (ყოფილი მონტინის) ქუჩა №1, ს/ც „ქარვასლასთან.”
ტელეფონები: 599 55-02-95; 295-20-16; 790 50-60-98.
Facebook-akademia-liberty-prof; www.libertyprof.ge



გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

# კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**აგვისტო რომ მძიმე თვეა, ამას ბოლო 22 წლის განმავლობაში განვითარებული მოვლენებიც მოწმობს: 1992 წლის 14 აგვისტოს ქართული შეიარაღებული ძალები რკინიგზის დაცვის მოტივით აფხაზეთის ტერიტორიაზე შევიდნენ: შედეგად, კოდორის ხეობის გარდა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს დე-ფაქტო გავლენა დაიკარგა; მართალია, ამის პარალელურად, ცხინვალის რეგიონშიც იყო დაძაბულობა, თუმცა ვითარება აშკარა საომარ დაპირისპირებაში არ გადაზრდილა და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ინარჩუნებდა დე-ფაქტო გავლენას დიდი და პატარა ლიახვის ხეობებსა და ახალგორზე. 2008 წლის 7 აგვისტოს, ღამის თერთმეტის ნახევარზე ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე საკონსტიტუციო წესრიგის აღდგენის ოპერაცია დაიწყო, შედეგად: ცხინვალის რეგიონზე, ანუ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მთელი ტერიტორიაზე დაიკარგა დე-ფაქტო გავლენა (დიდი და პატარა ლიახვის ხეობებისა და ახალგორის ჩათვლით), დამატებით კი კოდორის ხეობაშიც აფხაზეთის თვითგამოცხადებული მთავრობის დე-ფაქტო მმართველობა გავრცელდა. 2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთის ფედერაციამ საქართველოს ორივე სეპარატისტული რეგიონი (საბჭოთა კავშირის დროს არსებულ ავტონომიურ საზღვრებში) ცნო და, დღემდე მას 5 ამღიარებელიც მიემატა. არც ერთი ომის ანალიზი არ გაკეთებულა, არ დადგენილა სამხედრო-პოლიტიკური მარცხის მიზეზები და არათუ დამნაშავეები არ გამოვლენილან, ორივე კონფლიქტში მონაწილე მაღალი რანგის სამხედრო მოსამსახურეები უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოებითაც დაჯილდოვდნენ. გენერალი მამუკა ყურაშვილი, რომელმაც 2008 წლის 7 აგვისტოს, ღამის თეთრმეტის ნახევარზე, „მოამბის“ სპეცგამოშვებაში მოსახლეობას აუწყა საკონსტიტუციო წესრიგის აღდგენის დასაწყისი, მზადაა, ითანამშრომლოს გამოძიებასთან. მისი დახმარებით, შევეცდებით, აღვადგინოთ აგვისტოს ომის დაწყებისა და მიმდინარეობის სურათი.**

# რატომ არ დაბომბა ქართულმა არტილერიამ როკის გვირაბიდან გამომავალი გზა და რატომ არ ჩააგდო საერთაშორისო თანამეგობრობამ სათვალავში ქართველი სამშვიდობოების დაღუპვის ფაქტი




**მაჩვენეთ ცოცხალი გენერალი, ჩემ გარდა, რომელსაც ფეხით უვლია ცხინვალში?!**

**– ინტერნეტშიც კი დევს ინფორმაცია, რომ რფ-ს ჩრდილოეთ კავკასიაში 609 გამანადგურებელი ჰყავს განლაგებული. ისიც ცნობილია, რომ 5 წუთი სჭირდება ავიაგამანადგურებელს საქართველოს ტერიტორიის განივად გადაკვეთისთვის. საჰაერო დაცვა საერთოდ არ გაგვაჩნდა. რთული გამოსათვლელი იყო, რომ მოწინააღმდეგე ჰაერში იბოგინებდა?**

– მე შემიძლია, გიპასუხოთ, როგორც სამხედრომ: სამხედროები აკეთებენ ასეთი საფრთხეების ადეკვატურ შეფასებას და მოთხოვნებს უყენებენ პოლიტიკოსებს, რომ ასეთი ჩავარდნები შეივსოს.

**– თქვენ, სამხედროებმა, მიაწოდეთ ინფორმაცია პოლიტიკოსებს, რომ, თუ ჩვენ იურისდიქციის აღდგენას დავიწყებთ, თეორიულად, რუსულ ავიაგამანადგურებლებს 5 წუთში შეუძლიათ ჩვენი ნაცარტუტად ქცევა, იმიტომ რომ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები არ გაგვაჩნიაო?**

– მგონია, რომ ძიების დროს თვითონ გასცემენ ამ კითხვებზე პასუხს, ვისაც ევალებოდა, თუ რამდენად ადეკვატურად ჰქონდათ ეს საფრთხე შეფასებული იმავე რუსეთის მეოთხე საჰაერო არმიასთან მიმართებაში.

**– დაიწყო კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა და 7-ში ღამით საარტილერიო საპასუხო ცეცხლი გაიხსნა ცხინვალზე.**

– მთავარსარდალმა ცეცხლის შეწყვეტის მოთხოვნით მიმართა ბანდფორმირებებს. ეს ცალმხრივად დაირღვა და 2 აგვისტოს ავნევის საგუშაგოზე ჩვენი ორი სამშვიდობო დაიღუპა, არადა სანგრები გათხრილი იყო წესდებით და უძლებდა 100-მილიმეტრიანი ჭურვების პირდაპირ დარტყმებს. წარმოიდგინეთ, რამდენი ჭური უნდა ესროლათ, რომ მოერღვიათ მთლიანად. პირად შემადგენლობას უკვე გულისრევა ეწყებოდა ამდენი დაბომბვებისგან. აი, ასეთი იყო მშვიდობიანობის პერიოდი. თუ გირტყამენ და შენ საპასუხოდ ხელს მოიქნევ, ესე იგი, შენ დაიწყე ომი?!

**– მე თქვენკენ ვარ, ანუ ჩვენკენ, მაგრამ ტალიავინის დასკვნაში ვერ მოხვდა, რატომღაც, ქართველი სამშვიდობოების დაღუპვის ფაქტი, მაშინ, როდესაც რუსი სამშვიდობოების დაღუპვა აღიარეს მიზეზად, რატომაც უნდა შემოეყვანა, თურმე, რუსეთს ჯარი. ჩვენი სამშვიდობოები წიწილები იყვნენ, სათვალავში რომ არ ჩააგდეს?**

– კონფლიქტის ზონაში ყველა მხარეს ერთი სარდალი ჰყავდა, გენერალი კულახმეტოვი. თუკი მანამდე ყოველთვის ჩამოდიოდნენ უმაღლესი თანამდებობის პირები, ბატონი გოგა ხაინდრავა, ადგილზეც წყვეტდნენ პრობლემებს და მაშინვე აცნობებდნენ უცხოელ პატრნიორებს, იაკობაშვილის დანიშვნის შემდეგ, არავინ ჩამოსულა. ამიტომაც მეორე მხარე პროვოკაციებით იყო დაკავებული. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ხეობის მოსახლეობა მძევლად ჰყავდათ. მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვისა და დაგომისის ხელშეკრულება ჩვენთვის საზიანო იყო, იმ ხელშეკრულებებითაც კი კონფლიქტის ზონაში 82 მილიმეტრზე დიდი ჭურვების გამოყენება აკრძალული იყო. 7 აგვისტოს მდგომარეობით კი, 120-მილიმეტრიანი ჭურვებიც ჰქონდათ გამოყენებული. არსებობს 3 აგვისტოს მონიტორინგის დასკვნა, რომელსაც რუსული მხარეც აწერს ხელს, რომ 3 აგვისტოს სარაბუკის წინააღმდეგ 100-მილიმეტრიანი ჭურვებია გამოყენებული. აი, რატომ ჩნდება საპასუხო ცეცხლი!

**– საყვედურობენ ჩვენს ჯარს, რომ ქართულმა არტილერიამ არ იმუშავა როკის გვირაბიდან გამომავალი ერთადერთი გზის დასაბომბად, რომ დამატებითი ძალების შემოსვლა აეცილებინა თავიდან. თქვენ რით ხსნით იმ მიმართულების ასე უყურადღებოდ დატოვებას?**

– ცხინვალი არ ყოფილა ჩვენი მთავარი სამიზნე. რაც შეეხება სიღრმეებსა და როკის გვირაბს: ეს ტექნიკურ საშუალებებზეა დამოკიდე-

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი ზაზა ახობაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე ალექსანდრა ნაკაიძე

პასუხისმგებელი რედაქტორი ზაალ ცინაძე

რედაქციის მისამართია:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




დაბეჭდილია „ასავალ-დასავალის“ სტამბაში
ელ-ფოსტა: PRINT@ASAVALI.GE

განყოფილებები

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე
დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
კორექტორი: ხატია ჟღენტი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ქეთი კვინიხიძე, თამუნა ჩალაძე
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე
ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“ იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

ბული.

**– ანუ ვერ მივწვდებოდით?**

– იმ ეტაპისთვის ქართულ მხარეს არ ჰქონდა ისეთი ტექნიკური საშუალებები, რომ ასეთ დისტანციაზე ემოქმედა არტილერიას.

**– მაპატიეთ, მაგრამ: ავიაცია ჩვენ არ გვყავდა, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები ჩვენ არ გვქონდა, არტილერია როკის გვირაბს ვერ მისწვდებოდა, რა გვეკონსტიტუციურწესრიგებოდა მაშინ? წამოგვეყვანა ეს ჩვენი მოსახლეობა და გამოვსულიყავით.**

– ასე ადვილად ვერ გამოიყვანდი მოსახლეობას. რაც შეეხება ამ ყველაფრის თავის არიდებას: ეს არ ყოფილა ჩვენი არჩევანი. მე მესმის თქვენი, ლოგიკური კითხვაა და ბევრს აქვს ის: ვიმეორებ, ეს შეიძლებოდა გაკეთებულიყო სწავლება „კავკასია 2008-ის“ ჩატარებამდე. იმ სწავლების სახელწოდება: „იძულება მშვიდობისთვის“ შემდეგ საომარ მოქმედებებს დაარქვეს. პირდაპირ გამოვიდა რუსეთის მაშინდელი პრემიერ-მინისტრი და თქვა: ჩვენ 2006 წელს ბანდფორმირებებს ვამზადებდითო. უამრავმა ფაქტორმა იმუშავა: ითქვა კიდეც, რუსეთს უნდოდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოების შეჩერება.

**– ძალიან ცუდად შემოგვიტრიალდა იმავე ტალიავინის დასკვნაში ცხინვალზე საარტილერიო ცეცხლი. არაფერი რომ არ ვთქვათ კახა ლომაიას ანტისახელმწიფოებრივ განცხადებაზე, რომ ცხინვალი, ასეთი ქალაქი, აღარ არსებობს დედამიწის ზურგზეო?**

– მისი ეს განცხადება მოწმობს, რომ უშიშროების საბჭოს მდივანი გონზე არ იყო და რაღაც „ობრაზში“ იმყოფებოდა, მაგრამ რატომ არ უშვებს რუსეთი დღემდე ცხინვალში ევროპელ დამკვირვებლებს?! რა უნდა დაამალოს ასეთი ხუთმა დამკვირვებელმა? იმიტომ არ შეჰყავთ, რომ იქ რუსული კვალია წასაშლელი და მხოლოდ ქართული კვალი უნდა დარჩეს. ცალსახად ჩანს, ვისი დაბომბილია ცხინვალი: მართალია, ცხინვალში არ დგას ცათამბჯენები, მაგრამ კარგად ჩანს, საიდანაა მოხვედრილი ჭურვები მაღალ სახლებზე. ქართულ მხარეს მართლაც რომ მიწასთან გაესწორებინა ცხინვალი, ხომ შეუშვებდნენ დამკვირვებლებს?! რუსულ მხარეს საერთოდ სჩვევია დანაკარგების დამალვა, მაგრამ დღეს უკვე ცნობილია, რომ მეორე მხრიდან 162 ადამიანია დაღუპული როგორც ოსი სეპარატისტები, ისე ადგილობრივი მოსახლეობა და რუსეთის სამხედრო მოსამსახურეები. როგორ მოახერხა ქართულმა ჯარმა რუსული საგუშაგოებისთვის გვერდის ისე ავლა, რომ თმის ღერი არ ჩამოვარდნია არავის?!

**– რუსი სამშვიდობოები არ ჩაერივნენ დასაწყისში და გაატარეს ქართული ნაწილები, მაგრამ ესეც იქცა ერთგვარი ბრალდების არგუმენტად: ამით ალყაში მოექცა ჩვენი შეიარაღებული ძალები.**

– მე, როგორც გენერალი ყურაშვილი, ვამბობ, 2008 წელს ქართული სახელმწიფოს გადარჩენა იყო ის, რომ გადარჩა რუსული სამშვიდობო კონტინგენტი. ჩვენ რომ სამშვიდობოებისთვის დაგვერტყა, მთელ მსოფლიოს აჩვენებდნენ მათ ცხედრებს, მიწასაც კი არ მიაბარებდნენ და ეს მათთვის გახდებოდა თბილისში შემოსვლის უტყუარი მიზეზი. რუსული ავიაცია, მართალია, ბომბავდა დანარჩენ საქართველოს, მაგრამ, ოლიმპიადიდან ჩასულმა პუტინმა რომ მოითხოვა რეალური სურათი, ნახეს, რაც იყო რეალურად. არანაირი 2 000 დაღუპული არ არსებობდა და რუსული სამშვიდობოებიც უვნებლად იყვნენ.

**– შემდეგ რა მოხდა: რუსები უკვე შემოსულები იყვნენ თუ მზად იყვნენ შემოსასვლელად? იმდენ ტანკს და ცოცხალ ძალას ასახელებს მთავარსარდალი, რომ, წესით, გადაჭედილი უნდა ყოფილიყო იქაურობა.**

– ერთის თქმა დანამდვილებით შემიძლია: რუსს სჯეროდა, რომ ამ უბედურებას ოსი სეპარატისტების მეშვეობით დააწევდა საქართველოს და თვითონ შემოვიდოდა ვითარების განსამუხტად.

**– ფიქრობდნენ, რომ სეპარატისტები მოგვერეოდნენ?**

– დიახ. რუსი, რა თქმა უნდა, შემოსული იყო. სწავლება ჩატარებული ჰქონდა, ჯარები ამოწეული ჰყავდა, მოწინავე რაზმები უკვე აქ ჰყავდათ განლაგებული, მაგრამ აკვირდებოდნენ სიტუაციას, რომ შემდეგ მოსულიყვნენ, როგორც მოსამართლეები და ეთქვათ: 17 წელია, ამბობთ, რომ არაეფექტიანია ჩვენი მანდატი, მაგრამ ხომ ხედავთ, ჩვენ ვართ ისინი, ვინც მხარეებს აშორიშორებს. მაგრამ, კეფაში რომ ირტყეს სეპარატისტებმა ფეხები და ქართული ჯარი ცხინვალში აღმოჩნდა, თან, გაუპატიურების არც ერთი ფაქტი არ ყოფილა, არც სადარბაზოებში „ლიმონკების“ შეგდების, პირიქით, მოსახლეობას წყალს ვაწვდიდით და ვეხმარებოდით, ეს აღარ მოეწონათ. გახსნეს ცეცხლი და განურჩევლად აზილეს ერთმანეთში ოსი და ქართველი. თუ არ ემზადებოდნენ, რატომ შემოიყვანეს პირველ აგვისტოს ორგანიზებულად რუსი ჟურნალისტების ჯგუფი?!

**– საარტილერიო საშუალებები არ გვქონდა, მაგრამ იმ ერთადერთი შემოსასვლელი გზის დანაღმვის საშუალებაც არ იყო, პრევენციის მიზნით?**

– კონფლიქტის ზონა ძალიან შეზღუდულია, იგოეთიდან რომ მანქანა ამოდიოდა, რუსები უკვე ცნობდნენ. სიღრმეში არ გვქონდა საარტილერიო საშუალებებით მოქმედების საშუალება, თორემ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არ განუცდიათ რუსეთის შეიარაღებულ ძალებს ისეთი საარტილერიო ცეცხლი, როგორიც 2008 წელს. სეპარტისტული მთავრობა დაინტერესებული იყო, რომ გაეღვივებინა კონფლიქტი. შემდეგ რუსები ჩაერთვნენ, თუმცა მათ არ ჰყავდათ საკმარისი ძალები თბილისის ასაღებად.

**– უშუალოდ ომის შემდეგ დავით თევზაძემ ერთ-ერთ ინტერვიუში მითხრა, რომ საომარი მოქმედებების დროს ქართველი ჯარისკაცი იყო უკეთ გაწვრთნილი, უკეთ აღჭურვილი, გამოკვებილი, რაოდენობითაც საწყის ეტაპზე მეტნი ვიყავით, მაგრამ მაინც დავმარცხდითო.**

– ბატონი დათო, ალბათ, უპირველესად, გულისხმობდა საბრძოლო სულისკვეთებას. აღჭურვილობა უკეთესი გვქონდა, მაგრამ რაოდენობით ისინი გვჯობდნენ. ბევრი არ არის ისეთი არმია, რომელიც იკადრებს შარაგზის ყაჩაღებთან და მოროდიორებთან ერთად ომს, რუსული არმია კი ასეთია. ძალიან ძნელია საბრძოლო სულისკვეთების აწევა ომის დროს, როდესაც ჯარისკაცს აქვს მობილური, როდესაც მშობელი ურეკავს და ეუბნება, ესა და ეს მაღალჩინოსანი წითელ ხიდზე გარბისო.

**– როგორც სამხედრო ექსპერტები ამბობენ, საკუთარ და მცირე ზომის ტერიტორიაზე ამდენი უგზოუკვლოდ დაკარგული სამხედრო ნიშნავს, რომ მათი მესამედი ცოცხალი, ანუ დაჭრილი მიატოვეს ბრძოლის ველზე. თანამებრძოლზე ზრუნვას არ ასწავლიან ჩვენს ჯარს თუ რა მოხდა?**

– დაზუსტდება, სად რა მოხდა, როგორ მოხდა, ვინ სად დაიღუპა და დაიჭრა, რუკას მიებმება ეს ყველაფერი და გამოიკვეთება, ვისი ინტერესი იყო. ყველა კითხვას ძიება გასცემს პასუხს. მე, როგორც სამხედროს, სინდისი სუფთა მაქვს, მე გადავარჩინე ხეობის მოსახლეობა. რატომ დახვრიტეს რუსებმა 9 აგვისტოს ჩეჩნები, რომლებიც მიეხმარნენ ქართველ მოსახლეობას გამოსვლაში?! – ძიების დროს ვიტყვი ყველაფერს. უგულავას უთქვამს, თავის გადარჩენას ცდილობსო და ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი მდაბიო ფანტაზია აქვს ქალაქის მერს.

**– ასე აშკარად ერეოდა სამხედრო მოქმედებებში?**

– რა თქმა უნდა და ამას ძიების დროსაც ვიტყვი.

**– ძალიან მიკვირს, ეს სამოქალაქო პირები როგორ აძლევდნენ თავს უფლებას, ჩარეულიყვნენ სამხედრო საქმეში?**

– ბატონი გიგი უგულავა იყო უმაღლესი მთავარსარდლის თვალები და ყურები კონფლიქტის ზონაში. ძიების დროს ყველაფერი ამოტივტივდება. თქვა, მეხანძრეები იყვნენ იქ და მათ დასახედად ჩავედიო. მაინტერესებს, მეხანძრეები რომელ ფლანგზე იბრძოდნენ და წყლის ჭავლით აჩერებდნენ მტერს?!

**– გარდა ქალაქის მერისა, სამოქალაქო პირებიდან კიდევ ვინ ერეოდა სამხედრო მოქმედებებში?**

– იყვნენ სხვა სამოქალაქო პირებიც და ძიებას ვეტყვი მათ ვინაობას.

**– რას მოგვცემს ამ საქმის გამოძიება?**

– ცოდვაა ჯარისკაცი, რომელიც გენერლობაზე არ ოცნებობს. ჯარისკაცმა ცალსახად უნდა იცოდეს, რომ თვალთმაქცობით არ შეიძლება, მიაღწიო უმაღლეს ჩინს. არადა, ფსევდოგმირები გაჩნდნენ. წმინდა გიორგის ხუთი ორდენია დარიგებული და უამრავი ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი, რომელიც ენიჭება ოპერაციის წარმატებით დაგეგმვისა და განხორციელებისთვის. დამანახვონ, რა დაგეგმეს და სად განახორციელეს. მაჩვენეთ ცოცხალი გენერალი, ჩემ გარდა, რომელსაც ფეხით უვლია ცხინვალში?! მე არაფერზე არ მაქვს პრეტენზია, მაგრამ ქვეყანამ უნდა იცოდეს, ვინ მტერია და ვინ – მოყვარე. აი, ამისთვისაა საჭირო ძიება.

**– რუსული პროპაგანდისტული მანქანის მუშაობის შედეგად სახელი გაგვიტყდა ჩვენს რეგიონში: ყველა ომი წავაგეთ, გამოვიქეცით. როგორც წესი, ჯარი გარბის და მეთაური რჩება, აქ პირიქითი მოხდა: ჯარი დარჩა, მეთაურები გამოგვექცნენ. განსაკუთრებით მხდალები შეარჩიეს ამ პოსტებზე თუ რა დაგვემართა?**

– მეთაური ვალდებულია, იზრუნოს თავის პირად შემადგენლობაზე, მაგასაც ძიება გასცემს პასუხს, თუ როგორ იქცეოდა ესა თუ ის მეთაური. პირადად მე არსად გავქცეულვარ. სხვადასხვა ბრიგადის მეთაურები ომამდე 4-5 თვით ადრე მოხსნეს. ჯარი არ იყო მოყვანილი სრულ მოქმედებაში. იქნებ იმიტომაც, რომ მსხვერპლი მეტი ყოფილიყო, ვთქვათ, 20 000 და არა 200 ადამიანი?! მე არავისგან არაფერს ველი, მაგრამ მადლობელი ვარ ბიძინა ივანიშვილის, იმიტომ რომ მომეცა ამის თქმის საშუალება. თქვენთვის რომ მეთქვა 2008 ან 2009 წელს, ამ თემაზე მინდა საუბარი-მეთქი, არა მხოლოდ საკუთარ თავს, თქვენც საფრთხეს შეგიქმნიდით. დღეს მშვიდად ვარ, იმიტომ რომ ვიცი, რა გავაკეთე ჩემი ქვეყნისთვის: ჩემს პირად შემადგენლობაში დანაკლისი არ არის, ტექნიკა არ დამიკარგავს და 8 200 ადამიანი გამოვიყვანეთ ხეობიდან. მიუხედავად იმისა, რომ 8-ში თერთმეტ საათზე გადამაყენეს და დამნიშნეს სამშვიდობო ოპერაციების შტაბის უფროსად. ჩემი დისლოკაციის ადგილი იყო თბილისი, უზნაძის ქუჩა, მაგრამ მე მაინც ვიმოქმედე. მზად ვარ, ძიებასთან ვითანამშრომლო და ბევრ რამეს მოეფინება ნათელი.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**არცთუ ისე დიდი ხნის წინათ აფხაზეთის არააფხაზმა მოსახლეობამ კრემლში წერილი აფრინა: რუსულენოვან მოსახლეობას და რუსეთის მოქალაქეებს გვჩაგრავენო. მანამდე კი აფხაზეთის აფხაზი საზოგადოების გულისწყრომა რფ-ის თავდაცვის მინისტრმა გამოიწვია, რომელიც გუდაუთას ეწვია, თუმცა მათ მიერ აღიარებული აფხაზეთის ხელისუფლების არც ერთ წარმომდგენელს არ შეხვედრია. ეს ფაქტი ადგილზე ნონსენსად და აფხაზეთის მოტეხვის მცდელობად შეფასდა. მართლაც, აქვს თუ არა მოსკოვს ეს მიზანი და რისთვის სჭირდება მოტეხილი აფხაზეთი, – თემას პოლიტოლოგ აბრაამ შმულევიჩთან ერთად განვიხილავთ.**

# რა დათმობებს მოსთხოვს რუსეთი აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს და რატომ აღარ სწყალობს კრემლი აღიარებულ აფხაზეთს



**აფხაზეთს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს აქვს ანტირუსული პოზიცია და მიდის „ნატოსკენ“. ამდენად, აფხაზეთმა უნდა ილოცოს სააკაშვილზე**

**– რუსეთის ხელმძღვანელობას საჩივრის წერილი მისწერეს, რომ აფხაზეთში ირღვევა რუსეთის მოქალაქეების უფლებები, რუსეთის თავდაცვის მინისტრი გუდაუთაში არ შეხვდა აფხაზ ოფიციალურ პირებს, ეს მოსკოვის სპონტანური ქმედებაა თუ ერთგვარი პოლიტიკური დაზვერვა?**

– არაერთხელ დამიწერია, რომ რუსეთს აფხაზეთი მოკლე საბელით უჭირავს. მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ შეჩერებულია აფხაზეთის საერთაშორისო აღიარების პროცესი. ამას აქვს თავისი მიზეზები: ჯერ ერთი, რუსეთს უნდა, რომ აფხაზეთი ჯიბეში ჰყავდეს. თითქოს აფხაზეთი დაინტერესებული უნდა ყოფილიყო დასავლეთთან კონტაქტით და რამდენიმე წლის წინათ შეიმჩნეოდა მოძრაობა ევროკავშირისგან, როდესაც ჰუმანიტარული თანამშრომლობისთვის მზადყოფნა გამოაცხადა ევროკავშირმა, მაგრამ ანქვაბმა აღკვეთა ეს აქტივობა.

**– ეს ანქვაბის თვითშემოქმედება იყო თუ?**

– რა თქმა უნდა, ეს იყო რუსეთის გავლენის შედეგი. ჩვენ ვხედავთ, რომ, სამწუხაროდ, აფხაზეთის ხელისუფლება ზღუდავს კონტაქტებს დასავლეთთან. არადა, ქვეყანა, რომელსაც უნდა საერთაშორისო იზოლაციის გარღვევა, უნდა ცდილობდეს ასეთი კონტაქტების დამყარებას, თუმცა პირიქით ხდება.

**– იმ კონტაქტებით, რაც მქონია აფხაზ რესპონდენტებთან, მეჩვენება, რომ მათ ჰყოფნით რუსეთი საარსებო სივრცედ.**

– თუ ქვეყანას აკმაყოფილებს მხოლოდ რუსეთთან ურთიერთობა, ის რუსეთის გუბერნიად იქცევა, რადგან ნორმალური ქვეყანა არ შეიძლება, დაკმაყოფილდეს მხოლოდ ერთი პარტნიორით. მეორე მიმართულებაა თურქეთი: იცით, რომ იქ ცხოვრობს დიდი აფხაზური დიასპორა და ექსპორტის 18 პროცენტი მოდის თურქეთზე.

**– თურქეთი არ აღიარებს აფხაზეთს, მაგრამ რუსეთის შემდეგ მეორე ადგილზეა არაღიარებული აფხაზეთის სავაჭრო პარტნიორებს შორის.**

– ამდენად, აფხაზეთი თითქოს დაინტერესებული უნდა იყოს თურქეთთან კავშირების გამყარებით, მაგრამ ასე არ ხდება. მაგალითად, ათიოდე წლის წინათ აფხაზეთში გაიხსნა თურქული სკოლა ბაშარანი. მისი კურსდამთავრებულები სწავლას განაგრძობდნენ სტამბულის უნივერსიტეტში, მაგრამ რამდენიმე წლის წინათ ამ კოლეჯის წინააღმდეგ სერიოზული რეპრესიები დაიწყო. ვხედავთ, რომ აფხაზეთის კონტაქტები დანარჩენ სამყაროსთან, რუსეთის გარდა, იჭრება. ის დღეს არათუ დამოუკიდებელი ქვეყანა არ არის, რუსეთის ერთ-ერთ გუბერნიადაც ვერ განვიხილავთ. ის უფრო კრასნოდარის მხარის ერთ-ერთი რაიონია: აფხაზეთში რუსეთის ელჩსა და გუბერნატორ ტკაჩოვს აქვთ გადამწყვეტი ხმა. ჩვენ ვხედავთ, რომ აფხაზეთის ხელისუფლებამ გაანადგურა ყველა დამოუკიდებელი ინსტიტუტი, მათ შორის, სასაზღვრო სამსახური.

**– სანამ საზღვართან მივალთ, ბიუჯეტს უნდა შევხედოთ, რომელიც კვლავ რუსეთის დოტაციაზეა.**

– დიახ, აფხაზეთის არმია, ფაქტობრივად, დაშლილია. ჯარში მსახურობენ რუსეთის კონტრაქტორები, შეკრებები გაუქმებულია, ისევე, როგორც ადგილობრივი რეზერვისტების მომზადება. რაც შეეხება ეკონომიკას: აფხაზეთმა ვერ შეძლო ეკონომიკის შექმნა. ტურიზმი საკმაოდ დაბალ დონეზეა, სოფლის მეურნეობა ვერ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს. დღეს აფხაზეთის ეკონომიკა კოლაფსის პირასაა. დიდ იმედებს ამყარებდნენ ანქვაბის ვიზიტზე მოსკოვში, რომ მიიღებდნენ 10 მილიარდ რუბლს, მაგრამ ჯერჯერობით არც ერთი კაპიკი არ გადმორიცხულა. ხელფასს ვერ უხდიდნენ საბიუჯეტო დაწესებულებების თანამშრომლებს, ამიტომ ანქვაბმა ვალად აიღო 400 მილიონი რუბლი დნესტრისპირეთისგან.

**– რით აპირებს ნეტავ დაბრუნებას?**

– ამით გადაიხადეს სახელფასო დავალიანება. ივლისის დასაწყისში მათ მილიარდ 100 000 რუბლს დაჰპირდნენ. ანუ რუსეთს მთლიანად უჭირავს აფხაზეთი ყველა შესაძლო ადგილით და აფხაზებს არ აქვთ არანაირი საშუალება, წინააღმდეგობა გასწიონ. ისინი მხოლოდ კრემლის კეთილი ნების იმედად არიან და რთული წარმოსადგენია, რომ კრემლმა აფხაზი ხალხის ინტერესებით იმოქმედოს. იგრძნობა, რომ ოლიმპიადამდე რუსეთი არანაირ მკვეთრ ნაბიჯებს არ გადადგამს აფხაზეთის მიმართულებით, მაგრამ ოლიმპიადის შემდეგ, როგორც ჩანს, გადაფორმატდება მთელი ჩრდილოეთ კავკასია და აფხაზეთიც. ერთი სიტყვით, აფხაზებმა ვერ შეძლეს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აშენება.

**– მხოლოდ რუსეთის აღიარების იმედად და დოტაციური ბიუჯეტით შესაძლებელია დამოუკიდებელი სახელმწიფოს აშენება?**

– რა თქმა უნდა, ეს რთული ამოცანაა. თან, მოსახლეობაც მცირერიცხოვანი ჰყავთ, არ აქვთ საერთაშორისო სტატუსი. ასეთ პირობებში რთულია ეკონომიკის აშენება და დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნა. თუმცა მათ შეუძლებელი შეძლეს: მიაღწიეს დამოუკიდებლობას, მოიგეს ომი.

**– თქვენ გულწრფელად გჯერათ, რომ ომი მოიგეს აფხაზებმა და არა რუსეთმა?**

– არ არის მნიშვნელოვანი, ვინ მოიგო.

**– ძალიან მნიშვნელოვანია.**

– დივიდენდები მიიღეს აფხაზებმა.

**– გასაგებია, რომ აფხაზებმა მიიღეს ეს დივიდენდები, მაგრამ თვითონ მათ ხომ იციან, როგორ მოიგეს, ანუ მიიღეს ეს დივიდენდები?**

– საქართველოში არის საერთო მოსაზრება, რომ რუსეთი ომობდა აფხაზების მხარეს. მაგრამ რუსეთი იბრძოდა როგორც აფხაზების, ისე ქართველების მხარეს.

**– საქართველოში არსებული მოსაზრება ემყარება რეალურ ფაქტებს.**

– მაინც არ არის ეს პრინციპული საკითხი. მაშინ ასე ვთქვათ: მათ ვერ შეძლეს აეშენებინათ კონკურენტუნარიანი ეკონომიკა, ვერ შეძლეს აეშენებინათ სახელმწიფო ინსტიტუტები რუსეთისგან დამოუკიდებლად. ჩემი დაკვირვებით, აფხაზებთან პრობლემებზე საუბარი შეუძლებელია. ეს იწვევს მწვავე აგრესიას. მაგალითად, მე გამომაცხადეს აფხაზი ხალხის მტრად. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ აკლიათ ინტელექტუალური სიმამაცე, თვალი გაუსწორონ პრობლემებს. ამ და სხვა მიზეზების გამო, როგორც ჩანს, აფხაზეთის ბედს სხვები გადაწყვეტენ და ეს არაფერ კარგს არ მოუტანს არც აფხაზეთს და არც საქართველოს. დღეს ვხედავთ, რა ხდება რუსულ პრესაში: დაიწყო მთელი კამპანია რუსეთის მოქალაქეების უფლებების დარღვევის შესახებ აფხაზეთში. რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე მაღალტირაჟიანი გაზეთი „მოსკოვსკი კომსომოლეცი“ წერს, თუ როგორი საშინელია აფხაზეთში დასვენება. როგორ ცუდად ეპყრობიან იქ რუსებს. იმავეს წერდა „კომსომოლსკაია პრავდა“, არანაკლებ მაღალტირაჟიანი რუსული გამოცემა. ეს სტატია გადაიბეჭდა სხვა უამრავ გამოცემაში და ტოვებს კოორდინირებული ქმედების შთაბეჭდილებას.

**არაერთხელ დამიწერია, რომ რუსეთს აფხაზეთი მოკლე საბელით უჭირავს. შეჩერებულია აფხაზეთის საერთაშორისო აღიარების პროცესი. ამას აქვს თავისი მიზეზები: რუსეთს უნდა, რომ აფხაზეთი ჯიბეში ჰყავდეს**

**– და რა მიზანი აქვს ამ კოორდინირებულ ქმედებას?**

– შესაძლოა, ამით მზადდება რუსეთის საზოგადოება იმისთვის, რომ აფხაზეთს დაუწესდეს მკაცრი ეკონომიკური სანქციები.

**– რას უპირებენ აფხაზებს ასეთს?**

– რადგან ასეთი სტატიები გაჩნდა ორ ასეთ პოპულარულ რუსულ გამოცემაში და გადაიბეჭდა სხვა უამრავ გამოცემაში, აშკარად მკვეთრი ქმედებები მზადდება.

**– რა ქმედებები? ფულს საერთოდ აღარ მისცემენ ბიუჯეტისთვის და საკურორტო სეზონსაც ჩაუგდებენ, რომ ამითაც არ მოითქვან სული?**

– ფულის გადარიცხვის შეჩერება ისედაც შეუძლიათ, როგორც ჩანს, აფხაზეთს მოსთხოვენ არაპოპულარული პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმას რუსეთთან, ან საქართველოსთან მიმართებაში. ეს არ გაკეთდება იმისთვის, რომ აფხაზეთის შესვლა ევრაზიის კავშირში უნდოდეთ.

**– არ მგონია, ამის წინააღმდეგი იყოს აფხაზეთის მოსახლეობის უმეტესობა.**

– დიახ, ამაზე აფხაზეთის მოსახლეობის უმ-

# კოლხი წინასწარმეტყველი – მსოფლიოში ცნობილი უძლიერესი პარაფსიქოლოგი

*უძლიერესი პარაფსიქოლოგი და წინასწარმეტყველი – კოლხი ნათია ბავშვობიდან უფლის უსაზღვრო სიყვარულით კურნავს ხალხს. ის გამოირჩევა მომავლის განჭვრეტის უნიკალური უნარით – კურნავს შიშებს, ნევროზს, უძილობას, უშვილობას, უბარაქობას. ბევრ პრობლემას ლოცვით შველის. მან უამრავ ადამიანს დაუბრუნა სიცოცხლის ხალისი.*



**– ქალბატონო ნათია, როგორც ვიცით, თქვენთან ცნობილი ბიზნესმენები და მსახიობები მოდიან...**

– რასაკვირველია, მე მრავალი წელია, მათ ვილებ, თუმცა, სახელებს ვერ ვიტყვი, რადგან ანონიმურობას ყოველთვის ვიცავ. უცხოეთის მრავალ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, მიწვევებიც ხშირად მომდის, მაგრამ მე საქართველოში მინდა დარჩენა, რომ ჩემი ენერგია ჩემს ხალხს მოვახმარო.

***აი, რას ყვებიან ნათიას შესახებ მისი პაციენტები:***

**ქართველი ბიზნესმენი** *(მისივე თხოვნით, მის ვინაობას არ ვასახელებთ):* 2011 წელს მოსკოვში შევხვდი ქალბატონ ნათიას. ჩემი ბიზნესი გაკოტრების პირას იყო და ამიტომ ვიყავი იქ, საერთოდ, ასეთი რამეების არ მჯეროდა, მაგრამ გამოუვალმა სიტუაციამ და სასოწარკვეთამ მაიძულა, ბოლო იმედს ჩავბღაუჭებოდი. რამდენიმე სეანსის შემდეგ დეპრესიიდან გამოვედი, საქმეები ნელ-ნელა წინ მიდიოდა. მერე ვალებიც მოვიშორე და ახლა თბილისში ჩამოვაკითხე. მისი ლოცვა ყოველთვის მშველის.

**ნუნუკა კ-ძე,** *49 წლის:* ჩემმა ქალიშვილმა 2 უმაღლესი დაამთავრა, მაგრამ წლების განმავლობაში სამსახურს ვერ შოულობდა, 30 წლამდე ვერც გათხოვდა. შემთხვევით გავიგე ნათიას შესახებ და მოვედით მასთან. ნათიამ შეულოცა ბარაქაზე, ბედზე და 2 თვე არ იყო გასული, მუშაობა რომ დაიწყო. მერე სამსახურში გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე. მე დღეს ძალიან ბედნიერი ქალი ვარ – 2 შვილიშვილის ბებია. ყველაფერი ქალბატონ ნათიას დამსახურებაა. ულრმეს მადლობას ვუხდი მას.

**თიკა ქისტაური,** *35 წლის, (ყაზბეგი):* ჩემი 5 წლის ბიჭი ჭირვეული ბავშვი იყო, უძილობა ჰქონდა. თან, ღამით გამუდმებით ტიროდა. ამდენი უძილობით, მეც ნევროზი დამემართა, ქმარს ყველაფერზე ვეჩხუბებოდი. მან კი, როგორც ხდება ხოლმე, საყვარელი გაიჩინა... ***(ტირის).*** ბავშვი ნათიას მოვუყვანე, მან შეულოცა, თილისმა გაუკეთა და მართლა სასწაული მოხდა – ეს თილისმა ჩვენი ოჯახის დამცველად იქცა. უამრავი პრობლემა მომეხსნა, ქმარიც დაშორდა საყვარელს და დღეს რომ მშვიდი ოჯახი მაქვს, მთლიანად ქალბატონი ნათიას დამსახურებაა.

**დათო გ-ძე**: ჩვენი ოჯახი ბოლო წლებია, ფინანსურად დაუძლურდა. ქალბატონ ნათიასთან ძმაკაცმა მიგვიყვანა. ამ ყველაფრის მიზეზი საგვარეულო წყევლა ყოფილა, თურმე გათვალვასაც არანაკლები უბედურების მოტანა შესძლებია. ნათიამ ლოცვა წაგვიკითხა, თილისმაც დაგვიმზადა. რამდენიმე თვეში მუშაობა დავიწყე. პრობლემები ნელ-ნელა მოგვეხსნა. ყველას ვურჩევთ, დროულად მიაკითხონ მას, რადგან ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლა ნამდვილად შეუძლია.

***ჩაწერა ხდება წინასწარ, ტელეფონებზე: 599-98-74-25; 514-45-18-81.***
***Skype bulvarzelioni***

ეტესობა ისედაც თანახმა იქნება. რჩება მომზადება არაპოპულარული ნაბიჯებისთვის საქართველოს მიმართ. ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ 2009 წლიდან პუტინი პერიოდულად უშვებს სიგნალებს, თუკი საქართველო მოილაპარაკებს რუსეთთან, შეუძლია, მოაგვაროს თავისი ტერიტორიული პრობლემები. კარასინმა განაცხადა, რომ რუსეთი მზადაა, აღადგინოს დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსთან. ახლახან საქართველოს ხელისუფლებამ დაადასტურა, რომ საქართველო მიიღებს მონაწილეობას ოლიმპიადაში სპორტის ოთხ სახეობაში. ეს პრინციპული საკითხია, რადგან, თუ თქვენ იღებთ მონაწილეობას ოლიმპიადაში, ოკუპაციის თემა სუსტდება.

**– საფრანგეთმა 2008 წლის შემდეგ ორი „მისტრალი“ მიჰყიდა რუსეთს, მაგრამ ეს არ განხილულა, როგორც ოკუპაციის მხარდაჭერა, ითქვა, რომ ეს არის ეკონომიკური თანამშრომლობის ნიმუში. პირადად მე, მგონია, რომ ოლიმპიადაზე არწასვლა ჯობდა, მაგრამ, თუ „მისტრალის“ ყიდვა-გაყიდვა მხოლოდ ეკონომიკაა, ოლიმპიადაში მონაწილეობა რატომ არ არის მხოლოდ სპორტი?**

– საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას დასავლეთი არ დაივიწყებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველო მკაფიოდ გაახსენებს ხოლმე ასეთი პრობლემის არსებობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, დასავლეთი დაივიწყებს საქართველოს და მშვიდად ივაჭრებს რუსეთთან.

**– როდესაც საფრანგეთმა „მისტრალები“ მიჰყიდა რუსეთს, საქართველო მეტი არ შეიძლება, ისეთი სიმწვავით ახსენებდა დასავლეთს ოკუპაციის თემას. ოლიმპიადაში მონაწილეობის შესახებ თქვენი პოზიცია გასაგებია. საქართველოსთან მიმართებაში რა ნაბიჯების გადასადგმელად ამზადებს რუსეთი აფხაზეთს?**

– საგაზეთო კამპანია; ის, რომ შოიგუ არავის შეხვდა ადგილობრივი ხელისუფლებიდან, ნიშნავს აფხაზეთისთვის ხელების გადაგრეხას და ეს შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს მიმართულებით. აფხაზი საზოგადოება ერთ რამეს გაუწევს ძლიერ წინააღმდეგობას: საქართველოს შემადგენლობაში შესვლას. არ მგონია, რუსეთი წავიდეს ამ ნაბიჯზე, მაგრამ მეორე მომენტია, რა შეიძლება მოუვიდეს აფხაზეთს მომავალში? გამოიყენონ, როგორც გასაცვლელი მონეტა. სააკაშვილის წასვლის შემდეგ ამ მიმართულებით აქტივობა დაიწყება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც რუსეთი ითხოვს აფხაზეთისა და საქართველოსგან, არის რკინიგზის გახსნა.

**– რაზეც მოულოდნელად დათანხმდა აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობა.**

– დიახ, თუმცა ადრე წინააღმდეგობას უწევდა, ახლა საქართველოში მზადდება საზოგადოებრივი აზრი. ამ რკინიგზის გახსნით ყველაზე მეტად იხეირებს სომხეთი, რადგან რუსეთს ეს რკინიგზა სჭირდება, როგორც ირანზე პირდაპირი გასასვლელი და თავისი სამხედრო ბაზების მხარდაჭერის საშუალება. რუსეთს აზერბაიჯანზე ზეწოლის ინსტრუმენტად სჭირდება ყარაბაღის კონფლიქტი, ამისთვის კი აუცილებელია პირდაპირი დერეფანი სომხეთთან. ანუ ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში შემოდის სომხეთი. სომხეთს აქვს ზემოქმედების ინსტრუმენტი აფხაზეთის სომხური თემის სახით. ზუსტი მონაცემები არ არსებობს, მაგრამ, სხვადასხვა წყაროთი, სომხებმა გადააჭარბეს ქართველების რაოდენობას აფხაზეთში. ისინი აკონტროლებენ ბიზნესს, მაგრამ, ისევე, როგორც ყველა არააფხაზი ხელისუფლებიდან ჩამოშორებული არიან. სომხეთი გამოიყენებს ამ სომხურ თემს რკინიგზის საკითხის გადაწყვეტაში. მეორე საკითხი, რომელიც შეიძლება, დააყენოს რუსეთმა, არის აფხაზეთის საკურორტო ზონის გაკონტროლება. აფხაზები ამიტომაც არ აძლევენ არააფხაზეთის მოქალაქეებს უძრავი ქონების ყიდვის ნებას, რადგან იციან, რომ ყველაფერ ფასეულს რუსული ბიზნესი წაიღებს.

**– აფხაზებთან თქვენ უფრო ხშირი ურთიერთობა გაქვთ, ჩვენთან ნაკლებად გამოდიან კონტაქტზე. მათ ეგონათ, რომ რუსეთისგან მიიღებდნენ აღიარებას, შეავსებდნენ ბიუჯეტს რუსული ფულით და სანაცვლოდ არაფრის გაღება არ მოუწევდათ? ამ და ნებისმიერ თამაშს ხომ თავისი წესები აქვს?**

– აფხაზებთან ნებისმიერ საკითხზე ჩემი მსჯელობა, როგორც წესი, სრულდება შეურაცხყოფებით ჩემი მისამართით. მათი რეაქცია ძალიან აგრესიულია. ისლამისტებთანაც კი უფრო იოლია პრობლემების განხილვა, ვიდრე აფხაზებთან. თუმცა მათ შეეძლოთ რაღაც მექანიზმების აწყობა რუსეთისთვის წინააღმდეგობის გასაწევად. შესაძლებელი იყო რაღაც თამაშის წარმოება, მაგრამ მსგავსს ვერაფერს ვხედავ, მხოლოდ აგრესიას.

**– იმისთვის, რომ რუსულმა ბიზნესმა აითვისოს აფხაზეთის საკურორტო ზონა, არ კმარა მხოლოდ აფხაზების თანხმობა, აფხაზეთის საერთაშორისო აღიარებაც საჭიროა.**

– ამისთვის მათ უნდა მოილაპარაკონ საქართველოსთან. რუსეთს, ბუნებრივია, არ სჭირდება ქართველების სახლები აფხაზეთში. ამიტომ შეუძლია, თქვას: აიღეთ თქვენი საკუთრება და არ შეუშალოთ ხელი ჩვენს საქმიანობას აფხაზეთში. რუსული ბიზნესის აფხაზეთში მოქმედება მოითხოვს აფხაზეთის ხელისუფლების დათმობებს საქართველოსთან მიმართებაში და საქართველოს დათმობებს რუსეთთან მიმართებაში. თუ სამხედრო ტვირთები მუდმივად ივლის რკინიგზაზე, ეს გააძლიერებს რუსეთის პოზიციას ირანთან მიმართებაში. საქართველომ კი ხელი არ უნდა შეუშალოს ამ ტვირთების მოძრაობას. არის კიდევ ერთი სცენარი: რუსეთი არ არის საუკეთესო ფინანსურ ფორმაში, მისი სანავთობო მომავალი რთულია და ამ სიტუაციაში მან შეიძლება, ხელი ჩაიქნიოს აფხაზეთზე და ერთი-ერთზე დატოვოს საქართველოსთან. აფხაზეთს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს აქვს ანტირუსული პოზიცია და მიდის „ნატოსკენ“. ამდენად, აფხაზეთმა უნდა ილოცოს სააკაშვილზე, ხოლო, თუ საქართველო ხდება რუსეთის მოკავშირე, მაშინ აფხაზეთში რუსეთის სამხედრო ყოფნის არანაირი საჭიროება აღარ არის. ასე რომ, შეიძლება, უთხრან აფხაზებს, ჩვენ ვაღიარეთ თქვენი დამოუკიდებლობა, ახლა რაც გინდათ, ის გააკეთეთო და ერთი-ერთზე დატოვონ საქართველოსთან.

**ნინო ხაჩიძე**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**იმის გამო, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ, ისევე, როგორც ჩრდილოეთიდან – სამხრეთისკენ უმოკლესი გზა გადის, არა მხოლოდ ლეგალური ტვირთები მოძრაობს კომფორტულად, არამედ, მეტად არალეგალურიც, მათ შორის, ნარკოტიკები. იმის გათვალისწინებით, რომ ივლისის დასაწყისში ვალეს გამშვებ პუნქტზე 116 კილოგრამი ჰეროინი დააკავეს, ადვილი წარმოსადგენია, რა მასშტაბის ნარკოტიკი გაივლის ყოველწლიურად ჩვენი ქვეყნის ტერიტორიას. რა ნარკოტრასები არსებობს დღევანდელ მსოფლიოში, რომელი ქვეყნებიდან მომავალი ნარკოტიკები კვეთს საქართველოს და რა როლს ასრულებს ჩვენი ტერიტორია „თეთრი სიკვდილის“ გავრცელებაში, – თემას განვიხილავთ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორთან, პროფესორთან, უშიშროების გენერალ-მაიორ ჯემალ ჯანაშიასთან, საქართველოში ნაკრომანიასთან და ნარკოდანაშაულთან ბრძოლის ეროვნული ბიუროს შემქმნელთან და, თავის დროზე, ამ ბიუროს ხელმძღვანელთან.**

# რატომ გააქტიურდა საქართველოზე ნარკოტრასის სომხური ვექტორი და რა მარშრუტს გაივლის საქართველოდან ევროპისკენ მიმავალი ნარკოტიკი

**– ძირითადად, რა ტიპის ქვეყნებს იყენებენ ნარკომოვაჭრეები თავიანთი საქონლის ტრანსპორტირებისას?**

– განსაკუთრებით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მიმოსვლის რეჟიმების გალიბერალურებამ მილიარდამდე ადამიანს მისცა თავისუფლად გადაადგილების საშუალება, რამაც, გარდა ეკონომიკური პლუსისა, გამოიწვია ის, რომ დამნაშავეთა სამყარომაც გააბა კავშირები ქვეყნის ფარგლებს გარეთ და შეიქმნა ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი გაერთიანებები, რაშიც აქტიურად ჩაერთო საქართველოში არსებული კრიმინალური დაჯგუფებები. იცით, რომ საქართველოზე გადის დიდი აბრეშუმის გზა, რამაც ბევრ სიკეთესთან ერთად, უარყოფითი შედეგებიც მოიტანა: აბრეშუმის გზა ოპიუმის გზაც არის. საერთოდ, ნარკოტიკების გადამზიდავები აქტიურად იყენებენ იმ ქვეყნების ტერიტორიებს, რომლებიც უკონტროლოა და უმოკლესი გზაა ნარკოტიკების მწარმოებელი ქვეყნებიდან.

**– ნარკოტიკის წარმოების ადგილები არის მხოლოდ აზია და ლათინური ამერიკა? აფრიკა?**

– სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია: ავღანეთი, პაკისტანი, ყოფილი ბირმა – ახლა მიანმარი, ლაოსი, ტაილანდი, ამავე დროს, ძალიან დიდი რაოდენობის ნარკოტიკია ცენტრალურ აზიაში. მაგალითად, ყაზახეთში არსებობს ჩუის დაბლობი. ეს არის საფრანგეთის სიდიდის ტერიტორია და მთლიანად დაფარულია ველურად მზარდი კანაფით.

**– და ნაზარბაევი ამას ასე მშვიდად უყურებს?**

– საერთოდ, კანაფის აკვანია ყაზახეთის სტეპები, მაგრამ საკმარისია, ის სხვა კულტურით ჩაანაცვლო, რომ ეკოლოგიური კატასტროფა მოხდეს, იმიტომ რომ კანაფი იკავებს ქვიშის დიუნებს. იგივე პრობლემებია სამხრეთ ამერიკაში: კოკას ბუჩქები მთის ფერდობებზე 2 000 კილომეტრის მანძილზეა შეფენილი – დაწყებული ცენტრალური ამერიკიდან ჩილემდე და მისი განადგურება შეუძლებელია, რადგან ეს გამოიწვევს ეკოლოგიურ კატასტროფას. რატომ ვერ დაამარცხა მსოფლიომ ნარკოტიკების პრობლემა? იმიტომ რომ მრავალი ქვეყნისთვის ეს არის კულტურის, ისტორიისა და ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი. ამის კლასიკური მაგალითია ჰოლანდია, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნეში სამხრეთ-ამერიკიდან შემოიტანა კოკას მარცვალი, გააშენა კუნძულ იავაზე და 1926 წელს ამ პლანტაციებიდან მიიღო 600 ტონა სუფთა კოკაინი, რითაც ევროპას ამარაგებდა. საკმაოდ სერიოზულად შეავსო ამით თავისი ბიუჯეტი: მეოცე საუკუნის დასასრულს და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში მათ ტურისტებისთვის დაუშვეს 25 გრამი მარიხუანა, რამაც მიიზიდა ტურისტები ამსტერდამში.

**– მარტივად რომ ვთქვა, მიიზიდა ნარკომანი ტურისტები?**

– შემდეგ ევროპის ქვეყნების მკაცრი ზეწოლით, მათ დოზა 5 გრამამდე შეამცირეს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჰოლანდიას დიდი ბიუჯეტის გამო აქვს საშუალება, უმკურნალოს თავის ნარკომანებს და წელიწადში ერთ ნარკომანზე, საშუალოდ, 117 ევრო იხარჯება. ამერიკის შეერთებულ შტატებში ეს მაჩვენებელი 80 დოლარია, ევროპაში, დაახლოებით – 70-80 ევრო. საქართველოში კი ერთ ნარკომანზე 50 თეთრზე ცოტა მეტი იხარჯება, ამიტომ, როდესაც ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციაზეა ლაპარაკი, თუმცა მე და ჩემი კოლეგები ვამბობთ, რომ ნარკომანია არის ავადმყოფობა, სანამ საქართველო ორგანიზაციულად, მეთოდოლოგიურად, საბაჟო და სასაზღვრო სისტემებითა და კანონმდებლობით არ მოემზადება, ასეთი არაორგანიზებული დეკრიმინალიზაცია იქნება ლეგალიზაცია.



ლეგენდით, კოკა იყო ულამაზესი ქალი, რომელიც შეუყვარდა ხელმწიფეს, მაგრამ ქურუმებმა მოკლეს კოკა, მისი სხეული დაანაწევრეს და სხვადასხვა ადგილას დაფლეს. იმ ადგილებში ამოვიდა კოკას ხე და მას შემდეგ მუდმივად შურს იძიებს მამაკაცებზე

**– საქართველოში გამოვლინდა ნარკოტიკების ძალიან დიდი კონტრაბანდა. თქვენ რას უკავშირებთ ამას?**

– 116 კილოგრამი ჰეროინი არის უპრეცედენტო რაოდენობა, ასეთი ოდენობის ჰეროინი საქართველოში არასდროს ამოღებულა. ამდენად, ეს იყო შინაგან საქმეთა მინისტრის ბრწყინვალე დებიუტი ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლაში. ჩემი გამოცდილება მიმანიშნებს, რომ ეს ოპერაცია მინისტრის უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარდა. რამდენიმე დღით ადრე მინისტრი იყო სომხეთში, შეხვდა თავის სომეხ კოლეგას, რაც ნიშნავს, რომ პირველი პირების დონეზე შემუშავდა და დაიგეგმა ეს ოპერაცია. საერთოდ, როდესაც ასეთი ტიპის ოპერაციაზეა საუბარი – ლაპარაკია 17 მილიონ დოლარზე, თუ გრამი ჰეროინის ფასად 150 დოლარს ვიგულისხმებთ, ინფორმაციამ არ უნდა გაჟონოს. როგორც ჩანს, ამ ოპერაციას უშუალოდ შინაგან საქმეთა მინისტრი ხელმძღვანელობდა და მის გარდა, ორ-სამმა ადამიანმა თუ იცოდა.

> **რადგან ოპიუმი ყარს, რაც მის აღმოჩენას აადვილებს, ამიტომ მას გადაამუშავებენ ჰეროინად: პროპორცია ათი ერთთან. ჰეროინი უსუნო, თეთრი, პუდრისმაგვარი ნივთიერებაა, რომლის გადატანაც უფრო ადვილია. ოღონდ, მეტიც ღირს**

**– როგორ ხდება აღმოჩენა, მხოლოდ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე?**

– არა მხოლოდ, ყველა საავტომობილო მოწყობილობას აქვს თავისი სტანდარტი, მებაჟეს აქვს ეს სტანდარტები და ამის მიხედვით ამოწმებს ავტომანქანას; როგორც ჩანს, იმ ავტომობილის ძარა, ნარკოტიკი მოთავსებული იყო ორმაგ ფსკერში, ოღონდ არა იატაკზე, არამედ – ჭერში, სიმაღლეში სტანდარტს არ ემთხვეოდა. ეს ყველაზე მარტივი სქემაა, ზოგჯერ ნარკოტიკი დამალულია საბურავებში, ზოგჯერ – ძარაში ან ბამპერში. უამრავი ადგილი არსებობს მის შესანახავად. მაგრამ უმთავრესი ის არის, რომ ეს არ შეიძლებოდა, ყოფილიყო პირველი შემთხვევა. ეს ვექტორი, დავარქვათ პირობითად: სომხური ვექტორი, როგორც ჩანს, დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა. თუმცა ასეთი ოდენობის ნარკოტიკი სომხეთიდან საქართველოში არასდროს შემოსულა. მაქსიმუმ, ერთი კილოგრამი ჰეროინის შემოტანის მცდელობები თუ ყოფილა.

**– სომხეთში საიდან მოხვდებოდა?**

– სომხეთი ემიჯნება ირანს, ირანი – ავღანეთს.

**– აზერბაიჯანის ვექტორი არ არსებობს?**

– აქამდე, ძირითადად, აზერბაიჯანული ვექტორი მუშაობდა, იცით, რომ აზერბაიჯანიც ემიჯნება ირანს. როგორც ჩანს, ეს სომხური ვექტორი რამდენიმე წელია, წინა ხელისუფლების პერიოდიდან, მუშაობს, რადგან არ შეიძლება, ასეთი რაოდენობის ნარკოტიკი პირდაპირ ჩადო მანქანაში და გაატარო. პირველად შეიძლება, გაატარო 10 კილოგრამი, შემდეგ – 15 და როდესაც ნახავ, რომ ტრასა უსაფრთხოა, გაატარებ დიდ ოდენობას. რაოდენობა მიანიშნებს, რომ ეს ტრასა დიდი ხნის წინათ იყო ათვისებული და მუშაობდა. როდესაც ოპერატიული-სამძებრო მოქმედებები დასრულდება, დარმწუნებული ვარ, დაკავებული პიროვნებები იტყვიან, რომ ნარკოტიკი გადადიოდა ფოთში, იქიდან ბორნით ოდესაში, ოდესიდან – ბულგარეთში, ბულგარეთიდან კი ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში ნაწილდებოდა, სადაც კვალი უკვე დაიკარგებოდა. როგორც კი სახელმწიფოში ნარკოტიკი შედის, ის ერთ დღეში ნაწილდება დილერებს შორის. ამიტომაც შექმნეს თავის დროზე ამერიკელებმა პრევენციული დარტყმის პოლიტიკა. პირველად ამის შესახებ თქვა ჯეიმს ბეიკერმა 1988 წელს: ჩვენ არ გამოგვადგება ნარკოტიკებთან ბრძოლა ამერიკაში, ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ნარკოტიკებს მწარმოებელ სახელმწიფოებში და შემდეგ ეს პოლიტიკა გაავრცელეს ტერორიზმზეც.

**– გარდა სომხური და აზერბაიჯანული**

### თინა ხიდაშელი – დავით უსუფაშვილი

თინა ხიდაშელი 1973 წელსაა დაბადებული თბილისში, მერვე მოწვევის პარლამენტში კი საარჩევნო ბლოკ „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნებიდან" მოხვდა, ოღონდ, მაჟორიტარული წესით. უმაღლესი განათლება თსუ-ში მიიღო, ხოლო მისი შრომითი ბიოგრაფია 1994 წლიდან იწყება საქართველოს პარლამენტში. 1996-1999 წლებში ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში მუშაობდა; 1999-2000 წლებში ვაშინგტონის სამართლის სკოლაში სწავლობდა, 2000-2004 წლებში კვლავ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას დაუბრუნდა. 2004-2005 წლებში იელის უნივერსიტეტი მოიარა. 2005 წელს კი ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოში" დაიწყო მუშაობა. იმავე წლიდან მოღვაწეობს რესპუბლიკურ პარტიაშიც. 2010 წელს თბილისის საკრებულოს წევრი გახდა, ხოლო 2012-დან – მერვე მოწვევის პარლამენტის წევრია.

მისი მეუღლე და საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი 1968 წელსაა დაბადებული სიღნაღში. მანაც თსუ დაამთავრა და საბჭოთა ჯარიც მოიხადა. 1989-დან 1995-წლამდე ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მუშაობდა; 1992 წელს კი საქართველოს სახელმწიფო საბჭოს წამყვანი იურიდიული მრჩეველი იყო; 1992-1994 წლებში საქართველოს პრეზიდენტის აპარატში მუშაობდა: თავდაპირველად, უფროს იურიდიულ მრჩევლად, ხოლო შემდეგ – პარლამენტსა და საკონსტიტუციო კომისიაში პრეზიდენტის სპეციალურ წარმომადგენლად. იმავე პერიოდში თსუ-ს ჰუმანიტარულ ფაკულტეტზეც მოღვაწეობდა პროფესორის თანაშემწედ. 1993-1995 წლებში საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი იყო; 1995-1997 წლებში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე გახდა. 1997-ში პარლამენტის საატესტაციო კომისიის წევრად აირჩიეს, მანამდე კი, 1995-1997-წლებში, ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს" საბჭოს წევრიც იყო. ამ თანამდებობას 2000 წელსაც დაუბრუნდა, თუმცა, 1999-2000-წლებში AMEX-International-ის მისიის ხელმძღვანელი გახდა; 2000-2001-ში – საქართველოს პრეზიდენტის ანტიკორუფციული სამუშაო ჯგუფის აღმასრულებელი მდივანი. 2001-დან 2005-წლამდე IRIS საქართველოში მუშაობდა. 1999 წლიდან დღემდე თბილისის საარბიტრაჟო პალატის არბიტრია, ისევე, როგორც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ლექტორი. ასევე, 2005 წლიდან დღემდე, საქართველოს რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარეა, ხოლო, 2011 წლიდან დღემდე – „ქართული ოცნების" პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

# რატომ არ აქვს დავით უსუფაშვილს არანაირი უძრავი ქონება და რა დაუჯდა მას თინა ხიდაშელის საცხოვრებელი ბინის გარემონტება



ხიდაშელ-უსუფაშვილის ოჯახური წყვილის ქონება შემდეგნაირია: თინა ხიდაშელის საკუთრებაა ორი საცხოვრებელი ბინა თბილისში, ფანასკერტელის ქუჩაზე – 100 და 60 კვადრატული მეტრი ფართობის. ქ-ნი თინას დედას, ზიზილა ურგებაძეს, ეკუთვნის საცხოვრებელი სახლი საგარეჯოს რაიონში – 120 კვადრატული მეტრი ფართობის და, ასევე, მიწის ნაკვეთი – 1 000 კვადრატული მეტრი ფართობის. სამაგიეროდ, დავით უსაფაშვილს ჰყავს ავტომანქანა „ლექსუსი".

დეკლარაციის შევსების დროს, ნაღდი ფულის სახით, თინა ხიდაშელს ჰქონდა 2 000 ევრო და 7 000 ლარი, დავით უსუფაშვილს – 8 000 დოლარი და 5 000 ლარი, ხოლო ქ-ნ ზიზილა ურგებაძეს – 9 000 აშშ დოლარი.

რაც შეეხება შემოსავლებს ერთი წლის განმავლობაში: თინა ხიდაშელმა, როგორც „ქართული ოცნების" კონსულტანტმა, 20 000 ლარი აიღო; როგორც თბილისის საკრებულოს წევრმა – 13 440 ლარი; როგორც საიას კონსულტანტმა – 58 129 და, ასევე, მიიღო გრანტი – 13 094 ლარის ოდენობით ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოდან", ხოლო მისი, როგორც რესპუბლიკური ინსტიტუტის კონსულტანტის შემოსავალმა 11 520 ლარი შეადგინა.

დავით უსაფაშვილმა, როგორც გაეროს განვითარებს ფონდის (ყირგიზეთი) კონსულტანტმა 4 405 ლარი აიღო; როგორც საქართველოს რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარემ – 20 400 ლარი, როგორც იურიდიული განათლების ფონდის მასწავლებელმა – 800 ლარი.

დავით უსუფაშვილს ბინის რემონტი 4 500 ლარი დაუჯდა, იმ წლის დანარჩენი ხარჯი კი თინა ხიდაშელმა დაფარა: ბავშვების სწავლისთვის – 2 395 ლარი გადაიხადა, დაზღვევაში – 2 328, ხოლო ქველმოქმედებას 5 000 ლარი დაახარჯა.

**ნინო ხაჩიძე**

---

**ვექტორებისა, კიდევ რა ნარკოვექტორები გადის საქართველოზე?**

– გარდა სომხურისა და აზერბაიჯანულისა, გვაქვს ჩეჩნური ვექტორიც. ჩეჩნური ვექტორის კლასიკური მაგალითი იყო პანკისის ხეობაში მიმდინარე პროცესები. პანკისის ხეობაში შემოვიდა ძალიან იაფი ოპიუმი და უამრავმა ახალგაზრდამ დაიწყო მისი მოხმარება, რაც კახეთს არ ახსოვდა, რადგან ეს რეგიონი არასდროს ყოფილა მიდრეკილი ნარკოტიკისკენ. ამან ოპერატიული ვითარებაც გაართულა რეგიონში და გახსოვთ, რომ საჭირო გახდა ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარება.

**– აქვე გკითხავთ, საქართველოს რომელი რეგიონია უფრო მიდრეკილი ნარკოტიკებისადმი?**

– ყველა განურჩევლად. ამ ბოლო დროს ამუშავდა ჩრდილოეთის ვექტორი, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოდის ცხინვალის რეგიონში, შემდეგ კი გორიდან ვრცელდება. ადრე ჩრდილოკავკასიის ვექტორი მუშაობდა ყაზბეგიდან.

**– მაგრამ ახლა ხომ გახსნილია ცალმხრივად ლარსის გამშვები პუნქტი?**

– მაგრამ საკმაოდ კარგად აღჭურვილი გამშვები პუნქტია.

**– შემოვლითი გზებით არ შემოდის ნარკოტიკი ქვეყანაში?**

– იქ ნაკლებადაა შემოვლითი გზები, მაგრამ ყველაზე დიდი პრობლემაა უკონტროლო ტერიტორიები: ჩვენ გვაქვს პირობითი საზღვრები ცხინვალის რეგიონთან და აფხაზეთთან, სადაც უამრავი შემოვლითი გზაა და რამდენსაც უნდათ, იმდენ ნარკოტიკს შემოიტანენ, რადგან რუსი სამხედროები, რასაც უნდა, გაატარებენ, რასაც უნდა, არ გაატარებენ. ამდენად, ჩვენ არა მხოლოდ ნარკოტიკების ტრანზიტი გვემუქრება, არამედ, ჩვენი მეზობელი დიდი ქვეყნების სპეციალური ოპერატიული სამსახურების მიერ ნარკოტიკების შემოტანის პროვოცირება, რომ ამით იმოქმედონ ჩვენს ახალგაზრდობაზე. ეს სახელმწიფოთა შორის დაპირისპირების ერთ-ერთი მიღებული ფორმაა.

**– ჩეჩნური ვექტორი რომ ახსენეთ, ჩეჩნეთში აწარმოებდნენ ნარკოტიკს?**

– ჩეჩნეთში გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში რაიონულ ცენტრ შალის ყველა პროფტექნიკურ სასწავლებელში მზადდებოდა ჰეროინი და არალეგალურად გადიოდა ევროპის სახელმწიფოებში. გროზნოში იყო ვერტმფრენების პოლკი და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მათ დარჩათ 1 000 ერთეული. სწორედ ამ ვერტმფრენებს იყენებდნენ ნარკოტიკის გადასატანად: აფხაზეთის გავლით გადაჰქონდათ კვიპროსისკენ და შემდეგ – ევროპაში. ასევე, ნარკოტიკების მბრუნავი ღერძი იყო ბალკანური ტრასები. ბალკანური ვექტორები ევროპის ერთ-ერთი სერიოზული მომმარაგებელია: ტრასები გადის სტამბულიდან და ბევრ ევროპულ ქვეყანას ამარაგებს, განსაკუთრებით, გაიოლდა ეს იუგოსლავიის დაშლის შემდეგ. ახლა ნელ-ნელა წესრიგდება, მაგრამ მაინც სერიოზულ პრობლემად რჩება.

**– ეს ერთი 116 კილოგრამი ჰეროინის ამოღების შემთხვევა, გარდა იმისა, რომ ეს ვექტორი კარგა ხანია, მუშაობს, კიდევ რა დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს?**

– ნარკოდანაშაულს ახასიათებს ლატენტურობა, ეს დაფარული დანაშაულია, ანუ ათიდან შეიძლება, გამოავლინო ერთი, რადგან როგორც გამყიდველი, ისე მყიდველი დაინტერესებულია ინფორმაციის დაფარვაში. ჩვენს შემთხვევაში, გამოვლენის მაჩვენებელია ერთი ხუთშმეტთან, ევროპაში ეს მაჩვენებელი ერთი ხუთთან ან ერთი რვასთანაა.

**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი

0902200200

SMS – 93094



დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია

**ბედის მუხანათობით თუ წინა ხელისუფლების ნებით, საქართველოს მოქალაქეები, უფრო ზუსტად, მომხმარებლები, ბატკნებივით დაუცველები ვართ, მათ შორის, საკანონმდებლო დონეზე. თუმცა, სამომავლო ინფორმაცია დამაიმედებელია: პარლამენტმა უნდა იმსჯელოს მომხმარებელთა უფლებების კოდექსზე და, როგორც გვპირდებიან, რეალობა შეიცვლება, ბუნებრივია, უკეთესობისკენ. მანამდე კი მომხმარებელთა უფლებებზე (რომლებსაც, ჯეროვნად არავინ უწყის, რას აჭმევენ, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით), უფრო ზუსტად, უუფლებობაზე, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფედერაციის ხელმძღვანელი მადონა**

# რატომ ითიშება მარკეტებში ღამით მაცივრები და რატომ არის გამლღვალი და ისევ გაყინული პროდუქტი უმაცივროდ შენახულზე უფრო საშიში

**– გაუმჯობესდა მდგომარეობა არჩევნების შემდეგ, მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით?**

– 2011 წლის მაისში ძალადაკარგულად გამოცხადდა კანონი მომხმარებელთა უფლებების შესახებ. ეს კანონი ჩაანაცვლა ორმა კოდექსმა: სურსათის უვნებლობის შესახებ და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსებმა. მაგრამ, ამ ორ კოდექსში მომხმარებელთა უფლებები ნაწილობრივაა გადატანილი და, ის ფართო სფერო, რასაც მომხმარებელთა უფლებები ჰქვია, სახელმწიფოს მხრიდან უკონტროლოდ დარჩა.

**– რა უფლებები აქვს მომხმარებელს? ჩვენთან თუ არა, ცივილიზებულ სამყაროს ხომ აქვს ჩამოყალიბებული ეს ნორმები?**

– არსებობს გაეროს რეზოლუცია, რომელშიც ჩამოყალიბებულია სახელმძღვანელო და სარეკომენდაციო პრინციპები მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში და დეტალურადაა გაწერილი, თუ რა უფლებები აქვს მომხმარებელს. მომხმარებელს აქვს შემდეგი ძირითადი უფლებები: საარსებო მინიმუმის უფლება, უსაფრთხოების უფლება, ინფორმაციის ქონის უფლება, გამოთქმის უფლება, რასაც სხვანაირად პრეტენზიის წაყენების უფლება ჰქვია; ჯანსაღი გარემოს უფლება, ეკონომიკური ზარალის ანაზღაურების უფლება, არჩევნის გაკეთების უფლება.



**კანონი ავალდებულებს პურის ქარხნებს, დააწერონ რუხ პურს, ის მართლაც რუხი ფქვილისგანაა გამომცხვარი თუ საღებავითაა შეფერილი, მაგრამ, მაინც არ აწერენ**

**– ჩამოთვლილთაგან ჩვენთან რა უფლებები აქვთ მომხმარებლებს?**

– ჩვენთან სახელმწიფო ზედამხედველობას ახორციელებს მხოლოდ და მხოლოდ სურსათის ეროვნული სააგენტო.

**– როგორც წესი, აქამდე ეს იყო პოსტფაქტუმ?**

– არა, მონიტორინგი ხორციელდება, უკვე აღდგენილია სახელმწიფო კონტროლი და ხდება საწარმოების ინსპექტირება, ასევე, შემოტანილი, ანუ იმპორტირებული პროდუქციის კონტროლი, მაგრამ ამ სფეროში მაინც არსებობს სერიოზული პრობლემები და ძირითადი პრობლემაა ის, რომ 40 000-ზე მეტი ბიზნესოპერატორია სურსათის სფეროში და ქვეყანაში მხოლოდ 20 ინსპექტორია, რომლებსაც შეუძლიათ, განახორციელონ სახელმწიფო კონტროლი, ანუ ინსპექტირება. რა თქმა უნდა, 20 ინსპექტორი ვერანაირად ვერ შეამოწმებს 40 000-ზე მეტ ობიექტს, ამდენად, საჭიროა სურსათის ეროვნული სააგენტოს გაძლიერება და ინსპექტორების რაოდენობის გაზრდა. ასევე, აუცილებელია კონტროლის გამკაცრება საზღვარზე, მაგრამ სავალდებულოა, გამკაცრდეს შიდა საწარმოების კონტროლი. 2013 წელს, ექვსი თვის განმავლობაში, უკვე 3-4-ჯერ იმაზე მეტი საწარმოა შემოწმებული, ვიდრე მთელი 2012 წლის განმავლობაში. ამის პარალელურად, ძალიან დიდი რაოდენობის მავნე სურსათი განადგურდა.

**– მურა სიდამპლით დაავადებული კარტოფილის განადგურებას გულისხმობთ და უვარგისი ხორცის პარტიების გამოვლენას?**

– ქვეყანაში შემოტანისთვის განკუთვნილი პროდუქტი შეჩერდა საზღვარზე და მწარმოებელ ქვეყანაში დაბრუნდა. იყო პროდუქტის განადგურების ფაქტებიც, მაგრამ, ამის მიუხედავად, აუცილებელია როგორც სახელმწიფოს, ისე არასამთავრობო სექტორის გააქტიურება. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ კარგი ცვლილებები განხორციელდა თვითონ კანონმდებლობაში, რაშიც ღვაწლი არ უნდა დავუკარგოთ აგრარულ კომიტეტს, ვგულისხმობ კვერცხის მარკირებას. უშუალოდ თვითონ გიგლა აგულაშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაჩქარდა ეს პროცესი, რამაც მომხმარებელს მისცა საშუალება, რომ გააკეთოს თავისუფალი არჩევანი და შეწყდეს ვადაგასული პროდუქტის რეალიზაცია. იცით, რომ ძალიან დიდი რაოდენობით განადგურდა შემოტანილი კვერცხი, რადგან, ვადაგასული იყო. დღეს მომხმარებელს შეუძლია, თითოეულ კვერცხზე ნახოს ვადა და მწარმოებელი ქვეყანა: ანუ, იმპორტირებულია თუ ადგილობრივი ნაწარმია. საქართველოში ყველაზე დიდი პრობლემა არის გარე ვაჭრობა.

**– გულისხმობთ იმას, რომ გარე ვაჭრობისას არ არის დაცული პროდუქციის შენახვის პირობები?**

– დიახ. ეს ძალიან დიდი პრობლემაა, ვინაიდან, სურსათის ეროვნული სააგენტოს ფუნქციაში არ შედის გარე ვაჭრობის გაკონტროლება. არადა, ამ ტერიტორიებზე, ძირითადად, მალფუჭებადი პროდუქტი იყიდება: ხორცი, თევზი, მათი გაყიდვა კი სამაცივრო დანადგარის გარეშე ყოვლად დაუშვებელია. შესაბამისად, არსებობს დიდი რისკი, რადგან, ასეთ პირობებში ნაყიდმა პროდუქციამ, შესაძლოა, სერიოზულად დააზიანოს მომხმარებლის ჯანმრთელობა.

**– თუმცა, ჩვენ ისიც არ ვიცით, მარკეტებში აქვთ თუ არა ღამით ჩართული მაცივრები. ეს კონტროლდება?**

– მე არ მინდა, მომხმარებელს დარჩეს ისეთი შთაბეჭდილება, რომ მარკეტებში ყველაფერი მოწესრიგებულია და მხოლოდ გარე ვაჭრობაა საქართველოში პრობლემა. სამწუხაროდ, არსებობენ ისეთი არაკეთილსინდისიერი ბიზნესოპერატორებიც, რომლებიც არ უფრთხილდებიან მწარმოებლის იმიჯს, მომხმარებლის ჯანმრთელობას და, ამიტომ, შესაძლოა, სამაცივრო დახლი, ელექტროენერგიის ეკონომიის გამო, ღამით გათიშოს და დილით ისევ ჩართოს. არადა, ტემპერატურის ცვალებადობა უფრო სწრაფად აფუჭებს პროდუქტს, ვიდრე სამაცივრო დახლის გარეშე მისი შენახვა. ესეც სერიოზულ პრობლემას ქმნის, მით უმეტეს, შესაძლოა, მომხმარებელმა წაიკითხოს პროდუქტზე ვადა და შენახვის პირობებსაც გაეცნოს, მაგრამ, მაინც მოტყუვდეს, რადგან, არ იცის, რომ ღამით ითიშება მაცივარი. თუმცა, ძირითადად, რძის მწარმოებლებმა მოიფიქრეს ასეთი რამ: ისეთი თერმომეტრებია მოთავსებული სამაცივრო დახლებში, რომლებიც არა მხოლოდ აფიქსირებენ ტემპერატურას, არამედ, ამ ინფორმაციას ერთი კვირის განმავლობაში ინახავენ და, თუკი ვადიანი პროდუქტი გაფუჭებულია, გადამოწმდება ეს თერმომეტრი და დადგინდება, ვისი ბრალია პროდუქციის გაფუჭება. ოღონდ, ამას მომხმარებელი ვერ იგებს და მას რჩება ინფორმაცია, რომ კონკრეტული მწარმოებლის პროდუქცია იყო უვარგისი. თუკი რეალიზატორმა ზუსტად არ დაიცვა შენახვის პირობები, ეს აზიანებს ბიზნესოპერატორის იმიჯს.

**– როდესაც პროდუქციის ხარისხზე ვლაპარაკობთ, ვინ უფრო სცოდავს: მწარმოებელი თუ რეალიზატორი?**

– ასეთი კვლევა არ მიწარმოებია, მაგრამ, ჩემი დაკვირვებით, უფრო ხშირად რეალიზატორი არღვევს ხოლმე შენახვის პირობებს და უფრო ხშირად მათ უფუჭდებათ პროდუქცია. ჩვენთან ბევრია სურსათის მწარმოებელი კომპანია, რომლებსაც აქვთ „აისო სტანდარტი“; ისინი ცდილობენ, კონკურენცია გაუწიონ იმპორტირებულ პროდუქციას, სერიოზულ ბრენდებს და ადგილობრივ მწარმოებლებს ბევრად უფრო მეტს ვთხოვთ, კონტროლის თვალსაზრისით; ამიტომ, ისინი უფრო მობილიზებულები არიან და ცდილობენ, გაუძლონ ბაზრის მოთხოვნებს, კონკურენციას და უფრთხილდებიან საკუთარ იმიჯს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ ეხება ყველა მწარმოებელს.

**– ამ კითხვას ხშირად ვიმეორებთ: რეალიზატორი იქნება თუ მწარმოებელი, როდესაც არ იცავს სტანდარტებს, ვერ აცნობიერებს, რომ ამას, შესაძლოა, ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა ემსხვერპლოს?**

– როგორც იცით, 2005 წლიდან შეჩერდა ზედამხედველობა, სამომხმარებლო ბაზარზე აღარ ხორციელდებოდა სახელმწიფო კონტროლი, შესაბამისად, ბიზნესოპერატორები მიეჩვივნენ უკონტროლობას და ამის გამო ხშირია კურიოზული შემთხვევები. ჩვენს ორგანიზაციას აქვს ცხელი ხაზი და ხშირად ვეშლებით მაკონტროლებელ სამსახურში. ბიზნესოპერატორები გვიკავშირდებიან და გვეკითხებიან: ამდენი ხნის განმავლობაში ჩემთან არ შემოსულა შემოწმება და ახლა რატომ შემოხვედითო.

**– პროტესტს იწვევს შემოწმება?**

– დიახ, არის ბიზნესები, რომლებშიც პროტესტს იწვევს სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის გაძლიერება.

**– რა საინტერესო ლოგიკა ჰქონია ჩვენებური ბიზნესმენების ნაწილს. ცნობილია, რომ საქართველოში არ შემოდის იმ რაოდენობის რუხი ფქვილი, რამდენი პურიც ცხვება. ასე აშკარად რატომ გვატყუებენ?**

– არც უარყოფენ მსხვილი ქარხნების მფლობელები, რომ ისინი თეთრ ფქვილს საკვებად განკუთვნილ საღებავებს უმატებენ, ამასთანავე, საკვებ დანამატებს, რომ პური ორგანოლეპტიკურად მიმსგავსებული იყოს რუხ პურთან, რისი მიზანიც მომხმარებლის შეცდომაში შეყვანაა.

**– არ აქვთ ვალდებულება, დააწერონ ეს პურს? თან, იქნებ, მე მინდა, მივირთვა თეთრი პური, მაგრამ რუხი ფერის?**

– ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რა ფერისაა პური, ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ თეთრ და რუხ პურს ჰქონდეს თეთრი და რუხი პურის თვისებები. თუკი მე, როგორც მომხმარებელს, მაქვს ჯანმრთელობის პრობლემები, მაწუხებს დიაბეტი ან სხვა დაავადება და დანიშნული მაქვს დიეტა, მე უნდა მოვიხმარო რუხი პური თეთრის ნაცვლად. ბუნებრივია, ჩემი უფლებები ირღვევა, რადგან, საღებავით შეღებილი რუხი პურის გამოყენებამ, შესაძლოა, შემიქმნას პრობლემები – არ ჰქონდეს ეფექტი იმ დიეტას, რაც დამინიშნეს და, შესაბამისად, მკურნალობამ შედეგი ვერ გამოიღოს.

# სამშენებლო კომპანია „m$^2$ უძრავ ქონებასა“ და საერთაშორისო კომპანია AECOM-ს შორის წარმატებული თანამშრომლობა შედგა!

*სამშენებლო კომპანია „m$^2$ უძრავი ქონება“ თბილისში, „m$^2$ იპოდრომზე,“ საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობას წარმატებით განაგრძობს. ჰოლანდიის განვითარების ბანკის (FMO) ინიციატივით კი მშენებლობაზე კონტროლს საერთაშორისო საინჟინრო-საკონსულტაციო კომპანია AECOM ახორციელებს. ჩვენ დავინტერესდით, თუ რას ნიშნავს, აკმაყოფილებდე საერთაშორისო სტანდარტს მშენებლობის პროცესში და კონკრეტულად რას მოიცავს ეს სტანდარტები. ამ კითხვებზე ამომწურავი პასუხი სწორედ საერთაშორისო საპროექტო-საინჟინრო კომპანია AECOM-ის წარმომადგენელმა, პრაკაშ კაუშიკმა გაგვცა:*




**პრაკაშ კაუშიკი**: კომპანია AECOM-ის მთავარი ფუნქციაა სამშენებლო პროცესების მენეჯმენტი, ხარისხის კონტროლი, დაგეგმვითი სამუშაოების შესრულება და ხარჯების კონტროლი. ჩვენი საქმიანობიდან გამომდინარე, მსოფლიო საპროექტო კომპანიების პირველ ხუთეულში ვართ შესული. ლიდერები ვართ, ასევე, მშენებლობასა და წყალმომარაგების პროექტებში. ინტენსიურად ვმუშაობთ ამერიკის მთავრობასთან. ჩვენ ვახორციელებთ ლოს-ანჯელესისა და დელის მეტროპოლიტენების პროექტს, აგრეთვე, ვმუშაობთ პენტაგონის რეაბილიტაციაზე, პოლიციის ოფისების სამშენებლო სამუშაოებზე, თავდაცვისა და უსაფრთხოების პროექტებზე. ჩართული ვართ კლივლენდის კლინიკის პროექტშიც.

**– რამდენი ხანია, რაც საქართველოშიც დაიწყეთ საქმიანობა?**

– საქართველოში 2008 წელს დავფუძნდით და ვთანამშრომლობთ კომპანიასთან „m$^2$ უძრავი ქონება“. ამ ეტაპზე, თამარაშვილის ქუჩაზე მიმდინარე საცხოვრებელი კომპლექსის – „m$^2$ იპოდრომთან“ მშენებლობის პროექტს ვუწევთ მონიტორინგს. ჩვენი მისიაა, ერთგვარი კონტრორლი ვაწარმოოთ მშენებლობის ხარისხსა და ფინანსებზე. ვაკვირდებით, როგორ იცავს კომპანია მშენებლობის პროცესში საერთაშორისო სტანდარტებს; ასევე, ვაკონტროლებთ ხარჯვით პროცესს, რომ ყველაფერი მიზნობრივად და სწორად დაიხარჯოს.




**– ბატონო პრაკაშ, როგორ ხდება ხარისხის კონტროლი?**

– ძალიან ბევრი მშენებლობა მინახავს საქართველოში და, უნდა ვთქვა, რომ „m$^2$ იპოდრომთან“ ერთ-ერთი საუკეთესოა, რადგან, დამოუკიდებელ ლაბორატორიაში მკაცრად კონტროლდება ბეტონის, არმატურისა და სხვა სამშენებლო მასალის ხარისხი. წყლისა და კანალიზაციის მილებს, რომლებსაც „m$^2$ იპოდრომთან” თავის სამშენებლო ობიექტებზე იყენებს, 50-წლიანი ექსპლუატაციის ვადა აქვს. ელექტროგაყვანილობის სადენები მაღალი ხარისხის ჩეხური წარმოებისაა. მაღალი ხარისხისაა, ასევე, მეტალ-პლასტმასის კარ-ფანჯარა, რადგან, მას ძალიან კარგი საიზოლაციო თვისებები აქვს.

**– რას ნიშნავს, მშენებლობის პროცესში აკმაყოფილებდე საერთაშორისო სტანდარტს და აკამყოფილებს თუ არა „m$^2$ იპოდრომთან“ ამ სტანდარტებს?**

– არსებობს ორი ტიპის სტანდარტი: პირველი ეს არის გარემოს დაცვა და, მეორე – რომელიც ეხება ობიექტზე მომუშავე ხალხს, რომ მათი უსაფრთხოება და ჯანმრთელობა იყოს დაცული. „m$^2$ უძრავი ქონება“ ერთ-ერთი პირველი კომპანიაა, რომელიც საქართველოში ამ სტანდარტებს იცავს და დაზღვეული ჰყავს ყველა ობიექტზე მომუშავე თითოეული თანამშრომელი. გარდა ამისა, უნდა აღვნიშნო, რომ მშენებლობა მიდის ყველა წესის დაცვით, მშენებლობის ვადებით დაწყებული, მშენებლობის ბიუჯეტით დამთავრებული. დარწმუნებული ვარ, რომ პარტნიორობა სამომავლოდაც წარმატებით გაგრძელდება, რადგან, ჩვენთვის მნიშვნელოვანია მუშაობა ისეთ პროფესიონალებთან, რომლებმაც თავისი საქმე ზედმიწევნით კარგად იციან, ამ პროექტზე კი სწროედ ასეთი ხალხი მუშაობს.

**სოფი ლორია**

---

**– კანონი არ ავალდებულებს მეპურეებს, დააწერონ, შელებილია რუხი პური თუ ნამდვილი?**

– ავალდებულებს, მაგრამ, არ აწერენ, თუმცა, უკვე შემუშავდა სურსათის უვნებლობის პროექტი და მალე ჩვენ გვექნება სურსათის უვნებლობის კოდექსი, რომელშიც კონკრეტულად იქნება გაწერილი, თუ რა ინფორმაცია უნდა იყოს დატანილი პროდუქტის ეტიკეტზე, რათა მომხმარებელმა გააკეთოს სწორი არჩევანი. კანონპროექტის მომზადებაში რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია იყო ჩართული, მათ შორის – ჩვენც, ასევე, მაღალი დონის ექსპერტები. რეკომენდაციები გადავგზავნეთ პარლამენტში, ახლა საქმე ისაა, რამდენად იქნება ეს რეკომენდაციები გათვალისწინებული. დაველოდოთ შედეგებს, თუმცა, ჩვენ თითოეულ პუნქტსა და სიტყვას მივადევნებთ თვალს, რომ მაქსიმალურად იყოს დაცული მომხმარებლის უფლებები.

**– ყველაზე ხშირად რა ტიპის პრობლემების გამო გიკავშირდებათ მომხმარებელი?**

– ყველაზე ხშირად მალფუჭებადი პროდუქციის გამო: ძეხვეული, თევზი, რძის პროდუქტები. ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ სურსათის სფეროზე ვისაუბრეთ. გავიმეორებ – ძირითადად, პრეტენზიები შემდეგნაირია: პროდუქტი იყო ვადაგასული, მიიტანა სახლში და გაფუჭებული აღმოჩნდა, ობიექტმა კი, სადაც შეიძინა, თანხა არ დაუბრუნა. არის უვარგისი პროდუქტით მოწამვლის შემთხვევებიც.

**– როგორც ვიცი, ჯერჯერობით მოქმედი კანონი ასეთია: უვარგისი პროდუქტით მოწამვლის შემთხვევაში, მომხმარებელმა საკუთარი მოწამვლის დამადასტურებელი ცნობაც უნდა წარადგინოს და პროდუქტის კვლევის შედეგიც. ეს ხომ აბსურდია?**

– ასეთი მოთხოვნა არის კანონში და სურსათის ეროვნულ სააგენტოს მომხმარებლის პრეტენზიაზე რეაგირება შეეძლო მოეხდინა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ექიმის მიერ დაფიქსირდებოდა კვებითი მოშხამვის ფაქტი; თუკი მომხმარებელი დაამტკიცებდა, რომ კანონის დაცვით შეიძინა პროდუქტი, რომლის ლაბორატორიულ კვლევას გააკეთებდა და მიიტანდა სურსათის ეროვნულ სააგენტოში. თუ გავითვალისწინებთ, რომ კვლევას 5-6 დღე სჭირდება და მომხმარებელი არ არის ვალდებული, იცოდეს შესყიდვის წესი, აბსურდამდე მივდიოდით. თუმცა, დღეს შემიძლია, ვთქვა, რომ სურსათის ეროვნულ სააგენტოს ჩვენ მიერ მიწოდებული არც ერთი ფაქტი არ დაუტოვებია რეაგირების გარეშე.

**– მაცივრები რომ არ გამორთონ მარკეტებში, ამას კანონი როგორ დაარეგულირებს?**

– ძალიან ბევრი რეკომენდაციაა და ამას ვერ ჩავატევთ ერთ ინტერვიუში, მთავარია, კანონპროექტი ისეთი ენით დაიწერა, რომ ის ნებისმიერი მომხმარებლისთვის იქნება გასაგები. ასევე, მინდა დავამშვიდო მომხმარებელი და ვუთხრა, რომ მალე დასრულდება მუშაობა კანონზე მომხმარებლების უფლებების შესახებ და ძალიან მალე გვექნება საკმაოდ კარგი კანონი, რომელშიც, ასევე, გათვალისწინებული იქნება ხელშეკრულებების საკითხიც, რამდენად დაცულია ორივე მხარის ინტერესები. იცით, რომ საკმაოდ კაბალური ხელშეკრულებები აქვს ბანკებს, ტექნიკის რეალიზატორებს. ესეც შეიცვლება.

**– არასურსათთან მიმართებაში, ძირითადად, რა სფეროში ირღვევა მომხმარებლის უფლებები?**

– ძირითადი პრობლემა, რაც ტექნიკასთან მიმართებაში არსებობს, არის საგარანტიო ვადები და საგარანტიო პირობების შეუსრულებლობა. როგორც წესი, საგარანტიო მომსახურების თანხას შესაბამის დაწესებულებას უხდის ტექნიკის რეალიზატორი კომპანია და, ამიტომ, ისინი მაქსიმალურად ითვალისწინებენ ოპერატორის ინტერესს, უგულებელყოფენ მომხმარებლის ინტერესს და არარეალურ დასკვნებს დებენ.

**– რას ურჩევთ მომხმარებლებს, სანამ ახალი კანონი შემუშავდება? ისევ ნაცნობ რეალიზატორებს ვენდოთ პროდუქციის შეძენისას?**

– უპირველესად, უნდა ვენდოთ საკუთარ თავს, საკუთარ შეგრძნებებსა და განათლებას: წავიკითხოთ ეტიკეტი, ვნახოთ, რამდენად სწორად არის შენახული პროდუქტი და, თუკი პროდუქტი დაზიანებული ან ვადაგასულია, არ უნდა მოგვერიდოს მისი დაბრუნება, ოღონდ, დახლზე კი არ უნდა დავდოთ, არამედ, უნდა ვაცნობოთ მენეჯერს და მოვითხოვოთ უვარგისი პროდუქტის ამოღება სამომხმარებლო დახლიდან.

**ნინო ხაჩიძე**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# რისთვის გაიღო 27 ლიტრი სისხლი ერაყის დიქტატორმა სადამ ჰუსეინმა და რამდენი მილიარდი დოლარი ინახებოდა მის სახელზე უცხოურ ბანკებში

***ზუსტად 34 წლის წინ, 1979 წლის ივლისში, ერაყის სათავეში მოვიდა მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი დიქტატორი, პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი. 11 წლის განმავლობაში ჰუსეინი ერაყის იმჟამინდელი მეთაურის, აჰმედ ჰასან ალ-ბაქრის მარჯვენა ხელი იყო და ხელისუფლებაში თავისი მოსვლის დროს ელოდა, რომელიც 1979 წლის 16 ივლისს დადგა. თუ როგორ დაასრულა თავისი მოღვაწეობა სადამ ჰუსეინმა, კარგად ვიცით, თუმცა, მის შესახებ დღემდე არსებობს უამრავი უცნობი ფაქტი, რომლებსაც ჟურნალის ამ ნომერში გთავაზობთ.***

* ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, 42 წლის სადამ ჰუსეინმა ორი ათეული სახელმწიფო მოღვაწე, ყველა მინისტრი და საკუთარი ახლო მეგობრები დაიჭირა. მან ისინი ღალატში ამხილა და პირადად ხელმძღვანელობდა მათ დახვრეტას.

* 1990-იანი წლების ბოლოს სადამ ჰუსეინი ორი წელი მუშაობდა ყურანის ხელნაწერზე. ექთნის დახმარებით, იგი საკუთარ სისხლს იღებდა ვენიდან და არაბული ენის კალიგრაფიის სპეციალისტს აწვდიდა, რომელიც ყურანის ხელნაწერზე მუშაობდა. დიქტატორის სისხლით დაწერილი ყურანი ბაღდადში ინახება. სადამ ჰუსეინი ამაყობდა, რომ ყურანის დაწერაზე მან 27 ლიტრი სისხლი გაიღო.



* ცნობილია, რომ სადამ ჰუსეინი თვალს ხუჭავდა თავისი შვილის, უდეი ჰუსეინის ქმედებებზე. უდეის სქესობრივი კავშირი ჰქონდა დამყარებული თითქმის ყველა ერაყელ ახალგაზრდა ქალთან; უარის თქმის შემთხვევაში, ის ოჯახი იდევნებოდა ან დახვრეტას ექვემდებარებოდა. ერთხელ უდეიმ თვალი დაადგა დანიის ელჩის მეუღლეს, თუმცა, სადამ ჰუსეინმა პირადად გადაწყვიტა ამის გამო შვილის დასჯა და, გავრცელებული ვერსიის თანახმად, ჯოხით სცემა. ამ შემთხვევის შემდეგ, უდეი ჰუსეინი ერთი თვის განმავლობაში არ გამოდიოდა საპრეზიდენტო სასახლიდან და ინვალიდის ეტლით გადაადგილდებოდა.

* ქალთა უფლებების დარღვევა ერაყში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. თუმცა, ერთხელ, სადამ ჰუსეინმა გადაწყვიტა, უფლებების დამცველად წარმოეჩინა თავი და საკუთარ სასამართლოზე თავისი ადვოკატის დაცვა განიზრახა. ლიბანელი იურისტის, ბუშრა ჰალილის ემოციური გამოსვლის დროს, მოსამართლემ ადვოკატის სასამართლო დარბაზიდან გაძევების ბრძანება გასცა. ამის შემყურე სადამ ჰუსეინი წამოდგა სკამიდან და ხმამაღლა დაიძახა: „მე სადამ ჰუსეინი, ერაყის პრეზიდენტი ვარ და ყველაზე მაღლა ვდგავარ, არ დავუშვებ ადამიანის უფლებების დარღვევას!" მოსამართლემ არ შეისმინა ექსდიქტატორის ფრაზა და ადვოკატი დარბაზიდან გააძევა.

* სადამ ჰუსეინი პირველი დიქტატორია ოცდამეერთე საუკუნეში, რომელიც სიკვდილით დასაჯეს. ერაყელებს სურდათ, ჰუსეინის სიკვდილით დასჯა ტელევიზიით პირდაპირ ეთერში ეჩვენებინათ, თუმცა, საბოლოოდ, ყველაფერი მხოლოდ მობილური ტელეფონით გადაღებული ვიდეოთი შემოიფარგლა.

* პარისულ ლამპსუს თქმით, რომელიც ირწმუნება, რომ სადამ ჰუსეინის საყვარელი იყო, დიქტატორი სახეზე მცენარეულ ნიღბებს იკეთებდა, თმას იღებავდა, უყვარდა პიერ კარდენის კოსტიუმების ჩაცმა და ხშირად უსმენდა ფრენკ სინატრას სიმღერებს.

* სადამ ჰუსეინის სრული სახელი იყო: სადამ ჰუსეინ აბდ ალ-მაჯდიდი ატ-ტიკრიტი. საგულისხმოა, რომ სადამს გვარი არ ჰქონდა: სახელი – სადამი, მამის სახელი – ჰუსეინი, ბაბუის სახელი – აბდ ალ-მაჯდიდი, მშობლიური ქალაქი – ტიკრიტი.

* სადამ ჰუსეინი მელომანი იყო. ცნობილია მისი გატაცების შესახებ როკ-ჯგუფით „ლედ ზეპელინი". ჰუსეინს განსაკუთრებით უყვარდა მათი ერთი კომპოზიცია – „სთერვეი თუ ჰევენ" და ხშირად უსმენდა. ამ სიმღერას ერთი საინტერესი ისტორია უკავშირდება: 1991 წელს, ქალაქ ალბუკერკეს ერთ-ერთ რადიოსადგურში რადიო-ფორმატის შეცვლა განიზრახეს და როკ-მუსიკის დღეების მოწყობა გადაწყვიტეს. ერთ დღეს, დილის ეთერში დიჯეიმ „ლედ ზეპელინის" ეს კომპოზიცია ჩართო და 24 საათის განმავლობაში არ გამოურთავს. შეწუხებულ რადიომსმენელებს ორი ვერსია ჰქონდათ: ან დიჯეი ცუდად გახდა სტუდიაში და ამიტომ ტრიალებდა ერთი და იგივე სიმღერა, ან სადამ ჰუსეინმა ქალაქის აღება მოახერხა და თავისი საყვარელი სიმღერა ჩაურთო ამერიკელებს.

* ამერიკის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების მიუხედავად, 1999 წელს, ტახტზე ასვლიდან 20 წელიწადში, სადამ ჰუსეინმა წერილი გაუგზავნა ბილ კლინტონს, რომელშიც ეწერა, რომ მზად იყო, დათმობებზე წასულიყო, გაატარებდა რეფორმებს და, ირწმუნებოდა, რომ მშვიდობის გარანტი გახდებოდა ახლო აღმოსავლეთში. სენტიმენტალური წერილის ბოლოს სადამ ჰუსეინი პირობას დებდა, რომ ერაყში მოიწვევდა რომის პაპს, რათა ქრისტიანული სამყაროს მხარდაჭერა მიეღო. წერილის მიუხედავად, ამერიკისა და ერაყის დამეგობრება არ შედგა.

* სადამ ჰუსეინი პარანოიით იყო შეპყრობილი. იგი, სტალინის დიქტატურის მსგავსად, ბუნკერებისა და სასახლეების აგების მანიით იყო შეპყრობილი. ჰუსეინის მთავარი ბუნკერი, რომელიც 1982 წელს აიგო, დიქტატორის საყვარელი ადგილი იყო. ომის დროს ამ ბუნკერს ორი ორტონიანი ბომბი დაეცა, თუმცა, ბუნკერს ერთი ნაკაწრიც არ ჰქონდა. საგულისხმოა, რომ ბუნკერის აშენებას გერმანელი არქიტექტორი ლორენცო ბუფალო ხელმძღვანელობდა ფირმიდან „ბოსვაუ და კრამერი". ბუნკერის პროექტის უშუალო ავტორი არქიტექტორი კარლ ესერი იყო, რომლის ბებია, ანა ესერი, მესამე რაიხისთვის, კერძოდ, პირადად ადოლფ ჰიტლერისთვის აპროექტებდა ბუნკერებს.

* 2003 წლის მონაცემებით, სადამ ჰუსეინი პლანეტის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი იყო. ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრის მრჩევლის, დევიდ აუფჰაუზერის თქმით, ჰუსეინის პირადი კაპიტალი 40 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენდა. საუბარია უცხოურ საბანკო ანგარიშებზე არსებულ თანხებზე. სულ კი სადამ ჰუსეინის ქონება 57 მილიარდ დოლარად იყო შეფასებული. არაოფიციალური ვერსიის თანახმად, ერაყული ნავთობის ექსპორტიდან შემოსული თანხის ხუთი პროცენტი პირადად ჰუსეინის ჯიბეში მიდიოდა.

* საინტერესოა, რომ 1990 წლის შემდეგ სადამ ჰუსეინს არ დაუტოვებია ერაყის საზღვრები.

* 1991 წლის აგვისტოს პუტჩის დროს რუსეთში სადამ ჰუსეინი მხარს „გეკაჩეპეს" უჭერდა.

* 15 წლის ასაკში სადამ ჰუსეინმა დიდი ფსიქოლოგიური დარტყმა მიიღო – მოკვდა მისი საყვარელი ცხენი. სადამმა იმდენად განიცადა საყვარელი ცხოველის სიკვდილი, რომ მარჯვენა ხელის დამბლა დაემართა ნერვიულობისგან. ორი თვის განმავლობაში სადამს სხვადასხვა ხალხური მეთოდით მანამდე მკურნალობდნენ, სანამ ხელის მოძრაობა არ აღუდგინეს.

* სადამის მამა, ჰასან აბდ ალ-მაჯდიდი, ერთ-ერთი ვერსიით, სადამის დაბადებამდე 6 თვით ადრე დაიკარგა; მეორე ვერსიით კი ის ოჯახიდან წავიდა. ასევე, არსებობს ვერსია, რომ სადამ ჰუსეინი უკანონოდ იყო შობილი და მამის სახელი, უბრალოდ, გამოგონილი იყო. საინტერესოა, რომ 1982 წელს გარდაცვლილ დედას სადამმა დიდი მავზოლეუმი აუგო, ხოლო მამისთვის არაფერი არ გაუკეთებია.

* სადამ ჰუსეინის საყვარელი წიგნი იყო ერნესტ ჰემინგუეის „მოხუცი და ზღვა," ხოლო ფილმებიდან მას ფრენსის ფორდ კოპოლას „ნათლიმამა" უყვარდა.

* სადამ ჰუსეინის პრეზიდენტობის პერიოდში ერაყში დიქტატორის პიროვნების კულტი მძვინვარებდა: ბაღდადის აეროპორტი სადამ ჰუსეინის სახელს ატარებდა და შენობაში მისი პორტრეტები იყო გამოკიდებული. 1991 წელს ერაყმა ახალი დროშა მიიღო, რომელსაც სადამ ჰუსეინის ხელით დაწერილი „ალაჰ აკბარი" ამშვენებდა. ეს დროშა 2004 წელს სხვა დროშით შეიცვალა. 1980 წლიდან გამოშვებულ ერაყულ დინარებს სადამ ჰუსეინის პორტრეტი ამშვენებდა.

* სადამ ჰუსეინი 2003 წლის 13 დეკემბერს სპეცოპერაციის შედეგად აიყვანეს. იგი ქალაქ ტიკრიტიდან 15 კილომეტრის დაშორებით, 2 მეტრ სიღრმეზე მიწაში იმალებოდა, აყვანისას მას თან ჰქონდა 750 ათასი დოლარი, 2 ავტომატი „კალაშნიკოვი" და პისტოლეტი.

* სადამ ჰუსეინი 2006 წლის 30 დეკემბერს დასაჯეს სიკვდილით. სასამართლომ მას ჩამოხრჩობა შეუფარდა. ჰუსეინის ბოლო ფრაზა იყო: „დაწყევლილ იქნენ ამერიკელები და სპარსელები!"

**უშანგი რუხაძე**

**გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"**
***შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს***
***ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში***
„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

# რატომ სდარაჯობდა პოეტი გიორგი ბუნდოვანი ტერენტი გრანელის საფლავს და ვინ მოიპარა ბოლოს მიცვალებული

*გიორგი ბუნდოვანი – ეს სახელი და გვარი თანამედროვე ქართულ პოეზიაში კარგად არის ცნობილი. სიტყვა, რომელიც გიორგიმ ჯერ კიდევ 90-იან წლებში აირჩია ფსევდონიმად, მის ბუნებას, ხასიათს, პოეზიაში მიმდინარეობას განსაზღვრავს. უცნაური ფსევდონიმის შეცვლას ურჩევენ „ფეისბუქის” ასტროლოგი მეგობრები. „კახიძე ვარ, თუმცა, ამ გვარით არავინ მიცნობს. მეუბნებიან, სანამ ფსევდონიმს არ შეიცვლი, შენი ცხოვრება არ გამოსწორდება და წინ ვერ წახვალო, მაგრამ, თუ შევიცვლი, ალბათ, კიდევ ერთი 25 წელი დამჭირდება, რომ გამიცნონ,” – ამბობს პოეტი და მულტიმედია მსახიობი. რაც შეეხება მის მოღვაწეობას, ის 90-იანი წლებიდან იწყება: აქტიურად იწყებს ბეჭდვას რამდენიმე მეგობართან, მათ შორის, ზურაბ რთველიაშვილთან ერთად. ამ პერიოდში მათ ჩამოაყალიბეს ქართველ პოეტთა ორდენი – „ქრონოფაგები” („ქრონოფაგები” ლათინური სიტყვაა და „დროის შთანმთქმელებს” ნიშნავს). ეს იყო მეორე ოფიციალური პოეტური საძმო „ცისფერყანწელთა” ორდენის შემდეგ, რომელსაც გააჩნდა თავისი ღერბი, დროშა, სიმბოლისტური მანიფესტი, თავშეყრის ადგილები... გიორგი ბუნდოვანი ცნობილი მარგო კორაბლიოვას სახელობის პერფორმანსის თეატრის მსახიობი და დირექტორიც გახლდათ, რომელიც პოეტმა დავით ჩიხლაძემ დააარსა, ატარებდა პერსონალურ საღამოებსაც. გიორგი ბუნდოვანს ყველაზე მეტად, ალბათ, მაინც ტერენტი გრანელის პიროვნებისა და პოეზიისადმი ინტერესმა გაუთქვა სახელი. თუ რა გავლენა იქონია ამან პოეტის ცხოვრებაში, ჩვენი ექსკლუზიური ინტერვიუდან შეიტყობთ*

**– ბატონო გიორგი, თქვენ, ცხადია, პირველი არ ხართ, ვინც გრანელის პოეზიამ გაიტაცა, მაგრამ, თქვენ ბრძანდებით ადამიანი, რომელიც ძალიან ღრმად შევიდა არა მხოლოდ მის პოეზიაში, ფაქტობრივად, მისი ცხოვრებით ცხოვრობთ და მისი სახელის უკვდავსაყოფად ყველაფერს აკეთებთ. თქვენ მის საფლავში ჩაწოლაც კი არ შეგეშინდათ, საკუთარ სახლში, საძინებელ ოთახში კი მისი საფლავიდან წამოღებულ ქვას ინახავდით. ეს მართლაც შოკის მომგვრელი იყო ჩემთვის.**

– მე და ზურა რთველიაშვილი ერთ სახლში ვცხოვრობდით, მეზობლები ვიყავით და ერთად ვიზრდებოდით, ერთად ვწერდით ლექსებს, ყველაფერს ერთად ვაკეთებდით. ერთ დღესაც, ზურა მოვიდა გაგიჟებული – ნათესავთან იყო და იქ აღმოუჩენია ტერენტიზე წიგნი: ვიღაც პოეტი აღმოვაჩინე, გადავშალე და ჭკუა გადამეკეტა. გეხვეწები, ნახე, ერთი, რა მაგარიაო. მე ყურადღება არ მივაქციე – მოიცა, თუ ძმა ხარ, რა უნდა იყოს-მეთქი. არ მომეშვა. გადავშალე და... მას შემდეგ გადაშლილი მიდევს მაგიდაზე. ბიბლიის შემდეგ ჩემთვის მეორე წიგნია. დავიწყე ბიბლიოთეკებში სიარული, მაინტერესებდა, ვის რა აქვს დაწერილი ამ კაცზე და მაშინ აღმოვაჩინე ლერი ალიმონაკი. ყველაფერი მოვიძიე და მთელი წელი ვკითხულობდი. ბუნებრივია დავინტერესდი, სად არის მისი საფლავის ადგილსამყოფელი. წალენჯიხელი რომ იყო, გასაგებია, მაგრამ, სად იყო დაკრძალული, არ ვიცოდი. მითხრეს, პეტრე-პავლეს სასფლაოზეაო. არამიანცის საავადმყოფოში გარდაიცვალა ჭლექით. რვა კაცისგან შემდგარმა დამკრძალავმა კომისიამ ძალიან სწორი არჩევანი გააკეთა, როცა ამ სასაფლაოზე დაკრძალა, იმიტომ კი არა, რომ ახლოს იყო, ტერენტი გრანელი სასაფლაოებზე მოსიარულე და ლექსების იქ შემქმნელი პოეტი იყო. აედევნებოდა ვიღაცის გასვენების პროცესიას, ჭირისუფლები რომ დაიშლებოდნენ, იქ რჩებოდა, დასტიროდა მიცვალებულს და წერდა ლექსებს. ამ სასაფლაოებს შორის დომინირებს პეტრე-პავლეს სასაფლაო, რომელიც თავის ლექსებშიც აქვს ნახსენები. ამ ტერიტორიაზე ძველი, რუსული სტილის ტაძარია, მის გუმბათზე სამრეკლოა და იმ სამრეკლოზე ეძინა ხოლმე, ახალ წელსაც იქ ხვდებოდა ერთი ჭიქა წითელი ღვინითა და ერთი ნაჭერი შავი პურით.

იმ პერიოდში ზურა ჯარში გაიწვიეს, ამიტომ, მარტოს მომიხდა წასვლა. სომხები იყვნენ მესაფლავეები და, რომ ვკითხე, გვარით ვერ მიხვდნენ. მერე ავუხსენი ასეთი და ასეთი ქართველი პოეტი იყო-მეთქი და მიმასწავლეს. საფლავი ნაგვით იყო სავსე. გავასუფთავე. ქვა იდგა პატარა, ოვალური სურათითა და წარწერით, რომელიც დამ, ზოზიამ გაუკეთა. პრაქტიკულად, ყოველდღე დავდიოდი ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში. იშვიათი იყო, კვირაში ერთი დღე გამეცდინა.



ახალი გადასვენებული იყო და, სანამ ამოავსებდნენ საფლავს, ჩავწექი

**– ხუთი წელი ყოველდღე სასაფლაოზე სიარული არ გიჭირდათ?**

– პირიქით, სახლში ველარ ვჩერდებოდი, ის ადგილი გახდა ჩემთვის ყველაფერი. ტერენტის საფლავზე შვიდასზე მეტი ლექსი მაქვს დაწერილი. მაშინვე, იქვე, გადავათეთრებდი, ის სახლში მომქონდა, ორიგინალს კი ქვის ქვეშ ვინახავდი. ეს ქვა მოძრაობდა, გადავწევდი და ჩავდებდი. მერე ეს ადგილი გახმაურდა, ახლაგაზრდები მოდიოდნენ, ბევრი ადამიანი გავიცანი. სხვათა შორის, ტერენტიმ ვისაც დამაკავშირა, მათთან დღემდე ძალიან მყარი ურთიერთობა მომყვება, მაშინ, როცა ბუნებით ძალიან კონფლიქტური ვარ, რადგან, მე არ ვარ სტანდარტულად მოაზროვნე ადამიანი. არ იფიქროთ თავს ვიქებ, პირიქით ამის გამო ვაძაგებ. 1987 წელს „ლიტერატურულმა საქართველომ” უეცრად დაბეჭდა წერილი, რომ, საზოგადოების მოთხოვნით, ტერენტი გრანელი უნდა გადაასვენონ დიდუბის პანთეონში; რომ დიდი ხანია, დებენ ამ პროცესს, ახლა კი ველარ გადადებენ, მაგრამ, გადასვენება უნდა დაამთხვიონ მის 90 წლისთავის იუბილეს; რომ წალენჯიხაში უნდა გაიხსნას სახლ-მუზეუმი, მისი სახელობის სკვერი, ქუჩა და ასე შემდეგ. წარმოიდგინეთ, ამ სტატიას რომ ვკითხულობ, რა ხდება ჩემში. პირველი ემოცია იყო ასეთი: ჯერ ერთი, ტერენტის თუ შეაწუხებენ და გადაასვენებენ, უნდა დაასვენონ არა დიდუბეში, არამედ, მთაწმინდაზე, გალაკტიონის გვერდით. არ იმსახურებს თუ რა?! მეორე ემოცია იყო ეგოისტური – მართმევენ ერთადერთ ნავთსაყუდელს, სადაც მე ამდენი წელია, დავდივარ. ეს იყო ჩემთვის ტრაგედია, თითქოს მიწა გამომეცალა ფეხქვეშ. ავტეხე ერთი ამბავი, გარშემო შემომეკრიბნენ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დავაწესეთ მორიგეობა – არ ვატანდით მიცვალებულს. ორჯერ ამოთხარა მწერალთა კავშირის კომისიამ საფლავი („კაგებეც“ იქ იყო) და ორჯერვე ჩემი ხელით დავაყარე მიწა. ვისთან არ შევედი წერილობითი თხოვნით: კაცი, რომელიც ნაწამებია ცხოვრებაში, ციხეებში, საგიჟეთში აგდებდნენ, სურამის საგიჟეთში რამდენჯერ მოათავსეს და გამოიქცა იქიდან, საფლავში მაინც მოასვენეთ-მეთქი. ამან არ გაჭრა. ერთ ღამესაც, დავიშალეთ. ერთი, ორმოცადაათი კაცი ვიყავით. ყოველდღე, დილის 7 საათზე მივდიოდით. ერთ დილით რომ მივედით იქ აღარ დაგვხვდა – გვითხრეს, 6 საათზე მოვიდნენ და წაიყვანესო. ესე იგი, მომენტს ელოდებოდნენ. გავცვივდით დიდუბის პანთეონში თავქუდმოგლეჯილები, ბოლო ნიჩაბ მიწას აყრიდა მესაფლავე. სხვათა შორის, ის მესაფლავეც ტერენტის თაყვანისმცემელი აღმოჩნდა, წლების განმავლობაში უვლიდა ტერენტის საფლავს პანთეონში. იქვე სკამია. ერთ დღესაც, რომ გაასუფთავა საფლავი, ყვავილები მორწყა, ჩამოჯდა სკამზე და გარდაიცვალა. თავიდან ძალიან უბრალოდ გამოიყურებოდა ტერენტის საფლავი, მერე დის, როგავების ოჯახმა გაუკეთა მარმარილოს ქვა და სურათი. სურათი პეტრე-პავლეს სასაფლაოდან არის წამოღებული. მერე ის ძველი ქვა შუაზე გაჭრეს, ზედა ნაწილი ადგილზე დატოვეს, ქვედა ნაწილი კი წალენჯიხაში წაიღეს.

გვერდს ველარ აგვივლიდნენ. თვითონ მწერალთა კავშირმა მიგვიწვია ოფიციალურად გრიბოედოვის თეატრში ტერენტის იუბილეზე, მერე წალენჯიხაში დაგვპატიჟეს. რომ ჩამოვედით, მივედი პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, ნაწილი ქვისა, რომელიც მიგდებული იყო, ავიღე და წამოვიღე სახლში. შევუკეთე ზუსტად ისეთივე, ოვალური ფორმის სურათი, როგორიც მანამდე ჰქონდა, ჩავაწებე ქვაში და ათი წელი მედო საძინებელში. ზემოთ ტერენტის, მისი ოჯახის, სანათესაოს სურათების მთელი პანთეონი მქონდა, ერთი ჭიქა წითელი ღვინო და ერთი ნაჭერი პური ყოველთვის მედო სიმბოლურად. მერე მოვიყვანე ცოლი და კინაღამ გაგიჟდა, ეს ყველაფერი რომ დაინახა – იმ ოთახში, სადაც ჩვენ უნდა ვიწვეთ, როგორ შეიძლება, საფლავის ქვა იდოსო. ავტოფარეხში გავიტანე, სურათი კი მოვაცალე და, მანქანას რომ შეაყენებენ ხოლმე გასარემონტებლად, იმ ორმოში ჩავდე. აღარც ვარგოდა, იშლებოდა. 2003 წელს ეს ბინა გავყიდეთ თავის ავტოფარეხიანად, მას მერე შვიდი ბინა გამოვიცვალეთ.

**– არ ვიცი, მართალია თუ არა, მაგრამ, გავიგე, ტერენტი გრანელის კუბოს ნატეხებსაც კი ინახავდით**

– გადასვენების მერე საფლავში ჩავედი, კუბოს ნამსხვრევები ვიპოვე და სახლში წამოვიღე. გასაგებია, ვიღაცისთვის ეს სიგიჟეა, მაგრამ, ვისთვისაც ტერენტი გრანელი ძვირფასია, მათ ვურიგებდი სიმბოლურად ამ ნატეხებს. ცოტა კიდევ დამრჩა.

დადგა საშიშროება – ტერენტი გრანელის ნასაფლავარი ვიღაცეებს უნდათ, რომ შეეისყიდონ. ამაზეც ამბავი ავტეხე. მივვარდი სასაფლაოს დირექტორთან. მითხრა: ვიცი, ვიცი ეგ ამბავი და თქვენს გამოჩენას ველოდებოდიო. მე ვუთხარი: ფული არ მაქვს, რომ ეს საფლავი ვიყიდო, ამ საფლავის გაყიდვა არ შეიძლება-მეთქი. მაგ პერიოდში უკვე პუშკინის პედაგოგიურ ინსტიტუტში ვსწავლობდი. ინსტიტუტში დავდგი ყულაბა და დავაწერე: „ტერენტი გრანელის ნასაფლავარის გადასარჩენი ფონდი.“ შეგროვდა ექვსასი რუსული რუბლი,

(გაგრძელება 73-ე გვერდზე)

№32 5.08.13-11.08.13

**ადამიანის მწვერვალზე აყვანასა და მერე მიწაზე დანარცხებაში რომ საუკეთესოები ვართ, ეს აქამდეც ვიცოდი და ირაკლი ლომაიას ისტორიამ, ამაში კიდევ ერთხელ დამარწმუნა. არ ვიცით, ზენიტში მყოფი ადამიანის კრიტიკულად შეფასებები – მას ვაღმერთებთ, მისგან სასწაულებს მოვითხოვთ და როდესაც ის, ჩვეულებრივი ადამიანი, სასწაულებს ვერ ახდენს, ტალახიანი ფეხებით გადავუვლით. ირაკლი ლომაიას შემთხვევაც ასეთი იყო. ერთ დროს ბომონდისთვის სასურველი მეგობარი, ქვეყნიდან წავიდა და ბევრი წვალების შემდეგ, შორეულ კანადაში თავისი ადგილი მაინც იპოვა.**

# რა ბრალდებას პასუხობს ირაკლი ლომაია და რაში ადანაშაულებს ის ეკა კვალიაშვილს

**ირაკლი ლომაია:** მთელი ცხოვრება, შეიძლება ითქვას, ვიბრძოდი, რომ საზოგადოებისთვის ოდნავ მაინც დამენახვებინა კარგი, მაგრამ როგორც ჩანს, ეს ქართველმა ხალხმა ვერ დაინახა. ბოლოს, როცა უკვე ზოგიერთების ანტირეკლამებმა ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა და ისეთ რამეებს მაბრალებდნენ, რაც ახლოსაც არ იყო ჩემთან, მივხვდი, ამ ხალხს არ ვჭირდებოდი. იმ ხანად, უბრალოდ, შეუძლებელი იყო, ვინმესთვის რამე მემტკიცებინა, ყველაფერი დროს და მაღალ ღმერთს მივანდე. უბრალოდ, ჩავალაგე ჩემოდანი და წამოვედი. წამოვედი ისე, რომ არც ვიცოდი, სად მივდიოდი.

**– ანუ, არ იცოდი, რომელ ქვეყანაში მიდიოდი? ბოლო ძაფი რა იყო, რამაც აქედან წასვლა გაიძულა, კონკრეტული რა ბრალდება?**

– ვიცოდი, რომ კანადაში მოვდიოდი, მაგრამ რომელ ქალაქში ან ვისთან? – არა და არც ჰქონდა ამას დიდი მნიშვნელობა. ის ვიცოდი მხოლოდ, რომ ამ ქვეყანაში არ დავიკარგებოდი და თუ ვიბრძოლებდი, აქაც არანაკლებს მივაღწევდი. ასეც მოხდა. მონრეალში მყავდა ერთი ახლობელი, რომელიც ინტერნეტით გავიცანი და მისგან რაღაც ინფორმაციები მქონდა. სულ ეს იყო ჩემი ამ ქვეყნის ცოდნა.

**– ამბობდნენ, რომ ბევრი საჩივარი იყო შენზე და სამართალდამცავებთან პრობლემების გამო წახვედი. შეესაბამება ეს სიმართლეს?**

– უამრავი ბრალდება იყო. სუბიექტურად წერდნენ პრესაში, ვითომ ხალხი გავატყავე, „გადავაგდე"... სინამდვილეში, ფაქტი არსად ჩანდა, გარდა იმ ოთხი ადამიანისა, რომელიც იძახდა ლომაიამ ვერ გვიმკურნალაო. ჩემი პროფესიის ადამიანის გარშემო, რომლის შესახებაც ხალხმა ბევრი არაფერი იცის, ბუნებრივია ყოველთვის არსებობენ და იარსებებენ გამონაკლისი პიროვნებები, რომლებიც ვერ გაგიგებენ, ან არ გაგიგებენ, იმიტომ რომ ასე სურთ. მსგავსი შემთხვევები არა მარტო ჩემს სფეროში, არამედ ზოგადად, ყველა სფეროში ხდება. კონკრეტულად შემიძლია, დავასახელო სულ რაღაც ოთხი ადამიანი, ვინც გამოვიდა საჯაროდ და თქვა, რომ მე ირაკლი ლომაიამ ვერ მიშველაო. მაგრამ, ის არ თქვა, რატომ ვერ ვუშველე და ზედმიწევნით შეასრულა თუ არა მან სპეციალისტის დავალება. ასეც რომ ყოფილიყო, ღმერთი არ ვარ და არც არასდროს ვიქნები. ირაკლი ვარ ლომაია, რომლის ძალაუფლებაში მეცნიერული მიღწევებია და არა სასწაულებრივი განკურნება. კლასიკურ მედიცინაში უდიდეს ქირურგებს პაციენტებიც კი უკვდებათ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი კვალიფიცირებული, მაღალი რანგის სპეციალისტები არ არიან. რაც შეეხება იმ ხალხს, ვინც საჯაროდ გამოვიდა ჩემს გასალანძღად, მათი მიზანი სწორედ ჩემი სახელის შელახვა იყო. შემიძლია, გადმოგიგზავნოთ ის დოკუმენტები, რომ საქართველოში არასოდეს მქონია სამართალდამცავებთან არანაირი პრობლემა. ამ ჭორს ისევ ის ხალხი ავრცელებდა, ვისაც ასე სურდა ჩემი რეპუტაციის შელახვა. ზოგ-ზოგიერთ ცნობილ სახეს, რომლებიც მანდ ყოფნის დროს ჩემზე ვენებს იჭრიდნენ და ვითომ მეგობრობას მიმტკიცებდნენ: არიქა, ამას წყალი შეუდგა, ეტყობაო და სხვადასხვა გამოცემაში არაერთხელ დაწერეს ჩემზე და მლანძღეს. მაგალითად, ეკა კვალიაშვილმა, საერთოდ არ ვიცი ლომაია ვინაა და რა საქმე მქონდა მასთანო. დღეს კი, როცა ისევ მაგრად ვარ და ფეხზე დავდექი, ისევ საჭირო და საინტერესო გავხდი ბევრისთვის. მაგრამ, ის გული აღარ მაქვს და მინდა, ვუთხრა მათ, თქვენს მიერ აყროლებული ყალბი მეგობრობის სუნი კანადამდეც აღწევს და აღარ გამოვა ჩემთან მეგობრობა, ჭკუა ვისწავლე. მათ ეგონათ, დავიმარხებოდი და საქართველოს იქით ვერსად ვერაფერს მივაღწევდი. მაგრამ, ხომ დაგიმტკიცეთ ყველას, რომ ღმერთი მაღალია და მართალ და კეთილ ადამიანებს შუა გზაზე არ ტოვებს. გაცილებით მყარად ვარ აქ, ვიდრე ეს იყო მაშინ!

**– შენი მკურნალობა ძალიან ბევრ სფეროს მოიცავდა. ხომ არ გამოიწვია ეს ხმები იმან რომ შენგან სასწაულებს მოითხოვდნენ?**

– ჯერ ერთი მოიგონეს, რომ, თითქოს ვამბობდი, წმინდანი ვარ-მეთქი... მსგავსი რამ არასდროს მითქვამს და არც ვიტყვი. ჩემგან სასწაულებს ელოდნენ და იმას, რასაც ვუხსნიდი, არ აინტერესებდათ. მინდა განმარტება გავაკეთო იმ ადამიანებისთვის, ვინც ვერ არჩევს პარაფსიქოლოგიის ჭეშმარიტებას მკითხაობისგან.



პარაფსიქოლოგია მეცნიერებაა, რომელიც ადამიანის ენერგეტიკულ ველებს, მის დადებით და უარყოფით მხარეებს იკვლევს – თუ სად არის აქტიური ან ნაკლებად აქტიური ველები, ხსნის ადამიანის ორგანიზმში ვერბრიდულ (უარყოფით ზემოქმედების ფორმებს) სტრუქტურებს. აქედან გამომდინარე კი, თუ ხდება რეორგანულ დეიზონში (ჩაკრები, აურა, კარმული არხები და სხვა) მაღალი ან დაბალი სიხშირით იმპულსები, მას არეგულირებს. ამის შემდეგ ადგენს ფიზიკური და მენტალური სხეულების დისბალანსს, იკვლევს, თუ სად არის დაავადების გამომწვევი მიზეზი, რა ფორმებშია უკვე არსებული დაავადება და ასკვნის, რა მიმართულებ-

**მოვიტყუე, 2 წელია, დამლაგებლად ვმუშაობ-მეთქი, მიმიღეს, მაგრამ მესამე დღეს გამომაგდეს, არ იცი დალაგებაო**

ით უნდა უშველოს და უმკურნალოს პაციენტს. ამ მეცნიერების ასე მოკლედ გადმოცემა ძალიან რთულია და ვინც პარაფსიქოლოგიას მკითაობისგან ვერ არჩევს, ეს მათი სირცხვილია. ერთი ადამიანი თუ მოიძებნება, რომელიც ჩემს კლინიკაში მოსულა და მისთვის მიმკითხავებია, ჩამქოლეთ!.. პარაფსიქოლოგია არ არის თვისება, ეს პროფესიაა და მე ის შევისწავლე გერმანიაში, კერძოდ, ბერლინში, „შტაოს" სამეცნიერო პარაფსიქოლოგიურ უნივერსიტეტში, 2006-2007 წლებში დავინიშნე „შტაოს" პარაფსიქოლოგიურ აკადემიაში წამყვან სპეციალისტად, სადაც დავიცავი ხარისხი და მომენიჭა პროფესორის წოდება. თქვენი აზრით ამდენი იმისთვის ვიწვალე, დღე და ღამეს იმისთვის მქონდა გაერთიანებული, რომ მერე თბილისში დავმჯდარიყავი და მკითხაობა დამეწყო?! ეს ხომ სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს... ან რა მჭირდა საიმისო, როცა ამხელა უნივერსიტეტში უკვე ჯერ კიდევ მცირე ასაკში უდიდეს წარმატებებს ვაღწევდი?

**– ხომ არ გამოიწვია შური და ბოლმა, კიდევ უფრო მეტი აგრესია იმან, რომ განსაკუთრებულ ფუფუნებაში ცხოვრობდი და არ მალავდი რაღაცეებს ბალიშის ქვეშ? მაგალითად, მახსოვს, მთელი თბილისი ლაპარაკობდა შენი ავტომობილის ნომერზე, რომელშიც დიდი თანხა გადაიხადე, შენს სამკაულებზე და სხვა...**

– რა თქმა უნდა, გამოიწვია და ეს ზუსტად ვიცი, ბევრს შურდა და დღემდე ასეა. ამას არც მალავენ და ბევრი „ფეისბუქზე" პირადადაც მწერს, რა დამსახურებისთვის ცხოვრობ ასეო. იცით, რა არის?! დღეს პირველად ვამბობ თქვენთან და მინდა, გაიგოს საქართველომ, რომ პაციენტებით ფული არ მიშოვია. ჩემი სხვა ბიზნესებიდან მქონდა შემოსავალი, მაგრამ, ყოველთვის ვზრუნავდი ხალხზე. გახსნილი მქონდა საქველმოქმედო ფონდი „ლომაია'', რომელსაც ჩემი ჯიბიდან თვეში 40 ათასი დოლარით ვაფინანსებდი ქართველებისთვის და ამაზე რატომ არავინ არაფერს ამბობდა?! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მე ერთადერთი ქართველი ვიყავი 25 წლის ასაკში, რომელსაც პროფესორის წოდება მიანიჭა გერმანიამ. ეს არაფერი იყო საქართველოსთვის? 25 წლის ასაკში კარმული დიაგნოსტიკის სფეროში 500-გვერდიანი ნაშრომი, რომელიც დღეს სკანდინავიის პარაფსიქოლოგიურმა საბჭომ იყიდა, მათთვის არაფერი იყო, ხომ?! ვიღაცეებს თუ ვესირცხვილებოდი, კიდევ დაინახავს ირაკლის შესაძლებლობებს. ის ჟურნალისტი, რომელიც ადრე ჩემზე წერილებს წერდა, დღეს ვერ დაწერს მსგავს წერილებს. პირველი, იმიტომ, რომ ჩვენი საქმე სასამართლოში იყო და სწორედ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორივე მხარეს მოგვეთხოვა ერთმანეთის ლანძღვის შეწყვეტა და მეორე - ყველაზე მნიშვნელოვანი, როდესაც საქართველოში ჩემზე, ასე ვიტყვი უხეშად - ვისაც გაუსწორდებოდა და რაც გაუსწორდებოდა იმას წერდნენ, ახლა ამას ვერ გააკეთებენ, იმიტომ რომ, ირაკლი ლომაია დღეს აღარაა იმ დაქცეული ქვეყნის მოქალაქე, სადაც მის უფლებებს კანონი არ დაიცავს. დღეს კანადის სრულუფლებიანი პერმანენტ-რეზიდენტის (მუდმივი ცხოვრების უფლების) მფლობელი პირი ვარ და საკმარისია, ვინმემ ჩემზე არაობიექტურად დაწეროს, ჩათვალეთ, დიდ შარში გაყო თავი. კანადა სწორედ ის ქვეყანაა, რომელსაც, თავისი თუნდაც ერთი მოქალაქის უფლების შელახვის გამო, შეუძლია, მეორე ქვეყანას ომი გამოუცხადოს. წამოვედი და იქ ვარ, სადაც ვუნდივარ, სადაც მაფასებენ და სადაც გაცილებით ბევრს მიხდიან ჰონორარს, ვიდრე ეს იყო საქართველოში.

**– ამჟამად რას აკეთებ კანადაში?**

– აბა, რომელი ერთი დაგისახელოთ? კონკრეტულად, ვმოღვაწეობ როგორც ჩემი, პარაფსიქოლოგიური საქმიანობით (ვარ ამერიკული საერთაშორისო პარაფსიქოლოგიური აკადემიის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი), ასევე კლასიკურ მედიცინაში (ვმუშაობ ქალაქ ოტავის ცენტრალური ემერჯენსის – სასწრაფო გადაუდებელ ბუმბერაზ კლინიკაში, სადაც გახლავართ მუც-

# ფონდმა „ქართულმა გალობამ“ ჰამლეტ გონაშვილის ალბომი გამოსცა

*ფონდ „ქართული გალობის” ოფისში რამდენიმე დღის წინ ხალხმრავლობა იყო, ამის მიზეზი კი გენიალური მომღერლის, ჰამლეტ გონაშვილის განახლებული CD-ალბომის გამოსვლასთან დაკავშირებით მიძღვნილი პრესკონფერენცია იყო. ალბომი ფონდ „ქართული გალობის” მხარდაჭერით გამოვიდა და ის ორი კომპაქტური დისკისგან შედგება. ასევე წარმოდგენილი იყო წიგნი, რომელიც ჰამლეტ გონაშვილს მიეძღვნა.*

*ფონდის საბჭოს წევრმა: **ანზორ ერქომაიშვილმა**, საქართველოს მწერალთა კავშირის თავჯდომარე, **მაყვალა გონაშვილმა** და ჰამლეტ გონაშვილის ოჯახის წევრებმა, ასევე, ისაუბრეს, მომღერალ ჰამლეტ გონაშვილის 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონცერტის შესახებ, რომელიც ამა წლის 28 სექტემბერს, რუსთაველის თეატრში გაიმართება.*




**ანზორ ერქომაიშვილი**: ფონდმა „ქართულმა გალობამ,” რომლის დამფუძნებელიც გახლავთ ვანო ჩხარტიშვილი, გამოსცა საინტერესო სიმღერების კრებული. ეს არის ჰამლეტ გონაშვილის უნიკალური ჩანაწერები, რომლებიც მან თავისი სიცოცხლის მოკლე პერიოდში ჩაწერა. ალბომში შესულია არა მხოლოდ ხალხური სიმღერები, არამედ, კომპოზიტორთა ნაწარმოებები, რომლებიც ჰამლეტ გონაშვილმა შეასრულა. ჰამლეტ გონაშვილის 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილ კონცერტში, რომელიც 28 სექტემბერს რუსთაველის თეატრში გაიმართება, მონაწილეობას მიიღებენ ჰამლეტის მეგობრები და ანსამბლი „რუსთავი,” სადაც ის 17 წელი მღეროდა. ისეთი დიდი წარმატება, როგორიც ჰამლეტ გონაშვილს ჰქონდა, არც ერთ ქართველ მომღერალს არ ჰღირსებია. მან ხალხის დიდი სიყვარული დაიმსახურა. წლების განმავლობაში იგი ტელევიზიის მთავარი გმირი იყო ხალხურ სიმღერაში. არა მხოლოდ საქართველოში, არამედ, მის ფარგლებს გარეთაც, მაყურებელი ყოველთვის ფეხზე ამდგარი მიესალმებოდა ჰამლეტის ყოველ გამოსვლას. ჰამლეტ გონაშვილი იცოცხლებს მანამ, სანამ ქართული ხალხური სიმღერა იარსებებს. კომპაქტური დისკი და წიგნი ჰამლეტის შესახებ გაიყიდება და შემოსული თანხა მთლიანად გადაეცემა ჰამლეტ გონაშვილის ოჯახს.

**მაყვალა გონაშვილი**: წიგნი, რომელიც დღეს გამოიცა, სწორედ იმის დასტურია, თუ როგორ უყვარდა და უყვარს ქართველ ერს ჰამლეტ გონაშვილი. ყველა რჩეული ქართველი, თუკი ვინმეა საქართველოში, თავის აზრს გამოთქვამს და სტრიქონებს უძღვნის ჰამლეტ გონაშვილს. ჩვენი დიდი წინაპარი წერდა, რომ ქველმოქმედება კეთილშობილ გულთა წესია. ყველა კეთილშობილი ადამიანი, თავის საქმესა და დიდ ბიზნესთან ერთად, ქველმოქმედების გამკეთებელია. მინდა, ბატონ ვანო ჩხარტიშვილსა და მის გუნდს ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო ქველმოქმედებისთვის. არ იქნებოდა არაფერი, რომ არა ასეთი ადამიანები.

**ლამარა ცინცაბაძე** ***(ჰამლეტ გონაშვილის მეუღლე):*** ჰამლეტი არა მხოლოდ კარგი მომღერალი, არამედ, არაჩვეულებრივი შვილი, მამა, მეუღლე, ძმა და მამულიშვილი იყო. ძალიან ვღელავ, გული სავსე მაქვს სიხარულით. დიდი მადლობა ფონდ „ქართულ გალობას,” რომელმაც გადაწყვიტა ჰამლეტის იუბილეს გამართვა და ამ დღესთან დაკავშირებით გამოსცა კომპაქტ- დისკები. დიდი მადლობელი ვარ იმ ხალხის, ვინც დაგვეხმარა და გამოსცა წიგნი. ჰამლეტი ყოველთვის, როცა მიცვალებულის სადღეგრძელოს სვამდა, მომგონსაც უდღეგრძელებდა ხოლმე. როცა ვკითხე, ასე რატომ ამბობ-მეთქი, მიპასუხა, გარდაცვლილი მომგონით ცოცხლობსო. დიდი მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვისაც ჰამლეტი დღემდე არ დავიწყებია!

**მარიკა ხიდურელი**

---

ლის ღრუს პირველი ხარისხის ქირურგის მთავარი ასისტენტი) და გარდა ამ საქმიანობისა, ვარ სულ ახლახან გახსნილი კანადური საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის ერთ-ერთი მმართველი დირექტორი, რომელიც სწორედ, რომ საქართველოში, ქართველი საზოგადოების დასახმარებლად შეიქმნა. განტვირთვის მიზნით, დავდივარ ლათინო-ამერიკულ აკადემიაში, სადაც საკმაოდ კარგად ვცეკვავ. ამავე დროს, ვარ ამ აკადემიის წარჩინებული მოხალისე წევრი. ასევე, გოლფის ცენტრის ხშირი სტუმარი ვარ, სადაც ძალიან სასიამოვნოდ ვატარებ დროს. დღის ბოლოს კი აქვე, ღია საცურაო აუზში ვეშვები. ეს ყველაფერი ის მცირედი ჩამონათვალია, თუ რას ვმოღვაწეობ აქ.

**– ოჯახთან ერთად არ ხარ წასული?**

– დიახ, მე მივატოვე საქართველოში ყველაფერი. ასევე, გავყიდე ყველა უძრავ-მოძრავი ქონება და დავხურე ჩემი ბიზნესები, აბსოლუტურად დავემშვიდობე ყველას და ყველაფერს და წამოვედი. დღეს კი, როცა ძალიან კარგად ვარ და კანადის მოქალაქე ვარ, არ მაქვს სურვილი, ისევ დავბრუნდე. ზუსტად ვიცი, ისევ იგივე განმეორდება. ვფიქრობ, აქედან უფრო ვჭირდები ბევრს და ასე უფრო დამაფასებენ. ხოლო, როცა 60 წლის გავხდები და კანადურ პენსიაზე გავალ, ვიფიქრებ დაბრუნებაზე. ისე კი, დროებით სულ დავდივარ და როცა მომენატრება ჩემები, ვაკითხავ და უკანვე ვბრუნდები. მართლა გაქცეული კი არ ვარ, როგორც ამას მანდ ამბობენ. აქ სახლი ვიყიდე, სამსახურები მაქვს, ჩემი ოფისი გავხსენი, მსოფლიოს უამრავი ქვეყნიდან პაციენტები მაკითხავენ. კანადაში გავხდი ქირურგის ასისტენტი და ეს არცთუ ისე ადვილია. ახლა როგორ ფიქრობთ, საქართველოში დავბრუნდები? მაშინ შტერი უნდა ვიყო და სულელი. უამრავი ქართველი მწერს „ფეისბუქზე“ და მთხოვენ დაბრუნებას. მიკვირს ამ ხალხის, დამაყენეთ, ხალხო? მლანძღეთ და მაფურთხეთ, აფერისტი და შარლატანი მიძახეთ და ახლა რა გინდათ? დამასვენეთ და თქვენც დაისვენეთ. არ ვაპირებ, ჩემს ქვეყანაში ვიმუშაო და „კრიშისთვის“ 2 მილიონი ვუხადო მთავრობას. ეს არ მოხდება. არ მჭირდება არც „კრიშა“ და არაფერი. ახლა ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობ, სადაც მთავრობა კი არ მართმევს, არამედ აქეთ მეხმარება. ძალიან კმაყოფილი ვარ კანადის კანონების. მე ამ ქვეყანამ მიმიღო და შემიფარა, დამასაქმა და გზა გამიხსნა დიდი ასპარეზისკენ. აქ დამლაგებელი ვიყავი და გაზეთებს ვარიგებდი. ერთი პერიოდი, მშენებლობაზე და ფერმაშიც კი ვიმუშავე. შავი დღეები გადავლახე, ენა არ ვიცოდი, პატრონი არავინ მყავდა. პიცერიაშიც კი ვიმუშავე და სად აღარ... ღამე ოფისებს ვალაგებდი და მოსამსახურედ ვმუშაობდი. ორ წელიწადში ფეხზე დავდექი და ახლა ეს ყველაფერი მივატოვო? არ არსებობს! აქ რომ ჩამოვედი, ერთ გამოცემაში მივედი, გაზეთების დარიგება უნდოდათ და მითხრეს, „სივი“ შეავსეო. რაც დავამთავრე და ვიცოდი, ის ჩავწერე და უარი მითხრეს. თქვენ, გენაცვალე, პროფესორის წოდება გქონიათ და ექიმის სტატუსი, რა გესმით გაზეთების დარიგებისო?! ***(იცინის)*** იმ დღეს ატირებული წამოვედი სახლში... იქიდან დალაგებაზე მივედი – ოფისში უნდოდათ. იქ მოვიტყუე, 2 წელია, დამლაგებლად ვმუშაობ-მეთქი და მიმიღეს მაგრამ, მესამე დღეს გამომაგდეს, არ იცი დალაგებაო.

**– ბოლოს ვინ დაგეხმარა? როგორ მოახდინე გარდატეხა იმ სამსახურების შემდეგ?**

– არავინ. ენის კურსებზე შევედი, ენა ვისწავლე ნელ-ნელა, მოვედი ამ აკადემიაში. კიდევ, ემერჯენსის ცენტრში ვაკანსია ჰქონდათ, გავაგზავნე მონაცემები და დამიძახეს. როცა ამერიკულ პარაფსიქოლოგიურ აკადემიაში მივედი, როგორც კი ნახეს ჩემი წიგნი და ჩემი მონაცემები, მაშინვე ამიყვანეს და ძალიან დაინტერესდნენ. მიხვდნენ, ნამდვილი სპეციალისტი რომ ვიყავი და მაშინვე, გამიფორმეს კონტრაქტი. პრინციპში, ჩემი დიდი პრობლემა მუდამ ენა იყო, რომ არა ეს, ასე არ დავიტანჯებოდი. მაშინ მხოლოდ ხელებით და მეგრულით თუ გავაგებინებდი რამეს ***(იცინის).*** ახლა ყველაფერი კარგად მიდის, ჩემი პროფესიით საქმიანობის გარდა რამდენიმე სააგენტოსთანაც ვთანამშრომლობ, თან, როცა დრო მრჩებოდა, როგორც ფოტომოდელს, რამდენიმე გადაღებაც მქონდა. მოკლედ, აქ ასეთი მხურვალე ცხოვრებაა. არც ერთ შანსს ხელიდან არ ვუშვებ.

**ანა სარალიძე**


**გაიადვილეთ საჭმლის მონელება**

**იქონიეთ მიიღეთ ეფექტური**

**კრეზამი**

**თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს**

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
**ირაკლი გაბრიჭიძე**

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
**ანატოლ ფრანსი**

**კითხვა: მაინტერესებს და, გთხოვთ, მაცნობოთ, რა შემთხვევაში არ აქვს ადვოკატს უფლება, მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის საქმის განხილვის პროცესში?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ ადვოკატი ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის საქმის პროცესში, თუ: ა) ამ საქმეში მონაწილეობდა როგორც მოსამართლე, ნაფიცი მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი, სასამართლო სხდომის მდივანი, მოწმე ან ექსპერტი; ბ) იურიდიულ დახმარებას უწევს ან უწევდა იმ პირს, რომლის ინტერესებიც ეწინააღმდეგება მის მიერ დასაცავი ბრალდებულის ინტერესებს, რომელსაც ის წარმოადგენს; გ) ნათესაური ურთიერთობა აქვს მოსამართლესთან, პროკურორთან, გამომძიებელთან ან სასამართლო სხდომის მდივანთან, რომელიც მონაწილეობს ან მონაწილეობდა ამ საქმის გამოძიებასა თუ სასამართლო განხილვაში.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა შედეგები შეიძლება მოყვეს სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის პროცესზე ამ პროცესის მონაწილე პირის გამოუცხადებლობას?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ, სასამართლოში პროცესის მონაწილის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას მას სხდომის თავმჯდომარე განკარგულებით აკისრებს ჯარიმას 100 ლარიდან 500 ლარამდე ოდენობით, რაც პროცესის მონაწილეს არ ათავისუფლებს გამოცხადების ვალდებულებისგან. ეს განკარგულება არ გასაჩივრდება. ჯარიმის ოდენობა უნდა იყოს შემაკავებელი ხასიათის, მიყენებული ზიანის პროპორციული და უნდა შეესაბამებოდეს პირის ფინანსურ მდგომარეობას.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, აქვს თუ არა სისხლის სამართლის პროცესში დაცვის მხარეს პროცესით დადგენილი ამა თუ იმ საპროცესო მოქმედებისთვის დადგენილი ვადის აღდგენის უფლება და რა პროცედურებია ამისთვის საჭირო?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ სასამართლო უფლებამოსილია მხარის, მათ შორის დაცვის მხარის შუამდგომლობით, აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი ვადა, თუ ეს არ იწვევს ბრალდებულის უფლებებისა და გარანტიების არამართლზომიერ შეზღუდვას. გაცდენილი ვადის აღდგენის შუამდგომლობა სასამართლოში წერილობით უნდა იქნეს შეტანილი საპატიო მიზეზის აღმოფხვრიდან 1 კვირის განმავლობაში. სასამართლო ამ საკითხს იხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე, 10 დღეში. ვადის საპატიო მიზეზით გაცდენის მტკიცების ტვირთი ეკისრება ვადის გამცდენ პირს. სასამართლოს გადაწყვეტილება გაცდენილი ვადის აღდგენის შუამდგომლობის შესახებ, საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**კითხვა: მაინტერესებს და, გთხოვთ, მაცნობოთ რა სახის ხარჯები შეიძლება ჩაითვალოს სისხლის სამართლის საპროცესო ხარჯებად?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ სისხლის სამართლის საქმეზე საპროცესო ხარჯებია: ბრალდებულის ადვოკატის მომსახურების ხარჯი; ექსპერტის გამოცხადებისა და მისი საქმიანობის ანაზღაურების ხარჯი; თარჯიმნის გამოცხადებისა და მისი საქმიანობის ანაზღაურების ხარჯი; მოწმის გამოცხადების ხარჯი; ნივთიერი მტკიცებულების შენახვისა და გადაგზავნის ხარჯი; ბრალდებულის ან მისი ადვოკატის შუამდგომლობით სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ხარჯი; დაცვის მხარისთვის ბრალდების მხარის მიერ გადაცემული ინფორმაციის ასლის გადაღების ხარჯი; ნაფიც მსაჯულთა გამოცხადებისა და სასამართლო განხილვაში მონაწილეობის ხარჯი; მტკიცებულებათა მოპოვების ხარჯი. რაც შეეხება ექსპერტს ან თარჯიმანს, მათ ანაზღაურება არ ეძლევათ, თუ საქმიანობისთვის სახელმწიფოს მიერ დანიშნული აქვს ხელფასი.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, ვინ ანაზღაურებს სისხლის სამართლის პროცესის ხარჯებს და კანონით ვის ევალება სხვადასხვა საპროცესო ხარჯის ანაზღაურება? ასევე, ვინ ადგენს კონკრეტულად სასამართლო ხარჯებს სისხლის სამართლის საქმეზე?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ ბრალდებულის ადვოკატის მომსახურების ხარჯს აანაზღაურებს უშუალოდ ბრალდებული, ხოლო, თუ დაცვა სახელმწიფოს ხარჯზე ხორციელდება – სახელმწიფო ბიუჯეტი. მსჯავრდებულს ეკისრება მისი ან მისი ადვოკატის მიერ დაზარალებულის, მოწმის, თარჯიმნისა და ექსპერტის მოწვევის, წარდგენილი ნივთიერი მტკიცებულების შენახვისა და გადაგზავნის, მისი ანდა მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების, ბრალდების მხარისგან მიღებული ინფორმაციის ასლის გადაღების ხარჯების ანაზღაურება. სასამართლოს უფლება აქვს, გადახდისუუნარობის შემთხვევაში, მსჯავრდებული მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს საპროცესო ხარჯების გადახდისგან. რამდენიმე პირის მსჯავრდების დროს, საპროცესო ხარჯებს თითოეული მათგანი ბრალის ხარისხისა და დანიშნული სასჯელის სიმკაცრის გათვალისწინებით, წილობრივად აანაზღაურებს. გარდაცვლილი ბრალდებულის ან მსჯავრდებულის მემკვიდრეები თავისუფლდებიან საპროცესო ხარჯების გადახდისგან. საკუთარი საპროცესო ხარჯების შესახებ ცნობას გამოძიების სტადიაზე ადგენს პროკურორი და წარუდგენს საქმის არსებითად განმხილველ მოსამართლეს. საქმის არსებითი განხილვისას, საკუთარი საპროცესო ხარჯების შეცვლის შემთხვევაში, პროკურორი ვალდებულია, შესაბამისი ცვლილებები ასახოს ცნობაში და წარუდგინოს სასამართლოს. პროცესის მონაწილის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას, სასამართლო განხილვის ამ მიზეზით გადადების ხარჯების ანაზღაურება დაეკისრება აღნიშნულ პირს. რაც შეეხება სასამართლო ხარჯების გამოანგარიშების მეთოდიკას, მას ადგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

**კითხვა: სისხლის სამართლის საქმეზე გამომძიებლის უკანონო ქმედების გამო, ჩემმა ოჯახმა განიცადა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. გთხოვთ, მაცნობოთ, მაქვს თუ არა უფლება მოვითხოვო ზიანის ანაზღაურება და დადებით შემთხვევაში როგორ?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ პირს უფლება აქვს, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მოითხოვოს და მიიღოს უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედებისა და უკანონო გადაწყვეტილების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. პირს, ასევე, უფლება აქვს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, როგორია პირის დაკავების ზოგადი წესი?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც კანონით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, ამასთანავე, პირი მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს, გამოძიების ადგილის მიხედვით, სასამართლოს პროკურორის შუამდგომლობით, ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს განჩინება პირის დაკავების შესახებ. ეს განჩინება არ გასაჩივრდება.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რამდენია პირის დაკავების საერთო ვადა?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ დაკავების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს, ხოლო, დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათისა, დაკავებულს უნდა გადაეცეს ბრალდების შესახებ დადგენილება. თუ ამ ვადაში დაკავებულს დადგენილება არ გადაეცა, ის დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.



ჟურნალ „თბილისელების“ რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჟურნალის საპატიო თანამშრომელი, უსაყვარლესი პიროვნება და ღირსეული ადამიანი, აკადემიკოსი **იაკობ ახუაშვილი.**

ბატონო იაკობ, ძალიან დაგვწყვიტეთ გული. მოგვენატრება თქვენი თბილი და სიკეთით სავსე ღიმილი. მსუბუქი იყოს თქვენთვის ქართული მიწა.

ჟურნალის რედაქცია თანაუგრძნობს ოჯახს და მთელ ქართულ საზოგადოებას.

# ინტიმური საუბრები

## ჩემს სიყვარულზე უარს ვერავის გამო ვერ ვიტყვი

მეხუთე კლასიდან მიყვარს ჩემი თანაკლასელი გოგონა. მასაც ძალიან ვუყვარვარ და სულ ერთად ვართ. არაჩვეულებრივი ადამიანია და მასთან ძალიან კარგად ვგრძნობ თავს. ვიცი, რომ ერთად ბედნიერები ვიქნებით, მაგრამ, დედაჩემს მისი სახელის გაგონებაც კი არ უნდა; გაიძახის, რომ ამ აშარაშკა დედაკაცის გომბიოს სახლში რძლად არ მივიღებო. არადა, ელენეს დედა სულაც არ არის უწესო ქალი. რა თავისი ბრალია, რომ პირველი ქმარი (ელენეს მამა) ნაძირალა გამოდგა?! ასეთ ქმართან ცხოვრებას გაყრა არჩია და სწორადაც მოიქცა. რამდენიმე წლის შემდეგ კი ძალიან კარგ კაცს გაჰყვა ცოლად. ელენე გიჟდება თავის მამინაცვალზე, ისიც ისე ექცევა, როგორც საკუთარ შვილს. გადასარევად არიან ერთმანეთთან და ძალიან თბილი და მოსიყვარულე ოჯახი აქვთ. რა უნდა ამ დედაჩემს, ვერ გამიგია. ოცდაოთხი საათი მათ ლანძღვაშია, ელენეზე კი ამბობს, ისიც დედის კვალს გაჰყვება და, რქებდადგმული რომ დარჩები, მერე მიხვდები, რომ დედისთვის უნდა დაგეჯერებინაო. ვითომ ელენეს დედის საქციელი აწუხებს, სინამდვილეში კი, ვიცი, რატომაც არის მათ მიმართ ასეთი აგრესიული: თავისი დაქალების შვილებმა ყველამ მდიდარი ოჯახების გოგოები შეირთეს ცოლად ან მდიდარ ბიჭებზე გათხოვდნენ, ელენეს ოჯახს კი თავზე არ გადასდის და არც მშობლები არიან პროფესორები და თანამდებობის პირები, ჰოდა, დედაჩემსაც ელახება თავმოყვარეობა თავის კიკიმორა დაქალებთან.

ძალიან მიყვარს დედა, მაგრამ, რამდენიც არ უნდა მეჩხუბოს, მე და ელენე მაინც დავქორწინდებით. უკვე გადაწყვეტილი გვაქვს, რომ სექტემბერში, ლექციები სანამ დაგვეწყება, ჯვარი დავიწეროთ. მე უკვე ორი კვირაა, მუშაობა დავიწყე და როგორმე ვიქირავებ ჩვენთვის ერთ ოთახს. დედაჩემს კი ელენესთან ბოდიშის მოხდა მოუწევს – ისე არ შევურიგდები.

მასთან ცხოვრებას კი არავითარ შემთხვევაში არ ვაპირებ, რადგან, ვიცი, რომ თავის „იაზვობასა“ და ელენეს მისამართით კენჭების სროლას თავს არ დაანებებს და, არ მინდა, მის გამო თავიდანვე უსიამოვნებები მქონდეს ახალშექმნილ ოჯახში, თანაც, ცოლთან, რომელიც სიცოცხლეს მირჩევნია.

რა ვქნა, როგორ გავაგებინო დედაჩემს, რომ მოგვცეს სიყვარულის უფლება?!

**დათა, 17 წლის.**





**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# ლია ხუციშვილი – ნათელმხილველი, რომელიც თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის

*ცნობილი ნათელმხილველი **ლია ხუციშვილი** სამ ათეულ წელზე მეტია, რაც ნათელხილვის ფენომენალური უნარით არის დაჯილდოვებული. მას განსაკუთრებული უნარი აქვს – ჩაწვდეს უცხო ადამიანის პრობლემას და მისი გადაჭრის საშუალებაც იპოვოს. მის შესახებ თბილისში ბევრს საუბრობენ – სასწაულებს ახდენსო, თუმცა თავად ლია ხუციშვილი საკუთარ თავზე საუბარს ყოველთვის ერიდება. ქალბატონი ლია ხილვებით ყველა იმ პრობლემას აგვარებს, რაც ადამიანებს აწუხებთ – დანგრეული ოჯახების აღდგენა, ფინანსური გაუმართლებლობა, ჩაკეტილი ბედი, შიშები. გთავაზობთ ინტერვიუს ქალბატონ ლიასთან, რომელიც დღეს თბილისში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნათელმხილველია.*

**ლია ხუციშვილი**: ჩვენ ნეგატიურად დამუხტულ გარემოში ვცხოვრობთ, სადაც ბევრი ცუდი მოვლენა ხდება. ერთხელ რაღაცაში არ გაუმართლებს ადამიანს და ის უკვე იწყებს ფიქრს, რომ მისი ცხოვრება უარესი და უარესი გახდება, ანუ თვითონვე უწყობს ხელს ნეგატიური ენერგიების დაგროვებას. ხანდახან ადამიანები თავად ახდენენ საკუთარი ენერგეტიკული ველის დეფორმაციას, რასაც ხელს უწყობს „შავი ძალების" ზემოქმედებაც. ბევრს არ სჯერა ჯადოს ზემოქმედება, ავი თვალი, გათვალვა, ხშიარდ სწორედ ასეთ ადამიანებს „ემუქრებათ" „საფრთხე". იმ პრობლემების ჩამონათვალი, რაზედაც ვმუშაობ, საკმაოდ მრავალრიცხოვანია – ვმუშაობ ჩაკეტილი ბედის აღდგენასა და დაკარგული პიროვნების დაბრუნებაზე, ჯადოს მოხსნაზე, ბედის გახსნაზე, თვალზე, ფინანსურ პრობლემებზე, რაშიც მეხმარება სპეციალური კომპონენტებისგან დამზადებული თილისმები, რომელთა გამოყენების შემდეგ ადამიანის ცხოვრება თავისუფალია უკეთესობისკენ. უმრავლესობა პირველივე ვიზიტზე გრძნობს შველას – თუ ადამიანი კარგად მომისმენს და მომყვება, ის პირველივე სეანსზე გამომყავს მდგომარეობიდან. ასეთ ადამიანებს ცხოვრება უცბად ეცვლებათ უკეთესობისკენ, სიხარული და წარმატება ისე იზიდავთ, როგორც მანამდე მარცხი იზიდავდათ მათ.



**ლალი კ-შვილი** ***(37 წლის, თბილისი):*** ქალბატონი ლიას შესახებ ერთ-ერთი ტელეშოუდან შევიტყვე. შემდეგ თანამშრომელმა მიამბო, როგორ დაეხმარა მის მეზობელს, რომელსაც სახლში 40 წელს გადაცილებული გაუთხოვარი ქალიშვილი ჰყავდა. ჩვენს ოჯახს ძალიან მძიმე პერიოდი დაუდგა. ჩემს მეუღლეს წარმატებული ბიზნესი ჰქონდა, მაგრამ ერთ დღეს ყველაფერი თავზე დაგვენგრა. თითქოს ჯადო გაგვიკეთა ვინმემ, უცებ გავკოტრდით. მაშინ მივედი ქალბატონ ლიასთან. სულ რამდენიმე ვიზიტი დაგვჭირდა – მან მოგვცა სპეციალური თილისმები, შელოცვები. ჩემმა ქმარმა ისევააწყო თავისი საქმე. მას შემდეგ ლიაზე ძვირფასი და ახლობელი ჩვენს ოჯახს არავინ ჰყავს.

**მაკა კ-ძე** ***(29 წლის, გორი):*** ხუთი წლის გათხოვილი ვიყავი, როცა ჩემსა და ჩემს ქმარს შორის ურთიერთობა გაფუჭდა. ჩვენი ოჯახი თითქმის დანგრევის პირას იყო მისული. მაშინ მითხრა მეზობელმა ქალბატონი ლიას შესახებ. მაშინვე აქეთ გამოვეშურე. პირველივე შეხვედრისას მითხრა: შენი ოჯახის დანგრევას შენი მული ცდილობსო. შევეწინააღმდეგე, ამას ჩემი მული როგორ იკადრებს-მეთქი, თუმცა ძალიან მალე დავრწმუნდი, რომ მისი ნათქვამი სიმართლე იყო. ერთი თვის განმავლობაში დავდიოდი ლიასთან. შემილოცა, თილისმები მომახმარა. მალე ჩემსა და ჩემს ქმარს შორის ურთიერთობა გამოსწორდა. ჩემი ოჯახი დანგრევას გადაურჩა. სამი თვე იყო გასული, მული ფეხებში ჩამივარდა და პატიება მთხოვა.

***უბარაქობა გაწუხებთ? დათარსული ხართ? პირადი ცხოვრება ვერ აგეწყოთ? – დაუკავშირდით ლია ხუციშვილს. ის თქვენი პრობლემების დადგენასა და მათ გადაჭრაში დაგეხმარებათ.***

***ლია ხუციშვილთან დასაკავშირებლად დარეკეთ 5 93 21 52 33 (ჩაწერა წინასწარ).***

***გლდანი, მეტრო „ახმეტელის თეატრის" მიმდებარე ტერიტორია, 52-ე კორპუსი.***

**თამარ ჩხენკელი**

**მარინა ბერიძეს „ტაიმ-აუტი“ აქვს – დღეს პარტერიდან, მაყურებლის როლში უყურებს იმ პროექტებს, რაც წლების განმავლობაში მის სახელთან იყო დაკავშირებული. ოფიციალურად, მისი დისლოკაციის ადგილი ისევ კულტურის სამინისტროს ღონისძიებათა დეპარტამენტია. კიბეზე ასვლა-ჩასვლის ჩვეული ცხოვრების მორიგ რთულ პერიოდს ისე გადის, მისი „ორბიტიდან“ ბევრი ხალხი დაიკარგა, თუმცა ამაშიც უკვე ისე „გამოწრთო“ ცხოვრებამ, რომ „სიურპრიზებიც“ კი აღარ უკვირს.**

# რომელი „მაფიის” წევრია მარინა ბერიძე და როგორ „მონათლა” ის დოიმ

**მარინა ბერიძე**: ჩემს ცხოვრებაში ეს უკვე მეოთხედ მოხდა და ასეთ ცვლილებებს თითქოს შეჩვეული უნდა ვიყო, მაგრამ, მაინც რთულია, როცა დღეს ვიღაცას მოსწონს ის, რასაც აკეთებ, ხვალ კი – არა; დღეს მოსწონხარ ადამიანებს, ხვალ – აღარ; დღეს გთვლიან შენი საქმის პროფესიონალად და უცებ, აღარ ხარ პროფესიონალი. ეს ჩვეულებრივი ამბავია, ამაში გაიარა ცხოვრებამ, რაც, ჩემი აზრით, არც ერთ ქვეყანაში არ ხდება. ადამიანები იმით ფასდებიან, რაც გაუკეთებიათ და არა პოლიტიკური კონიუქტურიდან გამომდინარე. მე კარგად ვიცი, როგორ გავუმკლავდე ასეთ ეტაპებს, ეს ოთხჯერ მაქვს გავლილი: პირველ ყოვლისა, საკუთარ თავში უნდა ეძებო, რა შეცდომა დაუშვი. მე მიყვარს ფიქრი და ანალიზი, მაგრამ, დროს არ ვკარგავ ფიქრში: „ვაიმე, დედა, რატომ აღარ მოვწონვარ ამათ? რატომ მიწერენ „ფეისბუქზე,“ რომ მე არაფერი მეკითხება?“ არა, მე ვეთიშები რეალობას და ვიწყებ ფიქრს, რა შეიძლება გააკეთო ისეთი, რაც იქნება განსხვავებული. მინდა გითხრათ, ყველაფერი, გია ყანჩელის პროექტით დაწყებული, „ანა-ბანათი“ და „ჯეოსტარით“ დამთავრებული, ასეთ რთულ პერიოდებში მაქვს გაკეთებული. გარემოებები ისე გაჯანჯღარებს, მოდუნების საშუალებას არ გაძლევს, მაგრამ, ხომ შეიძლება, რაღაც ასაკში აღარ გჭირდებოდეს იმის დამტკიცება, რომ ეს შეგიძლია?! თუმცა, რას ვიზამთ, ჩვენ ხომ უნიკალურ ქვეყნაში ვცხოვრობთ. მინდა გითხრათ, რომ მე არასდროს არც ერთი მთავრობა არ მერჩის, მე მერჩიან მთავრობას მოყოლილი პატარა ადამიანები, რომლებიც ამ 25 წელიწადში არ იცვლებიან და მოსვლისთანავე იმის ფიქრს იწყებენ, ამ ქალს როგორ ვერ მოვუღეთ ბოლოო.



**არ მინდა, გადავიმტერო ქართველი კაცები**

**– თქვენ გარეშე ჩატარდა რამდენიმე მუსიკალური პროექტი. როგორ შეაფასებთ მათ?**

– თავიდან, როცა ძალიან რთული პერიოდი მქონდა, უფრო მტკივნეულად აღვიქვამდი ამ პროცესს, მაგრამ, ყველაფერს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე. როგორც არასდროს, ახლა მქონდა ბევრი თავისუფალი დრო, დავმჯდარიყავი და მენახა ყველა მუსიკალური პროექტი ყველა არხზე. შემიძლია კატეგორიულად ვთქვა, რომ „რუსთავი 2-ის“ მუსიკალური პროექტები აღმოჩნდა ძალიან რეიტინგული. ამ ტელევიზიას აქვს პროფესიონალიზმის უდიდესი ნიშა, სხვაგან ასეთი მაღალი დონის პროექტები ვერ ვნახე. ყველა „ტელევიზიონშჩიკმა” კარგად იცის, რომ, თუ პროექტს არ აქვს რეიტინგი, რაც არ უნდა ვიძახოთ, ეს ღირებული და მნიშვნელოვანი პროექტიაო, აზრი არ აქვს. იმის მიუხედავად, რომ აქებდნენ ყველა კონკურსანტს, შემიძლია, გითხრათ, რომ „საქართველოს ვარსკვლავის” ფინალში დარჩა სამი უნიჭიერესი გოგონა და გაიმარჯვა ღირსეულმა – ნინა სუბლატმა. მე მას თავიდანვე დავადგი თვალი. ნუკა გვალიაც ძალიან ნიჭიერი გოგონაა, მაგრამ, ნინა სუბლატი არის ახალი ფენომენი, ახალი სახე. მე არანაირად არ მიმიწვდებოდა ხელი ამ პროექტზე, მაგრამ, ძალიან მინდოდა, რომ მას გაემარჯვა.

**– ზარიც ხომ არ გაგიშვიათ მის მხარდასაჭერად?**

– არა, მე ხომ ეს წლების განმავლობაში მქონდა აკრძალული და ამას მივეჩვიე. მე ვიყავი მაყურებელი, რომელიც პროფესიონალური თვალით უყურებდა ყველა დეტალს. ათი წლის წინ, როცა ჩვენ ამ პროექტების გაკეთება დავიწყეთ, ეს იყო ახალი ხილი. მაშინ პროექტების ლიცენზიების მფლობელებმა ჩვენ დაგვაყენეს ულტიმატუმის წინაშე: თუ რომელიმე კონკურსში გაიმარჯვებს არაღირსეული კანდიდატი, ჩვენ აღარ მოგყიდით პროექტებსო. მათი მოთხოვნა იყო საუკეთესო კონკურსანტის გამარჯვება არა ბიძაშვილ-მამიდაშვილობის ხათრით, არამედ, ხალხსა და მაყურებელს უნდა გაეკეთებინა სწორი არჩევანი. იმისთვის, რომ პროექტები ყურებადი გამხდარიყო და „წამოგვეყვანა” მაყურებელი აღზევებული ცუდი ქალაქური, ცუდი ინგლისური სიმღერიდან მაღალ სტანდარტამდე, ბრძოლა და კრიტიკა იყო საჭირო. ბრძოლა იმისთვის, რომ რაღაც ვარგოდა, რაღაც – არ ვარგოდა. მე ბედნიერი ვარ, რომ ამ წლებში მაყურებელი ისე გაიზარდა, რომ ის სწორ არჩევანს აკეთებს. „ახალი ქართული ხმა” უფრო რთული პროექტი იყო ფსიქოლოგიურად, ვიდრე „საქართველოს ვარსკვლავი”, მით უფრო რთული იყო ჩემთვის „საბავშვო ახალი ხმა”. მე ვიცი, რასაც ნიშნავს ბავშვებთან ურთიერთობა, ამიტომ, ამ პროექტის ყურება ჩემთვის ემოციურად იყო რთული. რაც შეეხება „მაგთიფანს,“ შესაძლოა, „მაგთიფანში” იყო საინტერესო მომენტები, მაგრამ პროექტი არ იყო ყურებადი. როცა პროექტის ყურებადობა არის დაბალი, რაც არ უნდა პროფესიონალები აკეთებდნენ ამ პროექტს, მისი ფასიც ძალიან დაბალია. ჩვენი პრობლემა ისაა,

**მე ახლა ვარ „ვოლკ ადინოჩკა”**

რომ არ გვაქვს საპროდიუსერო სკოლა. ჟიურის წევრები ყველა ქვეყანაში არიან პროდიუსერები – ეს დიდი პლუსია ჟიურისთვის.

**– ახლა რომ რომელიმე მუსიკალური პროექტის ჟიურის წევრი ყოფილიყავით, კვლავ ისე განაგრძობდით კონკურსანტების ხისტ კრიტიკას, როგორც ეს ადრე იყო?**

– მე არასდროს არ გამოვსწორდები, რაღა დროს ჩემი გამოსწორებაა?! მე თუ ვაკრიტიკებდი ვინმეს და ორას კაცში ვეუბნებოდი ჩემს სათქმელს, ამას ვაკეთებდი კონკურსის მაღალი სტანდარტისთვის და თავად მათთვის, მონაწილეთათვის. რა ჯობია – ბავშვს რომ ეუბნები, მაგარი ხარ, მაგრამ, არ მჭირდებიო, თუ, ის, რომ უთხრა – ვერ იმღერებ ამის და ამის გამო? „ვგიჟდები შენზე, რა საყვარელი ხარ, სახლში წაგიყვან, მაგრამ, წადი,“ – ამას ვერ ვიგებ. მე მართლაც ვარ მკაცრი და მომთხოვნი, არ მაქვს იოლი ხასიათი. რასაც ვფიქრობ, იმას ვამბობ და ეს ბევრად უფრო ადვილია ჩემთვის, ვიდრე ის, რომ სხვა ვიფიქრო, სხვა ვთქვა და სულ სხვა რამ ვაკეთო. ალბათ, ამის გამო, მთელი ჩემი ცხოვრება არის გაუთავებელი ბრძოლა. არსებობს ადამიანების კატეგორია, რომელთაც ძალიან უნდათ, ჩემგან მტრის ხატი შექმნან. მინდა ვუთხრა იმ ადამიანებს: ბოლო 25 წელია, ამას აკეთებენ, მაინც ცოცხალი ვარ და ცხოვრება მიხარია! ხომ უნდა მიხვდნენ, რომ ტყუილად ირჯებიან? მაინც მოვიფიქრებ ისეთ რამეს, რაც არავის მოუფიქრებია. არასდროს გამიმეორებია ერთი და იგივე, ყოველთვის შემიძლია, მოვიფიქრო ისეთი რამ, რაც არ არის ბაზარზე.

**– და, ფიქრობთ, რომ თქვენთვის ტელევიზიების კარი ღია იქნება?**

– ისეთი რამ უნდა მოიფიქრო, რაც მათთვის იქნება კარგი და რისი გაკეთებაც ძალიან მოუნდებათ. ეს ყოველთვის ასეა – უნდა გააკეთო ის, რაც სხვას არ გაუკეთებია. ვიცი, რომ რაღაც პერიოდი ჩემი თავი და ჩემი პროექტი არ მოუნდებათ, გააკეთებენ ბევრ ივენთს, კონცერტებს, მაგრამ, სადღაც გაიჭედებიან და მაინც მოვლენ ჩემთან. მე ყოველთვის რამდენიმე ადგილზე ერთად ვმუშაობდი, ახლა ის შემთხვევაა, როცა მხოლოდ ერთ სამსახურში ვარ. იცი, რამდენი დრო მრჩება ახალ პროექტებზე ფიქრისთვის?! ყველა ეს პროექტი „თაროზეა” შემოდებული და ერთ დღეს მათი „გადმოლაგების” დროც მოვა.

**– იყო დრო, როცა ყველა მუსიკალური პროექტი თქვენს სახელთან იყო დაკავშირებული. ახლა როცა არაფერს გეკითხებიან, რთულია?**

– მაყურებლის როლში ვარ, შესაძლოა, პარტერშიც აღარ ვზივარ, მაგრამ, არაა პრობლემა. მე ბევრი მივლია ამ კიბეზე მაღლა-დაბლა. ზოგს ჰგონია, ავიდა კიბეზე და არასდროს აღარ ჩამოვა დაბლა. ყველაზე მაგარი, იცი, რა არის? კიბიდან ქვემოთ ჩამოსული ისევ მაღლა რომ უნდა ახვიდე. მე ეს გავლილი მაქვს. მგონი, ბევრად საინტერესოა, ვმოქმედებდე, ვიდრე ისე, უმოქმედოდ ვიჯდე. მე მიყვარს ჯანსაღი ანალიზი – ვიცი, თუ რამ ცუდი მოხდა ჩემს ცხოვრებაში, ჩემი ბრალი იყო, მხოლოდ და მხოლოდ ჩემი და არავის არაფერს ვაბრალებ. ამ პრინციპით უნდა იცხოვრო, თუ გინდა, რომ კიდევ ახვიდე კიბეზე. თუ დაჯექი ბოლო საფეხურზე და იძახე, რა საზიზღარია ყველა, მარტო მე ვარ ერთადერთი და განუმეორებელიო, დარჩები იმ კიბეზე. არასდროს არავის ბოლმით და ჯიბრით არ უნდა გააკეთო არაფერი. ამ თვეებში ადამიანების არმია დაიკარგა ჩემი ორბიტიდან, დაიკარგნენ უგზო-უკვლოდ. აქ ხომ არ არსებობს კოლეგიალობა – ორი კაცი რომ დადგება ერთად, მათაც სძულთ ერთმანეთი. აქ ვერ გამოდის გუნდი ისე, როგორც სხვა ქვეყნებში, თუნდაც რუსეთში.

**– იქ გუნდი მაფიად იქცა.**

– აქ რომ არც ეგ გამოდის?! მაფიაც კი ერთიანობის პრინციპზეა დამყარებული, რაც ჩვენში არ არსებობს.

**– თქვენ რომელი „მაფიის” წევრი ხართ?**

– ახლა მე ვარ „ვოლკ ადინოჩკა” ***(იცინის).*** მე სხვანაირი ხასიათი მაქვს: როცა ვინმეს უჭირს, თუ ის ჩემიანია, ყველა წყენა მავიწყდება და მისკენ მივექანები. არავის არაფერი არ უნდა მოსთხოვო. მაგრამ, როცა შენ ასე იქცევი, სხვა კი – სხვანაირად, გწყინს. მაგრამ, იმ წყენიდანაც შენთვის სასარგებლო დასკვნა უნდა გამოიტანო და კიდევ უნდა სცადო. ერთ დღეს ყველა ერთად წავიდა ჩემი ცხოვრებიდან, ბევრი რამ დაიშალა ერთად, მათ შორის – ჩემი გუნდიც. ის არჩევანი, რაც ჩემმა გოგონებმა გააკეთეს, იყო მათი არჩევანი. არ ვიცი, რას შეეწირა ჩვენი ურთიერთობა, შეიძლება, დავღალე

**(გაგრძელება 46-ე გვერდზე)**

ბაკურიანი

# ჯანსაღი ცხოვრების წესი – „ბაკურიანთან“ ერთად

*გამაჯანსაღებელი ვარჯიშები რომ ყველა ადამიანისთვის საჭიროა, ამაში, ალბათ, დამეთანხმებით, თუმცა ვარჯიშს და ტრენაჟორზე სიარულს ხშირად ვერ ვახერხებთ. ლამაზად რომ გამოვიყურებოდეთ, უნდა ვიცხოვროთ ჯანსაღი ცხოვრებით, რაშიც „ბაკურიანი“ გვეხმარება. აგვისტოს თვე, მოგეხსენებათ, ზღვაზე დასვენების სეზონია და „ბაკურიანის“ ვარჯიშებიც თბილისის ნაცვლად ბათუმში გაგრძელდება. „ბაკურიანის“ ბრენდმენეჯერი ნინი ჩიქოვანი, თავად გვიამბობს ამ პროექტის შესახებ.*



**– აგვისტოში „ბაკურიანი“ მსურველებს საშუალებას აძლევს, ბათუმში ივარჯიშონ. გაგვაცანით დეტალური ინფორმაცია პროექტის შესახებ.**

– დიახ, ვარჯიშები გაიმართება ბათუმში, „სოჰო ლაუნჯის“ ტერიტორიაზე. 10 აგვისტოდან 25 აგვისტომდე, ყოველდღე, დღეში ორჯერ. პირველი ვარჯიში იქნება დილის 10:00 საათზე, მეორე – 16 საათზე. მსურველებს ეძლევათ საშუალება, პროფესიონალ ტრენერთან ერთად ივარჯიშონ. სილამაზის შესანარჩუნებლად აუცილებლია, ვიცხოვროთ ჯანსაღი ცხოვრების სტილით, რაშიც „ბაკურიანი“ ყოველთვის უწყობს ხელს თავის მომხმარებელს.

*ზღვის პირას, გამაჯანსაღებელ ვარჯიშებს, პროფესიონალი ტრენერი ირმა ყიფშიძე გაუძღვება.*

**– ირმა, აგვიხსენით, რამდენად მნიშვნელოვანია გარეგნობისთვის ვარჯიში?**

– მოგეხსენებათ, ადამიანის სხეულისთვის მნიშვნელოვანია სისტემატიური ვარჯიში, რომ ყოველთვის ლამაზად გამოვიყურებოდეთ, შესაბამისად, ზაფხულიც კარგი სეზონია თავის ფორმაში მოსაყვანად. შუადღის მწველ მზეზე, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელი და არარეკომენდებულია ვარჯიში, სწორედ აქედან გამომდინარე, დრო ისე არის შერჩეული, რომ ვარჯიშის მოყვარულ და მსურველ ადამიანებს შუადღის მზემ დაბრკოლება არ შეუქმნას. დილის 10 საათზე დაიწყება დილის ვარჯიში, ხოლო საღამოს ვარჯიში 16:00 საათზე.

**– რას ურჩევთ იმ ადამიანებს, რომლებიც ისვენებენ ბათუმში და გეგმავენ „ბაკურიანის“ პროექტში მონაწილეობას?**

– ყველა იმ ადამიანს, ვისაც დაგეგმილი აქვს ჩვენთან ერთად ვარჯიში ვურჩევ, რომ ვარჯიშამდე მინიმუმ 1 საათით ადრე აუცილებლად მსუბუქად ისაუზმოს, ხოლო დამთავრების შემდეგ, 2-3 საათის განმავლობაში საკვები არ მიიღოს, თუკი წონაში დაკლების სურვილი აქვს. რა თქმა უნდა, ყველაზე მნიშვნელოვანი ვარჯიშის პროცესში წყლის მიღებაა. ვარჯიშის დროს რეკომენდებულია წყლის მიღება ყლუპ-ყლუპებით.

სილამაზის შესანარჩუნებლად წყაროს წყალს დიდი მნიშვნელობა აქვს. იმისთვის, რომ კარგად გამოვიყურებოდეთ, გავითვალისწინოთ კოსმეტოლოგების, დიეტოლოგების, ვარჯიშის ინსტრუქტორების რჩევა და დღის განმავლობაში მივიღოთ, მინიმუმ, 2 ლიტრი წყალი, რომ ლამაზადაც გამოვიყურებოდეთ და მუდამ ფორმაშიც ვიყოთ.





# როგორი ქალები სჭირდებათ კაცებს რეალურად და რატომ აქვთ ქალებს ილუზიები კაცებთან დაკავშირებით

**ქალების მთავარი შეცდომა არის ის, რომ საკუთარი ფანტაზიით შექმნილ სამყაროში ცხოვრობენ, ილუზიების ტყვეობაში და, მხოლოდ მაშინ აღიქვამენ რეალობას ადეკვატურად, როცა მათ ძალიან მწარე ტკივილს მიაყენებენ. რატომ უნდა დახუჭო თვალი შეგნებულად იმაზე, რასაც თვალსაჩინოდ ხედავ და გრძნობ?! რამ უნდა გაგაკეთებინოს ეს – სიყვარულმა?! იქნებ, მარტო დარჩენის შიშმა? – ფსიქოლოგებს ერთგვაროვანი პასუხი ამ კითხვაზე არ აქვთ, თუმცა, ეს ვერაფერი ნუგეშია მათთვის, ვისაც იმედი გაუცრუვდა და მოლოდინმა არ გაუმართლა.**

**ანი** ***(23 წლის):*** მე აღარ მჯერა მამაკაცების. ეს უბრალო განცხადება არ არის. არც ისეთი დიდი ვარ, რომ სრული იმედგაცრუება გამოვხატო და ჩემს ცხოვრებას ჯვარი დავუსვა, მაგრამ, ადვილად რომ აღარავის ვენდობი, ფაქტია. ახლა ქმარიც მყავს, თუმცა, არა მგონია, მის გვერდით დიდხანს გავჩერდე. მეეჭვება, ჩვენგან ტკბილი და ბედნიერი წყვილი გამოვიდეს.

**– რატომ?**

– ურთიერთობა არ განვითარდა ისე, როგორც უნდა განვითარებულიყო. ამაში, ალბათ, მეც ვარ დამნაშავე, მაგრამ, სიყვარული იყო ის, რამაც საღად განსჯის უნარი დამაკარგვინა.

**– ქალები თავიანთი შეცდომების გადასაფარად ხშირად მოიშველიებენ ხოლმე სიყვარულს.**

– ჰო, ალბათ, თქვენ მართალი ხართ. ასე ვცდილობთ, შეგნებული სიბრმავე გავამართლოთ. მაგრამ, რატომ? რატომ ვაძლევთ ჩვენზე ბატონობის, ჩვენი გამოყენების უფლებას მამაკაცს, რომელიც არაფრით არის ჩვენზე უკეთესი?! უკეთესობაშიც არ არის საქმე, უფრო, ქალების უთავმოყვარეობაშია. საკუთარ პიროვნებას არ ვაფასებთ და მერე გვწყინს, როცა შეურაცხყოფას გვაყენებენ ან გვამცირებენ. დააკვირდით, როგორი ქალები ცხოვრობენ ბედნიერად და ქმრები სრულ მორჩილებაში ჰყავთ? – ისინი, ვისაც საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა აქვთ. საერთოდ არაფერს წარმოადგენენ, მაგრამ, პრეტენზიები აქვთ ისეთი, პრინცესა ვერ მივა მათთან. უმართლებთ კიდეც – იღებენ იმას, რაც უნდათ. წესიერი და მოკრძალებული ქალები როგორ ვიქცევით? – „უი, მე მისი შესაფერისი არ ვარ, ის ბევრად მჯობია“, „ისეთი კარგია, მასზე სერიოზულად ვერ ვიფიქრებ“, „ეგ მე ცოლად არ შემირთავს“... – გაუმართლებელი და სულელური დოგმებია, რომლებითაც თავს ვიკომპლექსებთ. მე ისეთებსაც ვიცნობ, ბიჭები რომ აჩრდილივით დასდევდნენ უკან და თავად უმტკიცებდნენ – შენ მე არ შეგეფერებიო. მოსწონხარ ადამიანს და რა გალაპარაკებს?! მეც არასრულფასოვნების კომპლექსი მჭირდა. პრინცს ველოდებოდი და, თან, თავს ვირწმუნებდი, მე არ ვარ მისი ღირსი-მეთქი, ხოლო, როცა გამოჩნდა ეს „პრინცი,“ კარგად არ შევხედე და საკუთარ თავს რეალობის დანახვის საშუალება არ მივეცი. ამას ჰქვია სისულელე, თანაც გამოუსწორებელი. ვის დავაბრალო, რაც დამემართა?! ბრმა აღმოვჩნდი სიყვარულში. მარტო ერთი კი არა, ორივე თვალი დავხუჭე. როცა კაცს საშუალებას აძლევ, გამოგიყენოს როგორც ნივთი, ის ამაზე უარს არ იტყვის.

**ახლა ქმარი მყავს, თუმცა, მეეჭვება, ჩვენგან ტკბილი და ბედნიერი წყვილი გამოვიდეს**

**– ალბათ, ეს ყველა კაცს არ ეხება.**

– ყველას ეხება – მე ასე ვფიქრობ. ადამიანი ბუნებით ეგოისტია. აგრძნობინებ, რომ ბევრს არაფერს წარმოადგენ და მზად ხარ, შენზე აბატონო?! – შეყვარებულიც რომ იყოს, მაინც ეგოისტურად მოგექცევა – შენში პიროვნებას ველარ დაინახავს და ზედ გადაგივლის. სხვათა შორის, დედაჩემიც არის დამნაშავე იმაში, რომ ასეთი არასრულფასოვნების კომპლექსი მქონდა. სულ იმას მიმეორებდა, ჩვენ არ გვაქვს ისეთი ოჯახი, რომ მდიდარმა და წარმატებულმა კაცმა ცოლად შეგირთოსო. რით დააინტერესებ ასეთ კაცს? – არც ფული გაქვს და არც მოდელის გარეგნობა. ისევ შენნაირი მოკრძალებული და საშუალო ფენის წარმომადგენელი თუ წაგიყვანსო.

**– თქვენ გქონდათ პრეტენზია მდიდარ და წარმატებულ მამაკაცზე?**

– მე პრეტენზია მქონდა სიყვარულზე. მგონი, სრულიად ბუნებრივია, ხომ მართალი ვარ? ნამდვილად არ ამირჩევია მამაკაცი კონკრეტული მონაცემებით, როგორც ამას ბევრი ქალი აკეთებს და მოგებულებიც რჩებიან. ჩემი რჩეული რომ დავინახე... – ვერ ვამბობ, ქმარი-მეთქი, ჯერ კიდევ ვერ ვაცნობიერებ, ვერ ვეგუები, რომ ქმარია...

**– რატომ?**

– იმიტომ, რომ ჩემად ვერ მივიჩნევ. სულ მგონია, რომ ვალი მოიხადა ჩემი ცოლად შერთვით, თორემ, რეალურად, არც ვუყვარვარ და არც ვაინტერესებ. სხვაც ჰყავს და იმასთან უკეთესად გრძნობს თავს.

**– დარწმუნებული ხართ ამაში?**

– დიახ. როცა ეს ვუთხარი, მიპასუხა – შენ ხომ ჩემი ცოლობა გინდოდა, დანარჩენი აღარ უნდა გაინტერესებდესო. მითხარით, არ უნდა ვიფიქრო, რომ, ჩემი ეჭვი საფუძვლიანია?! სამწუხაროდ, კონკიას ამბავი მარტო ზღაპრებსა და კინოებშია. რეალურ ცხოვრებაში არც ერთი კაცი არ ფიქრობს ცოლის გაბედნიერებაზე. ტყუილია, თითქოსდა, არიან მამაკაცები, რომლებიც ცხოვრობენ და არსებობენ იმისთვის, რომ ქალს შეუქმნან მაქსიმალური კომფორტი; რომ მხოლოდ მისი ბედნიერება და სიხარული ადარდებთ... თუ ამ ილუზიას აჰყვები, დაიღუპები. ჩემი ქმარი დანახვისთანავე შემიყვარდა. მე მედდა ვარ და ჩვენს კლინიკაში ექიმად მოვიდა. პირველივე დღეს, დერეფანში რომ შემხვდა, სული შემიგუბდა. როცა ამას ვეუბნები, არ სჯერა და დამცინის: შენ ყველაფერი წინასწარ გქონდა გათვლილი და დაგეგმილი. პირველივე წუთიდან სრული დოსიე გქონდა ჩემზე და, გადაწყვიტე, რომ შენთვის საუკეთესო ვარიანტი ვიყავიო. ამით საშინლად მომიკლა გული. იცით, პრობლემა რაშია? ურთიერთობა არაჩვეულებრივად დაიწყო. გიორგიმ ეგრევე შემამჩნია, რომ ძალიან მომეწონა. რა შემჩნევა ამას უნდოდა – მერე სულ მიღიმოდა და კომპლიმენტებს მეუბნებოდა, კაფეშიც დამპატიჟა. მაშინვე მიხვდებოდით, ბედის ნებიერა რომ იყო: ძალიან ძვირფასი ტანსაცმელი ეცვა... ახალი, სპორტული მანქანა ჰყავდა. თავდაჯერებული და თავმომწონე იყო. როგორი „ნაცრისფერი თაგვი“ ვარ ამის გვერდით-მეთქი, ვიფიქრე. თურმე, არასდროს არ უნდა დააყენო ვინმე შენზე წინ – ეს აქსიომად უნდა გაიხადო და მაშინ მწარე ცრემლების ღვარლვარსაც გადარჩები. თავიდან გიორგი ძალიან ყურადღებიანი იყო, ცდილობდა ჩემი გულის მოგებას, მაგრამ თავისი არც ერთი მეგობარი არ გაუცნია და ისეთ ადგილებში დავყავდი, სადაც მისი ნაცნობების შეხვედრის შანსი ნაკლებად იყო. მე ამას

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ჩემი ქმარი ნორმალური ადამიანია და, ასე თუ ისე, კარგი ურთიერთობაც გვაქვს: არ ვჩხუბობთ, რაღაც საკითხებში ერთმანეთს ვუგებთ კიდეც, მაგრამ, პრობლემა მაინც არსებობს – საშინლად ბრაზობს, როცა მის უკითხავად ჩემთვის რამეს ვყიდულობ, ანუ, ყიდვის უფლება მარტო მას აქვს. შეუძლია, ძალიან ძვირფასი სამკაული მომიტანოს ან ჩემს ფეხსაცმელში დიდი თანხა გადაიხადოს, მაგრამ, ერთი უბრალო მაისურიც რომ ვიყიდო მასთან შეუთანხმებლად, გაგიჟდება. ვერ გავიგე, ეს რა ფენომენია და როგორ უნდა ვუშველო. თქვენ რას მირჩევთ?**

**გამოხმაურება:** თქვენს ქმარს ლიდერობა უნდა და ამით გეუბნებათ, რომ მას აქვს ყველაფრის განკარგვის, ყველა გადაწყვეტილების მიღების უფლება. ასეთი მამაკაცები არსებობენ და მათი შეცვლა პრაქტიკულად შეუძლებელია. სხვა გზა არ გაქვთ, უნდა შეეგუოთ. ხოლო, როცა რამის ყიდვა მოგინდებათ, მორიდებით სთხოვეთ ნებართვა.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

# რატომ შეწყდა კავშირი ზუგდიდელ დასა და რუსეთში მცხოვრებ ძმას შორის

*52 წლის ალა გრიგორის ასული აგაფონოვა (მეუღლის გვარზეა) ეძებს 86 წლის ლუბოვ ივანეს ასულ ხვინგიას (მეუღლის გვარზეა).*

**ისტორია**: ვეძებ მამიდაჩემს, 86 წლის ლუბოვ ხვინგიასა და მის ნათესავებს. როგორც ჩემთვის ცნობილია, ბოლოს მამიდაჩემი თავის ოჯახთან ერთად საქართველოში, ქალაქ ზუგდიდში, სოფელ ჩიტოწყარში (სოფლის სახელწოდებაში დარწმუნებული არ ვარ) ცხოვრობდა. მასთან კავშირი ოცი წელია, არ გვქონია. უშედეგოდ ვგზავნიდით წერილებს – არც ერთ წერილზე პასუხიც კი არ მიგვიღია. ძალიან გთხოვთ, დაგვეხმარეთ მის პოვნაში. გვაქვს მამიდას ერთი ფოტო, რომელზეც ის თავის შვილთან ერთად არის გადაღებული



**– როგორ დაკარგეთ ნათესავებმა ერთმანეთი? გვიამბეთ თქვენი ისტორია.**

– რუსეთ-საქართველოს შორის კონფლიქტური ვითარების შექმნის შემდეგ (დაახლოებით 1992 წელი), მამიდასთან კავშირი შეწყდა. თავად ჩვენ რუსეთში ვცხოვრობთ, მამიდა კი საქართველოშია გათხოვილი. თავდაპირველად ჩვენ მას წერილებს ვერ ვუგზავნიდით, ხოლო, როგორც კი ქვეყნებს შორის ფოსტა აღდგა, მაშინვე მივწერეთ, მაგრამ, პასუხი არც ერთ წერილზე არ მიგვიღია. მამაჩემი, გრიგორი, ამჟამად 84 წლისაა და ძალიან განიცდის, რომ ლუბას ვერ უკავშირდება. გვაინტერესებს, როგორ არიან საქართველოში მცხოვრები ჩვენი ნათესავები. სამწუხაროდ, ყველა ჩვენი ცდა, დამოუკიდებლად მოგვეძებნა ისინი, უშედეგო აღმოჩნდა. გადავწყვიტე, დახმარებისთვის თქვენთვის მომემართა. ბოლოს ლუბა ზუგდიდში, სოფელ ჩიტოწყარში (ჩიტოწყალში) ცხოვრობდა. მას ჰყავს ვაჟი – ალექსანდრე ხვინგია.



**– აქამდე თუ ეძებდით მამიდას?**

– დიახ, რამდენიმე წელია, რაც ჩვენ მას აქტიურად ვეძებთ, „ჟდი მენიას“ სამძებრო საიტზე განაცხადიც კი გავაკეთეთ, მაგრამ, ჯერჯერობით სიახლე არაფერია. გავიგეთ, რომ თქვენ ეხმარებით ადამიანებს ერთმანეთის მოძებნაში და თქვენთან დაკავშირება გადავწყვიტეთ.

**– მამიდის პოვნის შემთხვევაში, აპირებთ თუ არა საქართველოში მასთან შესახვედრად ჩამოსვლას?**

– აუცილებლად ჩამოვალ, თუკი მას ვიპოვით; ყველანაირად ვეცდებით მის ნახვას. მამაჩემს ძალიან უნდა დის პოვნა. ისეთ ასაკშია, რომ მისი სურვილი ჩვენთვის კანონია. მამიდაც საკმაოდ ასაკოვანია. დიდი იმედი გვაქვს, რომ ის კარგად და ჯანმრთელადაა. მამამ იცის, რომ დის მოძებნაში ვეხმარები და უხარია. ძალიან განიცდის დასთან ტერიტორიულ სიშორეს. ამდენი წლის განმავლობაში დის ხმაც არ გაუგონია და მისი პოვნა ძალიან გაახარებს. მეუბნება, თუკი ჩემს ლუბაშას ვიპოვი, მეორედ დავიბადებიო.

*თუ გაქვთ რამე ინფორმაცია ამ ისტორიის შესახებ ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.*

**ნატალია მახარაშვილი**

---

ცხვდებოდი, მაგრამ, შეგნებულად ვიბრმავებდი თვალებს. არც იმის დაჯერება მინდოდა, რომ მისთვის მხოლოდ გასართობი ვიყავი და არა საყვარელი და სასურველი ქალი.

**– ასეთი შესამჩნევი იყო მისი „მსუბუქი“ დამოკიდებულება?**

– შესამჩნევი იყო, რა თქმა უნდა! არც ერთმა ქალმა არ თქვას, რომ ასეთ რაღაცას ვერ ამჩნევს. რა სისულელეა! საამისო „განათლება“ და მიხვედრილობა ყველას აქვს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საკუთარ თავს იდიოტური და წამგებიანი პირობები შევუქმენი.

**– რას გულისხმობთ?**

– იმას, რომ ის პრინცად წარმოვაჩინე, მე კი საწყალი, უფერული მოახლის როლი მოვირგე. უფლისწულს ხომ ყველაფერი ეპატიება და ყოველთვის მართალია! როგორ შეიძლებოდა, მე, უბადრუკს, მისთვის რამე შენიშვნა მიმეცა? დედაჩემისა და მამაჩემის, ასევე, ჩემი მეგობრების გაცნობაზე უარი მითხრა – არ მაინტერესებსო... ეს უკვე იყო სერიოზული მიზეზი, რომ დავშორებოდი. ან, რა იყო მისი სიყვარულის დამადასტურებული – ფუმფულა თოჯინები?! მარტო სულელი ქალი თუ წამოეგება ამაზე. ისე მეშინოდა მისი დაკარგვის, ყველაფერზე წავიდოდი, ოღონდ არ მივეტოვებინე. ამიტომ დავთანხმდი ინტიმურ ურთიერთობაზეც – შემეშინდა. უარი რომ ვუთხრა, აღარც კი დამირეკავს-მეთქი. ვოცნებობდი, მისი ცოლი როდის გავხდებოდი.

**როცა კაცს საშუალებას აძლევ, გამოგიყენოს როგორც ნივთი, ის ამაზე უარს არ იტყვის**

**– კაცები ქალებს ნაკლად უთვლიან ამ სურვილს – რომ, ოღონდ გათხოვდეს და ყველაფერზეა წამსვლელი.**

– საყვარელი ადამიანის გვერდით ყოფნა რომ გინდა, ეს დასაძრახი და აღმაშფოთებელია? ნეტავი ამ კაცებმა საერთოდ იციან, რა უნდათ? მე მგონია, რომ ხშირად ქალი პერანგი ჰგონიათ – მოიხმარენ და გადააგდებენ.

**– ცოლად ხომ შეგირთოთ?**

– მხოლოდ იმიტომ, რომ დავფეხმძიმდი. რატომ მეგონა, რომ პრინცებს მარტო თაყვანისცემა სჭირდებათ?! რატომ ვიყავი დარწმუნებული, რომ ჩემი სიყვარული სრულიად საკმარისი იყო?! ზოგჯერ ვფიქრობ, უკეთესი იქნებოდა, პირდაპირ ეთქვა, რაც უნდოდა ჩემგან. მაშინ, მის შეყვარებას ვერ მოვასწრებდი. მოკლედ, ჩემი ძვირფასი შეყვარებული სკანდალს მოერიდა და ულაპარაკოდ შემირთო ცოლად. ამბიცია აქვს, რომ ყველაზე მაგარი და წესიერი მამაკაცია, რადგან, ამით ვალი მოიხადა ჩემ წინაშე. სამაგიეროდ, ახლა სრული უფლება ჰქონია, იმასთან მიიღოს სიამოვნება, ვისთანაც „გაუსწორდება“ – ეს მისი სიტყვებია. არ ვიცი, ღირს კი ჩვენი ოჯახის შენარჩუნება და გადარჩენა? არსებობს იმის შანსი, რომ ნორმალური ოჯახი გვექნება? ვფიქრობ, გავაჩინო შვილი და მანამდე გავეყარო, სანამ პატარა გააცნობიერებს, რომ მამა ჰყავს. ეს რომ ვუთხარი, გადაირია – ხომ არ გაგიჟდი, ჩემი შვილი ჩემ გვერდით უნდა გაიზარდოს. შენ კი სანიმუშო დედა იქნებიო. რა გამოდის – სინჯარა ვარ მისი შვილისთვის?! ისეთი ქალი სჭირდება სახლში, რომელიც შვილს გაუზრდის, მოემსახურება და არაფერზე დაიჩივლებს?! მეეჭვება, ამდენი გავქაჩო, თუმცა, მაინც მიყვარს და ვეჭვიანობ. რატომ არ ესმის, რომ სიყვარული მის მიმართ ისევ შემომრჩა და მტკივა მისი ასეთი საქციელი... მეც ხომ ადამიანი ვარ, ბოლოს და ბოლოს...

**დალი მიქელაძე**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**ბალერონი ლაშა ხოზაშვილი უკვე სამი წელია, რაც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო თეატრის „ბოსტონ-ბალეტის“ წამყვანი სოლისტია. ბოლო სეზონი, წინა სეზონების მსგავსად, როგორც მთელი დასისთვის, ისე ლაშასთვისაც, ძალიან წარმატებული იყო და კიდევ არაერთი აღიარება მოუტანა ქართველ მოცეკვავეს. ყოველ ზაფხულს, დატვირთული გრაფიკის შემდეგ, ლაშა, მეუღლესთან ერთად, რომელიც, ასევე, „ბოსტონ-ბალეტის“ მოცეკვავეა, ყოველთვის ცდილობს, თბილისში ჩამოვიდეს, დაისვენოს და ახლობლები მოინახულოს.**

# ᲠᲐ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ ᲛᲘᲣᲫᲦᲕᲘᲡ ᲚᲐᲨᲐ ᲮᲝᲖᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲓᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲢᲝᲞ-ᲮᲣᲗᲔᲣᲚᲨᲘ ᲨᲔᲡᲣᲚᲘ „ᲑᲝᲡᲢᲝᲜ-ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ“ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲕᲘᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲐᲬᲧᲝᲑᲡ ᲘᲡ „ᲛᲐᲚᲩᲘᲨᲜᲘᲙᲔᲑᲡ“

**ლაშა ხოზაშვილი**: კიდევ ერთი წარმატებული წელი დამთავრდა და შვებულებაზე თბილისში ჩამოვედი. აქ რომ ჩამოვდივარ, ვცდილობ, ყველა მოვინახულო, მაქსიმალურად კარგი დრო გავატარო ოჯახთან, მეგობრებთან ერთად. კარგია ზღვაზე წასვლა, მაგრამ, თბილისშიც კარგად ვისვენებ. თან, ამხელა გზაზე წასვლა და ჩემოდნის დანახვაც აღარ მინდა. წელს რომ თვითმფრინავით ვიფრინე, ამდენი, მგონი, თბილისში „მარშრუტკით“ არ მივლია. ექვსი-შვიდი გასვლა მქონდა: დასთან ერთად და, პლუს, ჩემი პირადი გასტროლები.

**– როგორი იყო ეს წელი?**

– კიდევ ერთი ძალიან კარგი სეზონი გვქონდა. ჰელსინკიში ვიყავით. მოკლედ, ჯგუფი მიდიოდა და ორმა მოცეკვავემ ტრავმა მიიღო. მათ ნაცვლად ის უნდა წაეყვანათ, ვისაც ეს დადგმა ნაცეკვი ჰქონდა. სამ დღეში გამიკეთეს ვიზა. ყველა ლოცულობდა – ჩაურტყანო. დასთან ერთად გასტროლით ვიყავით, ასევე, ვაშინგტონში, „ლინკოლნ ცენტრში“, შემდეგ ვიყავით ლონდონში. ძალიან კარგად ჩაიარა ორივე გასტროლმა, აჭრელდა პრესა. ლონდონში სხვა ქვეყნებიდანაც ჩამოვიდნენ კრიტიკოსები, სერიოზული ყურადღება მივიქციეთ. გარდა იმისა, რომ დასზე ძალიან კარგ რეცენზიებს წერდნენ, ჩემზე რამდენიმე ჟურნალისტისა და კრიტიკოსის მხრიდან კარგი, დადებითი აქცენტები იყო გაკეთებული. შვიდი სხვადასხვა ერთმოქმედებიანი ბალეტი გვქონდა წაღებული. მე და ჩემმა პარტნიორმა ვიცეკვეთ ერთი ძალიან ლამაზი, რთული პარტია და დიდი ყურადღება მივიქციეთ. სასიამოვნოა, როდესაც წერენ: „კარგი იყო, მოგვეწონა,“ მაგრამ, პროფესიონალური შეფასება – შემდგარი, დასრულებული წყვილიაო, – მაინც ყველაზე მთავარია. ლონდონში პირველად 2004 წელს ვიყავი. მაშინ ქალბატონი ნინო ანანიაშვილი ჯერ არ იყო დირექტორი და ეს დასის წაყვანის პირველი მცდელობა იყო. რა თქმა უნდა, მახსოვს მაშინდელი გასტროლი, ქალაქი, მაგრამ, ახლა უფრო საინტერესო იყო ლონდონის ნახვა ჩემთვის. თან, თბილისში მოვდიოდით და, მე და ჩემი მეუღლე ერთი დღე დავრჩით და ვნახეთ ის, რასაც ერთ დღეში მოვასწრებდით.



**ბევრი უცხო თვალი გხედავს, მენეჯერები, აგენტები და, შეიძლება ითქვას, ეს ჩემი ბიზნესია, რომ მივიზიდო ხალხი, საინტერესო წინადადება მივიღო**

**– თქვენი გრაფიკიდან გამომდინარე, ვერ ახერხებთ ერთად სადმე დასვენებას?**

– ვახერხებთ ხოლმე. მაგალითად, ყოველ ახალ წელს ნიუ-იორკში ჩავდივართ, მოვინახულებთ მეგობარს, ჩემს მეჯვარეს – ირაკლი შენგელიას. პუნტა კანა – ასეთი ლამაზი ადგილია დომინიკის რესპუბლიკაში, სადაც წავედით მოცეკვავეები, ძალიან ახლო მეგობრები, კარგი დრო ვატარეთ და, ვფიქრობთ, კიდევ წავიდეთ. ეკას, ჩემებს, სულ ვეუბნები: ხანში რომ შევალთ, მერეც გვეყოფა მარტო სადმე სიარული, ახლა ჯობია, მეგობრებთან ერთად წავიდეთ და კარგი დრო გავატაროთ-მეთქი. ხანდახან უიქენდზე რამდენიმე მეგობარი ბიჭი ჩავდივართ ნიუ-იორკში და ძალიან კარგ დროს ვატარებთ.

**– ამ დროს რას აკეთებენ გოგონები?**

– გოგონებს „დევჩატნიკები“ აქვთ, ჩვენ – „მალჩიშნიკები“ და, მოკლედ, კარგად ვერთობით. ზოგჯერ საჭიროა: „მოდი, რა, კაცებს თავი დაგვანებეთ და ჩვენც თავს დაგანებებთ.“

**– როგორ ჩაიარა ვაშინგტონის გასტროლმა?**

– საფესტივალო პერიოდი იყო, სამი დასი გამოდიოდა და ჩვენ ერთ-ერთი ვიყავით. მათ თავის დონეზე, ნორმალურად გააკეთეს საქმე, მაგრამ, „ბოსტონ-ბალეტი“ მაინც გამორჩეული იყო, რადგან, დღეს ძალიან მაღალ საფეხურზე დგას. თამამად შემიძლია, ვთქვა, რომ მთელ ამერიკაში საბალეტო დასების ტოპ-ხუთეულშია.

**– ამაში შენც დიდი წვლილი მიგიძღვის.**

– რადგან პირდაპირ წამყვან მოცეკვავედ ჩამიყვანეს, თან, უკვე მეოთხე წელია, მიგრძელებენ კონტრაქტს, ალბათ, ასეა.

**– როგორც ვიცი, დასის გარეშეც დადიხარ ხოლმე გასტროლებზე. წელს რა გასტროლები გქონდა?**

– წელსაც მივდივარ ინდიანაპოლისში, „მაკნატუნას“ ვცეკვავ. სპექტაკლი დამიმატეს, რადგან, შარშან ოთხი სპექტაკლი ვიცეკვე და ოთხივემ ანშლაგით ჩაიარა. მითხრეს: კარგად შემოგვივიდა თანხა და, გვინდა, სპექტაკლი დაგიმატოთო. მეც კარგ საქმეს მიკეთებენ და თვითონაც კარგ საქმეს იკეთებენ. გარდა ამისა, ჩემმა პარტნიორმა გოგომ მითხრა: ორლანდოში კონკურსია, გალა კონცერტი ტარდება, სადაც სხვადასხვა თეატრიდან იწვევენ კარგ მოცეკვავეებს და ხომ არ წამოხვალო. სიამოვნებით წავედი და ბალეტ „ჟიზელიდან“ ვიცეკვეთ წყვილთა ცეკვა. ძალიან კარგად ჩაიარა, ბევრი კომპლიმენტი მივიღეთ. შემდეგ ჩემმა მეორე პარტნიორმა მთხოვა, კორეაში მივდივარ საცეკვაოდ და ხომ არ წამოხვალო. ახლა რომ ჩავალ ამერიკაში, სამ კვირაში მივდივარ კორეაში. ეს ძალიან კარგია, ბევრი უცხო თვალი გხედავს: მენეჯერები, აგენტები და, შეიძლება ითქვას, ეს ჩემი ბიზნესია, რომ მივიზიდო ხალხი, საინტერესო წინადადება მივიღო. თან, უცხო დასთან, სხვა პარტნიორთან ცეკვა ჩვენი კარიერისთვის ძალიან საინტერესო და კარგია. მთავარია, იმ დროს „ბოსტონ-ბალეტში“ არ მქონდეს სპექტაკლი, რადგან, ვერ მომხსნიან. ცოტა ადრე უნდა გააფრთხილო. როცა „მაკნატუნას“ სეზონია, რომელიც ერთი თვის განმავლობაში გრძელდება და 40-43 სპექტაკლის ცეკვა გვიწევს, ოთხი თვით ადრე უნდა სთხოვო გაშვებაზე პასუხი. მე თერთმეტი თვით ადრე მქონდა პასუხი, რადგან, როგორც კი ვიცეკვე ინდიანაპოლისში, მაშინვე მითხრეს: შენ გვჭირდები, სხვა არავინო. ერთ თვეში შემატყობინეს ზუსტი დრო, თარიღი და მეც დირექტორთან შევავსე ბლანკი. აქ ყველაფერი დასწრებაზეა, რადგან, სხვა მოცეკვავეებსაც უნდათ წასვლა. დირექტორის ინტერესშიც შედის, რომ სამი შემოთავაზებიდან ერთზე მაინც უნდა გამიშვას. რადგან, თუ გინდა, რომ შემინარჩუნო, ჩემი თავისუფალი ფანჯარა უნდა მომცე. თან, როცა გასტროლზე მიდიხარ, აფიშაზე სახელის გვერდით იწერება, რომ შენ ხარ „ბოსტონ-ბალეტის“ წამყვანი მოცეკვავე და ესეც მნიშვნელოვანია მათთვის. მომავალ წელს ისევ გვაქვს ორი გასტროლი: ერთი – ვაშინგტონში, ოღონდ, სრული პროგრამით ჩავდივართ და, კიდევ – ნიუ-იორკში, „ლინკოლნ ცენტრში.“ როგორც ვიცით, განსაკუთრებულად საპასუხისმგებლო გასტროლი გვაქვს, სერიოზული ხალხი მოდის სანახავად. კიდევ არის რაღაცეები, ოღონდ, ჯერჯერობით ბოლომდე არ არის გარკვეული, ამიტომ, მომავალ წელს რომ ჩამოვალ, იმათზე მერე მოგიყვებით. როლებიც დამემატა, მაგალითად, „მაკნატუნაში“ უკვე ხუთი სხვადასხვა როლი მაქვს. გარდა ამისა, კილიანის საღამო გვქონდა, ძალიან კარგი გამოვიდა და, კიდევ, ვიცეკვე ერთი ახალი როლი ბალანჩინის დადგმიდან; ასევე, ერთ-ერთი ძლიერი ქორეოგრაფის, ვეინ მაკგრეგორის დადგმიდან – „ქრომა“, რაც ძალიან საინტერესო იყო; ვიცეკვე ბალანჩინის „სერენადა“, რომელიც თბილისშიც მქონდა ნაცეკვი და, კიდევ, ბალეტი „კოპალია“ – მეომრის როლი მქონდა მესამე მოქმედებაში. დასში როლებს ყოველთვის სწორად ანაწილებენ. მაგრამ, თუ ეს როლი არ არის წამყვანი მოცეკვავის საცეკვი, შემიძლია, ვუთხრა: „არ ვიცეკვებ.“ თუ გამოუვალი მდგომარეობაა, მაშინ, თხოვნით უნდა მოვიდეს და ჩემი გადასაწყვეტია, გავაკეთებ თუ არა. რა თქმა უნდა, თუ გადაწყვეტ, რომ ეს იცეკვო, დამატებით ანაზღაურებასაც იღებ. კიდევ, ვიცეკვე „მძინარე მზეთუნახავში“ პრინცის როლი, ძალიან საინტერესო და ახალი იყო, თან, ჩემს ხასიათთან ახლოს.



**დასში როლებს ყოველთვის სწორად ანაწილებენ, მაგრამ თუ ეს როლი არ არის წამყვანი მოცეკვავის შესასრულებელი, შემიძლია, ვუთხრა: „არ ვიცეკვებ.“ თუ გამოუვალი მდგომარეობაა, მაშინ, თხოვნით უნდა მოვიდეს და, ჩემი გადასაწყვეტია, გავაკეთებ თუ არა. თუ გადაწყვეტ, რომ ეს იცეკვო, დამატებით ანაზღაურებასაც იღებ**

**– სხვა დასიდან რომ იყოს შემოთავაზება, რას იზამ?**

– აქ ძალიან კარგი დასია, ქალაქიც მომწონს. მაგრამ, ABT-ში წამყვანი მოცეკვავის ადგილის შემოთავაზების შემთხვევაში, გადავიდოდი. სხვაგან არ მგონია, რადგან აქ ყველაფრით კმაყოფილი ვარ. ახლა გამოდის წიგნი „ბოსტონ-ბალეტზე“ და მეც მის ისტორიაში ჩავეწერები, როგორც წამყვანი სოლისტი. მიხარია, რომ „ბოსტონ-ბალეტის“ ისტორიაში ჩემი პატარა წვლილი შევიტანე.

**ᲜᲐᲗᲘᲐ ᲣᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

# რატომ აუღო „ჩესტი" მილიციელმა პლეხანოველ კიკას და რით გამოირჩეოდა თბილისური რესტორანი „ბო-მონდი"

**მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის გარდაცვალების შემდეგ, ქართველმა თავადაზნაურობამ გადაწყვიტა, პატივი მიეგო გრაფისთვის, რომელმაც დიდი სამუშაო გასწია თბილისში ყოფნის პერიოდში და ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანსა და გამზირს მისი სახელი უწოდა. ასე წარმოიქმნა მიხეილის, ამჟამინდელი აღმაშენებლის გამზირი და ვორონცოვის მოედანი, რომელსაც დღემდე ძველი, ისტორიული სახელწოდებით მოიხსენიებენ თბილისელები. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოედანმა რამდენჯერმე შეიცვალა სახელი – საბჭოთა დროს კარლ მარქსის სახელს ატარებდა, ამჟამად კი ზაარბრიუკენის მოედნად იწოდება. მიხეილის გამზირსა და ვორონცოვის მოედანს უამრავი ისტორია უკავშირდება, რომელთა შესახებ ძველი ფოტოების დახმარებით მოგითხრობთ.**



ტფილისის სამხედრო სასწავლებლის ხედი. 1910-იანი წლები



ვორონცოვის მოედანი. 1900-იანი წლები



1960-იანი წლებისა და თანამედროვე ხედები მარჯანიშვილის მოედანზე

## თბილისის სამხედრო სასწავლებელი

თბილისის სამხედრო სასწავლებელი 1866 წლის 16 იანვარს მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძის ბრძანებით დაარსდა და მიზანი სამხედრო კადრების მომზადება გახლდათ. სწავლება 1901 წლამდე ორწლიანი იყო, შემდგომ – სამწლიანი. 1891 წელს მიხეილის გამზირზე მდებარე შენობაში გრანდიოზულად აღინიშნა სასწავლებლის დაარსებიდან 25 წლის იუბილე. 1914 წლის 29 ნოემბერს კი სასწავლებელს იმპერატორი, ნიკოლოზ მეორე ესტუმრა, თბილისში ვიზიტის დროს. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, გენერალ გიორგი კვინიტაძის ინიციატივით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და საქართველოს დამფუძნებელი კრების დადგენილებით, თბილისში დაარსდა იუნკერთა ქართული ორწლიანი სასწავლებელი, რომელმაც ბინა მიხეილის გამზირზე მდებარე შენობაში დაიდო. სასწავლებელში, ძირითადად, ქართველ თავადაზნაურთა შვილები სწავლობდნენ. ეს იყო პირველი ქართული ეროვნული სამხედრო სასწავლებელი, რომლის სასწავლო პროგრამა იმჟამინდელი ევროპის მოწინავე ქვეყნების გამოცდილებას ზედმიწევნით ითვალისწინებდა. სკოლის პირველი ხელმძღვანელი გენერალი გიორგი კვინიტაძე იყო. მას შემდეგ კი, რაც ის საქართველოს ჯარის მთავარსარდლად დაინიშნა, სკოლას სათავეში ჩაუდგა მისი მოადგილე, პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე, რომელიც იუნკერთა სასწავლებელს საბჭოთა ოკუპაციის დაწყებამდე ხელმძღვანელობდა. 1921 წლის 12 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მეთერთმეტე არმია თავს დაესხა საქართველოს და ქართველი ახალგაზრდობა, განსაკუთრებით იუნკერთა სასწავლებელი მაშინვე ჩაება საომარ მოქმედებებში. იუნკრები თბილისის მისადგომებთან, ტაბახმელა-კოჯრის მიდამოებში იყვნენ განლაგებულნი და 1921 წლის 25 თებერვალს მათი დიდი ნაწილი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. გასაბჭოების შემდგომ წლებში, სამხედრო სასწავლებლის შენობას ახალმა მთავრობამ პროფილი არ შეუცვალა და მასში საარტილერიო სასწავლებელი გახსნა.



იუნკრები

## სასტუმროები ვორონცოვის მოედანზე

1840-1850-იან წლებში დამტკიცებული პროექტების თანახმად, ვორონცოვის მოედანი და მიმდებარე კვარტლები სასტუმროების უბნად იქცა. იმ პერიოდის სასტუმროებიდან აღსანიშნავია: „ვერსალი", რომელიც ელისაბედის ქუჩის 14 ნომერში მდებარეობდა. (ახლანდელი წინამძღვრიშვილის №14). ამ სასტუმროში იყო გაჩერებული ირანელი მოგზაური მაჯდ-ოს-სალტანე, რომლის ჩანაწერების თანახმად, სასტუმროს შენობა 1892 წელს აუგიათ და მას ირანელი სომეხი – მინარიანი ინახავდა. იქვე, გვერდით, მდებარეობდა ძმები მირიმანოვების სასტუმრო „ბო-მონდი", რომელიც თავისი რესტორნის წყალობით იყო ცნობილი. რესტორანი მდებარეობდა სასტუმროს სარდაფში, სადაც ამჟამად ლუდის რესტორანი „მადლიანია" გახსნილი. 1910-იან წლებში ის თბილისის ერთ-ერთ საუკეთესო რესტორნად ითვლებოდა და თვით ცნობილ „ანონასაც" უწევდა კონკურენციას. „ბო-მონდს" ჰქონდა საკუთარი ღვინის მარანი და მღვიმე ცოცხალი თევზებით. რესტორანს მუშაობა არ შეუწყვეტია პირველი მსოფლიო ომის წლებშიც, როცა რუსეთის იმპერიაში ალკოჰოლური სასმელების აკრძალვის გამო, ბევრი რესტორანი დაიხურა. „ბო-მონდი" საკონცერტო პროგრამებითაც გამოირჩეოდა.

1915 წლის ბოლოს აქ უკრავდა იმდროინდელი თბილისური ბოჰემის ფავორიტი, უსინათლო მევიოლინე სლუცკი, რომელიც ტიციან ტაბიძეს ჰყავს ნახსენები თავის პოემაში „ფრონტებზე."



ყოფილი სასტუმრო „ვერსალისა" და რესტორან „ბო-მონდის" შენობა, თანამედროვე ხედი

ვორონცოვის მოედანზე მდებარე სასტუმროებიდან აღნიშვნის ღირსია, მიხეილის პროსპექტის დასაწყისში „ვორონცოვსკიე ნომერა" და „ნემეცკიე ნომერა", ასევე, „ვენეცია" ზედ მოედანზე. ცალკე უნდა აღინიშნოს სასტუმრო „ავრორა", რომელიც კლიენტებს ბილიარდით იზიდავდა. გარდა ამისა, საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში „ავრორას" პატრონი ბოლშევიკებს თანაუგრძნობდა და მათ ფარულ შეკრებებს მასპინძლობდა.

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)

**გაიადვილეთ საჭმლის მონელება**

**იქონიეთ მიიღეთ ეფექტური**

**კრეზამი**

**თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს**

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**დღეს ბევრი დადის ეკლესიაში ყოველ შაბათ-კვირას, ყველა დღესასწაულზე, მაგრამ, ხშირად არაფერი ვიცით იმ წესებისა და სულიერი თუ ზნეობრივი დისციპლინის შესახებ, რაც აუცილებლად უნდა გაგვაჩნდეს და რომელსაც აუცილებლად უნდა ვიცავდეთ. რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის, წესის შესახებ გვესაუბრება ვაკის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა საბა (ბიკაშვილი):**

# რა წესების დაცვაა აუცილებელი ეკლესიაში და რატომ აძლევენ ადამიანები ერთმანეთს არარსებული აკრძალვების გამო შენიშვნებს



**ვისაც აცვია სადად, უბრალო სამოსი და შინაგანად კარგი ადამიანია, ყველა დამეთანხმება, რომ ის ასხივებს დადებით ენერგიას და მისი კარგი განწყობა, ადამიანობა, ტანსაცმელზეც მოეფინება**

– როგორც მამები ამბობენ, სულიერი დისციპლინა არის ღვთისმოსაობა. ამიტომ, თუ ადამიანს არ გააჩნია სულიერი დისციპლინა, ესე იგი, არ გააჩნია ის მთავარი, რაც მას ეკლესიური ცხოვრების მოწესრიგებაში ეხმარება. წესით, ქრისტიანები ტაძარში უნდა მოდიოდნენ იმისთვის, რომ მიიღონ ღვთაებრივი მადლი. ეკლესია კი ფლობს სრულ მადლს, რომლითაც ისინი სულიერად იკურნებიან. რაც მთავარია, მორწმუნეები ამ მადლს უნდა ილებდნენ თავმდაბლობით, მორჩილებით, წესრიგით – სხვანაირად მრევლის სულიერი საკითხების მოწესრიგება ვერ მოხდება. ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ ის ეკლესიაში მადლის მისაღებად მიდის, სხვანაირად ჩვენს ქრისტიანულ ცხოვრებას აზრი არ ექნებოდა. ეკლესიაში უხილავად მყოფობს უფალი და ადამიანმა არა მხოლოდ უნდა მიიღოს მადლი, არამედ, უნდა წაიღოს კიდეც. ჩვენ ვიცით, რომ მადლი ყველას ეძლევა გარკვეული სახით, მცირე თუ დიდი რაოდენობით, მისი საქმეების, რწმენის შესაბამისად.

**– მამა საბა, ალბათ, დამეთანხმებით, რომ დღეს ქრისტიანებს არა მხოლოდ სულიერი დისციპლინა, ზოგადად, ყველანაირი დისციპლინა გვაკლია. ეს ბევრ რამეში იგრძნობა, მათ შორის ეკლესიაში დგომის, ლოცვისა და, ზოგადად, მოქცევის დროს.**

– გარდა სწავლებისა, დოგმატებისა, წესებისა, რასაც თავის თავში მოიცავს დედაეკლესია, ეკლესიაში არსებობს დაუწერელი კანონები, ზეპირი გადმოცემები, სამრევლო ისტორია, რომლებიც აწესრიგებს ადამიანთა მოქცევის საკითხებს, მათ შორის, ეკლესიაში დგომისასაც. ხშირად საუბრობენ იმაზეც, უნდა იდგნენ თუ არა ეკლესიებში ქალები ანალოღიის მარცხნივ, მამაკაცები კი – მარჯვნივ. ესთეტიკურად კარგი იქნება, თუ ერთ მხარეს დადგებიან დედაკაცები და მეორე მხარეს – მამაკაცები. როდესაც წირვის დროს მეტანიები სრულდება, ესთეტიკური საკითხია, თუ დედაკაცი მაინცდამაინც არ დაიჩოქებს მამაკაცის წინ, არ შეასრულებს მეტანიას და ოდნავ გვერდით იქნება გაწეული. რა თქმა უნდა, ეს მაშინ უნდა დავიცვათ, თუ ტაძარში არის ამის საშუალება. თუ არ არის საშუალება, ამით წესის დამახინჯებასთან ან დარღვევასთან არ გვექნება საქმე. ხშირად, ასევე, მლოცველები ერთმანეთს იმის გამო აძლევენ შენიშვნას, რომ მან ანალოღიას წინიდან ჩაუარა.

**– ამის შესახებ არსებობს გარკვეული სწავლება?**

– მლოცველი ანალოღიას წინიდან გაუვლის თუ უკნიდან გაივლის, ამაზე სწავლება არ არსებობს. როდესაც ადამიანი შემოდის ეკლესიაში, ბუნებრივია, ის ჯერ ანალოღიასთან მიდის. რა თქმა უნდა, მასთან ზურგით არ დადგება ან უკნიდან არ მივა. მაგრამ, როცა პატარა ეკლესიებში დიდი დღესასწაულია და ბევრი ხალხია, მლოცველები ანალოღიის წინაც დგანან და უკანაც. შეიძლება, ასეთ დროს ვინმეს მოუხდეს ანალოღიის წინ გავლა და ამაში ცუდი არაფერია, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგრამ, თუ ტაძარში თავისუფლებაა, მაშინ, რა საჭიროა ანალოღიის წინ გავლა? თუმცა, ამის აკრძალვის ფორმა არ არსებობს, ეს, უბრალოდ, პატივის მიგებაა. პატარა ტაძრებში ანალოღია ძალიან ახლოს დგას ამბიონთან, ზოგჯერ, შეიძლება ამბიონზე მიდგმულიც კი იყოს. ამასთან დაკავშირებით კი არსებობს ასეთი მიდგომა და არა სწავლება, რომ, თუ მლოცველი ამ დროს ანალოღიის წინ გაივლის, მას, შეიძლება, უნებურად მოუწიოს ამბიონზე ასვლა, ამბიონი კი განასახიერებს ლოდს უფლის საფლავზე და არ შეიძლება მასზე ვინმე თავისუფლად ავიდეს და ჩამოვიდეს, გარდა ღვთისმსახურისა და იმ პირებისა, ვინც საკურთხეველს ემსახურებიან. ამ თვალსაზრისით არ შეიძლება გავლა, თორემ, სხვა შემთხვევაში, რამე წესი ან აკრძალვა არ არსებობს.

**– მამაო, როგორი უნდა იყოს თანამედროვე ადამიანის ჩაცმულობა, რას უნდა ითვალისწინებდეს ის ამ საკითხში?**

– როგორ უნდა იმოსებოდეს ქრისტიანი მამაკაცი ან დედაკაცი, ამის შესახებ სწავლება ჯერ კიდევ ძველი აღთქმის ისტორიაში გვაქვს. ძველი პატრიარქები, მღვდელმსახურები, წინასწარმეტყველები მიანიშნებდნენ და თვით მოსეს რჯულის კანონებში იყო წესდება, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ქრისტიანის ჩაცმულობა, ვარცხნილობა. ქალისა და მამაკაცის ჩაცმულობის შესახებ მეექვსე საეკლესიო კრების 62-ე კანონში წერია ასეთი სიტყვები: მამაკაცი, რომელიც ჩაიცვამს დედაკაცის სამოსს, ან, პირიქით, დედაკაცი, რომელიც ჩაიცვამს მამაკაცის სამოსს, ისჯება უზიარებლობით. რა თქმა უნდა, ეს ვრცელდებოდა მორწმუნე საზოგადოებაზე, მორწმუნე მრევლზე, რადგან, ვინც არ იყო მორწმუნე, ეკლესიური, მასზე ეს კანონი არ გავრცელდებოდა მარტივი მიზეზის გამო, რომ ის მას არ მიიღებდა. ასევე, მეექვსე მსოფლიო კრების 98-ე კანონში წერია: ადამიანმა, რომელმაც ნათელი იღო, წმიდა სამების სახელით შემოსა ქრისტე, მან აღიარა კიდეც მაცხოვრის ამქვეყნიური მოღვაწეობის მიბაძვის სურვილი. ანუ, როდესაც მორწმუნე ინათლება წმიდა სამების სახელით, ადასტურებს თავის მზაობას, შეუდგეს ქრისტეს და მას მიჰბაძოს ცხოვრების წესში, ქცევაში, ზნეობაში. აქედან გამომდინარე, თუ მამაკაცისთვის ყოველთვის მისაბაძი იყო ქრისტე, ქალისთვის – დედაღვთისმშობელი უნდა იყოს მისაბაძი და ქრისტიანები ჩაცმულობით, ვარცხნილობითაც უნდა მიემსგავსონ მათ. ვისაც აცვია სადად, უბრალო სამოსი და შინაგანად კარგი ადამიანია, ყველა დამეთანხმება, რომ ის ასხივებს დადებით ენერგიას და მისი კარგი განწყობა, ადამიანობა, ტანსაცმელზეც მოეფინება და ამას, ხილულად თუ უხილავად, სხვებიც აღიქვამენ. როგორ კარგადაც არ უნდა ეცვას ადამიანს, თუ ის შინაგანად უარყოფითი პიროვნებაა, გამოსცემს სხვების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას, მისი გარეგნობა და სამოსი ყველანაირ მნიშვნელობასა და აზრს დაკარგავს.

**წელიწადში ერთხელ სახლის კურთხევა აუცილებელია. ეს არცთუ ისე პატარა, მცირე პერიოდია. ერთ წელიწადში, შეიძლება, ისეთი რაღაც მოხდეს, რაც სულიერ ასპექტში დააზიანებს ოჯახს, მის წევრებს**

**– მამაო, მინდა კიდევ ერთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხს შევეხო, როგორიც არის სახლის კურთხევა და რასაც დღეს ხშირად მხოლოდ რიტუალური და ზედაპირული ხასიათი აქვს.**

– წელიწადში ერთხელ სახლის კურთხევა აუცილებელია. ეს არცთუ ისე მცირე პერიოდია. ერთ წელიწადში, შეიძლება, ისეთი რაღაც მოხდეს, რაც სულიერ ასპექტში დააზიანებს ოჯახს, მის წევრებს. ამ ხნის განმავლობაში, შესაძლოა, ჩვენს სახლში, დაწესებულებაში, ისეთი ადამიანები შემოვიდნენ, რომლებმაც საკუთარი სულიერი მდგომარეობით, უარყოფითი ემოციებით, ცუდად იმოქმედონ ჩვენზე, ოჯახზე. ამიტომ, აუცილებელია, რაც შეიძლება ხშირად ვაკურთხებინოთ სახლი, ყოველდღე არა, მაგრამ, ექვს თვეში ერთხელ მაინც. თუ ვინმეს ამის სურვილი აქვს, შეუძლია, სამ თვეში, ან, თვეში ერთხელ მოიწვიოს სასულიერო პირები და აკურთხებინოს ბინა. რაც ხშირად მოხდება ეს, მით უკეთესი იქნება.

როდესაც ჩვენ, სასულიერო პირები, შევდივართ ოჯახში, ჩვენი მეშვეობით, ლოცვით ხდება სახლის კურთხევა. ჩვენ უფალს შევთხოვთ, რომ მან იმ ოჯახისთვის მფარველი, მცველი ანგელოზი გამოგზავნოს. ჩვენ ვიცით, რომ ყველა ქრისტიანს ნათლობისას ეძლევა მფარველი ანგელოზი, რომელიც მისი მფარველია, მას უწევს ამ ცხოვრებაში წინამძღვრობას, განაწყობს ლოცვისთვის, კეთილი საქმისთვის, სიკეთისთვის. ბინის მფარველი ანგელოზი კი, ერთ ადამიანს კი არა, მთელ ოჯახს იცავს. ლოცვის დროს ვკითხულობთ: „ღმერთმა დაიცვას ეს ოჯახი ყველანაირი განსაცდელისგან, შეჭირვებისგან, უცხო მტერთა ზედა მოსვლისგან.“ ანუ, როცა ვაკურთხებთ სახლს, იმ დროს ოჯახში შემოდის მფარველი ანგელოზი, მას შესაფერისი სიტუაცია, გარემოება უნდა შევუქმნათ, რომ დაივანოს, სუფევდეს უფლის შეწევნით და აკურთხებდეს ოჯახს. ასეთი გამონათქვამიც არის: ფუძის ანგელოზმა დატოვა ოჯახიო, ანუ, ანგელოზი გადის ამ ოჯახიდან. ღმერთმა ყველა დაიფაროს და, მის მაგივრად შემოდის ბნელი ანგელოზი, რომელიც წარმართავს ოჯახის წევრებს არა კარგი საქმის კეთებისკენ, არამედ, დაშლისკენ, უთანხმოებისკენ, უსიყვარულობისკენ, სიძულვილისკენ. ეშმაკი ყოველთვის გაყოფს, ღმერთი ყოველთვის აერთიანებს. ამიტომ, ის ქრისტიანი, რომელიც გადაწყვეტს ბინის კურთხევას, პირველ ყოვლისა, უნდა მოემზადოს საკუთარი თავის გასანათლებლად, საკუთარი თავი უნდა აკურთხოს.

**ნათია უტიაშვილი**

# ღვთისმშობლის გამოცხადება

ვიცოდი რა, რომ უფროსი ძმები უკმაყოფილონი იყვნენ ჩემით იმის გამო, რომ მლოცველებს ვიღებდი და ბევრ სამუშაოს ვუჩენდი, გადავწყვიტე, აღარავინ მიმეღო და ჩემს სენაკში ჩავიკეტე. ვილოცე ღვთის მიმართ და მივუჯექი მაგიდას, რომელიც კედელთან იყო მიდგმული. ვზივარ და ვკითხულობ ისააკ ასურს. უკვე დარეკეს მწუხრის ზარი. უცებ მესმის, რომ ვიღაც იესოს ლოცვას კითხულობს, აღებს კარს, შემოდის სენაკში და კარს ღიას ტოვებს. შემოვიდნენ, დადგნენ სენაკის შუაგულში და ამბობენ: „ის კი დაკავებულია“. მომეჩვენა, რომ ეს იყო ერთი გოგონას, მარიას ხმა, რომელიც ჩემთან მოდიოდა ხოლმე. ის ადრე გორგალივით იყო მოკრუნჩხული, ხელებს და ფეხებს ვერ ამოძრავებდა, ლაპარაკსაც ძლივს ახერხებდა. შემდეგ იგი სრულიად განკურნა ღვთისმშობელმა, რომელიც ჯერ ძილში, შემდეგ კი ხილულად გამოეცხადა და გოგონა სრულიად გამოჯანმრთელდა.

მოსულები ჩემკენ წამოვიდნენ, გაჩერდნენ სენაკის შუაში, მე ყურადღებას არც კი ვაქცევ, არ ვიხედები მათკენ, ვზივარ და ჩემს თავზე ვბრაზობ, რატომ ვარ ასეთი უყურადღებო, რომ კარი საიდუმლოდ არ ჩავკეტე. შემდეგ ვიფიქრე, რომ არავის აღარ ვიღებ ჩემთან, ან, მომსვლელებსაც ვაგრძნობინებ, რომ უდროო დროს მოვიდნენ ბერთან, ცოტა ხანს იდგებიან და წავლენ. მკვეთრად მოვტრიალდი, ავდექი და გაბედულად შევბრუნდი კარისკენ, მაგრამ, რას ვხედავ? დავინახე ზეციური მბრძანებელი – ღვთისმშობელი, რომელიც ოთახის შუაში დგას, მასთან ერთად – წმიდანები და მე მკვდარივით დავეცი ძირს.

არ მახსოვს, რამდენ ხანს ვიწექი, მხოლოდ მაშინ მოვედი გონს, როდესაც მბრძანებელმა ინება, მოელო მოწყალება, შეხებოდა თავისი ყოვლადწმიდა ხელით ჩემს ამაყ და ცოდვილ თავს და წარმოთქვა: „მისი სული კვლავ არის მასში“. ელვასავით გაირბინა სიცოცხლემ ჩემს სხეულში და მე ვთქვი: „ო, ჭეშმარიტო მბრძანებელო ღვთისმშობელო, მაპატიე მე, ყველაზე უფრო წყეულს დედამიწაზე მცხოვრებთა შორის“. „დადექი ფეხზე!“ მე მწარედ ვქვითინებდი, თავზარდაცემულს ადგომა არ შემეძლო. ყოვლადმოწყალე მბრძანებელი კი ალერსიანად მეუბნება: „დამშვიდდი, ადექი“, დგას და იცდის, როდის დავწყნარდები.

როდესაც რამდენადმე დავმშვიდდი, მან მარცხენა ხელზე მომკიდა ხელი და წამომაყენა მე ძუნწი. მე მუხლმოყრილი დავდექი, ზეციური მბრძანებელი ალერსიანად მეუბნება: „შენ ილოცე ღვთის მიმართ, ჩემდამი და ყველა წმიდანთა მიმართ დაიწესე, არავინ მიიღო. აი, ჩვენ მოვედით შენთან, გაგვყარე – შენ ხომ ასეთი აღთქმა დაუდგინე შენს თავს გონებაში. ყველაფერი თავად განსაჯე: მშიშარა ხარ, სულმოკლე, სულ შენს თავდამსხმელებზე ფიქრობ. ტყუილად ფიქრობ. დაგლახაკდნენ თავისი ვნებებით, თავად არ უწყიან, რას აკეთებენ, დანებდნენ მტერს – ეშმაკს. შესაბრალისნი არიან, შენც გებრალება ისინი და მათ ნებას დაჰყევი. გადარჩებიან ისინი, უკეთუ ამას ინებებს ყოვლადსახიერი ღმერთი. შენ კი განმტკიცდი სიმამაცეში, მზად იყავი ყოველი სიკეთისთვის, იარე იმ გზით, რომელზეც ხარ დაყენებული და, შენთან მომსვლელი, ყოველი ტომის, სქესისა და ასაკისანი, არ გააგდო, არამედ ყველა მიიღე. სულიწმიდა უბრძანებს და მოძღვრავს მათ და ისინი შენთან მოდიან“.

ყოვლადკურთხეულმა ზეციურმა დედოფალმა ინება, ბევრი ესაუბრა ჩემთან ყველაზე და ყველაფერზე. იგი მესაუბრებოდა მასთან ერთად მოსულ წმიდანებზე. შემდეგ მიბრძანა: „დაიცავ და დაიმარხე სამუდამოდ! შენი სენაკის კარი არასოდეს არავისთვის არ იქნება ჩაკეტილი, რომ ყველამ შეძლოს შენთან შემოსვლა. გაგვაცილე და გახსოვდეს, კარი ყოველთვის განხმული იქნება ყველასთვის!“.

მე მახსოვდა, რომ ზეციურმა დედოფალმა მიბრძანა, განმეგდო ჩემგან სიამაყე და ქედმაღლობა და ყველა მიმეღო, მაგრამ, მე არ მეყო სიბრძნე, ჩავწვდომოდი ღვთის საიდუმლოს და ჩემი კარი დღედაღამ ყურთამდე იყო გაღებული, ჩემს სენაკში კი, როგორც ყოველთვის, თბილოდა. ბევრი ძმა ხედავდა, ასეთ საშინელ ყინვაში კარი ღიად მქონდა დატოვებული, სენაკში კი თბილოდა. მაშინ გამახსენდა, რომ, როდესაც ღვთისმშობელმა მიბრძანა, კარი არ დამეკეტა, მე შევეპასუხე: „ზეციურო დედოფალო, ძე ადამიანისა ვარ და სიცივის მეშინია, ახლა ძლიერი ყინვებია, სენაკში სიცივე იქნება და ვერ გავუძლებ.“ ზეციურმა დედოფალმა გამიღიმა და თქვა, „არა უშავს, დაე, ასე იყოს, შენს სენაკში კი მუდამ სითბო იქნება“.

**„ღვთისმშობლის ხატის სასწაულები“**

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

**ეპიფანე თეოდოროპულოსი**: ხორციელი კავშირებისთვის სიამოვნების მინიჭება ღმერთმა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ინება, რომ ეს ურთიერთობები მჭიდროდ უკავშირდება შვილების გაჩენას. ეს რომ არა, საუბარი იქნებოდა მარტოოდენ ტკბობის მიღებაზე, ყოველგვარი მორალური პრინციპების უგულებელყოფით. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვების ყოლა, თავისთავად, არ არის ტკბობის განმწმენდი – მაშინ ნებადართული იქნებოდა შვილების გაჩენა ქორწინების გარეშეც. ზუსტად ქორწინების საიდუმლო განწმენდს ამ ტკბობით განცდას, რომლის მიზანიც ბავშვის დაბადებაა. ვიცით რა ყოველივე ეს, არ დაგვავიწყდეს, რაც უკვე ითქვა – ადამიანი მოწოდებულია, ილვაწოს და ისწრაფოს, რათა მიაღწიოს ღვთაებრივ სიწმიდეს, რადგან, მხოლოდ ამგვარად მოიპოვებს იგი ზეციურ სასუფეველს, მაშასადამე, ქორწინების მიზანია არა უბრალოდ შვილების გაჩენა, კიდევ უფრო ნაკლებად – ხორციელი ტკბობა, არამედ, მეუღლეებისა და ბავშვების გადარჩენა. შვილის გაჩენა სამოთხეში შესასვლელი „ბილეთი“ არ არის, მაგრამ, მის მიღებას უწყობს ხელს.

**იოანე დამასკელი**: ზოგჯერ ღმერთი გარკვეული დროით მიატოვებს ხოლმე ადამიანს, რათა სხვა ადამიანს შეეწიოს, რომელიც მისი მაგალითით უნდა გამოსწორდეს. ასეთნი არიან ჩვენთვის გლახაკი ლაზარე და მდიდარი (ლუკა 16, 19-31). მართლაც, როცა ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ იტანჯებიან სხვები, ბუნებრივად ვხდებით უფრო თავმდაბალნი, მორჩილნი და კეთილნი. ზოგიერთ ადამიანს კი ღმერთი სხვა ადამიანის განსადიდებლად მიატოვებს ხოლმე და არა – თვით მისი თუ მისი მშობლების გამო. ასე, მაგალითად, შობიდანვე ბრმა ადამიანი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ევნებოდა თავის უსინათლობით სწორედ იმისთვის, რომ მისი მეშვეობით განდიდებულიყო ადამიანთა წინაშე ძე კაცისა (იოანე 9). გარდა ამისა, ღმერთი ამა თუ იმ ადამიანის ტანჯვას დაუშვებს სხვა ადამიანში საღმრთო მოშურნეობისა და გულმოდგინების განსაღვიძებლად, ანუ, იმისთვის, რომ ტანჯულის სულიერი სიმტკიცისა და განდიდების ხილვით სხვებიც უშიშრად შეეგებონ ტანჯვა-წამებას განსაცდელით, მომავალი სულიერი განდიდებისა და სიკეთეთა მიღების სასოებით. აი, სწორედ ამისთვის აღსრულდა უფლის წმიდა მოწამეთა ტანჯვა-წამებანი.

**მიტროპოლიტი ანტონი**: ღმერთი თითქოსდა ცხოველმყოფელი სვეტია, ჩვენ კი – ტოტები, ფოთლები, ყვავილები, ნაყოფი. ნაყოფი ყვავილს არ ჰგავს, ყვავილი არ ჰგავს ტოტს, ერთი ტოტი – მეორის მსგავსი არ არის, მაგრამ, მათ იმიტომ შეუძლიათ, იყვნენ განსხვავებულები და ინდივიდუალურები, რომ ერთადერთი, მრავალმხრივი, რთული, მდიდარი სიცოცხლე მიედინება მათში, რომელიც ხეს აქცევს ერთდროულად მთლიანობად და უსასრულო მრავალფეროვან სიმრავლედ. დედამიწაზე არ არსებობს ორი ერთნაირი ფოთოლი იმიტომ, რომ იგივე ცხოყველმყოფელი ძალა ანიჭებს თითოეულ ფოთოლს განუმეორებლობას.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: მართლაც ეპატიება თუ არა ნებისმიერი ასაკის ადამიანს ნათლობის დროს ყველა ცოდვა?**

**პასუხი**:. წმიდა ნათლობის შედეგად ხდება პირველქმნილი ცოდვის და ნათლობამდე ჩადენილი ყველა ცოდვის მიტევება. წმიდა ნათლობის წყალობით, ცოდვას ადამიანზე ბატონობის ძალა ჩამოერთმევა. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანი გვიან მოინათლოს, რათა ცოდვებისგან განიწმინდოს. ყოველი ადამიანი ქრისტიანული წესით ყრმობის ასაკში უნდა მოინათლოს, რადგან არავინ იცის, როდის ინებებს უფალი მის ამქვეყნიდან გაყვანას. მოუნათლავნი კი ვერ დაიმკვიდრებენ ცათა სასუფეველს.

**კითხვა: რას ნიშნავს გამომძიებლობის ცოდვა?**

**პასუხი**: ეს არის ცოდვა, როდესაც ადამიანი ინტერესდება იმით, რაც მის გონებას აღემატება და რის ცოდნასაც ღმერთი მისგან არ მოითხოვს. მაგალითად: სად არის ჯოჯოხეთი (და არ ინტერესდება იმით, თუ როგორ დავიხსნათ მისგან თავი). როგორ მოქმედებს მადლი ხატის მეოხებით, როგორ იქცევა ზიარებისას პური და ღვინო ქრისტეს ხორცად და სისხლად და ასე შემდეგ.



**კითხვა: სხვის დახმარებას მალულად, ჩემი ოჯახის წევრებისგან ფარულად ვცდილობ, რადგან არ ვიცი, მათ ამაზე რა რეაქცია ექნებათ. ხომ არ ჩამეთვლება ცოდვად?**

**პასუხი**: სიკეთის კეთება (თუ ეს ნამდვილად სიკეთეა) ცოდვად არც ერთ შემთხვევაში არ ჩაგეთვლებათ, თუმცა აჯობებს, ეს სიკეთე ოჯახის წევრების ნებართვით გააკეთოთ, მეტი მადლი ექნება.

**კითხვა: ჩემი შვილი უკვე საკმაოდ სოლიდური ასაკის არის, თუმცა დროს ქეიფსა და დროსტარებაში ატარებს. არც საზრუნავი აწუხებს და არც რაიმეს დარდი აქვს. როგორ მოვიქცეთ?**

**პასუხი**: შესაძლოა, შეცდომა მისი აღზრდისას დაუშვით, თუმცა, ამჯერად მხოლოდ მისთვის ლოცვა შეგიძლიათ – დედის ლოცვას უდიდესი ძალა აქვს. დაიწყეთ ქრისტიანული ცხოვრება: ილოცეთ, ეზიარეთ, თქვენს ლოცვასაც დიდი ძალა მიენიჭება და უფლის შეწევნაც არ დააკლდება.

# რომელი ბრაზილიელი ფეხბურთელის მეტსახელია „ცხოველი" და „არსენალის" რომელი ფეხბურთელი იყო ჩართული პორნოინდუსტრიაში

*მსოფლიოში ცნობილ ფეხბურთელებს არაერთხელ შექმნიათ კანონთან პრობლემები და, ზოგ შემთხვევაში, მათი დანაშაული ციხეში მოხვედრის მიზეზიც გამხდარა. კანონდარმღვევ ფეხბურთელებს შორის არაერთი სახელოვანი სპორტსმენია, რომელთაც უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავთ.*

**ედმუნდო** – *ავტომობილის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვა, რამაც 3 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა; პატიმრობის ვადა: 4,5 წელი*

ბრაზილიელი ედმუნდო, რომელიც სამშობლოში „ცხოველის" მეტსახელით არის ცნობილი არაერთი სკანდალის გმირია: თამაშის დროს



მას სასქესო ორგანო აჩვენა უკმაყოფილო გულშემატკივრებს, შვილის დაბადების დღეზე მაიმუნს ალკოჰოლი დაალევინა; საფეხბურთო მოედანზე მრავალ ფეხბურთელს მიაყენა ტრავმა, თუმცა, ყველა ეს უსაქციელობა 1995 წელს მომხდარმა უბედურმა შემთხვევამ გადაფარა: მთვრალმა ედმუნდომ ავტომობილის მართვისას სიჩქარეს გადააჭარბა და ფეხით მოსიარულე სამი ადამიანი სასიკვდილოდ გაიტანა. საქმის გარჩევა სასამართლოში ოთხ წელს გრძელდებოდა, ამ ხნის განმავლობაში ედმუნდომ მსოფლიო ჩემპიონატზე მოასწრო თამაში და ორი სეზონი „ფიორენტინაში" გაატარა. საბოლოოდ, სასამართლომ ჰუმანური განაჩენი გამოუტანა ფეხბურთელს – 4,5 წელი მიუსაჯა, თუმცა, ედმუნდოს უფლება ჰქონდა, დღისით ფეხბურთი ეთამაშა და მხოლოდ ღამე გაეტარებინა ციხეში.

**როი კინი** – *ჩხუბი ბარში*

ბარებში ჩხუბი როი კინის ავტობიოგრაფიული წიგნის ერთ-ერთ თავშია ნახსენები. 1999 წლის მაისში როი „მანჩესტერის" მორიგ ჩემპიონობას ზეიმობდა ერთ-ერთ ბარში, ჩხუბი რომ დაიწყო: კინმა 25 წლის გოგოს გაარტყა სახეში და შემდეგ მის ბოიფრენდს ლუდი შეასხა. საბოლოოდ, ფეხბურთელმა ღამე წინასწარი დაკავების საკანში გაატარა. ჩხუბიდან ერთი კვირის თავზე „მანჩესტერმა" ლეგენდარულ ფინალში „ბაიერნს" მოუგო, თუმცა, იმ მატჩში ირლანდიელს არ უთამაშია, რადგან დისკვალიფიკაცია ჰქონდა.

**რომარიო** – *ალიმენტების გადაუხდელობა*

მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონი და საუკეთესო ფეხბურთელი, ბრაზილიელი რომარიო კა-



რიერის დასრულების შემდეგ დააკავა პოლიციამ – მას ალიმენტების გადაუხდელობას ედავებოდნენ. ფეხბურთელს სულ 6 შვილი ჰყავს, მათ შორის 2 – მონიკა სანტოროსგან, რომელმაც უჩივლა კიდეც. რომარიომ ერთი ღამე გაატარა საპატიმროში, რის შემდეგაც ყოფილ მეუღლეს მოურიგდა და ალიმენტების გადახდა დაიწყო.

**ჯოუი ბარტონი** – *ძალადობა: პატიმრობის ვადა: 6 თვე და 4 თვე*

ჯოუი ბარტონი ორჯერ იყო დაპატიმრებული. პირველად 2007 წელს მან ლივერპულში, ქუჩაში იჩხუბა: ერთ ადამიანს თვალი ისე დაუზიანა, რომ ის დაბრმავდა, მეორეს კი ყბა მოსტეხა. ამისთვის ბარტონი 6 თვით დააკავეს, თუმცა, 77 დღეში გაათავისუფლეს. მეორედ ბარტონმა გუნდის ვარჯიშზე თანაგუნდელი უსმან დაბო სცემა, რისთვისაც მას 4 თვე მიუსაჯეს, თან, 3 ათასი ფუნტის ჯარიმის გადახდაც მოუწია.

**პიტერ სტორი** – *ყალბი ფულის დამზადება, პორნოგრაფიის იმპორტი. პატიმრობის ვადა: 3 წელი და 1 თვე*

პიტერ სტორი 1970-იანი წლების ლონდონის „არსენალის" ფეხბურთელი იყო, გუნდთან ერთად 1971 წელს მან ინგლისის ჩემპიონატი და თასი მოიგო. კარიერის დასრულების შემდეგ სტორმა ყალბი ფულის დამზადება დაიწყო, რისთვისაც 3 წელი გაატარა ციხეში, გამოსვლიდან რამდენიმე ხანში კი მან პორნო-ინდუსტრიაში გადაინაცვლა და ინგლისში აკრძალული კასეტების შემოტანა დაიწყო, რისთვისაც მეორედ დააპატიმრეს და ერთი თვით გამოკეტეს საკანში.

**ნიზარ ტრაბელსი** – *ტერორიზმი; პატიმრობის ვადა: 10 წელი*

1990-იანი წლების დასაწყისში ტუნისელი ნიზარ ტრაბელსი ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ აფრიკელ ფეხბურთელად ითვლებოდა. მან კარიერა ლიეჟის „სტანდარტში" და დიუსელდორფის „ფორტუნაში" გაატარა, ხოლო 1995 წელს სპორტული კარიერა დაასრულა და თითქოს გაუჩინარდა საფეხბურთო „რუკიდან." 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, ნიზარ ტრაბელსი ბრიუსელში აიყვანეს ტერორიზმში ბრალდებით. გაირკვა, რომ ტრაბელსი „ალ-ქაიდასთან" იყო კავშირში და რამდენჯერმე პირადად შეხვედრია უსამა ბინ ლადენს. გამოძიების ვერსიით, ტრაბელსი კამიკაძე-ტერორისტი იყო და ბელგიაში ამერიკის საელჩოს აფეთქებას გეგმავდა. მას 10 წლით პატიმრობა შეუფარდეს.

**რენე იგიტა** – *ადამიანებით ვაჭრობა; პატიმრობის ვადა: 7 თვე*

1993 წელს ქარიზმატულმა კოლუმბიელმა გოლკიპერმა რენე იგიტამ შუამავლობა გაუწია ცნობილ ნარკობარონ პაბლო ესკობარსა და კარლოს მოლინას. ესკობარის ხალხმა გაიტაცა მოლინას ქალიშვილი და გამოსასყიდი თანხის მიტანა ნარკობარონისთვის იგიტამ ითავა, რისთვისაც მან 64 ათასი დოლარი მიიღო. მაგრამ, პოლიციამ ის ტრეფიკინგის მუხლით დააკავა და 7 თვით გამოკეტა ციხეში. სწორედ ამის გამო ვერ მიიღო იგიტამ მონაწილეობა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატში. ციხიდან გამოსვლის შემდეგ იგი კოკაინის მოხმარების გამოც იყო დაპატიმრებული.

**ტონი ადამსი** – *ავტომობილის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვა; პატიმრობის ვადა: 4 თვე*

ლეგენდარული ინგლისელი ფეხბურთელი, „არსენალისა" და ინგლისის ნაკრების კაპიტანი, ტონი ადამსი, ალკოჰოლთან მეგობრობდა და ამის გამო არაერთხელ მოხვდა სკანდალურ ქრონიკებში. 1990 წელს პოლიციამ გალეშილი ადამსი საკუთარ სახლთან აიყვანა. ფეხბურთელი იმდენად იყო ნასვამი, რომ საჭე ვერ დაიმორჩილა და თავისი სახლის კედელს დაეჯახა. მის სისხლში აღმოჩენილი ალკოჰოლი 27-ჯერ აღემატებოდა დადგენილ ნორმას და ადამსმა 4



თვე პატიმრობა მიიღო, თუმცა, ციხეში მხოლოდ 2 თვე გაატარა.

**სტიგ ტოფტინგი** – *ადამიანებზე თავდასხმა: პატიმრობის ვადა: 4 თვე*

დანიის ნაკრები 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გამოსვლას კოპენჰაგენში, ბარ „კეტჩუპში" აღნიშნავდა, რა დროსაც გუნდის წევრ სტიგ ტოფტინგს შეკამათება მოუვიდა ბარის მფლობელთან. ფეხბურთელმა ფეხის დარტყმით გათიშა ბარის პატრონი, შემდეგ კი რამდენიმე ადამიანს დაესხა თავს და ცემა დაუწყო. აგრესიული ტოფტინგი პოლიციამ დააკავა და მან 4 თვე საპატიმროში გაატარა.

**დიეგო მარადონა** – *გადასახადების გადახდისგან თავის არიდება; ნარკოტიკების მოხმარება; ალიმენტების გადაუხდელობა; ჟურნალისტებზე თავდასხმა; ავტომობილის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვა*



ლეგენდარული დიეგო არმანდო მარადონა, 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის სკანდალურად დასრულების შემდეგ, ნარკოტიკების მოხმარებაში ამხილეს და მან რამდენიმეთვიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. პნევმატური პისტოლეტიდან ჟურნალისტების მიმართ სროლის გამო მარადონამ 2,5-წლიანი სასჯელი მიიღო, თუმცა, მხოლოდ პირობითად. ქორწინების გარეშე გაჩენილი სამი შვილისთვის მას ალიმენტების გადახდა დაეკისრა და ამის გამო იგი სასამართლოს წინაშე წარდგა. 2006 წელს ნასვამმა მარადონამ ავტომობილით სატელეფონო ჯიხური გაიტანა და ქუჩით მოსიარულე დააზიანა, სასამართლო ამის გამო ჯერაც მიმდინარეობს. მთავარი ბრალდება კი, რაშიც მარადონას ედავებოდნენ, გადასახადების გადაუხდელობა იყო. „ნაპოლიში" თამაშის დროს მარადონას 2 წლის განმავლობაში არ გადაუხდია გადასახადები და თანხამ პროცენტებიანად 40 მილიონ დოლარს გადააჭარბა. ამ საქმის მოგვარება რამდენიმე ხნის წინ მოხერხდა და მარადონა ჩავიდა ნეაპოლში, სადაც მას გმირივით დახვდნენ. გადასახადების გადახდისგან თავის არიდების საქმე, როგორც ჩანს, დაიხურა, თუმცა, დიეგო მარადონა ახალი „თავგადასავლებისთვის" მუდმივ მზადყოფნაშია.

# როჯერ ფედერერს ძროხა აჩუქეს

შვეიცარიული ქალაქ გშტაადის ჩოგბურთის ტურნირის ორგანიზატორებმა როჯერ ფედერერს ძროხა აჩუქეს. ამ გზით ორგანიზატორებმა მადლობა გადაუხადეს ფედერერს, რომ მან, 2004 წლის შემდეგ პირველად, აღნიშნულ ტურნირში მიიღო მონაწილეობა. ძროხა, რომელსაც ჩოგბურთელმა „დეზირე“ უწოდა საზეიმო ვითარებაში გადაეცა ცენტრალურ კორტზე. საგულისხმოა, რომ ეს ფედერერისთვის ძროხის ჩუქების მეორე ფაქტია, მანამდე, 2003 წელს, უიმბლდონზე გამარჯვების შემდეგ, სამშობლოში დაბრუნებულ ვარსკვლავს, ასევე, ძროხა აჩუქეს. შინაურ ცხოველს ფედერერმა „ჯულიეტა“ დაარქვა და, მისი თქმით, ცხოველი 2011 წელს მოკვდა.



# „მილანის“ ქომაგი კობი

„ლოს-ანჯელეს ლეიკერსის“ ვარსკვლავი, კობი ბრაიანტი, მილანში იმყოფებოდა ვიზიტად და სტუმრად ეწვია ადგილობრივი საფეხბურთო კლუბის სამწვრთნელო ბაზას მილანელოში. „მუდამ ვოცნებობდი აქ მოხვედრაზე. ბავშვობიდან ვქომაგობ „მილანს“ – მას შემდეგ, რაც პირველად ვნახე გულიტის, ვან ბასტენისა და მალდინის თამაშები,“ – განაცხადა ბრაიანტმა, რომლის თქმით, სახლში, ლოს-ანჯელეში ინახავს „მილანის“ მაისურსა და შარფს და, ცდილობს, არ გამოტოვოს საყვარელი გუნდის თამაშები ტელევიზიით.




# შეიკი მაიამიზე ისვენებს

რუსი სუპერმოდელი ირინა შეიკი ამერიკაში, მაიამის პრესტიჟულ სანაპიროზე დააფიქსირეს ჟურნალისტებმა. ლამაზმანი თავის აგენტთან, ალი კავუსთან ერთად ისვენებდა, თუმცა, ჟურნალისტების გამოჩენის შემდეგ, სასწრაფო წესით დატოვა პლაჟი. „რეალის“ ვარსკვლავის, კრიშტიანუ რონალდუს საცოლე მედიის ვერსიით, საქმეების მოსაგვარებლად არის ჩასული ამერიკაში, რადგან, აგვისტოს პირველ რიცხვებში დიდი ხნის წინ დაანონსებული ქორწილი შედგება. პორტუგალიური პრესის ცნობით, რონალდუმ უკვე დაგზავნა მოსაწვევები და, სავარაუდოდ, ქორწილი კუნძულ პორტო-სანტოზე შედგება. ცნობისთვის, ამ კუნძულზე რონალდუს საქმიანი ინტერესებიც აქვს – ინვესტორების ჯგუფთან ერთად იგი ფეშენებელურ სასტუმროს აშენებს.

# არამეტროსექსუალი ნეიმარი

როგორც „ბარსელონის“ ბრაზილიელმა ახალწვეულმა ნეიმარმა განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ ფეხებს იპარსავს და თავს უვლის, საკუთარ თავს არ მიიჩნევს მეტროსექსუალად. „მიყვარს თავის მოვლა, ლამაზი ტანსაცმელი, სუნამოები, სახისა და თმის კრემები, ფეხების ეპილაცია, თუმცა, მეტროსექსუალი არ ვარ. მეტროსექსუალობის ნათელი მაგალითი დევიდ ბექჰემია, მე კი მხოლოდ თავის მოვლა მიყვარს.“ ნეიმარის თქმით, ბუნებრივია, რომ ადამიანმა თავს მოუაროს და ამაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს.

# „არსენალის“ სამურაი-გერმანელები

ლონდონის „არსენალი,“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მსგავსად, სეზონისწინა მზადებას აზიაში ატარებს და, ვიეტნამისა და მალაიზიის შემდეგ, ამჯერად იაპონიაში იმყოფება, სადაც ადგილობრივ კლუბებთან მართავს შეხვედრებს. მატჩებისა და ვარჯისების პარალელურად, ფეხბურთელები დასვენებისთვისაც იცლიან. მაგალითად, ლონდონელების გერმანელმა ლეგიონერებმა იაპონურ კულტურასთან დაახლოება და უკეთ გაცნობა გადაწყვიტეს და სამურაების სკოლას ესტუმრნენ, სადაც შესაბამის კოსტუმებში გამოწყობილებმა და კატანებით შეიარაღებულებმა, სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს.

# 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატი – ნოემბერ-დეკემბერში

„ფიფა“ ახალი ინიციატივით გამოვიდა 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით: ყატარში ზაფხულში 50-გრადუსიანი სიცხის მიზეზით, თავდაპირველად მუნდიალის ჩატარება იანვარ-თებერვალში იგეგმებოდა, თუმცა, ზამთრის ოლიმპიური თამაშების გამო ახალ თარიღად ნოემბერ-დეკემბერი დასახელდა, ფინალური მატჩის ჩატარება კი – 18 დეკემბერს. „ფიფას“ პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი, რომლის პირადი სურვილი იყო, მუნდიალის მასპინძელი ყატარი ყოფილიყო, აღნიშნავს, რომ მსოფლიო ჩემპიონატი უმაღლეს დონეზე გაიმართება, იქნება ის ზაფხულში, ზამთარში თუ შემოდგომაზე.

# იგუაინის რომანი „ფლეიბოის“ მოდელთან

იტალიური „ნაპოლის“ არგენტინელი ახალწვეული, გონსალო იგუაინი, „ფლეიბოის“ ყოფილ მოდელთან, ლამაზმან როსიო მარენგოსთან რომანტიკულ ურთიერთობაში იმყოფება. „რეალის“ ყოფილი ფეხბურთელი რამდენიმე ხნის წინ შეუერთდა „ნაპოლის“ და „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე ასეთი ჩანაწერი გააკეთა: „დიდი ხანია, აქ არ დამიწერია. მინდა გითხრათ, რომ არ ვარ დაქორწინებული და რომანიც არავისთან მაქვს, მხოლოდ ფეხბურთზე ვარ კონცენტრირებული“. ამის მიუხედავად, არგენტინაში ირწმუნებიან, რომ ფეხბურთელსა და მოდელს რომანი აქვთ. თავად როსიო მარენგო აცხადებს, რომ მისი გული დაკავებულია, თუმცა, სიყვარულის ობიექტის სახელს არ ამხელს.






# სექსუალური სერფინგისტი

ივლისი ამერიკაში სერფინგის თვედ არის გამოცხადებული – ამ დროს სტარტს იღებს ამერიკის ღია პირველობა სერფინგში და პლანეტის საუკეთესო სერფინგისტები ტალღების მოთვინიერებაში ეჯიბრებიან ერთმანეთს. აღნიშნულ ტურნირს, ასევე, ჰყავს საკუთარი სექს-სიმბოლოები, მაგალითად, ჰავაის წარმომადგენელი 23 წლის ალანა ბლანჩარდი, რომელიც ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტია.



გვერდები მოამზადა უშანგი რუხაძემ



## აკონტროლეთ ორგანიზმის იმუნიტეტის დონე

იმუნიტეტი ორგანიზმის თავდაცვისუნარიანობაა გარე და შიდა გამაღიზიანებელთა მიმართ. როდესაც ადამიანი ადვილად ცივდება, ხშირად ავადმყოფობს სხვადასხვა ინფექციური დაავადებით, მათზე ამბობენ, სუსტი იმუნიტეტი აქვთო.

ადამიანის იმუნური სისტემის მდგომარეობის განსაზღვრა ლაბორატორიული მეთოდებით ადვილია. ეს ხდება სისხლის საერთო ანალიზის გამოკვლევით.

იმუნურ პროცესებზე პასუხს აგებს ლიმფოციტები და მონოციტები. ამ უჯრედების რაოდენობის საგრძნობი მატება, ანუ, როცა ლიმფოციტები დაახლოებით ორმოც პროცენტს აღემატება, მონოციტები კი ათთხუთმეტ პროცენტზე მეტია, ეს იმუნური სისტემის გადაძაბვაზე – ორგანიზმის ინფექციასთან ბრძოლის პროცესზე მეტყველებს. მაგრამ, თუ ლიმფოციტების რაოდენობა მნიშვნელოვნადაა შემცირებული, ეს იმუნიტეტის დაქვეითების მაჩვენებელია.

ასევე, სისხლში არსებობს სპეციალური იმუნოკომპეტენტური ცილები, ანუ იმუნოგლობულინები, რომელთა რაოდენობრივი მაჩვენებელიც იმუნიტეტის მდგომარეობაზე მიუთითებს.

ადამიანი რომ მხნედ, ჯანმრთელად და შრომისუნარიანად გამოიყურებოდეს, აუცილებელია, მისი იმუნიტეტი გარკვეული პროცენტით აკმაყოფილებდეს საერთო ნორმებს.

## ვენების გაგანიერების დროს კარგია ველოსიპედით სეირნობა და ცურვა

თუ ქალს ვენების გაგანიერება, ანუ ვარიკოზი აწუხებს, ვარჯიშის დროს სიფრთხილე მართებს. განსაკუთრებით მავნებელია მოტმასნილი „ელასტიკის" ან შორტის ჩაცმა. მართალია, ის ძალიან მოხერხებულია ვარჯიშის დროს, მაგრამ მოტმასნილი ქსოვილი კანქვეშა სისხლძარღვებს აწვება და აფერხებს სისხლის მოძრაობას. თუ ვარიკოზი გაწუხებთ, ჯობია, ნატურალური ქსოვილის ფართო შარვალი ჩაიცვათ. აგრეთვე, არა მხოლოდ პროფილაქტიკისთვის, არამედ სამკურნალოდაც კარგია ვარიკოზის საწინააღმდეგო, სპეციალურად განკუთვნილი წინდები გეცვათ – ის მჭიდროდ ეკვრის კანს, მაგრამ სისხლის მიმოქცევას არ აფერხებს. ამ დროს არ შეიძლება ვიწრო ფეხსაცმლის ჩაცმა, რადგან ვენური სისხლის მოძრაობას აბრკოლებს.

ვარიკოზის დროს არ ვარგა ფეხშიშველი ვარჯიშიც. ამ დროს ვენებზე ორმაგი ზეწოლა ხდება და, შეიძლება, ფეხი შეგიშუპდეთ. თუ ტრენაჟორებით ვარჯიშობთ, ფიზიკური დატვირთვა უნდა გაზარდოთ ერთი და იმავე ვარჯიშის ხშირი შესრულებითა და არა სიმძიმის გაზრდით. ამ შემთხვევაში იზრდება არა კუნთის მასა, არამედ მხოლოდ კუნთის ტონუსი. არ არის რეკომენდებული აერობიკა და ხტუნვა. ასეთი ვარჯიში ძალიან ტვირთავს წვივის კუნთებს. ვარჯიშები, რომლის დროსაც პროცესში ერთვება წვივის კუნთები, უმჯობესია, დაწოლილმა შეასრულოთ.

ვენების გაგანიერების დროს კარგია ველოსიპედით სეირნობა, წყლის პროცედურები, ამიტომ, გირჩევთ, რაც შეიძლება მეტი დრო დაუთმოთ ცურვას.

## მოხარშული ან შემწვარი მსხალი ძვლების საუკეთესო წამალია, უმი კი – გულის

მსხალი ძალიან სასარგებლო ხილია. ის უხვად შეიცავს შაქარს, ორგანულ მჟავებს, ფერმენტებს, უჯრედისებს, B, C, D და P P ვიტამინებს, პროვიტამინ A-ს, მიკროელემენტებს, იოდსა და ნახშირწყლებს.

ნუ შეჭამთ მსხალს უზმოზე და წყალსაც ნუ მიაყოლებთ. ასევე, არ გირჩევთ ხორცის შემდეგ მის მირთმევას.

მსხლის წვენი ძალიან კარგი გამაჯანსაღებელი და ვიტამინებით მდიდარი სასმელია. ის განსაკუთრებით კარგია მათთვის, ვისაც მუხლის არეში სერიოზული პრობლემები აქვს. მსხალში შემავალი მჟავები განსაკუთრებით სასარგებლოა ორსული ქალებისთვის და მათთვის, ვისაც სისხლის მიმოქცევისა და სისხლძარღვების პრობლემები აწუხებთ. ასევე, სასურველია მისი ჭამა 45 წლის ასაკის შემდეგ. კარგია, თუ კვირაში ერთი დღე ორგანიზმს განტვირთავს მოუწყობთ და მხოლოდ მსხალს მიირთმევთ.

ეს ხილი ეფექტურია მაღალი სიცხის დროს და სასარგებლოა ფილტვებისთვის. შემცველი ანტიბიოტიკის – არბუტინის წყალობით, მის წვენსა და კომპოტს ანტიბაქტერიული თვისებები აქვს. ასევე, მსხალი აუცილებელია ჭარბწონიანი ადამიანებისთვის, რადგან ის ნივთიერებათა ცვლას უწყობს ხელს.

მსხალი, აგრეთვე, აუცილებელია საჭმლის მომნელებელი სისტემისთვის. ის საგრძნობლად აუმჯობესებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ მისი შემცველი უჯრედისები კუჭ-ნაწლავის ტრაქტს ცოტა აღიზიანებს. მიუხედავად მისი დადებითი და სასარგებლო თვისებებისა, თუ კუჭ-ნაწლავთან დაკავშირებით რამე პრობლემა გაქვთ, მოერიდეთ მის ჭამას. მოხარშული ან შემწვარი მსხალი კი ძვლების საუკეთესო წამალია; ასევე, ძალიან სასარგებლოა ნაღვლის დაავადების, ქოლეცისტიტისა და გასტრიტის დროს. ასეთი პრობლემების მქონე ადამიანმა ყოველ დილას, ცოტა წახემსების შემდეგ, ერთი მსხალი უნდა შეჭამოს. ეს ხილი მათ მუცლის ტკივილს დაუამებს და მტანჯველ წვასაც მოუხსნის.

საოცარი თვისებების მქონე ეს ხილი, დაავადების დაძლევასთან ერთად, ხასიათის გაუმჯობესებასაც უზრუნველყოფს – მსხლის მიღებიდან რამდენიმე წუთში ადამიანს საგრძნობლად უუმჯობესდება გუნება-განწყობა.

მსხალი ძალიან სასარგებლოა არითმიის დროს. ის გულისცემას არეგულირებს, რაც იმით არის გამოწვეული, რომ მასში დიდი რაოდენობითაა კალიუმი, რომელიც გულის მუშაობას აუმჯობესებს.

## ვიტამინები ორგანიზმის ნორმალური განვითარებისთვისაა საჭირო

ვიტამინები სიცოცხლისა და ნორმალური განვითარებისთვისაა აუცილებელი. ისინი იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: ცხიმდამშლელი – A, D, E, K და წყალდამშლელი – B, C ვიტამინები, ფოლიუმის მჟავა და სხვა.

პირველი ჯგუფის ვიტამინები თვითონ გროვდება ორგანიზმში, მეორე ჯგუფის შევსება კი აუცილებელია, რადგან ამ ნივთიერებების უკმარისობამ, შეიძლება, სერიოზული გართულებები გამოიწვიოს ჯანმრთელობის მხრივ. ვიტამინებზე მოთხოვნა განსაკუთრებით იზრდება ბავშვობის, მოხუცებულობის, ფეხმძიმობისა და ლაქტაციის პერიოდში.

ავიტამინოზის თავიდან ასაცილებლად წლის ნებისმიერ დროს უნდა ჭამოთ რაც შეიძლება ბევრი ხილი და ბოსტნეული.

C ვიტამინი აძლიერებს ორგანიზმის იმუნურ სისტემას, ასევე, იცავს ორგანიზმს ინფექციებისგან. ის დიდი რაოდენობით გვხვდება კომბოსტოს მწნილში, ციტრუსებში, ჭარხალსა და სტაფილოში.

საჭმლის მომზადების პროცესში ბოსტნეულში არსებული სასარგებლო ნივთიერებები რომ არ გაქრეს, ბოსტნეულის პროდუქტი მოამზადეთ ორთქლზე. ცოცხალი ბოსტნეულის კერძებს კი მარილი, მაიონეზი ან საწებელი დაამატეთ სუფრაზე მიტანის წინ.

რაც უფრო ცოტა ხანს შეინახავთ მზა კერძს, მით უკეთესია, რადგან ასე, მასში მეტი სასარგებლო ნივთიერებები რჩება.

ადამიანის ორგანიზმი ვიტამინების უკმარისობის გამო სუსტდება. აგრეთვე, სუსტდება იმუნიტეტი, ქვეითდება მადა, იგრძნობა ადვილად დაღლა, აგზნება, გუნების გაუარესება. მზესუმზირის ზეთით, ნივრითა და ქერით დამზადებული „კერძის" ხალხური რეცეპტი დაგეხმარებათ, ადვილად აიცილოთ თავიდან ავიტამინოზი: 1/2 ლიტრ მზესუმზირის ზეთს ჩაამატეთ 300 გრამი

გატარებული ნიორი და დადგით ბნელ, გრილ ადგილას ერთი ღამის განმავლობაში. შემდეგ დაამატეთ 200 გრამი ახალი დაფქული ქერი და კარგად აურიეთ. შეინახეთ მაცივარში და მიიღეთ თითო ჩაის კოვზი ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, ერთი თვის განმავლობაში. ეს წელიწადში ერთხელ უნდა გააკეთოთ. მზესუმზირის ზეთი და ქერი ორგანიზმიდან გამოდევნის უვარგის ქოლესტერინს, რაც გაჯანსაღებას უწყობს ხელს. მავნე ქოლესტერინის გამოდევნა ორგანიზმიდან, ასევე, აწესრიგებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობას. ქერი შეიცავს მცენარეული ცილის უჯრედისს, მაგნიუმს, სელენს, ფოსფორსა და სპილენძს; ნიორი კი – ეთერზეთებს, რომლებიც აქტიურად ებრძვის და ანადგურებს ბაქტერიებსა და ვირუსებს.

### ბულგარული წიწაკა შაკიკის შეტევას აცხრობს და მხედველობას აუმჯობესებს

ბულგარული ანუ ტკბილი წიწაკა უხვად შეიცავს A, $B_1$, $B_2$, $B_3$, E და P ვიტამინებს, ფოლიუმის მჟავას, მინერალურ მარილებს, პექტინებს, ვაშლისა და ლიმონის მჟავებს, კალიუმს, მაგნიუმს, ფოსფორს, რკინას, სპილენძს, თუთიას. C ვიტამინი კი მასში გაცილებით ბევრია, ვიდრე ლიმონში. საკმარისია, დღეში 30 გრამი ტკბილი წიწაკა შეჭამოთ, რომ ორგანიზმმა მიიღოს აუცილებელი სასიცოცხლო ნივთიერებები.

განსაკუთრებით სასარგებლოა წითელი, ნარინჯისფერი და ყვითელი წიწაკა.

ტკბილი წიწაკა აცხრობს შაკიკის შეტევას, შველის ხველას, აუმჯობესებს მხედველობას. კარგია ანემიის დროს. ასევე, ის ხელს უშლის სკლეროზის განვითარებას, ორგანიზმიდან გამოაქვს ზედმეტი, ცუდი ქოლესტერინი, აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, ამშვიდებს ნერვულ სისტემას.

თუ ტკბილ წიწაკას რეგულარულად მიირთმევთ, ის გაგიმაგრებთ ფრჩხილებსა და თმას, გაგიმკვრივებთ კანს.

ასე რომ, გირჩევთ, მიირთვათ ტკბილი წიწაკა და თავად დაეხმაროთ საკუთარ ორგანიზმს მთელი რიგი დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლასა და გამკლავებაში.

### რევმატიზმისა და თირკმელების დაავადების დროს ლობიოს ჩენჩოს ნახარში შეუცვლელია

სამკურნალოდ გამოიყენება ლობიოს პარკის ჩენჩო, რადგან ის შეიცავს ტრიგონელინს, ანუ ბეტოინს, არგინინს, ტიროზინს, ლევიცინს, დიზინს, ამინომჟავებს, ასპარანგინსა და ხოლინს, ასევე, ორმოცდაათ პროცენტამდე ფემიცელულოზას.

რევმატიზმისა და თირკმელების დაავადებით გამოწვეული წყალმანკის დროს, როგორც შარდმდენი საშუალება, კარგია შემდეგი ნაყენი: 30 გრამ დაქუცმაცებულ ლობიოს ჩენჩოს დაასხით 1 ლიტრი წყალი, წამოადუღეთ, გააცივეთ და გადაწურეთ. მიიღეთ ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, ნახევარი ჩაის ჭიქა.

წითელი ქარით გამოწვეული ანთების დროს მტკივან ადგილზე დაიყარეთ ლობიოს ჩენჩოს დაფქული მასა.

ლობიოს ჩენჩო მოცვის ფოთლებთან ერთად ჩაყარეთ მომინანქრებულ ქვაბში, დაასხით ერთი ლიტრი წყალი და წამოადუღეთ. ეს ნაყენი კარგია კუჭქვეშა ჯირკვლის სამკურნალოდ, ასევე, შაქრიანი დიაბეტის დროს.

თირკმელების ანთების დროს ლობიოს ჩენჩოსა და სიმინდის ულვაშს დაასხით ნახევარი ლიტრი წყალი, ადუღეთ და ნახარში დალიეთ ყოველი ჭამის შემდეგ, ერთი ყავის ჭიქის ოდენობით.

### რომელ დაავადებებს უხდება ზღვის კლიმატი

ზღვის კლიმატი, ჰაერი, წყალი და წყალმცენარეები თითქმის ყველა დაავადებას კურნავს.

ზღვის წყალში იმდენი მინერალია, რამდენიც ადამიანის სისხლში. ზღვის წყალი, ასევე, ძალიან სასარგებლოა კუნთებისა და ვენების გასამაგრებლად. ის უარყოფით იონებსა და მიკროელემენტებს შეიცავს.

წყლიდან წამოსული ჰაერი აიძულებს ბრონქებს, მთელი დატვირთვით იმუშაონ. აორთქლებული ზღვის წყალი განსაკუთრებით სასარგებლოა ასთმიანებისთვის. ის ხსნის ხუთვებს და სასუნთქ ცენტრს ატენიანებს. ის, ასევე, შველის ბრონქების პრობლემებსა და დარღვეულ ვეგეტოსისტემებს.

გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძე

# ექიმის რჩევები

**კითხვა: ვარ 16 წლის, ამ ბოლო დროს დამეწყო თავის ტკივილები, ასევე, მაქვს გულისრევის შეგრძნება. ცხვირიდან სისხლის წასკდომის დროს, სისხლი გარეთ კი არ გამოედინება, ყელში ჩამდის და მეყლაპება. ძალიან მეშინია. რა ვქნა? მშობლებისთვის არ მითქვამს.**

**პასუხი:** საშიში არაფერია, მაგრამ, აუცილებლად უნდა უთხრათ მშობლებს. პირველი ვიზიტი საჭიროა ზოგადი პროფილის ექიმთან – თერაპევტთან, რომელიც, თქვენი ჩივილიდან გამომდინარე, განსაზღვრავს, რა გამოკვლევებია აუცილებელი.

**კითხვა: მაინტერესებს, თუ შეიძლება, რომ დედის რძე იყოს ნაკლებად ცხიმიანი და ბავშვს ვერ ანაყრებდეს? როგორ შეიძლება ამის დარეგულირება?**

**პასუხი:** „ხარისხიანი რძის საიდუმლო" მარტივია – ახალშობილს ხშირად აწოვეთ ძუძუ! კვებეთ ბავშვი ძუძუთი, კვების ჯერადობასა და ხანგრძლივობას განსაზღვრავს თავად ბავშვი, ანუ, ის უნდა იკვებებოდეს თავისი მოთხოვნილების მიხედვით, დღისა და ღამის განმავლობაში. კვების სიხშირე პირველი კვირის განმავლობაში დღე-ღამეში დაახლოებით 8-12 ჯერს უნდა შეადგენდეს. ამასთან, კვებათა შორის შუალედი არ უნდა აღემატებოდეს სამ საათს. დღე-ღამის განმავლობაში დასაშვებია მხოლოდ ერთი ხანგრძლივი შუალედი (6-საათიანი შესვენება კვებათა შორის) – ხანგრძლივი ძილის პერიოდი. მეძუძური ქალის ყოველდღიურ რაციონში უნდა შედიოდეს: 200 გრამი ხორცი (უმეტესად – მოხარშული და მჭლე); 100-150 გრამი ხაჭო; 20-30 გრამი ყველი; 1 ცალი მოხარშული კვერცხი (კვირაში 2-3-ჯერ); 600 გრამი ბოსტნეული (აქედან, კარტოფილი – არა უმეტეს 200 გრამისა); 200-300 გრამი ხილი; პური – არა უმეტეს 400 გრამისა (ამ ოდენობაში შედის სხვა ცომეული და საკონდიტრო ნაწარმიც): ჭვავის პური – 100 გრამი; ხორბლის პური – 200 გრამი; სითხე – არა უმეტეს 2 ლიტრისა, აქედან, 1 ლიტრი საკვების, ხოლო 1 ლიტრი – წყლის სახით (ამაში არ შედის ტკბილი გაზიანი სასმელები: „კოკა-კოლა," „ფანტა," „პეპსი-კოლა" და სხვა).

**კითხვა: ზელენინას წვეთების გამოყენება რამდენი ხნის განმავლობაში შეიძლება და შეზღუდულია თუ არა დრო?**

**პასუხი:** ზელენინას წვეთები შეიცავს საგულე გლიკოზიდს – შროშანას და დასამშვიდებელ საშუალებებს. დღეს არსებობს გაცილებით სრულყოფილი კარდიოლოგიური პრეპარატები.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# რა ტრაგედია მოხდა დიდი მაესტროს – ოდისეი დიმიტრიადის ცხოვრებაში და როგორ დაამეგობრა მან თავისი ცოლები

*„ოდისეი დიმიტრიადი, პულტთან! – ამის აღწერა უთუოდ ძნელია ჩემისთანა მთხრობელისთვის... უდიდესი შთაგონებისა და ემოციების მქონე, ის თითქოს გადმოგვცემს თავის გამოულეველ ენერგიას და ექცევი მისი გავლენის ქვეშ..“ – ასე ახასიათებს მუსიკისმცოდნე ნანა ქავთარაძე დიდ მაესტროს თავის წიგნში – „ოდისეი დიმიტრიადი – ბერძნული მითოსიდან გადმოსული მოძღვარი.” თბილისის საოპერო თეატრში დიმიტრიადი ქართული სადირიჟორო ხელოვნების მოვლენამ – ევგენი მიქელაძემ მიიწვია. ეტყობა, მიქელაძემ ჭაბუკ მუსიკოსში დიდი პოტენციის დირიჟორი იმთავითვე განჭვრიტა და თავისი საყვარელი სპექტაკლი „კარმენი” მას გადასცა. სამწუხაროდ, მათ თანამშრომლობა არ დასცალდათ...*



ოდისეი დიმიტრიადის შვილი (გარდაცვლილი)

*ბალანჩივაძე იხსენებს: „1944 წელს დიმიტრიადიმ 5-6 რეპეტიციაში შეისწავლა ჩემი პირველი სიმფონიის ურთულესი პარტიტურა და კონცერტზე ზეპირად იდირიჟორა. ჯერჯერობით ამ შესრულებას მე ვთვლი ყველაზე საუკეთესოდ. შემდგომში, ჩემს კითხვაზე – „როგორ შეგიძლია ასე სწრაფად აითვისო პარტიტურა”? – ოდისეიმ მიპასუხა: „სამწუხაროდ, ეს ყოველთვის ასე არ ხდება. სწრაფად ვსწავლობ მხოლოდ იმას, რაც მომწონს”... მახსენდება, როგორი იუმორითა და ჟესტიკულაციით ყვებოდა ბატონი ოდისეი თავის „სამუშაოზე” ქუჩაზე მარშით მიმავალ სასულე ორკესტრში. თურმე, ის და პავლე ხუჭუა დიდ დოლზე და თეფშებზე უკრავდნენ ორიოდე გროშის მოსაპოვებლად და სტუდენტური ცხოვრების „გასამხიარულებლად.” ამასთან დაკავშირებით მელიტონ ბალანჩივაძის კურიოზიც გაიხსენეს, მისი ეტლის ცხენების შესახებ: თურმე, მელიტონის მიერ იაფად შეძენილი ცხენები ცირკში ყოფილან გაწვრთნილი და პეტერბურგის მოედანზე სასულე მარშის გაგონებისთანავე, წრეზე სრბოლა დაუწყიათ და ეტლი ყალყზე შეუყენებიათ”...*

*ჩვენს მკითხველს პირველად და ექსკლუზიურად ოდისეი დიმიტრიადის დღიურებს საოჯახო ალბომით, მისი ქალიშვილი, პიანისტი ნანა დიმიტრიადი დაათვალიერებინებს, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდით.*

**– ქალბატონო ნანა, თქვენი ოჯახის ისტორია საქართველოში ცოტამ თუ იცის. ყველას ძალიან აინტერესებს ოდისეი დიმიტრიადის ოჯახი – ვინ იყვნენ, საიდან გაჩნდნენ საქართველოში, როგორ გახდა მამათქვენი დირიჟორი, რა გზა გამოიარა ბრწყინვალე კარიერამდე...**



ოდისეი დიმიტრიადი შვილებთან ერთად

– ბებია და ბაბუა ბერძნები იყვნენ და კონსტანტინოპოლში დაოჯახდნენ. რვა შვილი ჰყავდათ. მერე ჩამოვიდნენ ბათუმში, სადაც მამა დაიბადა. ბათუმში 1931 წლამდე ცხოვრობდნენ. შვილები უკვე დიდები ჰყავდათ, როცა სამშობლოში დაბრუნდნენ. საქართველოში მხოლოდ მამაჩემი და ბიძაჩემი დარჩნენ. პატრიარქალური ოჯახი ჰქონდათ. ოჯახში ყველა ბერძნულად ლაპარაკობდა, მაგრამ, ბავშვები რუსულ გიმნაზიაში სწავლობდნენ, იმიტომ, რომ იმ დროს ქართული გიმნაზიები არ იყო. მამას ბავშვობიდან აღმოაჩნდა მუსიკის ნიჭი, მშვენივრად უკრავდა ფორტეპიანოსა და ვიოლინოზე. ჰყავდა და, რომელიც 15 წლის ასაკში გარდაეცვალა. ისიც კარგად უკრავდა როიალზე. მუსიკალური ნიჭი ისეთი რამაა, არც იცი, საიდან გაჩნდება ხოლმე. დედაჩემი, ნადეჟდა ხარაძე ცნობილი საოპერო მომღერალი იყო. მე 3 წლიდან უკვე რალაცეებს ვარჩევდი როიალზე და ვუკრავდი. ეს არავის გაჰკვირვებია, რადგან, მუსიკოსების ოჯახიდან ვიყავი. ჩვენი ოჯახი არ იყო მდიდარი, მაგრამ, არც ღარიბებად ვითვლებოდით. მამაჩემის მამა კომერსანტი იყო და ცუდად არ ცხოვრობდნენ, თუმცა, მათაც ჰქონიათ რთული პერიოდები. მაგალითად, დედაჩემისა და ბებიაჩემის მონაყოლიდან ვიცი, რომ ძალიან ცუდი პერიოდი იყო 30-იან წლებში. ბებიაჩემს თავისი ძვირფასთვლიანი ოქროს ბეჭდები მიჰქონდა და აბარებდა. იყო ასეთი ადგილი – „ტორგსინი”, სადაც რაღაც ნივთებს საჭმელზე – წიწიბურაზე, მანანის ბურღულზე, ფქვილზე – ცვლიდნენ



ოდისეი დიმიტრიადი შვილთან



ოდისეი დიმიტრიადი

მამამ 1926 წელს დაამთავრა სკოლა, ჩამოვიდა თბილისში და კონსერვატორიაში, საკომპოზიციო ფაკულტეტზე ჩააბარა. აქ ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა. მერე კონსერვატორიაში გაიცნო დედაჩემი. სამი წლით იყო დედაზე უფროსი. 1929 წელს დაქორწინდნენ. დაიბადა ჩემი და, რომელიც მალე გარდაიცვალა. შემდეგ მე გავჩნდი. ცოტა ხანში მშობლები დაშორდნენ ერთმანეთს, მაგრამ, სიცოცხლის ბოლომდე არაჩვეულებრივი, თბილი ურთიერთობა ჰქონდათ. მამა ხელმეორედ დაქორწინდა და გაჩნდნენ ჩემი ძმები. ერთი ტრაგიკულად დაიღუპა 25 წლის ასაკში, არაჩვეულებრივი პიანისტი იყო; მეორე ძმა ქიმიკოსია. სხვათა შორის, დედაჩემი და მამას მეორე მეუღლე (არაჩვეულებრივი რუსი ქალბატონი ლიზა) ისე მოიქცნენ, რომ ყველა ერთმანეთთან ძალიან ახლოს და კარგად ვყოფილიყავით. ეს გამოიხატებოდა იმაში, რომ დედაჩემი არ იყო წინააღმდეგი, მე ხშირად ვყოფილიყავი მამასთან, ჩემი ძმები და მამა კი მოსულიყვნენ ჩვენთან.

**– თქვენი მშობლების შემდგომში კარგი ურთიერთობა, ალბათ, იმითაც იყო განპირობებული, რომ საერთო შვილი ჰყავდათ და ერთ თეატრში მუშაობდნენ.**

– მხოლოდ ეს ფაქტორი არ ყოფილა მათი კარგი ურთიერთობის მიზეზი, ეს დედაჩემის ბუნებიდან გამომდინარეობდა. ძალიან კარგი ხასიათის ქალი იყო და ყველას ყველაფერს პატიობდა. მამაჩემიც ძალიან კარგი ბუნების კაცი გახლდათ. მას ბოლომდე უყვარდა დედაჩემი, თუმცა, უკვე როგორც მისი შვილის დედა.

**– ალბათ, დიდი მაესტროს ცხოვრებასაც არ ჩაუვლია უშფოთველად, გზადაგზა ბარიერებსაც აწყდებოდა. რა იცით ამის შესახებ?**

– 1946 წელს მიიწვიეს საბჭოთა კავშირის ყველაზე პრესტიჟულ, მოსკოვის დიდ თეატრში. დებიუტისთვის შესთავაზეს რიმსკი-კორსაკოვის ოპერა – „მეფის საცოლე”. ძალიან გაუხარდა და წავიდა. არაჩვეულებრივად მიიღეს თეატრის სოლისტებმა, ორკესტრმა და მაყურებელმაც. იყო ასეთი დირიჟორი – ალექსანდრე მელიქ-ფაშაევი, რომელიც უწინ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრშიც მუშაობდა და სწორედ მან მიიპატიჟა. დებიუტის მერე მან მამას უთხრა: „ყველაფერი კარგად არის, დღეიდან დიდი თეატრის დირიჟორი ხარ!” მაგრამ, სამწუხაროდ, რამდენიმე დღეში საქმე სულ სხვაგვარად წარიმართა. მოგეხსენებათ, ომი ახალი დამთავრებული იყო და, ყველა უცხოელს, ვინც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე იმყოფებოდა, უნდა დაეტოვებინა ქვეყანა და თავის სამშობლოში დაბრუნებულიყო. იმ ანკეტის მე-5 გრაფაში, რომელიც მამას უნდა შეევსო, ეროვნება უნდა ჩაწერილიყო და ამან შეუშალა ხელი, თორემ, მამაჩემის კარიერა უფრო გაბრწყინებული იქნებოდა, თუმცა, მან შემდგომ ისედაც შეძლო, მოეარა მსოფლიო. საბჭოთა კავშირის გარდა, ევროპის ყველა ქვეყანაში, სამხრეთ ამერიკაშიც კი, ყველგან დიდი წარმატებით მიდიოდა მისი გასტროლები.

**– მაგრამ, მამათქვენისთვის ეს არ ყოფილა უკანასკნელი შეთავაზება მოსკოვის დიდი თეატრიდან. როგორც ვიცი, 1965 წელს ის კვლავ მიიწვიეს დიდი თეატრის მთავარ დირიჟორად, სადაც მან რვა წელი იმუშავა.**



ოდისეი დიმიტრიადი ქალიშვილთან

– მან უცებ მიიღო ეს გადაწყვეტილება, რადგან, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში მანამდე ორკესტრის რაღაც ჯგუფი შეიკრა. ისინი მამას აღზრდილები იყვნენ, მაგრამ, მის წინააღმდეგ წავიდნენ. ეს იყო ნამდვილი ინტრიგა. მამაჩემი ისე გარდაიცვალა, მისთვის რუსი, ქართველი, ებრაელი, ბერძენი – ყველა ერთი იყო. ძალიან ეტკინა გული. როგორც ჩანს, ამ, ინტრიგას ვიღაც ხე-



ოდისეი დიმიტრიადი მეორე მეუღლესთან და შვილებთან

ლმძღვანელობდა. ქართველებს კი არ ასაქმებს ორკესტრში, ვილაცეები ჩამოჰყავსო – ჩიოდნენ. მართალია, იყო ასე. როდესაც ხედავდა, რომ მუსიკოსი ვალტორნაზე ან რომელიმე სასულე ინსტრუმენტზე ისე ვერ უკრავდა, როგორც საჭირო იყო, ძლიერი ორკესტრანტები ჩამოჰყავდა. მამაჩემი მთავარი დირიჟორი იყო და, ბუნებრივია, უნდოდა, ორკესტრი ძალიან კარგი ყოფილიყო, მაგრამ, ეს არ იყო იმით გამოწვეული, რომ რომელიმე ერის ადამიანს პატივს არ სცემდა. სხვათა შორის, ისინი, ვინც მამაჩემის წინააღმდეგნი იყვნენ, მერე მოვიდნენ და ბოდიში მოუხადეს. მე რომ მხვდებოდნენ არ ვესალმებოდი. მამას უთხრეს: თქვენ გვაპატიეთ, ნანამ კი არ გვაპატიაო. მხოლოდ ძალიან დიდი პერიოდის შემდეგ დაველაპარაკე. მერე მამაჩემი წელიწადში ერთხელ მაინც ჩამოდიოდა თბილისში – კონსერვატორიაში სადირიჟორო კლასი ჰყავდა აყვანილი. ბევრი მათგანი მამამ აღზარდა, მაგალითად, ჯანსუღ კახიძე, რომელიც ძალიან უყვარდა.

ხშირად ჩადიოდა საბერძნეთში. სთოხვეს, სამიოთხი წლით მაინც დაბრუნდით, ორკესტრი განაახლეთ და დადგით, რაც გინდათო. როდესაც პირველად დაპატიჟა ათენის საოპერო თეატრმა, „პიკის ქალი" დადგა და ზურიკო ანჯაფარიძე წაიყვანა, მერე პაატა ბურჭულაძე მიიწვია „ბორის გოდუნოვში" მთავარ როლზე; ჯანსუღ კახიძეც ჩადიოდა ხოლმე და ძალიან დიდი წარმატებები ჰქონდათ.

**– მამათქვენის მოსვლა თქვენთან ოჯახში, იმის შემდეგ, რაც მას უკვე მეორე ოჯახი ჰქონდა, ხომ არ ქმნიდა უხერხულობას? მართალია, თქვენ თქვით, რომ ჩემს მშობლებს შემდგომშიც არაჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდათო, მაგრამ, მაინც...**

– დედაჩემი იმერელი, ხარაძის ქალი იყო და მამა გიჟდებოდა იმერულ კერძებზე – მჭადი და ლობიო უყვარდა. დავურეკავდი ხოლმე და ვეპატიჟებოდი, თუმცა, ისედაც სულ მოდიოდა. მისი ცოლიც ნამყოფია ჩვენთან. მამიდაჩემი რომ ჩამოვიდა საბერძნეთიდან, დიდი ოჯახური სადილი გავმართეთ. არავითარი დაძაბულობა და უხერხულობა არ იგრძნობოდა. ჩემი ძმა რომ გარდაიცვალა, დედაჩემმა ძალიან განიცადა. მამამ გადაწყვიტა, მისთვის ერთი-ერთი კონცერტი მიეძღვნა და ჩაიკოვსკის მეექვსე ტრაგიკული სიმფონია იდირიჟორა. ეს საღამო არასდროს დამავიწყდება. იმ დღეებში, როდესაც ჩემს ძმას უბედურება შეემთხვა, მამა მექსიკაში დგამდა „ბორის გოდუნოვს". ჩემი ძმა თორმეტი დღე ითხოვდა მამას და ვერაფრით ვერ ვუკავშირდებოდით ტელეფონით. ბოლოს, როდესაც უკვე გარდაიცვალა, როგორც იქნა, შეატყობინეს. ძალიან დიდი ნებისყოფის ადამიანი იყო.



ოდისეი დიმიტრიადი



ოდისეი დიმიტრიადი და ნადეჟდა ხარაძე

მთელი თავისი სიყვარული მერე ჩემს შვილზე გადაიტანა. გაგიჟებით უყვარდა, თან, პირველი შვილიშვილი იყო ***(ლიკა ქავჟარაძის ყოფილი მეუღლე, – ავტორი).***

...

„დაუვიწყარია „თბილისურ მუსიკალურ შემოდგომაზე" მის მიერ შესრულებული ჩაიკოვსკის მეხუთე სიმფონია... სადირიჟორო პულტთან იჯდა 90 წელს მიტანებული მაესტრო, რომელიც ზეპირად დირიჟორობდა არა ხელებით, არამედ, თითების ძუნწი მოძრაობით და, ანთებული თვალებით ნუსხავდა ორკესტრს... საორკესტრო ჯგუფები ხან ერთად, ხან ცალ-ცალკე მოგვითხრობდნენ ამბავს ადამიანისა და ბედისწერის იმ მარადიულ ბრძოლაზე, საიდანაც გამარჯვებული არც ერთი არ გამოდის... ფინალური მარშის კულმინაციაზე დირიჟორმა ემოციები ვერ დაიოკა და სიმფონია ფეხზე ამდგარმა დაასრულა. ემოციებმა დარბაზიც ფეხზე წამოაყენა და აღფრთოვანებას საზღვარი არ უჩანდა. საყვარელი მაესტრო ოდისეი ამ დროს ბერძნული მითოსიდან გადმოსულ მოძლვარს ჰგავდა..."

**ეკა პატარაია**

(23-ე გვერდიდან)

## რატომ აუღო „ჩესტი" მილიციელმა პლეხანოველ კიკას და რით გამოირჩეოდა თბილისური რესტორანი „ბო-მონდი"

### კიკა

მეოცე საუკუნის თბილისი, განსაკუთრებით პლეხანოვის პროსპექტი, წარმოუდგენელი იყო კიკას გარეშე. ქალაქელი გიჟის სახელით ცნობილი კიკა ნამდვილი კოლორიტი იყო, ის ვორონცოვის მოედანთან ახლოს ცხოვრობდა, ტყვიავის ქუჩაზე და კიევის ქუჩაზე მდებარე გოგირდის აბანოს ხშირი სტუმარი იყო, სადაც უფასოდ უშვებდნენ. კიკას მეოცე საუკუნის შუა პერიოდში საზოგადოებრივ ტრანსპორტში – ტრამვაისა და ტროლეიბუსში ნახავდით. ის უწყინარი და ბავშვივით გულჩვილი გახლდათ და თითქმის არადროს უნახავთ ცუდ ხასიათზე. მხოლოდ ერთხელ, ტროლეიბუსში ასულ კიკას უთქვამს: „დედა მომიკვდა, დედა" და ტირილი დაუწყია. მას შემდეგ კიკას მისი ნათესავები პატრონობდნენ. კიკას სახელს უკავშირდება 60-იანი წლების ქალაქური ლეგენდა, რომელიც საქართველოში ნიკიტა ხრუშჩოვისა და ფიდელ კასტროს ვიზიტის დროს მოხდა. საკავშირო ტელევიზიები ამ ვიზიტს აშუქებდნენ და თითქმის ყველამ იცოდა ამის შესახებ. ხრუშჩოვისა და კასტროს ვიზიტის პარალელურად, პლეხანოვზე კიკასთან ერთად გამოჩნდა კიდევ ერთი ქალაქელი გიჟი – მაღალი შავთმიანი წვერებიანი მამაკაცი, რომელიც ფიდელს წააგავდა, თავად კიკა კი მელოტი თავით – ხრუშჩოვს. მავანმა პლეხანოველებმა მაშინვე იპოვეს სახურავგადახდილი „ვილისი", ჩასვეს ორი „გიჟი" ავტომობილში და მარჯანიშვილის მოედნიდან ჩელუსკინელებამდე გაყვანაზე შეუთანხმდნენ მძღოლს. ავტომობილი ნელი სვლით დაიძრა და პლეხანოველების მთელი არმია გაჰყვა უკან. კიკას ხრუშჩოვივით შლაპა ეხურა, ხოლო ფიდელის ორეულს ხელში სიგარის ნაცვლად, პაპიროსი ეკავა. ორივე ბედნიერი სახით იჯდა ავტომობილში და ხელებს იქნევდა. სცენა იმდენად შოკისმომგვრელი იყო თბილისელებისთვის, მათ მართლა ირწმუნეს, რომ პლეხანოვზე მაღალი რანგის სტუმრების მსვლელობა მოეწყო. ერთ-ერთმა მილიციელმა „ფიდელსა და ხრუშჩოვს" „ჩესტიც" კი აუღო. ავტომობილმა 200-მდე მეტრის გავლა მოასწრო, შემდეგ კი კიკა და მისი მეგობარი მილიციის განყოფილებაში წაიყვანეს, თუმცა, მალევე გამოუშვეს. ცნობილია, რომ დაკითხვაზე გამომძიებელი დაინტერესდა, თუ ვინ იყო ამ ყველაფრის ორგანიზატორი, რაზეც კიკამ უპასუხა: შენ არ იყავი? როგორ არ გახსოვსო.



ნიკიტა ხრუშჩოვი და ფიდელ კასტრო საქართველოში ვიზიტის დროს

**უშანგი რუხაძე**

**მასალაში გამოყენებულია ფრაგმენტები წიგნიდან: დავით ხოშტარია „თბილისის ძველი სასტუმროები" (გამომცემლობა „არტანუჯი", თბილისი 2011)**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



**ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებობს დაუწერელი კანონები, რომლებსაც ადამიანები, ნებსით თუ უნებლიეთ, ითვალისწინებენ. ზოგს წინაპრებისა თუ ახლობელი ადამიანებისგან გაუგონია, რომ, მაგალითად, სახლში ობობის მოკვლა არ შეიძლება, ჭიანჭველების შემოსევა სამზარეულოში სიმდიდრის მაჩვენებელია, ხოლო თაგვების მომრავლება – სიღარიბის. ბევრს ეს ყველაფერი ცრურწმენად მიაჩნია და არც კი აქცევს ყურადღებას. თუმცა, როგორც პარაფსიქოლოგი, ქალბატონი ნინო ამბობს, ამ მითებში სინამდვილე ნამდვილად არის და ეს ერთგვარი წინასწარმეტყველება ადამიანის მომავალ ცხოვრებაზე ნამდვილად აისახება.**

# რაზე მიგანიშნებთ ბინაში ობობების მომრავლება, თაგვების „სტუმრობა" და ჭიანჭველების გამოჩენა

**ნინო**: ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანები უამრავ ფაქტს ვაწყდებით. მაგალითად, აბა, დაფიქრდით, რატომ შედიხართ გაუცნობიერებლად სახლში მარჯვენა ფეხით, რატომ გიკრძალავენ ასაკოვანი ადამიანები სახლის კედელზე მცოცავი ობობის მოკვლას, რატომ არ შეიძლება საწოლიდან მარცხენა ფეხით წამოდგომა და ასე შემდეგ. ბევრს საცხოვრებელში მომრავლებული ჭიანჭველები და თაგვებიც შემთხვევითობა ჰგონია, მაგრამ ეს ასე არ არის. სულ ვამბობ, შემთხვევით არაფერი ხდება, ეს გამორიცხულია.

**– მაგალითად, თუ საცხოვრებელ ბინაში ჭიანჭველა, მღრღნელი ან ობობა მომრავლდა, მათი „სტუმრობა" რისი ნიშანია?**

– ოდითგანვე აქცევდნენ ყურადღებას, რომელი მწერი, ცხოველი თუ მღრღნელი დაიბუდებდა მათ ბინაში და ამით ბევრ რამეს იგებდნენ მომავალზე. მაგალითად, თუ სამზარეულოში ჭიანჭველების შემოსევაა, უნდა გიხაროდეთ, რადგან ეს ოჯახში ფულის შემოდინების მანიშნებელია, თუ თაგვები მომრავლდა – მომავალი ფინანსური სტაბილურობის, ხოლო ობობას ოჯახში ფული შემოაქვს და მისი მოკვლა ნამდვილად არ ღირს. სხვათა შორის, თაგვს შემოსავლის სტაბილურობის გარდა, ოჯახში ბედნიერებაც მოაქვს. ოღონდ, რასაკვირველია, იმას არ ვგულისხმობ, სადაც სიბინძურეა, იქ რომ მიდის მღრღნელი.

**– გამიგია, რომ თაგვს სახლიდან ოქროს ნივთების მოპარვაც უყვარს.**

– დიახ, ეს სიმართლეა. თაგვს ოქრო უყვარს და ნუ დატოვებთ თქვენს სამკაულებს დაუდევრად. მღრღნელი ოქროს იპარავს, თავის სოროში საგულდაგულოდ მალავს და არ გეგონოთ, ის ოდესმე იპოვოთ. რაც შეეხება ჭიანჭველებს, ისინი სამზარეულოს სტუმრები არიან და მათ დახოცვას არ გირჩევთ, თუ ოჯახში ბარაქის მოზიდვა გსურთ. მართალია, ძნელია, როცა სამზარეულოში ჭიანჭველა დაბობღავს და ეს არც სასიამოვნოა, მაგრამ, რას ვიზამთ, ისინი ჩვენს კეთილდღეობაზე აგებენ პასუხს. აქედან გამომდინარე, მათი დახოცვა არ ღირს. თუ ძალიან შეგაწუხათ მათმა სტუმრობამ, დაასველეთ ღრუბელი შაქრიან, ტკბილ წყალში, დადეთ იატაკზე ან მაგიდაზე, ისინი მას მიესევიან და, შეგიძლიათ, ასე გაიყვანოთ გარეთ, მაგრამ, მოკვლას არ გირჩევთ.

**– თუ მათ ასეთი წესით გარეთ გავიყვანთ, ბარაქაც არ გაჰყვება?**

– თქვენ ისინი გარეთ გაგყავთ, ხომ არ ხოცავთ? თანაც, მათი გარკვეული რაოდენობა ხომ რჩება სახლში? ისე, ობობა, ჭიანჭველა თუ თაგვი, რომელიც ადამიანებში ზიზღს, შიშსა და სიძულვილს იწვევს, არცთუ ისე საშიშია, როგორც გგონიათ. თუმცა, გეთანხმებით, მათი არსებობა არცთუ ისე სასიამოვნოა.

**– პირად საუბარში ახსენეთ, არსებობს გარკვეული დაუწერელი წესები და კანონები, რომელიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ყოველდღიურ ცხოვრებაშიო. რას გულისხმობდით კონკრეტულად?**

– ხომ გაგიგიათ, ადამიანს რამე რომ არ გამოსდის, ჩხუბობს ან ცუდ განწყობაზეა, ეუბნებიან, შენ დღეს მარცხენა ფეხზე ხომ არ ადექიო. ზოგჯერ გვიკვირს და ვფიქრობთ, რატომ უმართლებთ სხვებს ჩვენზე მეტად, რატომ არიან ისინი ჩვენზე წარმატებულები, რატომ გვეცარება ხელი? ზოგადად კი, წარუმატებლობის მთავარი მიზეზი ადამიანის ენერგეტიკული ველის მდგომარეობაა. ასევე, ხშირად, წყევლის ძალას იძენს უნებურად წამოსროლილი, გაბრაზებულ გულზე შეგინება; არც იმ ტანსაცმლის თხოვება ვარგა, რომელიც ცხოვრების ყველაზე ბედნიერ წუთებში გეცვათ. ერთი სიტყვით, არსებობს ისეთი დეტალები, რაც ჩვენს ბედზე აგებს პასუხს და ამას აუცილებლად გულდასმით უნდა დავაკვირდეთ. მაგალითად, ბევრს უკვირს, რატომ არ მიმართლებს კაზინოში, ბიზნესში, ფულში ან პარტნიორშიო. მათ საერთოდ არ ესმით, რა კავშირში შეიძლება იყოს წარუმატებლობა ადამიანის ენერგეტიკული ველის მდგომარეობასთან. მე თუ მკითხავთ, ადამიანის უიღბლობას, თუნდაც კაზინოში, ტოტალიზატორში ან ნებისმიერ აზარტულ თამაშსა თუ პირად ცხოვრებაში, ზეციური ძალების სასჯელით ვხსნი. რასაკვირველია, შემთხვევითობა ყველა ადამიანის ცხოვრებაში ხდება და ერთ დღესაც თქვენც დარჩებით მოგებული, მაგრამ, ეს დღე როდის დადგება, ღმერთმა უწყის. ისე კი, გეტყვით, რომ შემთხვევითობა სხვა არაფერია, თუ არა ჯერ კიდევ ამოუცნობი კანონზომიერება. ამიტომ, ჩვენს თავს დატეხილი უბედურების დროს ყველაფერი შემთხვევითობას კი არ უნდა დავაბრალოთ, არამედ, უბედურების სათავე საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ. თუმცა, არც იმას გამოვრიცხავ, რომ უბედურების უმეტესი წილი უიღბლო ვარსკვლავზე დაბადებას, გათვალვას, შურს ან ავ თვალს მოჰყვეს. ბევრი შემთხვევაა, როცა ადამიანს კარიერაში უმართლებს, პირად ცხოვრებაში კი – არა; ან, იშოვის სამსახურს, თითქოს ყველაფერი კარგადაა და, უეცრად, უქმდება შტატი, ან, საქმიანი პარტნიორი ულალატებს და მთელი ფინანსები წყალში იყრება... ასეთი ბევრი მაგალითია. არასტაბილურ დროში ნამდვილად ვცხოვრობთ, მაგრამ, არ შეიძლება, ამის გამო აგრესია გაგზავნო სხვების მისამართით, თან გინება, რომ იციან: „ჩემი დედა"... „ჩემი კარგი"... „ჩემი ბედის ასე და ისეო," ეს საკუთარი თავის დაწყევლის ტოლფასია. გინებას, გარკვეულ დროსა და მომენტში, წყევლის ძალა აქვს და უიღბლობის სახით ასმაგად და ათასმაგად უბრუნდება ადამიანს. როცა ვინმეს მიმართ ზიზღს ამჟღავნებთ, სამყაროსგან რეაქცია არ დააყოვნებს და ბუმერანგივით უკან მოგიბრუნდებათ. მერწმუნეთ, დედამიწის ის ნაწილი, სადაც ცხოვრობთ, ვერ აიტანს იმ ჯადოს, რომელიც თქვენ გაუგზავნეთ, აფეთქდება და მის გაწმენდას შეეცდება. კაცი თუ მთელი გულით იგინება, ეს ძლიერად მოქმედებს და სხვა არაფერია, თუ არა დედამიწის, წინაპრებისა და ჩვენი ჯიშის დაწყევლა. როცა ვიგინებით გაბრაზებულ გულზე, ამით ვწყევლით საკუთარ თავს, საკუთარ დედას, საკუთარ გენს და თუ ამის შემდეგ, ხელი გვეცარება, არ გვიმართლებს და უიღბლობა გვიტევს, რა გასაკვირია. ასე რომ, გირჩევთ, გინებისგან თავი შეიკავოთ და ამით არ დაიბინძუროთ საკუთარი მომავლის ენერგეტიკული არხი.

**არსებობს ისეთი დეტალები, რაც ჩვენს ბედზე აგებს პასუხს და ამას აუცილებლად გულდასმით უნდა დავაკვირდეთ**

**ნონა დათეშიძე**

## ის, რაც აკრძალულია

რა აღიზიანებს მამაკაცს?! ძალიან ბევრი რამ, რასაც ქალები ყურადღებას არ ვაქცევთ და არ ვცდილობთ, საკუთარ შეცდომებზე რამე ვისწავლოთ. საპირისპირო სქესი სხვანაირად არის მოწყობილი: შეიძლება, დიდხანს იყოს ჩუმად და გეგონოთ, რომ „გაატარა“, მაგრამ, გაღიზიანება ნელ-ნელა ელექება „ფსკერზე“, საიდანაც აუცილებლად ამოხეთქავს. თანაც, ეს ამოხეთქვა საკმაოდ დიდი საფრთხის შემცველი იქნება.

მამაკაცებს, ზოგადად, ძალიან არ უყვართ კატეგორიული და მომთხოვნი ტონი. ვერ იტანენ, როცა მათზე ვინმე მბრძანებლობს. გააკეთებინეთ ის, რაც გინდათ, მაგრამ, უნდა ეგონოს, რომ ეს მისი სურვილი იყო და არა თქვენი. შემაშინებელი პროგნოზები, ერთი შეხედვით, სასაცილოდ არ ჰყოფნით, მაგრამ, საშინლად არ მოსწონთ. რატომ უნდა შეაშინოთ ზრდასრული მამაკაცი? შეეცადეთ, დაინტერესდეს მოქმედებით და მიზანთან ისე მიიყვანეთ.

* უკვე გაკეთებულის გაუფასურება – დიახ, თუკი შრომას წყალში გადაუყრით! უმნიშვნელო შრომაც შრომაა. მას მოსწონს, რასაც აკეთებს და ამით ამაყობს (სხვათა შორის, ეს ცუდი თვისებაა – სხვისი გაკეთებულის არდანახვა მამაკაცებსაც ახასიათებთ, მაგრამ, რატომღაც, ქალისგან მეტ დიპლომატიას ითხოვენ).

* შედარება – მამაკაცი ცოფდება (თუმცა, ხშირად არ იმჩნევს), როცა სხვა მამაკაცს უსახელებენ მაგალითად – ეს პირდაპირ ურტყამს მათ თავმოყვარეობას. ყველა მამაკაცი ხომ ეგოისტია და საკუთარი თავი საუკეთესო ჰგონია საუკეთესოთა შორის.

* ულტიმატუმი და ბრალის დადება – განსაკუთრებული მგრძნობიარობით რეაგირებენ ერთზეც და მეორეზეც. არავითარი ულტიმატუმი! „მე ყოველთვის მართალი ვარ!“ – აი, მათი ცხოვრებისეული კრედო... ანუ, ეს ყველაფერი ქალისთვის აკრძალულია. მაშინ, შეიძლება, ის მამაკაცმა აღიაროს!

## ცრემლები თუ გატეხილი ლამბაქი

გწყინთ? ტირით? ჩხუბობთ? ჭურჭელს ამტვრევთ? – ეს აბსოლუტურად ნორმალურია...

იმოქმედეთ ენერგიულად – ჩართეთ მთელი სხეული, თუკი გრძნობთ ამის აუცილებლობას. ჭურჭლის მტვრევა არანაირად არ არის შეშლილობის ან არაადეკვატურობის ნიშანი. თუ გირჩევნიათ, ბალიშს დაუშინეთ მუშტები... ზოგი ტანსაცმელსაც ფხრეწს – მერე რა... ეგ კი არა, უცხოეთში მოდაშია იმ ადამიანის ფოტოს დაჩვხლეტა და დახევა, ვინც გაგაბრაზათ – ანუ, ესეც დასაშვებია.

ახლა ცრემლების პოზიტიურობის შესახებ:

ცრემლები ზოგჯერ უსუსურობით არის პროვოცირებული. როცა გრძნობ, რომ მეტი არაფრის გაკეთება აღარ შეგიძლია, იწყებ ტირილს – ეს ორგანიზმის ბუნებრივი რეაქციაა და წინ ნუ აღუდგები.

ცრემლთან ერთად, ტოვებენ სტრესის ჰორმონები ორგანიზმს და წყენისა და ბრაზის სანაცვლოდ მოდის სიმშვიდე, სასიამოვნო სისუსტე და აუცილებლად თავისუფლად ამოისუნთქებთ.

ოღონდ, გაითვალისწინეთ: არ მოახდინოთ სტიმულირება სპეციალურად და არ გამოიწვიოთ ცრემლები ხელოვნურად – ამ გზით სპეკულაცია და სიბრალულის მოპოვება ძალიან ხანმოკლეა და არაეფექტური, თანაც, აფართოებს ნერვულ სისტემას და ნეგატიურად აღიზიანებს მას. ხელოვნურმა ცრემლიანობამ, შეიძლება, შინაგან პრობლემებთანაც მიგიყვანოთ. ასე რომ, ცრემლებიც კარგია და ჭურჭლის მტვრევაც – ოღონდ, დროულად და ზომიერად.

## როცა ქალი გაბრაზებულია

მამაკაცების გასაგონად და საყურადღებოდ (თუმცა, არც ქალებს აწყენთ ამის წაკითხვა)... თქვენ ძნელად გესმით საპირისპირო სქესის, ყოველ შემთხვევაში, მომენტს არ უშვებთ ხელიდან, ამაზე რომ არ იწუწუნოთ. ამიტომაც ვეცდებით, ცოტა დაგეხმაროთ.

მოკლედ, გამოიჩინეთ ცოტა მეტი ყურადღება და დააკვირდით: თუ ქალი ენერგიულად წმენდს იატაკს და „გახვრეტამდე“ აპრიალებს – ესე იგი, გაბრაზებულია.

ნუ მოიკატუნებთ თავს და ნუ მოიქცევით ისე, თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივად არის – ასე მხოლოდ ნავთს დაასხამთ ცეცხლზე. ფრთხილად! იატაკის წმენდას არ შეეშვას და თქვენ არ შემოგიბრუნდეთ.

თუ ჭურჭელს ხმაურით რეცხავს ან ალაგებს, ამ შემთხვევაშიც გაბრაზებულია. თუ შემოგხედათ და ღრმად დაიწყო სუნთქვა, ეცადეთ, რამე სისულელე არ წამოგცდეთ. არც ის ჰკითხოთ, რა დაგემართაო, რომ მან ეს ირონიად, შეურაცხყოფად არ მიიღოს. აგრესიის წყაროს მხოლოდ გულწრფელი თანაგრძნობით „გადაკეტავთ“. გაბრაზებული ქალი კიდევ უფრო შეუცდომლად ასხვავებს ერთმანეთისგან ყალბსა და ბუნებრივს – ეს გაითვალისწინეთ!

## გამოუშვით „ორთქლი“

თვალები გიბნელდება... თავში თითქოს ზარები რეკავენ... ყველაფერი გტკივა და გრძნობ, რომ ძალიან, ძალიან ცუდად ხარ. კიდეც გწყინს, კიდეც ბრაზობ... არ იცი, როგორ მოიქცე, რომ ცოტათი მაინც მოგეშვას... ბავშვობაში, ალბათ, გეუბნებოდნენ, რომ მრისხანება, ბრაზის აგრესიაში გადატანა ცუდი საქციელია, რომ ამას არავინ მოგიწონებთ.

რას ნიშნავს ნეგატური ემოციების ჩახშობა? – არაფერ კარგს, თუ შეეცდებით წყენა ყველასგან დამალოთ და არავის დაანახვოთ, როგორ განიცდით და ნერვიულობთ, ან – ბრაზობთ, მიიღებთ იმას, რომ თქვენი საერთო მდგომარეობა ძალიან დამძიმდება როგორც ფსიქოლოგიურად, ისე ფიზიოლოგიურად.

უკმაყოფილო ხართ? – თქვით. ეს არ არის პრობლემა. პრობლემა ის არის, როგორ გააკეთებთ ამას. მთავარია, შეურაცხყოფა არ მიაყენოთ და არ გადააბრალოთ პარტნიორს ის, რასთან კავშირშიც არ არის. ხვდებით, ხომ, რაზე ვსაუბრობთ? წყენის გამოხატვის უფლება გაქვთ, მთავარია, ამით სხვას არ აწყენინოთ.

ჩნდება ბუნებრივი კითხვა: „თუკი სწორედ მან მაწყენინა?“

პასუხი: ნუ მოიქცევით ისე, როგორც მოგექცნენ – ეს არ არის კარგი საქციელი, მით უმეტეს, თუ გიყვართ.

ჩვენს დროში ფსიქოლოგები გვირჩევენ, არ მოვერიდოთ ემოციების ქარიშხლისებურ გამოვლენას. არასასურველია ის, რაც არაბუნებრივია. ანუ, იყავით ბუნებრივი მაშინაც კი, როცა „ორთქლს“ უშვებთ და, ეცადეთ, გული არ ატკინოთ მას!



გვერდი მოამზადა ქეთი უგლავამ

# რამდენ ათას დოლარს შეადგენდა რობერტ დე ნიროს ჰონორარი გახმაურებულ ფილმში „ტაქსის მძღოლი” და რომელი როლისთვის ვერ გაიარა მან ქასთინგი „ნათლიმამაში“

*2013 წლის 17 აგვისტოს დიდი ამერიკელი მსახიობი, ლეგენდარული რობერტ დე ნირო დაბადებიდან 70 წლის იუბილეს იზეიმებს. რთულია იმ ეპითეტების შერჩევა, რომლითაც შესაძლებელია მისი მრავალმხრივი ნიჭის დახასიათება. რობერტ დე ნირო თანამედროვე ჰოლივუდის ყველაზე დიდი ვარსკვლავია ალ პაჩინოსთან ერთად და საინტერესო იქნება, გავეცნოთ მისი ცხოვრების ეტაპებს ფაქტების სახით.*

* რობერტ დე ნიროს გვარის წარმოშობა, დოკუმენტების თანახმად, მისი დიდი ბაბუისგან იღებს სათავეს. ჯოვანი დი ნირო მეუღლესთან, ანჯელინა მერკურიოსთან ერთად, უკეთესი ცხოვრების საძიებლად იტალიიდან, მოლიზეს რეგიონიდან ამერიკაში გადასახლდა. საემიგრაციო სამსახურის ოფიცრების მიერ დაშვებული ფონეტიკური შეცდომის გამო გვარი დი ნირო საბუთებში დე ნიროდ ჩაიწერა. ამერიკაში წყვილს შეეძინა ვაჟი, რომელიც ირლანდიელი ემიგრანტების შთამომავალზე, ჰელენა ო'რეილიზე დაქორწინდა. 1922 წელს წყვილს რობერტ დე ნირო უფროსი ეყოლა, რომელიც 1942 წელს ვირჯინია ადმირალზე დაქორწინდა და 1943 წლის 17 აგვისტოს ნიუ-იორკში რობერტ დე ნირო უმცროსი დაიბადა. რობერტის დაბადებიდან სამი წლის შემდეგ მისი მშობლები განქორწინდნენ. საერთო ჯამში, რობერტ დე ნიროს წინაპრები იტალიელები, ირლანდიელები, ჰოლანდიელები, ალბანელები, ფრანგები, გერმანელები და ინგლისელები იყვნენ.



* ბობი დე ნირო მანჰეტენთან ახლოს, პატარა იტალიის უბანსა და გრინვიჩ-ვილიჯში იზრდებოდა დედასთან ერთად. მამამისი – რობერტ დე ნირო უფროსი, მხატვარი და მოქანდაკე, ნიუ-იორკის ბოჰემის წევრი, ოჯახთან ახლოს ცხოვრობდა და ბობი მამას ესტუმრებოდა ხოლმე, რომელსაც მოგვიანებით, ფილმი „ბრონქსის ისტორია” მიუძღვნა. ფერმკრთალი კანის გამო ბავშვობაში დე ნიროს მეტსახელი „ბობი რძე” იყო.

* 10 წლის ასაკში რობერტ დე ნიროს სამსახიობო დებიუტი შედგა ელიზაბეთ ირვინის სკოლის სცენაზე. სპექტაკლში – „ოზის ჯადოქარი” ბობიმ შეშინებული ლომი განასახიერა. სკოლის დამთავრების შემდეგ, ბობი, დედის რჩევით, მუსიკის, ხელოვნებისა და სამსახიობო ოსტატობის ფიორელო ლა გუარდიოს უმაღლეს სკოლაში მოეწყო ნიუ-იორკში. იგივე სასწავლებელში სწავლობდა ალ პაჩინო. დე ნირო კონსტანტინე სტანისლავსკის სისტემის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მიმდევარია ჰოლივუდში.

* გავრცელებული ვერსია, თითქოს რობერტ დე ნიროს პირველი როლი კინოში 1965 წლით თარიღდება, მცდარია. პირველად კინოში ბობი დე ნირომ ბრაიან დე პალმას ფილმ „საქორწინო წვეულებაში” ითამაშა. თუმცა, ფილმი მწარმოებელი კომპანიის გაკოტრების გამო, ექვსი წელი ელოდა ეკრანზე გამოსვლას, ხოლო „სამი ოთახი მანჰეტენზე” ბობის მეორე ფილმია.

* 1973 წელი გადამწყვეტ პერიოდად ითვლება რობერტ დე ნიროს კარიერაში. კინოეკრანებზე გამოვიდა მარტინ სკორსეზეს გახმაურებული ფილმი „ბოროტი ქუჩები” – ფილმი, რომლითაც დე ნირო მაყურებელმა გაიცნო და შეიყვარა, ხოლო ამერიკის კინოკრიტიკოსთა საბჭომ მისი როლი იმ წელს საუკეთესოდ მიიჩნია. გარდა ამისა 1973 წლის ბოლოს დე ნირომ წარმატებით გაიარა ქასთინგი ფრენსის ფორდ კოპოლას ფილმში „ნათლიმამა 2”, და ახალგაზრდა ვიტო კორლეონეს როლი მიიღო. სიანტერესოა, რომ „ნათლიმამას” პირველი სერიის ქასთინგზე დე ნირო სანი კორლეონეს, მაიკლ კორლეონეს და კარლო რიცის როლებზე ისინჯებოდა, თუმცა წარუმატებლად.

* „ნათლიმამა 2-ში“ განსახიერებული ვიტო კორლეონეს როლისთვის რობერტ დე ნირომ ამერიკის კინოაკადემიის უმთავრესი ჯილდო, „ოსკარი” მიიღო. საგულისხმოა, რომ რობერტ დე ნირო და მარლონ ბრანდო მსოფლიო კინემატოგრაფის ისტორიაში ერთადერთები არიან, რომლებმაც „ოსკარი” ერთი პერსონაჟის განსახიერებისთვის მიიღეს.

* 1970-იან და 1980-იანი წლების დასაწყის პერიოდს უკავშირდება რობერტ დე ნიროს ყველაზე ცნობილი ფილმები: „ტაქსის მძღოლი”, „მეოცე საუკუნე”, „ირმებზე მონადირე”, „ერთხელ ამერიკაში” და „ველური ხარი”. ამერიკელი კინოკრიტიკოსების აზრით, დე ნიროს, როგორც მსახიობის დაღმასვლა 1995 წლის შემდეგ დაიწყო, მას შემდეგ, რაც კინოეკრანებზე გამოვიდა ფილმი „შერკინება” ალ პაჩინოსთან ერთად და მარტინ სკორსეზეს გახმაურებული ფილმი „კაზინო”. ამის მიუხედავად რობერტ დე ნირო დღემდე ერთ-ერთი ყველაზე სასურველი და მოთხოვნადი მსახიობია ჰოლივუდში.

* ფილმისთვის „ტაქსის მძღოლი” რობერტ დე ნირომ ჰონორარის სახით 35 ათასი დოლარი აიღო.



* რობერტ დე ნიროს ეკუთვნოდა მსახიობებს შორის მსოფლიო რეკორდი, კონკრეტული როლისთვის მომატებული წონის გამო. 1980 წელს კინოეკრანებზე გამოსულ მარტინ სკორცეზეს, „ველურ ხარში”, ბობიმ 30 კილოგრამი მოიმატა. რეკორდი 1989 წელს ვინსენტ დო'ნოფრიომ მოხსნა, რომელმაც ფილმისთვის „სრული მეტალის ჩაფხუტი” 45 კილოგრამი მოიმატა.

* „ერთხელ ამერიკაში” გადაღებების დასრულების შემდეგ ფილმის რეჟისორმა სერჯიო ლეონემ ახალ პროექტზე დაიწყო მუშაობა, სცენარი ლენინგრადის ბლოკადას ეხებოდა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში და მთავარ როლზე რობერტ დე ნიროს კანდიდატურა განიხილებოდა. თუმცა, ლეონეს გარდაცვალების გამო, პროექტი ჩაიშალა.

* ერთ-ერთ ინტერვიუში რობერტ დე ნირომ განაცხადა, რომ მისი საყვარელი მსახიობი ქალია მერილ სტრიპი, რომელთან ერთადაც ის გადასაღებ მოედანზე თავს კომფორტულად გრძნობს და ასევე, დიდი სიამოვნებით უყურებს მის ფილმებს.

* ამბობენ, რომ რობერტ დე ნირო ძუნწია და არ უყვარს „ჩაიზე” თანხის დატოვება ოფიციანტებისთვის, პორტიეებისა და მძღოლებისთვის.

* „ტაქსის მძღოლზე” მუშაობის დაწყებამდე, რობერტ დე ნირომ სპეციალური კურსები გაიარა და „ტაქსისტის” ნამდვილი მოწმობა აიღო. გარდა ამისა, როლზე უკეთ მუშაობისთვის ღამით ნიუ-იორკში ის ნამდვილი, ყვითელი ფერის ტაქსით კლიენტებისთვის მუშაობდა.

* რობერტ დე ნიროს ხანმოკლე რომანი ჰქონდა ტოპ-მოდელ ნაომი ქემპბელთან.

* რობერტ დე ნირო მთავარი კანდიდატი გახლდათ მძარცველი ჰარის როლზე ბლოკბასტერში „მარტო სახლში.“ თუმცა, დე ნირომ საბოლოოდ უარი განაცხადა და ჰარის როლზე მისი მეგობარი ჯო პეში დაამტკიცეს.

* რობერტ დე ნირო სარესტორნო ბიზნესშია ჩართული და სან-ფრანცისკოში ფლობს პრესტიჟულ რესტორანს „რუბიკონი”. ფრენსის ფორდ კოპოლასა და რობინ უილიამსთან ერთად. აგრეთვე, ამერიკაში პოპულარულ იაპონელ შეფ-მზარეულთან, ნობუ მაცუხისოსთან ერთად, ის რესტორნების ქსელის „ნობუს” მფლობელია მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში.

* 1999 წელს რობერტ დე ნირო პარიზში დააკავეს პროსტიტუციის ხელშეწყობის ბრალდებით, თუმცა ბრალი არ დაუმტკიცდა. ამ ფაქტის შემდეგ, დე ნირო უარს აცხადებდა ევროპაში გადასაღებად ჩასვლაზე. მაგალითად, მან უარი თქვა ერთ-ერთი როლის შესრულებაზე მარტინ სკორსეზეს ბლოკბასტერში „ნიუ-იორკის ბანდები”, რომლის გადაღება რომში მიმდინარეობდა.

* თავდაპირველად, რობერტ დე ნირო უარს აცხადებდა ლუციფერის როლის შესრულებაზე გახმაურებულ ფილმში „ენჯელის გული”, თუმცა მოგვიანებით, მან აზრი შეიცვალა.

* რობერტ დე ნიროს სიმაღლე 177 სანტიმეტრია.

* პირველად რობერტ დე ნირო 1976 წელს აფრო-ამერიკულ მსახიობსა და მომღერალზე, დაიან ებოტზე დაქირწინდა. ბობიმ დაიანას ქალიშვილს, დრენას საკუთარი გვარი მისცა და გზა გაუკვალა კინემატოგრაფში. დაიანასთან ბობის ეყოლა ვაჟი – რაფაელი, რომელმაც რამდენიმე როლის შემდეგ, მიატოვა მსახიობობა და ამჟამად უძრავი ქონების ბიზნესითაა დაკავებული. ბობი და დაიანა 1988 წელს განქორწინდნენ. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბობის რომანი ჰქონდა აფრო-ამერიკელ მოდელთან ტუკი სმიტთან. წყვილს 1995 წელს სუროგატმა დედამ ტყუპი ბიჭები გაუჩინა – ჯულიან ჰენრი და აარონ კენდრიკი. 1997 წელს რობერტ დე ნირო მეორედ დაქორწინდა, მისი რჩეული ყოფილი სტიუარდესა, აფრო-ამერიკელი გრეის ჰაიტაუერი გახდა. 1998 წელს ბობის და გრეისს ვაჟი – ელიტო ეყოლათ, ხოლო 2011 წელს რობერტ დე ნირო კიდევ ერთხელ გახდა მამა, მას ქალიშვილი – ჰელენი შეეძინა.

* რობერტ დე ნირო დემოკრატიული პარტიის მხარდამჭერია, ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებში, ის ღიად უჭერდა მხარს ბარაკ ობამას.

**უშანგი რუხაძე**

# როგორ აპირებდნენ ინგლისელები სტალინის მოტყუებას



1945 წლის 7 მაისს ფაშისტური გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელობამ ქალაქ რეიმსში უსიტყვო კაპიტულაციის აქტს მოაწერა ხელი, რომელსაც საბჭოთა მხარე არ დასწრებია. სანამ ეს ცნობა კრემლში დიპლომატიური არხებით მივიდოდა, მის შესახებ ბერიასთვის უკვე იყო ცნობილი და დიდ ბელადს ინფორმაციასთან ერთად მან ტექსტის ასლიც წარუდგინა. „თავზე გადახტომას ლამობენ ანგლიკანები“, – საკმაოდ გაღიზიანებული ტონით ჩაილაპარაკა სტალინმა, მაგრამ, უმალვე მოთოკა ემოციები და ბერიას მიერ მოტანილი კაპიტულაციის აქტის კითხვას ხელმეორედ შეუდგა. მან ორჯერ გადაიკითხა დოკუმენტი, თავი ასწია და ჩაილაპარაკა: „ძალიან კარგი, ეს იქნება კაპიტულაციის წინასწარი პროტოკოლი, მთავარ აქტს კი მათ ბუნაგში, ბერლინში უნდა მოეწეროს ხელი და მას ჩვენი წარმომადგენელი მიიღებს“. სტალინმა ჩიბუხი დატენა, მოუკიდა და გააბოლა, შემდეგ ოთახში გაიარ-გამოიარა  და ბერია დაითხოვა, პოსკრებიშევს კი ბერლინთან დაკავშირება დაავალა.

– ამხანაგო სტალინ, – მოახსენა პოსკრებიშევმა, – ამხანაგი მოლოტოვი გელოდებათ, მას სასწრაფო ინფორმაცია აქვს თქვენთვის!

სტალინს ულვაშებში ჩაეღიმა, რადგან, მიხვდა, რა ინფორმაციით იყო მასთან მოსული საგარეო საქმეთა კომისარი და პოსკრებიშევს ანიშნა, შემოვიდესო, თან დაავალა:

– ბერლინს ჯერჯერობით ნუ დაუკავშირდებით, ამის შესახებ მოგვიანებით გეტყვით.

აუღელვებელი, დინჯი მოლოტოვი სწრაფი ნაბიჯით შევიდა სტალინის კაბინეტში. მას აშკარად ეტყობოდა, რომ აფორიაქებული იყო. სტალინმა, რომელსაც ისე ეჭირა თავი, თითქოს ვერ ამჩნევდა მოლოტოვის აღელვებას, ორი სირჩა შეავსო კონიაკით, მოლოტოვს მიაწოდა და მოულოდნელად თქვა:

– ვიაჩესლავ მიხაილოვიჩ, შენ გაგიმარჯოს, რადგან, საკმაო წვლილი მიგიძღვის ფაშისტების დამარცხებაში და, ჩემი აზრით, დღედღეზე უსიტყვო კაპიტულაციას გამოაცხადებენ.

მოლოტოვი გაფითრდა, მაგრამ ჯერ კონიაკი გამოცალა და მხოლოდ ამის შემდეგ ამოიდგა ენა:

– კობა, ამ გაიძვერებმა მოგვატყუეს და გუშინ რეიმსში კაპიტულაციაზე მოაწერინეს ხელი ფაშისტებს. ყველაფერმა ჩვენ გარეშე ჩაიარა და ამით სულელურ მდგომარეობაში ჩაგვაყენეს. ამის შესახებ სულ რაღაც ნახევარი საათის წინ შეგვატყობინეს ინგლისელებმა „ფორინ ოფისიდან“ (დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობა).

მიუხედავად იმისა, რომ მოლოტოვს არ დაუკონკრეტებია, თუ რაზე საუბრობდა, სტალინი მშვენივრად მიხვდა მოლოტოვის შეშფოთების მიზეზს, თუმცა, არ გაუმჟღავნებია ეს და ჰკითხა:

– ვიაჩესლავ მიხაილოვიჩ, რა გჭირს, რატომ ცქმუტავ, რამ აგაღელვა ასე? ვინ გაიძვერებმა მოგვატყუეს, ან ისეთი რა შეგატყობინეს „ფორნ ოფისიდან“, რომ ასე ხარ დაბნეული და სათქმელს თავსა და ბოლოს ვერ აბამ?

სტალინის ამ სიტყვებმა, მოლოტოვზე მაგიურად იმოქმედა. საგარეო საქმეთა კომისარი ჯერ დამშვიდდა, შემდეგ სტალინის მიერ დასხმულ კონიაკს დაავლო ხელი და სანამ მეორე სირჩას დაცლიდა, წარმოსთქვა:

– კობა, შენი დღეგრძელობისა იყოს, შენ გაგიმარჯოს!

სტალინმა სირჩა მიუჭახუნა მოლოტოვს, მასთან ერთად დალია, სასმისი მაგიდაზე დადგა და ჩიბუხი გააბოლა, თან მოლოტოვს დაუგდო ყური, რომელიც უკვე ჩვეული სიდინჯით მოახსენებდა სტალინს:

– კობა, გუშინ რეიმსში ფაშისტებმა უსიტყვო კაპიტულაციას უჩვენოდ მოაწერეს ხელი და ბრიტანელებმა ნიშნის მოგებით მაცნობეს ამის შესახებ!

სტალინმა დინჯად გაიარ-გამოიარა ოთახში და მოლოტოვს უპასუხა:

– აი, ამ კაპიტულაციის ტექსტი, თუმცა ეს არაფერს ნიშნავს, რადგან, ეს საქმე უჩვენოდ არ გამოვა. იმას მივაღწევ, რომ ეს დოკუმენტი წინასწარ პროტოკოლად იქცეს, მთავარი საბუთი ბერლინში გაფორმდება და, თანაც, ჩვენ წინ უნდა მოიხარონ ქედი იმ ნაძირლებმა!

სტალინის ინფორმირებულობა მოლოტოვს არ გაჰკვირვებია, თუმცა, კაპიტულაციის ტექსტის დანახვამ ის მაინც გააოგნა და მისი კითხვა დაიწყო. სანამ მოლოტოვი საბუთს კითხულობდა, სტალინმა პოსკრებიშევი გამოიძახა და დაავალა: „ინგლისის პრემიერ-მინისტრს დაუკავშირდით და გაარკვიეთ, რამდენ ხანში შეძლებს ჩემთან საუბარს ტელეფონით!“

ხუთიოდე წუთის შემდეგ პოსკრებიშევმა სტალინს მოახსენა:

– ბრიტანეთის პრემიერი მზადაა, ახლავე დაველაპარაკოთ. რა ვუთხრა?

სტალინმა ანიშა, ტელეფონი გადმომირთეო პოსკრებიშევმა ტელეფონი გადმორთო და კაბინეტიდან გავიდა. სტალინმა ყურმილი აიღო და ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დიპლომატიურად, მაგრამ, საკმაოდ მკაცრი ტონით გალანძღა და დაითანხმა, რომ მეორე დღეს, ანუ 9 მაისს, ფაშისტური რაიხის წარმომადგენლებს უკვე ბერლინში მოეწერათ ხელი კაპიტულაციის მთავარ აქტზე, რომელსაც საბჭოთა ხელმძღვანელობა დაესწრებოდა. ჩერჩილთან საუბარი სტალინმა ასე დაასრულა: „მაშ, ასე, შევთანხმდით: ხვალ ბერლინში მოეწერება ხელი მთავარ აქტს, რეიმსის გუშინდელი პროცედურა კი წინასწარ პროტოკოლად ჩავთვალოთ. ჩვენი მხრიდან დელეგაციის ხელმძვანელი მარშალი ჟუკოვი იქნება. ახლა ვაშინგტონში გვიანი ღამეა და მე არ მსურს ამერიკის პრეზიდენტის შეწუხება ასეთ წვრილმანზე. ბატონო პრემიერო, იმედია, თქვენ თავადვე შეატყობინებთ მას ჩვენი შეთანხმების შესახებ (როგორც შემდგომ გახდა ცნობილი, უინსტონ ჩერჩილმა სტალინთან საუბრის შინაარსი გააცნო, რაზეც ამერიკის პრეზიდენტმა ცოფები ყარა, თუმცა, მაინც დაემორჩილა სტალინის სურვილს).“ ჩერჩილთან საუბრის შემდეგ სტალინი ჟუკოვს დაელაპარაკა ბერლინში და უფლებამოსილება მისცა, რომ საბჭოთა დელეგაციისთვის ეხელმძღვანელა და ფაშისტებისგან კაპიტულაცია მიეღო. მოსკოვის დროით უკვე 1945 წლის 9 მაისი თენდებოდა, როდესაც ფაშისტებმა კაპიტულაციას მოაწერეს ხელი და ეს ინფორმაცია უმალვე გადასცეს სტალინს, რომელიც თავის კაბინეტში, კრემლში, პოლიტბიუროს სხვა წევრებთან ერთად მოუთმენლად ელოდა ბერლინიდან ცნობას. ჟუკოვმა რომ დარეკა, უკვე ღამის პირველი საათი იყო. როგორც კი სტალინმა ყურმილი დადო, ის მომცრო მაგიდასთან მივიდა, სადაც წინასწარ გამზადებული, შამპანურით სავსე ბოკლები იდგა, ერთ-ერთი აიღო და დანარჩენებსაც ანიშნა, რომ ასე მოქცეულიყვნენ, შემდეგ მაღლა ასწია სასმისი და წარმოთქვა:

– ამხანაგებო, მარშალმა ჟუკოვმა ამ წუთას შემატყობინა, რომ ბერლინში ფაშისტური გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელობამ ხელი მოაწერა უსიტყვო კაპიტულაციის აქტს. გილოცავთ, მეგობრებო, ამ ბრწყინვალე გამარჯვებას! – და შამპანურის ბოკალი ბოლომდე გამოცალა. შემდეგ გიორგის დარბაზში ზეიმი დაიწყო და დიდი ბანკეტი გაიმართა. დილით სტალინმა პოსკრებიშევს რადიოს დიქტორის – იური ლევიტანის გამოძახება დაავალა:

– ცხრა საათზე აქ იყოს, მე მას გამარჯვების მაუწყებელი ტექსტი უნდა გადაეცე, რომელსაც მთელი მსოფლიო მოისმენს! დილის 9 საათზე რადიოთი გამოაცხადეს, რომ დღის 12 საათზე მნიშვნელოვანი სახელმწიფო შეტყობინება გადაიცემოდა რადიოთი. მიუხედავად იმისა, რომ ომის დამთავრების შესახებ ოფიციალურად ჯერ კიდევ არ იყო გამოცხადებული, მოსკოვში უკვე გავრცელდა ხმები ჩვენი გამარჯვების შესახებ და წითელი მოედანი და მოსკოვის ქუჩები სავსე იყო ხალხით, რომელიც მოუთმენლად ელოდა შუადღეს, რათა ოფიციალური, სამთავრობო ცნობა მოესმინა. ზუსტად 9 საათზე იური ლევიტანი სტალინის კაბინეტში შევიდა, რომელსაც დიდი ბელადი კარებშივე შეეგება და სავარძლამდე მიაცილა, შემდეგ მან ლევიტანს დალუქული კონვერტი გადასცა და უთხრა:

– ამხანაგო ლევიტან, ასეთი სასიამოვნო ინფორმაცია თქვენ არასდროს წაგიკითხავთ და, იცოდეთ, ისე უნდა წაიკითხოთ, რომ დედამიწის ზურგზე ყველას მიაწვდინოთ ხმა – შემდეგ ლევიტანმა სტალინის კაბინეტი დატოვა. კრემლის ჭიშკრიდან რომ გამოდიოდა, მას ხალხმა მანქანაში ჩაჯდომის საშუალება არ მისცა – გახარებულებმა ხელში აიტაცეს და რადიოკომიტეტის შენობამდე ასე ატაცებული გადასცემდნენ ერთმანეთს. ლევიტანი კი დალუქულ კონვერტს იხუტებდა გულში, რათა არ გავარდნოდა ხელიდან და მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა, როდესაც რადიოკომიტეტის შენობაში შევიდა. ზუსტად 12 საათზე, იური ლევიტანმა წაიკითხა უკვე მთელი მსოფლიოსთვის ნაცნობი ტექსტი, რომელიც ფაშისტური გერმანიის დამარცხებას ამცნობდა კაცობრიობას. ტექსტი მთლიანად სტალინის მიერ იყო შედგენილი.

**სტალინის პირადი დაცვის უფროსის მოადგილის, მიხეილ თევდორაძის ჩანაწერების მიხედვით მოამზადა ნიკა ლაშაურმა**



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი
**მიხეილ ცაგარელი**

# რატომ უნდა დავაკვირდეთ შვილის გუნებას გაღვიძებისთანავე და როგორ მოვაწყოთ ბავშვის საძინებელი სწორად

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

***ასტროლოგიურად, დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვისთვის სახლში ადგილის სწორად შერჩევას, მისი ოთახის სასურველ ფერებში გადაწყვეტას და ასე შემდეგ. ასე რომ, დაუჯერეთ ვარსკვლავების რჩევებს და ეცადეთ, მაქსიმალური ყურადღება მიაქციოთ იმ გარემოს, სადაც ბავშვი დიდ დროს ატარებს.***

თუ თქვენს შვილს სძინავს და თავი არასწორად უდევს, ის ცუდად ისწავლის და გამოცდების ჩაბარებაც გაუჭირდება; ასევე, ცუდი და გაურკვეველი ურთიერთობა ექნება როგორც მეგობრებთან, ასევე საკუთარ დედმამიშვილებთან და მშობლებთან. ყურადღება მიაქციეთ, რომ ბავშვისკენ მიმართული არ იყოს ნეგატიური ენერგიები, მაგალითად, თაროების ან მაგიდის მახვილი კუთხეები, განსაკუთრებით – თავთან ახლოს. თუ ასეა, საწოლის მდებარეობა სასწრაფოდ შეცვალეთ. საწოლს უნდა ჰქონდეს მყარი საზურგე, საწოლის თავის მხარე კი არ უნდა იყოს ფანჯრის პირდაპირ, უმჯობესია, ის კედელს მიაყრდნოთ. აქვე შევეხებით სიზმრებს: სიზმარი ჩვენი ყოველდღიური თანამგზავრია, რომელსაც ვერ ასცდებით. ის რეალობის ანარეკლია. სიზმარი დათრგუნული სურვილების კოდირებული ხილვის ამოფრქვევაა. მატერიალისტების აზრით, სიზმარი არის ყოველდღიური ინფორმაციის გადამუშავების პროცესი. თუ ბავშვმა დილით ცუდ გუნებაზე გაიღვიძა, აუცილებლად დაინტერესდით მისი სიზმრით და მოაყოლეთ ის. სხვათა შორის, სიზმრებს პირდაპირი კავშირი აქვს კვებასთან. დააკვირდით და მიხვდებით, რომ კუჭის გადატვირთვა ყოველთვის იწვევს კოშმარულ სიზმრებს. ამიტომ, საღამოს ნუ გადატვირთავთ ბავშვის კუჭს ბევრი და მძიმე საკვებით.

რაც შეეხება ფერად სიზმრებს, ისინი ხშირად წინასწარმეტყველურია, ანუ, ნათელხილვის მომასწავებელი.

ყველაზე ხშირად წინასწარმეტყველურ სიზმრებს თევზების, კირჩხიბის, მორიელის, მერწყულისა და კუროს ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანები ხედავენ.

წინასწარმეტყველური სიზმრები ძირითადად სავსემთვარეობის დღეებში ესიზმრება ადამიანს, კერძოდ კი მაშინ, როცა მთვარე თევზების ან მორიელის ზოდიაქოს ნიშანში იმყოფება.

როცა ბავშვის ოთახის რემონტს დააპირებთ, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ ასტროლოგიური რჩევები. დიდი ყურადღება უნდა მიაქციოთ ფერებს, ფარდებს და, საერთოდ, გარემოს დაგეგმვას, ანუ, ის გარემო, სადაც ბავშვი დიდ დროს ატარებს, აუცილებლად ჰარმონიული უნდა იყოს.

სახლის დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში თეთრი და ლითონისფერია უკეთესი, რადგან ის ლითონის სექტორად ითვლება. ხალიჩები, გადასაფარებლები და ბალიშები წითელი ფერის არ უნდა შეარჩიოთ, რადგან, წითელი ფერი ცეცხლის ელემენტია და ლითონს ადნობს.

სახლის სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილებისთვის ხის ნივთები შეარჩიეთ, ხოლო კედლები, სასურველია, ლალისფრად ან მწვანედ შეღებოთ. ასევე, კედელზე დაკიდეთ ხის სასანთლეები, ავეჯი კი რაც შეიძლება ორიგინალური და ექსტრავაგანტური დიზაინის დადგით.

სახლის სწორად მოწყობა დაგეხმარებათ ოჯახის წევრებთან ჰარმონიული ურთიერთობის დამყარებაში, წარმატებების ადვილად მოპოვებასა და რაც მთავარია, სიმშვიდისა და იდილიის შექმნაში.

ვაჟებისთვის ყველაზე კარგი ადგილია სახლის აღმოსავლეთი ნაწილი. თუ ეს სექტორი დიდი ფართისაა, მაშინ სწორედ ამ ადგილას მოუწყვეთ მას კუთხე. ამ სექტორს დრაკონის ენერგია განაგებს, ამიტომ, სიმბოლოებიც შესაბამისი უნდა შეარჩიოთ. მაგალითად, დაკიდეთ „ქარის მუსიკა”, ჩინური მონეტების ასხმა და ასე შემდეგ. ამით, ნეგატიური ენერგიის დაბლოკვას შეძლებთ, რაც მოზარდის დაცვისთვის აუცილებელია.

თუ ერთზე მეტი შვილი გყავთ, მაშინ, უფროსი შვილი აღმოსავლეთით უნდა მოთავსდეს, უმცროსი კი – ჩრდილოეთით ან ჩრდილო-აღმოსავლეთით. ეს სექტორები მათთვის საუკეთესო ადგილებია.

შეგიძლიათ, საცხოვრებლის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი მიწიერი ელემენტებით შეავსოთ, მაგალითად, ამ ადგილზე კარგია დადგათ კრისტალური ბურთულა.

თუ თქვენი შვილები სკოლაში, კოლეჯში ან უმაღლეს სასწავლებელში სწავლობენ, თქვენი სახლის ჩრდილოეთი სექტორი წყლის ძალით უნდა გააააქტიუროთ. ბიჭების საძინებელში გქონდეთ კუს პატარა სტატუეტი – მას სიდინჯე და ჰარმონია შემოაქვს.

ქალიშვილებისთვის საცხოვრებელ ბინაში საუკეთესო ადგილია სამხრეთი, სამხრეთ-დასავლეთი და დასავლეთ სექტორები. ეს ადგილები, მათ კეთილდღეობასა და ბედნიერებაზე აგებს პასუხს.

შეგიძლიათ, სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი სექტორები ცეცხლის ელემენტებით გააქტიუროთ, დასავლეთის, ანუ ლითონის სექტორი კი, უმჯობესია, მიწიერი და ლითონის ელემენტებით გააძლიეროთ.

თუ თქვენი გოგონა სკოლაში სწავლობს, მაშინ კარგია, მის სექტორში, ანუ იმ ადგილას, რომელიც ასტროლოგიურად მას მიესადაგება და მის წარმატებებზე აგებს პასუხს, გლობუსი ან მინის მრგვალი კრისტალი მოათავსოთ. ის პატარა კრისტალი კი, რომელიც გარკვეული პერიოდი ამ ადგილას იდო, გაატანეთ მას გამოცდაზე, რათა გონების კონცენტრაცია ადვილად შეძლოს, არ დაიბნეს და ცოდნის მაქსიმალური გამოვლენა შეძლოს გამომცდელის წინაშე. ასე რომ, გირჩევთ, კრისტალი მოათავსოთ სახლის დასავლეთ სექტორში ან თქვენი ქალიშვილის საძინებლის დასავლეთ კედელთან.

კარგად დააკვირდით თქვენს საცხოვრებელ სახლს, კომპასის მეშვეობით დაადგინეთ სად მდებარეობს თქვენი შვილებისთვის სასურველი სექტორები და ასე შეურჩიეთ თქვენს ვაჟიშვილებსა და ქალიშვილებს სასურველი, წარმატებების მომტანი ადგილები.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1978 წლის 12 ნოემბერს. მაინტერესებს, კერძოდ, რომელ ქვეყნებში გამიმართლებს და როდის იქნება ჩემთვის უმჯობესი უცხოეთში გამგზავრება?**

**პასუხი**: თქვენთვის უცხოეთი საშუალოა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ სიყვარულის პლანეტა „ვენერა“ სწორედ უცხოეთის კუთხით არის თქვენთვის წარმატებების მომტანი. ასე რომ, უცხოეთი სასიყვარულო ურთიერთობებისთვის მისაღებია. ქვეყნებიდან კი წარმატებების მომტანია: იტალია, არგენტინა, ბირმა, ჩინეთის ჩრდილოეთი ნაწილი, სან-მარინო, ესპანეთის კატალონიის მხარე, მონაკო, ლატვია, ეგვიპტე, ჰავაის კუნძულები, გვატემალა, ავსტრია. ეს ქვეყნები წამოსწიეთ წინა პლანზე. ასევე, არსებობს ქვეყნები, სადაც წარმატების შანსი იმ შემთხვევაში გექნებათ, თუ გადალახავთ ბარიერებსა და წინაღობებს. ასეთებია: ინგლისი, დანია, შეერთებული შტატებიდან – ალასკა, კორეა, ავსტრალია, ვენესუელა, შვედეთი, მალაიზია. წელს კარგი პერიოდია უცხოეთში გასამგზავრებლად: 23 აგვისტოდან 23 სექტემბრამდე, 23 ოქტომბრიდან 23 ნოემბრამდე.

**კითხვა: დავიბადე 1988 წლის 20 სექტემბერს, დღის 1 საათზე. რა მელის ახლო მომავალში და გამიმართლებს თუ არა უცხოეთში?**

**პასუხი**: თქვენს ცხოვრებაში საკმაოდ კარგი და აქტიური პერიოდი დაიწყო. ამიტომ, მეტად იაქტიურეთ წლის ბოლომდე. რაც შეეხება უცხოეთს, გეტყვით, რომ გამარჯვების ძირითადი ფაქტორი თქვენთვის სამშობლოს უკავშირდება. აქ მეტია წარმატების შესაძლებლობა. თუმცა, უცხოეთი არც ცუდია და არც კარგი, ის თქვენთვის საშუალოა.

**კითხვა: დავიბადე 1967 წლის 8 მაისს. მაინტერესებს, უცხოეთის რომელი ქვეყანაა ჩემთვის მეტად მისაღები სამუშაოდ და ბედის საძიებლად?**

**პასუხი**: უცხოეთი თქვენი კარმული მისია ნამდვილად არ არის. თუმცა, არც გეკრძალებათ. ნუ ელით დიდ წარმატებებს სამშობლოს გარეთ. ქვეყნებიდან კი უფრო მეტად იღბლიანია: ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთი მხარე, ჰოლანდია, პარაგვაი, შოტლანდია, თურქეთი, იტალია, სამხრეთ აფრიკა, უკრაინა, ირლანდია, კვიპროსი, ბელგია, მოლდავეთი, ფინეთი, არგენტინა, ეგვიპტის ჩრდილოეთი ნაწილი, ბულგარეთი და ისრაელი.

# კალეიდოსკოპი

### ახალი ენერგიის წყარო იაპონიას „გაზპრომისგან“ დამოუკიდებელს გახდის

სრულიად შესაძლებელია, უახლოეს მომავალში ენერგიის ერთ-ერთი ძირითადი წყარო მეთანის ჰიდრატი გახდეს. ამერიკის შეერთებული შტატებისა და იაპონიის მეცნიერთა სიტყვებით, ამისთვის მხოლოდ საწვავის სამრეწველო წარმოების მეთოდის დამუშავება დარჩა ჩასატარებელი.

მეთანის ჰიდრატის – ბუნებრივი გაზის კრისტალური ფორმის დიდი რაოდენობაა ოკეანეების ფსკერსა და არქტიკაში. მთელი მარაგი კი, დაახლოებით 700 ათასი ტრილიონი კუბური ფუტი, რომელიც გაფანტულია მთელ მსოფლიოში, შეიძლება, უფრო მეტ ენერგიას შეიცავდეს, ვიდრე ერთად აღებული ადრე აღმოჩენილი ნავთობისა და გაზის საბადოები. თუმცა, მეთანის ჰიდრატის მასშტაბურ მოპოვებაზე ლაპარაკი ნაადრევია. საერთო ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას მოგვცემს, მოვიპოვოთ ეს ნივთიერება ოკეანის ფსკერიდან ან არქტიკის ყინულებიდან, ჯერჯერობით არ არსებობს. ამ მიმართულებით ქვეყანა მუშაობს. იაპონელებმა უკვე ჩაატარეს გაზის მოპოვების წარმატებული ექსპერიმენტები ნახევარკუნძულ აცუმის ახლოს, ოკეანის ფსკერიდან 610 მეტრზე. სპეციალური მოწყობილობების საშუალებით, შემცირდა წნევა მეთანის ჰიდრატის კრისტალების ირგვლივ, რამაც ისინი დაშალა გაზად და წყლად და ზედაპირზე ამოიქაჩა 119 ათასი კუბური მეტრი გაზი. ეს რაოდენობა სრულიად საკმარისია, რათა გაგრძელდეს ტექნოლოგიის გაუმჯობესება. ექსპერტების პროგნოზით, იაპონია შეძლებს, რომ მეთანის ჰიდრატის მოპოვებას 10 წლის განმავლობაში უკვე სამრეწველო მასშტაბები მიანიჭოს, რაც უზრუნველყოფს მის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას, მაგალითად, „გაზპრომისგან“, როლისგანაც დღეს იაპონია თხევად გაზს ყიდულობს.

### „ჩვენს ტკბილ მოგონებებს გაუმარჯოს!“

მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომლებმა შეძლეს, შეექმნათ ხელოვნური ფიქტიური მეხსიერება და მისი იმპლანტირება ბიოლოგიური ორგანიზმის ტვინში.

ცდები ტარდებოდა თაგვებზე. ტექნოლოგია ემყარება დამატებითი ინფორმაციის შეყვანას ტვინის იმ ზონებში, რომლებიც ინახავენ ინფორმაციას წარსულზე. მეცნიერებმა გამოიყენეს მეხსიერების აქტივაციის უახლესი მეთოდი სინათლის სიგნალის დახმარებით და შეძლეს, გამოეწვიათ წარსულის პოზიტიური ეპიზოდების გახსენება, შემდეგ კი ელექტრული შოკების საშუალებით მასში ცვლილებები შეეტანათ. შედეგად თაგვებში მოხდა მოგონებების ცვლილება და მათ შიშით დაიწყეს რეაგირება იმ გარემოზე, რომლებიც ადრე მათში ყველაზე პოზიტიურ გრძნობებს იწვევდა. ამგვარად, პირველად მსოფლიო მეცნიერებაში, ამერიკელმა სპეციალისტებმა შეძლეს, წარმატებით ჩაეტარებინათ ფიქტიური მოგონებების იმპლანტაცია, მართალია, ჯერჯერობით, მხოლოდ თაგვებში.

„ჩვენმა მეთოდებმა აჩვენეს, რომ ფიქტიური მეხსიერება მისი მატარებლების მიერ რეალურად აღიქმება“, – დააზუსტა კვლევების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა. მისი სიტყვებით, ასეთი წარმატებული ექსპერიმენტები თაგვებზე ახალ გზებს გვიჩვენებს იმ ადამიანების მკურნალობაში, რომლებმაც წარსულში მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმები მიიღეს, ან აქვთ მავნე ჩვევები.

### დელფინები ერთმანეთს სახელებით მიმართავენ

## რომელი „მაფიის" წევრია მარინა ბერიძე და როგორ „მონათლა" ის დოიმ

ეს არაა ტრაგედია. არ მინდა გადავიმტერო ქართველი კაცები, მაგრამ, ოცდამეერთე საუკუნეში კაცს და ოჯახს დაეკარგა ფუნქცია: როდესაც კაცი დაუშვებს, რომ ქალმა უფრო მეტი უნდა იშრომოს, ის ოჯახი ან გადარჩება, ან – არა. მე გავიზარდე ოჯახში, სადაც მამაჩემს თავში არ მოსვლია აზრად, რომ დედას მასზე ბევრი უნდა ეშრომა. ჩვენ რთულ პერიოდში მოგვიწია ცხოვრება, ქალი ბევრად უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე მამაკაცი, მაგრამ, კაცს იმის თავი მაინც უნდა გქონდეს, რომ ამაზე აღარ გაგიჟდე – ეს ჩემი ცოლი რა ამბავშია. ქალი ფიგარო ხომ არაა, ყველაფერი ერთად შეძლოს?! მერე გამოჩნდება ვილაც, პუნუ-პუნუო, – ეტყვის ამ კაცს და, მორჩა, იქ მთავრდება ყველაფერი. მე ვერ ვიქნებოდი შტერი ქალის როლში. ვინც ბავშვობიდან მიცნობს, იცის, რომ მე ვიყავი მხიარული, ნებიერა, ტუტუცი გოგო. იმის გარდა არაფერი მეკითხებოდა, რომ უნდა დამეკრა ექვსი საათის განმავლობაში და წავსულიყავი უცხოეთში. იმის გამო, რომ არავინ აღმოჩნდა ჩემ ირგვლივ ისეთი, ვინც ამდენ რამეს ერთად გაართმევდა თავს, მე ავიღე ყველაფერი საკუთარ თავზე. თან გააკეთო და თან ჩრდილში დარჩე – არ გამოდის ასე. უფალი ყველაფერს ხედავს, ყველას ყველაფერი წინ გვხვდება – ცუდიც და კარგიც და, მჯერა, რომ ეს ის თემაა, რომელიც არ ირლვევა. არასდროს არ იცი, სად რა დაგხვდება წინ. საბედნიეროდ, არის ხალხი, ვინც ჩემს ცხოვრებას ალამაზებს. ისინი ცდილობენ, რომ ჩემი ცხოვრება მაინც მხიარული იყოს და მე მადლიერი ვარ მათი. მიყვარს ნიჭიერი ადამიანები – ნაცრისფერ ადამიანებთან მიჭირს ურთიერთობა. ღამის 2 საათზე მოულოდნელად რომ დაგადგება დოი და ორმოცდაათ სისულელეს დაგაყრის თავზე, აუცილებლად მოხვალ ხასიათზე. ღამით ბევრს ვმუშაობ, მიყვარს ღამე მუშაობა. მე ძალიან ცოტა მძინავს – ხუთი საათი ძილი საკმარისია ჩემთვის. ბოლო თვეებში ბევრი ისეთი რამის გაკეთება დავიწყე, რაც ადრე არ მიკეთებია. დღეს განსხვავებულია ჩემი ურთიერთობა ბავშვებთან, ჩემს შვილიშვილებთან. მე ვერასდროს ვიქნები პლედმოხვეული ბებია, წინდას რომ ქსოვს, მაგრამ, ახლა, მგონი, ბებიის ამპლუაშიც უკვე სხვანაირი გავხდი *(იცინის).*

**თამუნა ნიჟარაძე**

# შეარჩიეთ თქვენთვის სასურველი მასაჟი

*სანამ მასაჟის გასაკეთებლად წახვალთ, გაარკვიეთ, როგორ ატარებენ ამ პროცედურას და როგორი იქნება შედეგი.*

**არ დაგავიწყდეთ, რომ:**

* მასაჟი უნდა გაიკეთოთ ჭამიდან მინიმუმ 2 საათის შემდეგ;

* მასაჟის გაკეთების წინ მიიღეთ თბილი შხაპი ან აბაზანა. ეს გაახურებს კუნთებს და მოამზადებს მათ პროცედურისთვის;

* მასაჟის წინ არ გამოიყენოთ კოსმეტიკური საშუალებები სხეულისთვის;

* თუ სხეულზე გაქვთ ნაკაწრები, ჭრილობები ან ჩალურჯებები, უმჯობესია, მასაჟი გადადოთ მათ მორჩენამდე,

* მასაჟის წინ მოიხსენით ყველა სამკაული;

* პროცედურის დროს იფიქრეთ უშუალოდ მასაჟზე და არა ყოველდღიურ პრობლემებსა და საქმეებზე;

* თუ მასაჟისთვის სწორად მოემზადებით, სეანსი იქნება ორჯერ უფრო სასიამოვნო, შედეგი კი – ორჯერ უკეთესი.

### კლასიკური სამკურნალო ანუ საერთო მასაჟი

***ძირითადი წესები:***

1) მასაჟი კეთდება სრული მოდუნების შემდეგ. დასაწყისში პროცედურა უნდა გაგრძელდეს 10 წუთის განმავლობაში და დრო თანდათან უნდა გაზარდოთ მაქსიმუმ 40 წუთამდე.

2) მასაჟის დროს ყველა მოძრაობა უნდა გაკეთდეს სისხლძარღვებისა და ლიმფატიკური ძარღვების გრძივი მიმართულებით.

3) კატეგორიულად არ შეიძლება ხალებისა და თანდაყოლილი ლაქების დამასაჟება.

### ანტი(ც)ელულიტური მასაჟი

***ძირითადი წესები:***

1) მასაჟის ხანგრძლივობა – 30 წუთი;

2) მასაჟი უნდა ჩატარდეს კვირაში ერთხელ. სრული კურსი – 10 სეანსი;

3) ეფექტური ანტიცელულიტური მასაჟი კეთდება ქვემოდან (ტერფებიდან) ზემოთკენ (გულისკენ მიმართულებით).

### აიურვედა

***ძირითადი წესები:***

1) ღრმად მუშავდება რბილი ქსოვილები (კანი, კანქვეშა უჯრედისი, კუნთები და შინაგანი ორგანოები).



2) გამოიყენება იოგა-თერაპიის პრინციპები, ასევე, ასან-იოგადან აღებული სხვადასხვა სახის დაჭიმვები.

3) მასაჟი კეთდება ინდივიდუალურად შერჩეული ზეთით. ასევე, ინდივიდუალურია მასაჟის ხანგრძლივობა.

***P. S. სახლში, მოყვარულის დონეზე, გაიკეთეთ მხოლოდ მსუბუქი მასაჟები (თავის კანის, ტერფების, ხელის მტევნების), დანარჩენ შემთხვევებში კი აუცილებლად მიმართეთ მაღალკვალიფიციურ პროფესიონალს.***

# კოსმეტოლოგის რჩევები

კითხვა: **მაქვს ნორმალური, უპრობლემო, თითქმის იდეალური სახის კანი. როგორ უნდა მოვუარო, რომ პრობლემები არ შემექმნას?**

**პასუხი**: ასეთი კანი ყოველდღიურად უნდა გაანებივროთ: ყოველ საღამოს, ძილის წინ, მოიშორეთ მაკიაჟი და დილა-საღამოს წაისვით მკვებავი კრემი. პერიოდულად კი გაიკეთეთ ცოცხალი ხილის, ბოსტნეულისა და რძის ნაწარმის ნიღბები.

კითხვა: **ძალიან მგრძნობიარე კანი მაქვს. საკმარისია, შევიცვალო კოსმეტიკა, რომ მაშინვე მიწითლდება ან მაყრის. ასეთივე რეაქცია მაქვს საკვებზეც. ის კი არა, ხანდახან ამინდის ცვალებადობაზეც კი ქავილი მეწყება. როგორ მოვიქცე?**

**პასუხი**: თქვენ აუცილებლად უნდა შეიძინოთ არააგრესიული კოსმეტიკა: ნაზი პილინგი და გამწმენდ-აღმდგენი საშუალებები, ოღონდ, აუცილებლად მაღალი ხარისხის.

კითხვა: **პირის ყოველი დაბანის შემდეგ ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს გადაიჭიმება და დაიბზარება. რისი ბრალი უნდა იყოს ეს?**

**პასუხი**: ეს იმის ბრალია, რომ თქვენ ძალიან მშრალი კანი გაქვთ. ამიტომ აუცილებელია, სახის დაბანის შემდეგ, შემშრალებისთანავე, წაისვათ მკვებავი. გარდა ამისა, საჭიროა, კანი გაიწმინდოთ გვირილის ან პიტნის ნაყენით და ყოველდღიურად წაისვათ ღრმად დამატენიანებელი კრემი.

კითხვა: **ძალიან ცვალებადი კანი მაქვს: დილით ალაგ-ალაგ მექერცლება, საღამოს კი, ისევ ალაგ-ალაგ, ცხიმისგან მიპრიალებს. აღარ ვიცი, რა გზას მივმართო.**



**პასუხი**: თქვენ კომბინირებული კანი გაქვთ – ზოგან მშრალი და ზოგან ცხიმიანი და ამიტომაც ხდება ასე. მის მოსავლელად უნდა გამოიყენოთ დამატენიანებელი, გამაახალგაზრდავებელი კრემი და გამწმენდი ექსტრაქტი პრობლემური კანისთვის.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# დიეტა-ვერნისაჟი

***ზაფხულში ადვილია, მოაწყოთ პროდუქტების ნამდვილი ვერნისაჟი. ყოველი დღე ფერს მიუძღვენით – ეს ხელს შეუწყობს თქვენს ნელ-ნელა გახდომას.***



### თეთრი დღე

***რაციონი***: ყვავილოვანი კომბოსტო, თეთრი კომბოსტო, ხახვი, ნიორი, თეთრი ბოლოკი, პირშუშხა, ყაბაყი, პატისონი, ნიახური, სოკო, თეთრი მოცხარი, თეთრი ვაშლი, ინდაურის ფილე.

### ყვითელ-ნარინჯისფერი დღე

***რაციონი***: გარგარი, ატამი, ლიმონი, ფორთოხალი, გრეიპფრუტი, მსხალი, ვაშლი, ქლიავი, ნესვი, ქაცვი, ყვითელი ბულგარული წიწაკა, სიმინდი, სტაფილო, გოგრა.

### წითელი დღე

***რაციონი***: პომიდორი, წითელი ბულგარული და წითელი მწარე წიწაკა, ბოლოკი, საზამთრო, ალუბალი, ბალი, მარწყვი, ჟოლო.

### მწვანე დღე

***რაციონი***: სალათის ფოთლები, მწვანე ხახვი, პრასი, მწვანილი, ბროკოლი, ისპანახი, მჟაუნა, ბრიუსელური კომბოსტო, მწვანე ბარდა, მწვანე ლობიო, ავოკადო, კიტრი, ცუკინი, კივი, ყურძენი.

### იისფერი დღე

***რაციონი***: მოშავო-იისფერი კომბოსტო, მუქი ფერის ხახვი, ჭარხალი, ბადრიჯანი, ქლიავი, ყურძენი, მოშავო-მოიისფრო კენკრა.

ჩამოთვლილი პროდუქტებით მოამზადეთ თქვენთვის სასურველი კერძები, ოღონდ, ეცადეთ, რომ თითოეული პროდუქტი მიირთვათ უმი, მოხარშული ან ორთქლზე მომზადებული. შეგიძლიათ, გამოიყენოთ ზეთი ძალიან მცირე რაოდენობით.

კვება უნდა იყოს 3-4-ჯერადი; თითოეული ჯერი არ უნდა აღემატებოდეს 250-300 გრამს (სითხის გარდა).

თითოეულ დღეს წყალი – დღეში 2-2.5 ლიტრი.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# როგორ იძია შური ცოლმა ქმარსა და მის საყვარელ ქალზე

„ლონდრემ“ სასწრაფოდ გამოიხურა ბინის კარი. შემდეგ გაიხედ-გამოიხედა და კიბეებზე დაეშვა, ქუჩაში გავიდა და ვიწრო შესახვევს სწრაფი ნაბიჯებით გაუყვა. „ღმერთო ჩემო, – იმეორებდა გუნებაში შეშინებული ქურდი, – ეს რა ვნახე, რა უმოწყალოდ იყვნენ დაჩეხილები“. შეშინებული ლონდრე ასიოდე მეტრით გასცდა ქუჩის იმ მონაკვეთს, სადაც საშინელება ნახა და ის იყო, ფართო გზაზე უნდა

> **ანონიმურ წერილში ეწერა, რომ სულ მალე მკვლელობები გაგრძელდებოდა და დაისჯებოდნენ მოღალატე მეუღლეები**

გასულიყო, უკნიდან სამძებროს პატრული წამოეწია მანქანით. მილიციელებმა შორიდანვე იცნეს ცნობილი „დომუშნიკი“ (ბინის ქურდი) და დაედევნენ.

– საით, ლონდრე, მიგეჩქარება სადმე? – ჰკითხა ქურდს ნაცნობმა ოპერმა.

ლონდრეს თავზარი დაეცა და გაქცევა სცადა, მაგრამ ოპერებმა ის დააკავეს, მანქანაში ჩასვეს და ჰკითხეს:

– სად გარბოდი?

– უფროსო, – გაფითრდა ლონდრე, – ხუთსართულიანის ბოლო სართულზე, მეთხუთმეტე ბინაში ორი ტრუპია.

ნახევარი საათის შემდეგ ლონდრეს მიერ მითითებულ ბინაში პროკურატურისა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის სამსახურის თანამშრომლები შეიკრიბნენ. ბინაში ქალისა და მამაკაცის ცხედრები ეყარა. უფრო სწორად, ცხედრების ნარჩენები, რადგან ისინი წვრილ ნაჭრებად დაენაწევრებინათ და იქაურობა სისხლით იყო მოსვრილი.

### ექსპერტიზის დასკვნა

ბინა, სადაც ეს საშინელი ორმაგი მკვლელობა მოხდა, ავთანდილ ბარაბაძის სახელზე იყო გაფორმებული, ხოლო მოკლულები იყვნენ: 39 წლის ავთანდილ ბარაბაძე და 27 წლის თინათინ ბიწაძე. ბარაბაძე ერთ-ერთი თბილისური რესტორნის დირექტორი გახლდათ, ბიწაძე კი – იმავე რესტორნის ბუღალტერი. ბარაბაძე ცოლშვილიანი იყო და მკვლელობის მომენტში ცოლ-შვილი სოჭში იმყოფებოდა დასასვენებლად. ბიწაძეც გათხოვილი გახლდათ, თუმცა უშვილო და მისი მეუღლე უკვე ერთი წლის განმავლობაში იხდიდა რუსეთში სასჯელს ქურდობისთვის.

აღნიშნული საქმის გამოძიება ელგუჯა კოპალიანს დაავალეს, რომელიც მაშინ ახალგაზრდა ლეიტენანტი იყო და მომავალში ძალიან ცნობილი მაძებარი გახდა. მან მოსკოვში გაითქვა სახელი მძიმე დანაშაულების გახსნით.

– აი, ძმაო, საქმე. მიჰყევი, გამოიძიე და გვაჩვენე, რა ისწავლე ამ შენს იურიდიულზე, – უთხრა კოპალიანს მილიციის სამმართველოს უფროსმა.

კოპალიანმა მოკვლევა დაიწყო და თავის თანაშემწეს, უმცროს ლეიტენანტს, გურამ კაშიას შემთხვევის ადგილის აღწერა დაავალა. გამომძიებლები მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდნენ ბინაში და მრავალი საექსპერტო სურათი გადაიღეს, ხოლო მოკლულთა დანაწევრებული გვამების ნარჩენები პროზექტურაში წაიღეს გამოსაკვლევად. ორი კვირის შემდეგ ყველა ექსპერტიზის პასუხი მოვიდა, რომელშიც ეწერა: „მკვლელობები ჩადენილია ბასრი, გრძელი საგნით, სავარაუდოდ, ხმლით. თითოეული ცხედარი რვა ნაწილადაა დაჭრილი და თანამიმდევრულადაა დალაგებული ოთახში, რაც, სავარაუდოდ, გარკვეულ რიტუალზე მიუთითებს. მკვლელობამდე მოკლულ წყვილს სქესობრივი ურთიერთობა ჰქონდა. რაზეც შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი სპერმის წვეთები მიუთითებს“.

შემთხვევის ადგილზე არც მკვლელობის იარაღი აღმოჩნდა, არც ძარცვის ნიშნები. ეს კი, კოპალიანის აზრით, იმას ნიშნავდა, რასაც ნაწილობრივ ექსპერტებიც ადასტურებდნენ – მკვლელობა ან მანიაკმა ჩაიდინა ან შურისმაძიებელმა.



### ანონიმური წერილი

ბარაბაძე და ბიწაძე სამ დღეში დაკრძალეს. მოკლულ ბუღალტერს მშობლები დასტიროდნენ და მის დასაფლავებას ძალიან ცოტა ხალხი დაესწრო. სამაგიეროდ, რესტორნის დირექტორს მთელი თბილისი ჭირისუფლობდა. მის დასაფლავებაზე მრავალი ცნობილი ადამიანი მივიდა. განსაკუთრებით დამწუხრებული იყო მოკლულის 30 წლის მეუღლე – გალინა სირაძე. მას რამდენჯერმე წაუვიდა გული და სასწრაფო დახმარების გამოძახება დასჭირდა. დასაფლავებისას კი მოკლული ბარაბაძის მეუღლეს კიდევ ერთხელ წაუვიდა გული და საფლავში ჩაშვებული ქმრის კუბოს ზემოდან დაეცა. ბარაბაძეს ორი მცირეწლოვანი შვილი – 8 წლის ელენე და 6 წლის ალექსანდრე დარჩა. იმ პერიოდში მთელი თბილისი ამ საზარელ მკვლელობაზე ლაპარაკობდა. კოპალიანს თანამდებობის პირები ურეკავდნენ და საქმის სასწრაფოდ გახსნას ავალებდნენ. ბოლოს ახალგაზრდა გამომძიებელს გალინა სირაძის ძმამ დაურეკა, რომელიც „ცეკაში“ მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა და დაემუქრა:

– თუ ჩემი სიძის მკვლელს უახლოეს დროში არ იპოვით, მაშინ, რაც მოგივათ, თქვენს თავს დააბრალეთ. თქვენ არა მარტო სამსახურს, თავისუფლებასაც დაკარგავთ!

კოპალიანმა საკადრისი პასუხი გასცა თავხედ ჩინოვნიკს და ტელეფონი გაუთიშა.

კოპალიანი და კაშია სწრაფად მუშაობდნენ, მაგრამ საქმეში წინსვლა არ იყო. მათ გოდერძი ლაბაძეც კი დაკითხეს, მოკლული ბუღალტრის მეუღლე, რომელსაც სპეციალურად კოლონიაში ჩააკითხეს, თუმცა ამან შედეგი ვერ გამოიღო. ლაბაძემ უხალისოდ გასცა პასუხები კითხვებზე და დაამატა:

– რა ძუკნაც იყო თინა, ისეთი აღსასრულიც დაუდგა. კიდევ კარგი, რომ სროკზე ვარ, თორემ ამ საქმესაც მე ამკიდებდით.

ქალის ქმრისგან განსხვავებით, მოკლული დირექტორის მეუღლე – გალინა საპირისპიროს ამბობდა და მეუღლეს მისტიროდა. კოპალიანთან საუბარში მას რამდენჯერმე წამლის მიღება დასჭირდა და საბოლოოდ თქვა:

– ავთუკა ჩემი სიცოცხლე იყო. ნეტავ, ის ახლა ცოცხალი იყოს და გინდა, მთელი ჰარამხანა იყოლიოს.

მკვლელობიდან სამი კვირის თავზე, თბილისის მილიციის სამმართველოში, კოპალიანის სახელზე ანონიმური წერილი მივიდა. ის გაზეთიდან ამოჭრილი შრიფტით იყო შედგენილი. ასოები მათემატიკის რვეულიდან ამოგლეჯილ ფურცელზე დაეწებებინათ: „მოღალატეებს ვერ ვიტან. ეს მკვლელობები მხოლოდ შესავალია და კინოს მომავალში იხილავთ. ამიერიდან ყველა მოღალატეს მოვკლავ, ვისაც მივწვდები. სიკვდილი ამორძალებს და ფლეიბოებს. გაუმარჯოს პატიოსნებს! მე განგების მახვილი ვარ და ვერასოდეს მიპოვით“.

კოპალიანმა შეისწავლა ანონიმური წერილი და კაშიას დავალება მისცა:

– ვფიქრობ, გაამართლებს. აბა, შენ იცი!

**მხილება**

საზარელი მკვლელობებიდან ორ-თვენახევრის შემდეგ საქმე კვლავ ერთ ადგილზე იყო გაჩერებული, მაგრამ კაშია კოპალიანის დავალებას ასრულებდა. ამისთვის მან კუთვნილი შვებულებაც აიღო.

19 აგვისტოს კოპალიანმა კაშიას დაურეკა და ჰკითხა:

– რომელზე ხვდები?

– საღამოს რვაზე.

– თბილისის ზღვაზე?

– არა, გადაიფიქრა. ასე მითხრა, ქალაქგარეთ გავიდეთო. ალბათ, ნაცნობ სახეებს ერიდება და იმიტომ. კახეთისკენ წავიყვან და სადმე სკუჩნად მოვჯდებით. იცოდეთ, ისე ამედევნეთ, არ დაიწვათ, თორემ შებერტყილია და გაგშიფრავთ.

– კარგი, კარგი. გასვლის წინ დიქტოფონი კიდევ ერთხელ შეამოწმე, რომ არ გვიღალატოს.

კაშიამ მანქანა სასტუმრო „თბილისის" ჩასახვევში გააჩერა და მიმოიხედა. უცებ კარი გაიღო და მანქანაში ტანწერწეტა, ქერათმიანი ლამაზმანი ჩაუჯდა, რომელსაც სათვალე ეკეთა.

– დღეს განსაკუთრებით მომხიბვლელი ხარ, გალიჩკა, წავიდეთ კახეთისკენ! – უთხრა ქერათმიანს კაშიამ და მინი-დიქტოფონი ჩართო, რომელიც ხუთსაათიან საუბარს იწერდა.

წყვილმა თბილისი გაიარა და ისინი კახეთის გზატკეცილს დაადგნენ. შემდეგ მანქანამ სიჩქარეს უმატა და საგარეჯოს მახლობლად, ერთ-ერთ ფაცხასთან შეჩერდა. წყვილი რესტორანში შევიდა და ვახშამი შეუკვეთეს.

კაშიამ გალიჩკა კოპალიანის დავალებით გაიცნო და თავი „ცეხავიკად" წარუდგინა. ქერათმიანი გალიჩკა სწორედ ის დამწუხრებული გალინა სირაძე იყო, რომელიც მოკლულ ავთო ბარაბაძეს საფლავში მიჰყვებოდა.

**მქსპერტიზის ვარაუდით, ორმაგი მკვლელობა ხმლით იყო ჩადენილი**

კოპალიანს ჯერ კიდევ დაქვრივებული ქალის დაკითხვისას შეეპარა მასში ეჭვი, რომელიც ანონიმური წერილის მიღებამ უფრო გაუძლიერა. საქმე ის იყო, რომ გალინა ჯერ კიდევ დაკითხვისას იყენებდა სიტყვებს „ამორძალი" და „ფლეიბოი", თანაც იმდენად იყო დამწუხრებული, რომ ახალგაზრდა გამომძიებელს ეჭვი შეეპარა – ეს ყოველივე ფარსად მოეჩვენა. ეჭვების საფუძველზე კოპალიანმა ქვრივის დოსიე შეისწავლა და დაადგინა, რომ გალინა სირაძე ახალგაზრდობაში მსახიობობაზე ოცნებობდა და საამისოდ სპეციალურად ემზადებოდა კიდეც. ყველაზე მთავარი ის გახლდათ, რომ კოპალიანმა ზუსტად დაადგინა – გალია ძალიან ეჭვიანი იყო, რაც მის ქცევებს გამომძიებელთან და სასაფლაოზე არ შეესაბამებოდა. სწორედ ამიტომ მიუგზავნა კოპალიანმა გალინას კაშია და გადაწყვიტა, ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოეხდინა მასზე.

ფაცხაში ქეიფი აპოგეას აღწევდა. გალინა სირაძე საკმაოდ მთვრალი იყო და სულ ამორძალების საწყევარ სადღეგრძელოებს სვამდა. ადღეგრძელებდა ფლეიბოებსაც, თან, წყევლიდა კიდეც და დროგამოშვებით ისე აკვესებდა თვალებს, როგორც შეუბრალებელი მკვლელი. მთელი ეს პროცესი დიქტოფონზე იწერებოდა. პარალელურად, ამ საუბარს კოპალიანიც ისმენდა, რომელიც ფაცხის წინ იჯდა მანქანაში.

– დროა. წავედით! – თქვა კოპალიანმა, როდესაც გალინას მორიგი წყევლა გაიგონა და მანქანიდან გადავიდა.

კოპალიანი და მისი თანმხლები პირები ფაცხაში შევიდნენ, პირდაპირ გალინას მაგიდისკენ გაემართნენ და კოპალიანმა გაოგნებულ ქალს ჰკითხა:

– მკვლელობა ხმლით ჩაიდინეთ?

– ხმლით, – მიუგო გალინამ.

– გადააგდეთ?

– ჩემი ძმის სახლშია...

გალინა სირაძე ფაცხიდან მილიციის სამმართველოში წაიყვანეს და ქალმა დაწვრილებითი ჩვენება დაწერა, თუ როგორ მოკლა ქმარი და მისი საყვარელი. ღამის 3 საათზე კი საქართველოს „ცეკას" ფუნქციონერის, თენგიზ სირაძის ბინიდან თუშური ხმალი ამოიღეს, რომლითაც საზარელი მკვლელობები იქნა ჩადენილი.

გალინა ვლადიმერის ასული სირაძე უმაღლესმა სასამართლომ გაასამართლა. მას 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, რადგან იმ დროში ქალებს არ ხვრეტდნენ. თენგიზ ვლადიმერის ძე სირაძე ჯერ პარტიიდან გარიცხეს, შემდეგ კი მკვლელობის დაფარვისთვის 8 წლით ციხეში ჩასვეს.

**ნიკა ლაშაური**

# რა მოხდა ამ დღეს

**5 აგვისტო**

1789 – საფრანგეთში გაუქმდა ბატონყმობა.

1884 – დაიწყო თავისუფლების ქანდაკების მშენებლობა (ამერიკის შეერთებული შტატები).

1962 – სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში დააპატიმრეს ნელსონ მანდელა. მან ციხეში 1990 წლამდე დაყო.

1967 – გამოვიდა ჯგუფ „ფინკ ფლოიდის" პირველი ალბომი The Piper at the Gates of Dawn.

**6 აგვისტო**

1806 – გაუქმდა „საღვთო რომის იმპერია".

1890 – მკვლელი უილიამ კემლერი გახდა ელექტრონული სკამის პირველი მსხვერპლი.

1945 – ქალაქი ჰიროსიმა (იაპონია) იყო პირველი ქალაქი, რომელშიც ატომური ბომბი ჩამოაგდეს.

**7 აგვისტო**

1813 – სიმონ ბოლივარის გამათავისუფლებელმა არმიამ აიღო ქალაქი კარაკასი და დააარსა რესპუბლიკა ვენესუელა.

1959 – ამერიკულმა თანამგზავრმა „ექსპლორერ მეექვსემ" პირველად გადმოსცა დედამიწის სურათი კოსმოსიდან.

1961 – საბჭოთა კავშირში გამოსცადეს პირველი დიდი თვითმფრინავი-ამფიბია.

**8 აგვისტო**

1588 – ესპანური „დაუმარცხებელი არმადის" საბოლოო მარცხი დიდი ბრიტანეთის ნაპირებთან.

1786 – ჟაკ ბალმა და მიშელ პიკარი გახდნენ პირველი ადამიანები, ვინც დაიპყრეს მონბლანის მწვერვალი. ისინი ითვლებიან ალპინიზმის დამაარსებლებად.

1899 – ამერიკელმა, გვარად მარშალმა, დააპატენტა მაცივარი.

1900 – მასაჩუსეტსში (ამერიკის შეერთებული შტატები), გაიმართა დევისის თასის პირველი გათამაშება მაგიდის ჩოგბურთში.

**9 აგვისტო**

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 480 – თერმოპილეს ბრძოლა, 300 სპარტელის გმირობა.

1803 – ამერიკელმა რობერტ ფულტონმა პარიზში წარმოადგინა თავისი გამოგონება – თბომავალი.

1859 – ამერიკელმა ნათან ეიმსმა დააპატენტა ესკალატორი.

1945 – ნაგასაკის ტრაგედია.

1962 – მუსიკოსმა რობერტ ციმერმანმა ოფიციალურად გადააკეთა სახელი და ბობ დილანი დაირქვა.

1986 – შედგა ჯგუფ „ქუინის" უკანასკნელი კონცერტი ფრედი მერკურის მონაწილეობით.

**10 აგვისტო**

1500 – პორტუგალიელმა ზღვაოსანმა დიოგუ დიაშმა აღმოაჩინა კუნძული მადაგასკარი.

1539 – საფრანგეთის მეფემ, ფრანსუა პირველმა, ფრანგული ენა საფრანგეთის ოფიციალურ ენად გამოაცხადა. მანამდე ოფიციალურ დოკუმენტებს ლათინურად ადგენდნენ.

1675 – ინგლისში დაიწყო გრინვიჩის ობსერვატორიის მშენებლობა (სადაც ნულოვანი მერიდიანი გადის).

1792 – პარიზის კომუნამ დაამხო სამეფო ხელისუფლება, საფრანგეთი რესპუბლიკად გამოცხადდა.

1821 – მისური გახდა ამერიკის შეერთებული შტატების 24-ე შტატი.

1833 – დაარსდა ქალაქი ჩიკაგო (ამერიკის შეერთებული შტატები).

1976 – ამერიკის შეერთებული შტატების ზარაფხანამ გამოუშვა ბოლო 2-დოლარიანი ბანკნოტი.

**11 აგვისტო**

1773 – რუსეთში დაიწყო ემელიანე პუგაჩოვის აჯანყება (გლეხთა ომი).

1877 – ამერიკელმა ასტრონომმა, ასტაფ ჰოლმა, აღმოაჩინა მარსის ორი თანამგზავრი – ფობოსი და დეიმოსი.

1934 – ფუნქციონირება დაიწყო ალკატრასის ფედერალურმა ციხემ (ამერიკის შეერთებული შტატები, კალიფორნია).

1959 – მოსკოვში გაიხსნა შერემეტიევოს აეროპორტი.

**სააგენტო „ლუქ მოდელსის” დამფუძნებელი, ნინო ცქიტიშვილი, არაერთხელ ყოფილა ჟურნალ „თბილისელების” რესპონდენტი. ამჯერად კი ის უფროს ქალიშვილთან, 14 წლის თაკო ნაცვლიშვილთან ერთად გვეწვია, რომელმაც ბოლო დროს აზრი შეიცვალა და სპორტი სამოდელო კარიერაზე გაცვალა. თაკომ პოდიუმზე გამოჩენისთანავე მიიპყრო ყურადღება და, როგორც ამ სფეროში კომპეტენტური ადამიანები ამბობენ, მას, როგორც მოდელს, დიდი მომავალი აქვს.**

# რა გარდატეხა მოახდინა თაკო ნაცვლიშვილის ცხოვრებაში „ვიქტორიას სეკრეტის“ ჩვენებამ და სად ჩაანაცვლა მან ნინო ცქიტიშვილი

**– ნინო, როგორი შეგრძნება გაქვს ახლა, როცა შენი ქალიშვილიც სამოდელო ბიზნესში ჩაერთო? მართალია, თაკოს მოდელობა ძალიან გინდოდა, მაგრამ, თავად მას არ სურდა.**

**ნინო ცქიტიშვილი**: მართალია, ყოველთვის მინდოდა, რომ თაკო მოდელი ყოფილიყო. არ მეგონა, აზრს თუ შეიცვლიდა და სპორტიდან სამოდელო სფეროში გადაინაცვლებდა. მისი გადაწყვეტილება იყო, მე ნამდვილად არ დამიძალებია არჩევნის გაკეთება. ჯერჯერობით თვითონ ძალიან მოსწონს მოდელობა, თავის სტიქიაშია. მისი ფოტოები ძალიან მოსწონთ, ვნახოთ, რა იქნება. ჯერ 14 წლის არის და 16 წლამდე დრო გვაქვს. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

**– თაკო, როდის გადაწყვიტე ჩოგბურთის მოდელობით ჩანაცვლება?**

**თაკო ნაცვლიშვილი**: პატარა რომ ვიყავი, ჩოგბურთი ძალიან მომწონდა, ამიტომ, სხვაზე არაფერზე ვფიქრობდი. მეგონა, რომ მოდელობა ჩემი სფერო არ იყო. „ვიქტორიას სეკრეტის“ შოუს რომ ვუყურე, ისე მომეწონა, აზრი შემეცვალა და ჩოგბურთისთვის თავის დანებება გადავწყვიტე. დღეს კი მოდელის პროფესია ძალიან მომწონს.



**თაკო: „ნინო ძალიან მომთხოვნია ჩემ მიმართ. რთულია, როცა ყველა გიყურებს, იციან, რომ ნინოს შვილი ხარ და გაკვირდებიან. ამიტომ, ორმაგად უნდა მოვინდომო, დედა რომ არ შევარცხვინო“**

**ნინო**: ჩოგბურთი მაინც ისეთი სპორტია, ქალს აუხეშებს. რომ მიხვდა, ხერხემლის პრობლემა დაეწყო, ფეხის ფორმა ეცვლებოდა და კუნთებისკენ მიდიოდა საქმე, თვითონ შეეშინდა და გადაწყვიტა, თავი დაენებებინა ჩოგბურთისთვის.

**– ნინო, სააგენტოდან საკმაოდ ბევრი მოდელი გაუშვი უცხოურ სააგენტოებში სამუშაოდ. თაკოს რაც შეეხება, თუ გეგმავ მის გაშვებას?**

– ეს ცოტა მძიმე თემაა მამისთვის, ამიტომ, აქედანვე ვაჩვევთ ვატოს და მიდის მასთან მოლაპარაკება ამ საკითხზე.

**– ალბათ, დამეთანხმები, რომ თაკოში გარდატეხა საკმაოდ სწრაფად მოხდა.**

– ექვს თვეში ადამიანი თუ ასე შეიცვლებოდა ვერ წარმომედგინა. ზამთარში თითქოს პატარა ბავშვი იყო, მაგრამ, უცებ გაიზარდა, გამაღლდა და ფიზიკურად ძალიან დაიხვეწა. ჩემთვის არის ეს ყველაფერი შესამჩნევი და, მით უმეტეს – უცხოსთვის, რომელიც ძალიან იშვიათად ხედავს. მათთვის საერთოდ შოკია, რომ ხედავენ.

**– თაკო, სიმაღლეში რამდენი ხარ?**

**თაკო**: 177 სანტიმეტრი. იმედია, ძალიან მაღალი არ გავიზრდები. არ მინდა ძალიან მაღალი ვიყო.

**ნინო**: ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ, თავისი შესაფერისი სიმაღლის ბიჭი ხომ უნდა ნახოს, რომ გაიზრდება.

**თაკო**: ყველა კალათბურთელი ხომ არ იქნება?!

**– ერთად თუ გამოსულხართ ჩვენებაზე?**

– ძალიან პატარა რომ ვიყავი, მაშინ; ბოლო დროს – არა.

**– ნინო, თაკომ ჩაგანაცვლა თუ, ჯერ კიდევ არის იმის შანსი, რომ დედა-შვილი ერთად აღმოჩნდეთ პოდიუმზე?**

**ნინო**: ვფიქრობ, რომ თაკომ ჩამანაცვლა, რადგან, არა მგონია, პოდიუმზე კიდევ გამოვიდე. თუ რომელიმე ჩემი მეგობარი დიზაინერი მთხოვს, შეიძლება, მაგრამ, ჩემი ინიციატივით დავამთავრე.

**– თაკო, ამ სფეროში ყველაზე მეტად რა მოგწონს?**

**თაკო**: ჩვენებაზე რომ გამოდიხარ და ძალიან ბევრი ადამიანი გიყურებს. ძალიან კარგი შეგრძნებაა, როცა ხვდები, რომ ყურადღების ცენტრში ხარ.

**– როცა სამოდელო სააგენტოს ხელმძღვანელი დედაა, ალბათ, ის შვილის მიმართ უფრო მომთხოვნია. თქვენს შემთხვევაში როგორ ხდება?**

– ნინო ძალიან მომთხოვნია ჩემ მიმართ. რთულია, როცა ყველა გიყურებს, იციან, რომ ნინოს შვილი ხარ და გაკვირდებიან. ამიტომ, ორმაგად უნდა მოვინდომო, დედა რომ არ შევარცხვინო. ამიტომ, ჩემთვის მოდელობა ცოტა მეტად რთული და საპასუხისმგებლო საქმეა.

**– ნინო, მკაცრი ხარ როგორც ხელმძღვანელი?**

**ნინო**: რა თქმა უნდა. სხვების მიმართ ვარ მკაცრი და, მით უმეტეს – ჩემი შვილის მიმართ. ეს თაკომ იცის და ამიტომ, მაქსიმალურად კარგად უნდა გააკეთოს ყველაფერი. ყველაზე მეტ შენიშვნას თაკოს ვაძლევ, რადგან, ეს სხვების მისამართითაც იგულისხმება. ცოტა არ მოსწონს თაკოს ეს და მსაყვედურობს, მაგრამ რას იზამ, დედას ყოველთვის საუკეთესო უნდა შვილისთვის.

**– ნინო, შენს მეგობრებს, ანუ, მოდელებს ვგულისხმობ, კიდევ თუ ჰყავს ვინმეს მოდელი შვილი?**

– არავინ მახსენდება, ყოველ შემთხვევაში, ჩემი თაობის მოდელებში – არავის.

**– თაკო ისე სწრაფად გაიზარდა და შეიცვალა, რომ, ალბათ, მისი თაყვანისმცემლების რაოდენობამაც იმატა. ამაზე როგორი რეაქცია გაქვს?**

– ალბათ, ძალიან ეგოისტი ვიქნები, ამას თუ ვიტყვი, მაგრამ, თაკო არავისთვის მემეტება და არ მეგულება ისეთი ბიჭი, ვინც მისი შესაფერისი იქნება. იმედი მაქვს, წლების შემდეგ, როცა გაიზრდება, თაკო ისეთ ადამიანს იპოვის, რომელიც მის ოჯახს შეეფერება. თუ მაგალითს ჩემგან და ვატოსგან აიღებს და გაითვალისწინებს, ძალიან კარგი იქნება. ამბობენ, შვილი ოჯახის სარკეაო და, ვფიქრობ, თაკომ ამ მხრივაც უნდა გაამართლოს. იმედი მაქვს, ამ ნაბიჯს ერთი ათი წლის შემდეგ გადადგამს, რადგან ჯერ მხოლოდ 14 წლისაა.

**თაკო**: ასეთ რაღაცეებზე ჯერ საერთოდ არ ვფიქრობ, რადგან, ჯერ ჩემს კარიერას უნდა მივხედო. ყველაფერს თავისი დრო აქვს.

**– თაკო, დედა თუ მოგწონს ტელეწამყვანის ამპლუაში?**

– ძალიან უხდება ეკრანი. ისედაც ხომ ძალიან ლამაზია და ეკრანზე – მით-უმეტეს.

**– ნინო, „ტოპ-გოგოში“ საკმაოდ მკაცრი ხარ მონაწილეების მიმართ.**

– ეს ისეთი პროექტია, მკაცრი უნდა ვიყო, სხვანაირად გამიჭირდება მუშაობა, რადგან, წამყვანობასთან ერთად, ჟიურის თავჯდომარეც ვარ.

**– კალათბურთის თემას მინდა შევეხო, რომელიც თქვენი ოჯახისთვის აქტუალური წლების განმავლობაში. წელს ნიკა (ცქიტიშვილი) საქართველოს ნაკრების შემადგენლობაშია და წინ დაძაბული თამაშები გელით. თაკო, შენ თუ გიყვარს კალათბურთი?**

– კალათბურთი ბავშვობიდან ძალიან მიყვარს. მამაჩემი თამაშობდა, ნიკა თამაშობს, NBA-შიც ბევრჯერ ვყოფილვარ ნიკას თამაშებზე და მათ სამზარეულოშიც დავძვრებოდი.

**ნინო**: კალათბურთი ჩვენი ოჯახის განუყოფელი ნაწილია. ვატოს და ნიკას გარდა, ამ სფეროშია ჩემი მეორე ძმაც – გიო. გუგამაც

**ნინო: „ალბათ, ძალიან ეგოისტი ვიქნები, ამას თუ ვიტყვი, მაგრამ, თაკო არავისთვის არ მემეტება და, არ მეგულება ადამიანი, ვინც მისი შესაფერისი იქნება“**

(შვილი) დაიწყო ვარჯიში და მასაც ძალიან შეუყვარდა. ამჟამად ევროპის ჩემპიონატისთვის ვემზადებით და საგულშემატკივროდ მთელი ოჯახი მივემგზავრებით. განსაკუთრებით გუგა ელოდება წასვლას, რადგან, იცის, რომ იქ ბევრ ვარსკვლავს ნახავს.

**– სად გეგმავთ დასვენებას?**

– ჯერ ევროპის ჩემპიონატზე, სლოვენიაში წავალთ, მერე კი – პარიზში.

**მარიკა ხიდურელი**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე

**კითხვა: მყავს ავტომანქანა „ტოიოტა რავ 4”, დიზელზე, რომელსაც ძალიან უჭირს დაქოქვა. დილით ცივზე უკეთესად იქოქება, ვიდრე ცხელზე. იქნებ მითხრათ, რა არის ამის მიზეზი?**

**პასუხი:** კარგი იქნებოდა, კითხვა უფრო დეტალურად რომ ყოფილიყო დასმული, რადგან, ერთი შეხედვით უმნიშვნელო ინფორმაციამ, შესაძლოა, დიაგნოზი შეცვალოს. თუმცა, უმეტეს ასეთ შემთხვევაში, ასეთ დროს დამნაშავეა ჰაერის მიწოდების შეზღუდვა. ძირითადად, ეს შეიძლება იყოს გაბიდნილი ჰაერის ფილტრი, მაგრამ გარდა ამისა, შეიძლება ჰაერის შემწოვ მილს ბლოკავდეს რამე, იქნება ეს თვითონ დეფორმირებული დეტალი, გაჭედილი ნივთი თუ რაიმე სხვა, ვინაიდან, ცივ ძრავას დასაქოქად შეზღუდული რაოდენობის ჰაერი და მეტი საწვავი სჭირდება. ასევე, შეიძლება, ამის მიზეზი იყოს საწვავის მიწოდების გაჭედილი ფილტრი. როდესაც ავტომობილს დიდხანს ვტოვებთ ჩამქრალს, საწვავის მიწოდების სისტემის მიერ ამოქაჩული მასა განაგრძობს პროცესს და, მიუხედავად იმისა, რომ ფილტრი გაჭედილია, ნელ-ნელა შემოაქვს დიზელის მასა სისტემაში. ხელმეორედ დაქოქვის მცდელობისას ის იყენებს საწვავის არსებულ მოცულობას და იოლად იქოქება, ცხელზე დაქოქვისას კი განაგრძობს საწვავის ფილტრთან „ჭიდაობას,” ანუ, ერთი მხარიდან ცდილობს, ამოქაჩოს საწვავი და მეორე მხარიდან შეაფრქვიოს. შესაბამისად, ნაკლები მოცულობით აფრქვევს და ვერ ახერხებს სათანადო ფეთქებას, რომ ძრავა დაიქოქოს. ნაკლები ალბათობით, მაგრამ შესაძლებელია, გასაწმენდი იყოს „ფარსონკები” და ამიტომ სათანადოდ არ აფრქვევდეს საწვავს. ამ შემთხვევაშიც, ცივზე უფრო მარტივად იქოქება, ვიდრე ცხელზე. შესაძლებელია, ამ გაუმართაობას სხვა დაზიანებებიც იწვევდეს, მაგრამ, არა „ტოიოტას” შემთხვევაში.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
> **მიხაილ შუმახერი**

**კითხვა: მყავს „ბეემვე 325”, 2001 წლის. ამას წინათ, ადგილზე ბუქსაობისას, გამისკდა ორივე უკანა ბორბალი. ბორბლების გამოცვლის მერე (შესაძლოა, დაემთხვა კიდეც) ხელსაწყოების დაფაზე ამენთო „აბეესის” ნათურა, რის შემდეგაც ძრავების ბრუნი აღარ სცდება 4 500-ს. რამე დამთხვევაა, ეს ყველაფერი ერთმანეთთან კავშირშია თუ სხვა მიზეზით შეიძლება ავხსნა ეს უცნაურობა?**

**პასუხი:** ეს არც ისე გასაკვირი და იშვიათი შემთხვევაა. „მობუქსავე ბეემვეშჩიკებმა” ამ პრობლემის შესახებ კარგად იციან და ამ რჩევის შემდეგ უკვე თქვენც გეცოდინებათ. ბუქსაობის დროს მწყობრიდან გამოდის საბურავის ზედაპირი – ის ფენა-ფენა იწყებს დაგლეჯას; გამოწეული ფენები საბურავთან ერთად განაგრძობს ბრუნვას და, ბალახის საჭრელი ცელისებურად ჭრის „აბეესის” სენსორის კაბელს. ამის შემდეგ ავტომობილის კომპიუტერი ვერ იღებს სათანადო ინფორმაციას საბურავის ბრუნვაზე და გადადის ავარიულ რეჟიმში, რის გამოც არ გაძლევთ საშუალებას, გაზარდოთ ბრუნები მაქსიმუმამდე და, შესაბამისად, არ მუშაობს „აბეესიც”. პრობლემა უმნიშვნელო და ადვილად მოსაგვარებელია: ვნახულობთ გაწყვეტილ სადენებს, ლამაზად ვუთლით წვერებს, ვაბამთ და საიზოლაციო ლენტს ვახვევთ; ან, მეორადი დეტალების ბაზრობაზე ვყიდულობთ სენსორს თავისი კაბელით და ვცვლით. გაწყვეტილი კაბელის მისაგნებად დაგჭირდებათ უკანა საბურავების მოხსნა და შეხედვა.

**კითხვა: მყავს „ფოლკსვაგენ ჟუკი”, მართვის მექანიკური კოლოფით, 2 ლიტრიანი ძრავით. ეს არის ჩემი პირველი ავტომობილი. რომ ვიყიდე, მითხრეს, აბსოლუტურად გამართულიაო, მაგრამ, უკუსვლის სიჩქარეში ჩაგდებისას ყოველთვის გამოსცემს ჩხაკუნის ხმას. ამიტომ, ვცდილობ, უკუსვლა რაც შეიძლება იშვიათად გამოვიყენო. შეიძლება, რომ ამით კოლოფი მთლიანად გამოვიდეს მწყობრიდან?**

**პასუხი:** შეკითხვის სტრუქტურიდან გამომდინარე, „ჟუკის” მფლობელი ქალი უნდა იყოს. მაგრამ, ვინაიდან ეს შეკითხვა აქამდეც არაერთხელ დასმულა, გიპასუხებთ: განურჩევლად ფირმისა და მოდელისა, ნებისმიერი ავტომობილის მექანიკური კოლოფის უკუსვლის სიჩქარეს აქვს მსგავსი ხმა. ამის მიზეზია ის, რომ, მექანიკური კოლოფის უკუსვლის სიჩქარის კბილანას, წინსვლის კბილანებისგან განსხვავებით, არ უმონტაჟებენ ეგრეთ წოდებულ სინქრონიზატორს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ უკუსიჩქარე იმდენად იშვიათად გამოიყენება, თითქმის გამორიცხულია მისი დაზიანება. ასევე, თუ ჩვენ წინსვლით ვმოძრაობთ და შემთხვევით ბერკეტი უკუსვლის სიჩქარისკენ წავიღეთ, ის იოლად არ უნდა ჩავარდეს უკუსვლაში – ამან, შესაძლოა, ავტ-საგზაო შემთხვევა გამოიწვიოს და, ამავდროულად, უნდა მიგანიშნოთ, რომ არასწორად ცდილობთ სიჩქარის შეცვლას. როდესაც ავტომობილი ოდნავ მაინც მიგორავს წინ, უკუსვლაში არ ვარდება და თან ხმაურს იწყებს სწორედ იმიტომ, რომ სინქრონიზატორი არ აქვს და ავტოსაგზაო შემთხვევა აგვარიდოს თავიდან.

**კითხვა: მყავს ავტომობილი „მიცუბიში ეკლიფსი”, 1998 წლის, 2.0 ძრავით, მართვის ავტომატური კოლოფით. დაახლოებით 1 200 ბრუნის ფარგლებში ძრავა არასტაბილურად მუშაობს, გაზს თითქოს თვითონ აძლევს და აკლდება, ხოლო 1 300 ბრუნის შემდეგ ბრუნვები სტაბილურდება. მაღალი სიჩქარის დროს, დაახლოებით 2 800 ბრუნიდან, გაზი თავისით იმატებს და გადადის 4 000 ბრუნზე, რჩება ამ ბრუნებზე და, რაც მთავარია, სიჩქარე დაბალზე აღარ გადმოაქვს. ამ დროს ძრავა ჩეკს ანთებს. როდესაც ძრავას გავთიშავ და ხელახლა დავქოქავ ძრავა იწყებს ჩვეულებრივ მუშაობას არასტაბილური 1 200-იანი ბრუნით, მაგრამ, სიჩქარეებს ცვლის 2 800-მდე. ამ ბრუნვის შემდეგ კი ისევ იგივე იწყება: თავისით ადის 4 000-ზე. ასევე, ჩეკი ქრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აკუმულატორის „კლემას“ ჩავხსნი და ისევ ჩავრთავ. სანთლები და ჰაერის ფილტრი გამოცვლილია. იქნებ ამიხსნათ, რა არის ამ ყველაფრის მიზეზი?**

**ჟურნალი „თბილისელები“ გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*

** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*

** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*

** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**პასუხი:** ამ გაუმართაობის მიზეზი უამრავი რამ შეიძლება იყოს, თუმცა, პრობლემის პოვნა გაცილებით რთული იქნებოდა და მთელი ავტომობილი დასაშლელი გახდებოდა, ძრავა ჩეკს რომ არ ანთებდეს. რადგან ჩეკი ინთება, ეს იმას ნიშნავს, რომ კომპიუტერი ავტომობილის გაუმართავი მუშაობის მიზეზს ხვდება და მისი დიაგნოსტიკით პრობლემას იოლად აღმოფხვრით. კომპიუტერზე შეერთების შემდეგ ის თავად დაგიწერთ, რა ხდება და კონკრეტულად რომელი სენსორის მუშაობა არ მოსწონს. მთავარი სწორედ მიზეზის პოვნაა, მისი შეკეთება კი უკვე აღარ გაგიჭირდებათ.

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



თბილისის უბანი
სიგრძის ძველი საზომი
ქავ-ქავაძე
(......) გიორგის ასული ფერაძე
ბასეინი რუსეთის ნახ.კუნძული
დაწინაურებული
საერთო ანუ?
ელექტროდი
პირველი პირი
(.....)-გრეკო
ფეთქებადი აირი
თანხმობა
ლაქა სხეულზე
ბრიჯიტ (........)
არაფრის მქონე
ფისო
ბუხარი
საუნა
დიპლომატთა წერილი
სასროლეთი
კაცის სახელი საქართველოში
სოფელი რაჭაში
ჩინეთის ბელადი
ხერხემლის ნაწილი
ჩვენი ქალაქი
რას შეებიან ზოგჯერ მდიდრებიც მექსიკაში? ...და არა მარტო იქ
თურქეთის ყოფილი „შეფი“
ძვ.ქართული ანბანის ასო
სუფრასთან სათქმელი
დებულება
ბუშის ცოლი
კლდე ასეთია
პარიზის მდინარე
აფრიკის უდაბნო
წინასწარ გადახდილი
სახურავი
(......) სპასალარი
ფული
დათოს ცოლი
ოქელაშვილი
ქუთაისის ფეხბ. გუნდი
მეკობრე
იტალიელი კომპოზიტორი
ზურაბი
მიანმა
მსახიობის საქმე
დღე-ღამის ნაწილი
(.....) დიდება
ლენინი, სტალინი
ქისრის ნაკეცები
გოდერძი
ქათმების ფირმა
ამალა
არაბული ქვეყანა
ალურჯებს
რკინა
არიფი
უაზრობა
რას შეება ტატოს მერანი?
ნაგავი
ჩვენი მდინარე
სასწავლებელი
რამინის სატრფო
სახლში მოსაცმელი
თივის საწყობი
რუსი მეკარე
ვაიომინგის შტატის ცენტრი
აკაკის პოემა
ჯაყვა
ჩუკოტკის ქალაქი
ბალერინა ნიორაძე
ინდოეთშია
გვადი ბიგვავა
გერმანელი მწერალი
უკრაინა
ყვავილი
ნინო
ბავშვის სინათლე
ლეგენდ. მძლეოსანი ჯესი....
არის ასეთი ხე
ფილიპინების კუნძული
ძვლის სახეობა
იტალ. არქიტექტორი
(.....) ბრავო!
მოუხარშავი
რუსეთის პარლამენტი
გამოცდილი
ჯარი ძველად
ლენინის გაზეთი
ტალანტი
ცეცხლის ენა
სპორტული მანქანა
ქვიშა ანუ?
სტუ ადრე

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | | 1 | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | 3 | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | | 1 | | | | | | | | | | |
| | | | | | 1 | | | | | | | | | | | | 2 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | | | | | | | | | | |
| | 1 | 2 | | | 3 | | | | | | | | | 6 | | | 1 | 1 | 1 | 3 | 3 | 2 | 2 | 3 | 1 | 1 | | | | | | | | |
| 3 | 5 | 6 | 3 | 4 | 7 | 12 | 10 | 6 | | | | | 5 | 1 | 4 | 3 | 2 | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 3 | 2 | 3 | 2 | | 7 | 6 | | | | 3 | |
| 1 | 1 | 1 | 8 | 10 | 3 | 3 | 5 | 6 | 8 | 10 | | 13 | 7 | 6 | 5 | 6 | 1 | 1 | 5 | 4 | 4 | 6 | 1 | 5 | 6 | 7 | 9 | 1 | 1 | 4 | 3 | 3 | 2 | 2 |
| 1 | 2 | 2 | 4 | 4 | 4 | 3 | 3 | 3 | 2 | 2 | 14 | 1 | 1 | 1 | 6 | 5 | 5 | 2 | 2 | 2 | 1 | 1 | 8 | 3 | 2 | 2 | 4 | 2 | 1 | 3 | 4 | 4 | 1 | 1 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | 4 |
| | | | 2 | 3 |
| | | | | 7 |
| | | | | 8 |
| | | | 4 | 3 |
| | | 3 | 1 | 4 |
| | | | 3 | 7 |
| | 2 | 3 | 1 | 3 |
| | 3 | 3 | 1 | 3 |
| 3 | 3 | 1 | 1 | 3 |
| 3 | 4 | 1 | 6 | 1 |
| 3 | 4 | 2 | 7 | 2 |
| 3 | 7 | 3 | 1 | 8 |
| 3 | 9 | 1 | 1 | 6 |
| 4 | 4 | 2 | 5 | 6 |
| 4 | 5 | 5 | 2 | 6 |
| 5 | 7 | 3 | 1 | 6 |
| | 15 | 1 | 2 | 8 |
| | | 16 | 1 | 10 |
| | | | 16 | 10 |
| | | | 11 | 8 |
| | | 6 | 15 | 8 |
| | 6 | 7 | 6 | 5 |
| | | 12 | 6 | 10 |
| | 14 | 8 | 2 | 4 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | | | | 2 | | 4 | 8 | 1 |
| | 6 | 4 | | 5 | | 3 | | 2 |
| | 9 | | 3 | 4 | | | 5 | 7 |
| 6 | 2 | | 7 | | 3 | | 4 | |
| | | 9 | | 6 | | 5 | 2 | 3 |
| 4 | 3 | 8 | 2 | | 5 | | | 6 |
| 9 | | 3 | | | 2 | | 6 | 4 |
| 5 | 8 | 6 | 4 | 7 | 1 | 2 | | 9 |
| | 4 | 2 | | 3 | 9 | 8 | 1 | |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | | 4 | | | | 7 | |
| 2 | | 1 | | | 7 | | 9 | |
| | 5 | | | 3 | | | | 2 |
| | 2 | 3 | | 4 | | 6 | 8 | |
| | 7 | | | | 5 | | | 3 |
| | | | 6 | | 3 | | 5 | |
| 7 | | | | | | | | 1 |
| | 6 | | | | 4 | | | |
| | | 2 | 7 | 6 | | 5 | | 8 |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად






თაბუკაშვილის №36
ტელ.: 272 9191
ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია

# იპოვეთ ათი განსხვავება



## რა გზით მივა ქათამი საკენკამდე



## შეაერთე რიცხვები შესაფერის კვადრატებთან და წრეებთან




# თიკანი და მგელი

## (იგავ-არაკი)

თიკანი ბანზე წამოსკუპებული-ყო, მგელს დასცინოდა და თავზე ქოქოლას აყრიდა.

– ეჰ, რას იზამ! შენ კი არა, ის ადგილი დამცინის, შენ რომ შემოსკუპებულხარო! – უთხრა მგელმა.

დრონი მეფობენ და არა მეფენიო.

## რიცხვრებუსი

10, , 3, , , , , 0



# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ზაქრო ბაჯიაშვილი

**ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.**

**ჯეიმს დუგლასი**

**კითხვა: ამ პერიოდში ყოველთვის პრობლემაა პარაზიტებისგან თავის დაღწევა. იქნებ ამიხსნათ, როგორ ვუმკურნალო ძაღლს პარაზიტებზე?**

**პასუხი**: პარაზიტები მეტად საშიშია როგორც ცხოველისთვის, ასევე ადამიანისთვისაც. პარაზიტები, პარაზიტობენ რა ცხოველის ორგანიზმზე თუ ორგანიზმში, დიდ ზიანს აყენებენ მის ჯანრთელობას. ისინი გამოყოფენ ენდო და ექსო ტოქსინებსა და ცხოველმყოფელობის პროდუქტებს. იწვევენ ორგანიზმის დასუსტებას, ინტოქსიკაციას; ასევე, კარს უხსიან მეორად დაავადებებს და არიან სხვადასხვა დაავადების გადამტანები. ზოგიერთი მათგანი საშიშია ადამიანისთვისაც. შინაგანი პარაზიტებისგან სამკურნალოდ უნდა მიმართოთ ვეტერინარს, რომელიც დაათვალიერებს თქვენს ძაღლს, ზოგადად შეაფასებს მის მდგომარეობას და დაუნიშნავს შესაბამის ანტიჰელმინთურ საშუალებას შესაბამისი დოზით. პარაზიტებზე მკურნალობის გარდა, აუცილებელი და მეტად მნიშვნელოვანია მათ წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების გატარება, ანუ, პროფილაქტიკის მიზნით შინაურ ცხოველებს აუცილებლად უნდა მივცეთ ანტიჰელმინთური საშუალება ყოველ 3 თვეში ერთხელ. ამით დავიცავთ როგორც საკუთარ თავს, ისე ჩვენს ცხოველს საშიში დაავადებებისგან. აუცილებელია ეს საშუალება იყოს ხარისხიანი და ზუსტი დოზებით, რის შერჩევაშიც ვეტერინარი დაგეხმარებათ. რაც შეეხება გარეგან პარაზიტებს, მათი მკურნალობაც უნდა მოხდეს ვეტერინარის დახმარებით. კომპლექსურად უნდა შეირჩეს პრეპარატები და მკაცრად უნდა დაიცვათ მათი მოხმარების წესები. აქაც აუცილებელია და უმჯობესია პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება და ძაღლის დასნებოვნებამდე დამუშავება. ამით დავიცავთ როგორც მას, ისე საკუთარ თავს მეტად საშიში დაავადებებისგან.

**კითხვა: ჩემს ძაღლს, მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვუვლით, ბეწვი ყოველთვის სცვივა. მყავს 2 წლის ლაბრადორი. რას მირჩევთ, როგორ მოვუგვაროთ ეს პრობლემა?**

**პასუხი**: თქვენ გყავთ ისეთი ჯიშის ძაღლი, რომელსაც მთელი წლის განმავლობაში ფიზიოლოგიურად სცვივა ბეწვი, ანუ, ამ პრობლემას ბოლომდე ვერ გადაჭრით. ბეწვის ცვენამ ნაკლებად რომ შეგაწუხოთ, საჭიროა რეგულარულად, ყოველდღიურად ვარცხნოთ და პერიოდულად მისცეთ ვიტამინები, მინერალებისა და ცხიმოვანი მჟავეების კომპლექსი; ასევე, ხარისხიანი საკვები, რაც უზრუნველყოფს ბეწვისა და, ზოგადად, ცხოველის ჯანმრთელობას.

**კითხვა: როგორ გადავაჩვიო ძაღლი ტკბილეულის ჭამას?**

**პასუხი**: ძაღლისთვის ტკბილეული არ შეიძლება, რადგან ტკბილი იწვევს მთელ რიგ პათოლოგიებს ნივთიერებათა ცვლის დარღვევის ნიადაგზე. რადგან თქვენ უკვე დგახართ ამ პრობლემის წინაშე, გამოსავალი მდგომარეობს იმაში, რომ ძაღლებისთვის არსებობს სპეციალური ტკბილეული, რომლის გარკვეული დოზით მიცემა არ არის მავნებელი ცხოველის ორგანიზმისთვის. ჩაანაცვლეთ ტკბილეული ძაღლისთვის განკუთვნილი სპეციალური სასუსნავებით, ოღონდ, ზომიერება დაიცავით.

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

**ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.**

**გოეთე**

**კითხვა: როგორ მოვუაროთ ფიტონიას და რა პირობებში ხარობს ეს მცენარე უკეთ?**

**პასუხი:** ამ მცენარეს მოსწონს კაშკაშა, გაბნეული შუქი, მაგრამ არა მწველი მზე. ეცადეთ, მთელი წლის განმავლობაში 18 გრადუსი ტემპერატურა შეუნარჩუნოთ და არც ტენიანობა მოაკლოთ. ფიტონიას ზედმეტად ნუ მორწყავთ, განსაკუთრებით – ზამთარში, თორემ, შეიძლება, ღეროები დაულპეს. ზაფხულობით მიწა ტენიანი უნდა იყოს, მაგრამ, არა სველი. მისთვის აუცილებელია სითბო და მაღალი ტენიანობა. ზაფხულის თვეებში, მცენარის აქტიური ზრდის პერიოდში, ფიტონია გაზავებული ბალანსირებული სასუქით მორწყეთ. უმჯობესია, თუ მას სააბაზანოში დადგამთ. საურველია მცენარის ქილაში ან აკვარიუმში ჩადგმა.

**კითხვა: ბინაში მაქვს კტენანტა, რომელმაც ფოთლები ჩამოყარა და, არ ვიცი რით დავეხმარო. იქნებ, ამიხსნათ, როგორ მოვუარო მცენარეს, რომ მსგავსი რამ აღარ დაემართოს?**

**პასუხი:** ეს ლამაზი მცენარე ჭირვეული ნამვილად არ არის. თქვენ, ალბათ, ძალიან გამოაშრეთ მისი ნიადაგი და ამიტომაც გაუხმა ფოთლები. ამ მცენარეს ზაფხულში გაბნეული შუქი სჭირდება, ზამთარში კი – სინათლე. კარგია ცოტა ხნით მზეზე ყოფნაც. ის თავს კარგად გრძნობს 18-24 გრადუსზე. ზამთრობით 10-12 გრადუსსაც უძლებს. ზაფხულში უხვად მორწყეთ, რათა მიწა მუდამ ტენიანი ჰქონდეს; ხოლო ზამთარში, მორწყვიდან მორწყვამდე, მიწას შეშრობა აცადეთ. რაც უფრო დაბალია ტემპერატურა, კტენანტას მით ნაკლები წყალი სჭირდება. ზრდის პერიოდში ნიადაგი ორ კვირაში ერთხელ სასუქით გაუნოყიერეთ. რგებს მაღალი ტენიანობა, ამიტომ, ხშირად დანამეთ ან სველკენჭებიან ლანგარზე დადგით, სიცხეში ფოთლები რომ არ დაეწვას. ზამთარში დამატებითი კვება არ სჭირდება. კარგია, თუ მცენარეს მოათავსებთ ნათელ სასტუმრო ოთახში.

**კითხვა: რა პირობებში ხარობს ამარილისი და რთულია თუ არა მისი გაზრდა?**

**პასუხი:** ამარილისს ანუ ჰიპეასტრუმს ფოთლები უსახური და ერთფეროვანი აქვს, ყვავილები კი, პირიქით – კაშკაშა ფერის და თვალშისაცემი. ჰიპეასტრუმის გასახარებლად საჭიროა, იცოდეთ, სად დადგათ და როგორი პირობები შეუქმნათ. ამ მცენარეს სჭირდება კაშკაშა სინათლე. ცოტა ხნით მზეზე ყოფნასაც აიტანს. თუ სინათლე მოაკლდება, არ აყვავდება. მცენარე ყვავის ოთახის ტემპერატურაზე. აყვავებული სიგრილეში გაიტანეთ და ყვავილობა მეტხანს გაგრძელდება. მშრალი ბოლქვები ქოთანში გამოაზამთრეთ. როდესაც ფესვების განვითარება დაიწყება, მცენარის მორწყვას შეუდექით. ზრდის პერიოდში მიწა მუდამ ტენიანი უნდა იყოს. ზაფხულის მიწურულს მორწყვა შეწყვიტეთ, ბოლქვი გააშრეთ და ფოთლები გაახმეთ. შემოდგომაზე მორწყვა განაახლეთ, რომ მცენარემ ზრდა დაიწყოს. ამარილისის მეორედ აყვავება არც ისე იოლია. აყვავების შემდეგ, როცა ფოთლები გამოჩნდება, რეგულარულად მორწყეთ და კაშკაშა სინათლეზე დადგით. ზაფხულის მიწურულს მცირე ხნით დაასვენეთ. აქტიური ზრდის პერიოში მიწა გამოუცვალეთ და იმავე ქოთანში დატოვეთ.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# როგორ გაუსწორდა სიძე სიმამრს თავის სახლში და რატომ გადააბრალა მან საკუთარი დანაშაული მამას



57 წლის ვაჟა კ-ძე რაიონულ საავადმყოფოში მკერდში მიყენებული ჭრილობით მიიყვანეს. დაჭრილ მამაკაცს ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა. წესისამებრ, საავადმყოფოდან შეტყობინება შევიდა პოლიციის განყოფილებაში და სამართალდამცველებმა დაზარალებულის დაკითხვის შედეგად დაადგინეს, რომ ვაჟა კ-ძეს სხეულის დაზიანება მიაყენა მძახალმა, ნოდარ მ-შვილმა.

დაზარალებულმა დაკითხვისას განაცხადა, რომ დაპირისპირება მძახალთან მის კუთვნილ ბინაში მოუხდა.

ამონაწერი ვაჟა კ-ძის ჩვენებიდან: „ჩემი ქალიშვილი ნოდარ მ-შვილის შვილმა ცოლად ორი წლის წინ შეირთო. თავიდან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდათ, მერე ოჯახური მდგომარეობა აერიათ და ჩემი შვილი რამდენჯერმე წამოვიდა სახლიდან. ოჯახური დაპირისპირების მიზეზი იყო ჩემი შვილის მამამთილი, ნოდარ მ-შვილი, რომელიც ჩემს შვილს გამუდმებით ეჩხუბებოდა. თინიკომ რამდენჯერმე მთხოვა, რომ მათ საქმეში ჩავრეულიყავი, მაგრამ, მე თავს ვიკავებდი. იმ დღეს, როცა ეს ინციდენტი მოხდა ჩემი ქალიშვილის ოჯახში, ჩემი შვილის თხოვნით მივედი. თინიკომ დილით დამირეკა და მითხრა: ნოდარი მე და ჩემს ქმარს სახლიდან გაყრით გვემუქრება და მოგვხედეო. ჩემს მძახალთან ნათესავის ქელეხიდან წავედი და მსუბუქად ნასვამი ვიყავი. ნოდარიც ნასვამი დამხვდა. ჩხუბი მან თინიკოს თანდასწრებით დაიწყო, უხეშად მოიხსენია ჩემი ქალიშვილი და მითხრა: წაიყვანე ჩემი სახლიდან და ჩემი ბიჭიც თან გააყოლეო. ჩემს მძახალს ცოლი რამდენიმე წლის გარდაცვლილი ჰყავდა და ხელახლა დაქორწინებას აპირებდა. ამის წინააღმდეგები იყვნენ ჩემი გოგონა და სიძე და სწორედ ამიტომ უნდოდა ნოდარს მათი თავიდან მოშორება. სახლში მარტო მე, ნოდარი და თინიკო ვიყავით, ჩემი სიძე, ბაჩო, მეზობელთან იყო და ჩვენი ჩხუბის ხმაზე შემოვიდა სახლში. ზურგით ვიყავი მიბრუნებული, როცა ნოდარმა დანას ხელი წამოავლო. შემოვტრიალდი თუ არა, მკერდში დამარტყა. ბაჩო ეცა ხელში და დანა წაართვა, თორემ, ალბათ, კიდევ დამარტყამდა. ხმაურზე მეზობლები შემოცვივდნენ. ბაჩოს უკვე წართმეული ჰქონდა დანა მამისთვის, რომელიც მაგინებდა და მოკვლით მემუქრებოდა. ერთ-ერთმა მეზობელმა მოგვიანებით საავადმყოფოში დარეკა და სასწრაფო დახმარების სამსახური გამოიძახა."

პირველი განსხვავებული ჩვენება, რომელიც დაზარალებულის ჩვენებას ეწინააღმდეგებოდა, გამოძიებას ინციდენტის მოწმემ, ნოდარ მ-შვილის მეზობელმა, მარინა კ-ვამ მისცა.

ამონაწერი მოწმის ჩვენებიდან: „ჩემი სახლი ნოდარ მ-შვილის სახლის მეზობლადაა. ნოდარს ათეული წლებია, ვიცნობთ, ახლო ურთიერთობა გვაქვს. სამეზობლოში მასზე აუგს ვერავინ იტყვის. ვერ გამიგია, ასეთი რამ როგორ ჩაიდინა. ცოლის გარდაცვალების შემდეგ ცოტა კი შეეცვლა ხასიათი, მაგრამ, ცუდად ნამდვილად არ იქცეოდა. რამდენჯერმე დაიჩივლა ჩემთან: პატრონი მინდა, ცოლს მოვიყვანდი, მაგრამ, ჩემი შვილი და რძალი უფლებას არ მაძლევენო. ზუსტად არ ვიცი, რა მოხდა იმ დღეს მათ ოჯახში, ჩხუბის ხმა თითქმის არ გაგვიგია და სწორედ ეს მიკვირს. ჩვენი სახლები ერთმანეთთან ისე ახლოსაა, ჩხუბის ხმა აუცილებლად უნდა გამეგო. სახლში მე და ჩემი მეუღლე ბაჩოს ყვირილის ხმაზე შევედით – ბაჩო ამბობდა, მამაჩემმა ჩემი სიმამრი დაჭრაო. ნოდარი ამ სიტყვების გაგონებისას გაოგნებული სახით იდგა. ჩემმა ქმარმა რომ ჰკითხა, ეს რამ ჩაგადენინაო, ერთი თავი გადააქნია და ეზოს ბოლოსკენ წავიდა. ბაჩოს სიმამრს მხრიდან სისხლი სდიოდა. რამდენჯერმე ვუთხარი, საავადმყოფოში წაგიყვანთ-მეთქი, მაგრამ, იუარა. ყველაზე მეტად ის გამიკვირდა, რომ ბაჩოსთან და თავის შვილთან ერთად რამდენჯერმე შეიკეტა ოთახში და რაღაცას თათბირობდნენ. ამასობაში, კიდევ რამდენიმე მეზობელი შემოვიდა და მათ ასევე შესთავაზეს დაჭრილს საავადმყოფოში გადაყვანა, რადგან, ყველა ვხედავდით, კაცი სისხლისგან როგორ იცლებოდა. ბოლოს, როგორც იქნა დავითანხმეთ ვაჟა და სასწრაფო გამოვიძახეთ. წაყვანამდე ყველამ გავიგეთ როგორ დაემუქრა ნოდარს – მე შენ ციხეში მოგაყვანინებ ცოლსო".

ოპერატიული სამსახურის თანამშრომლებმა ნოდარ მ-შვილი საკუთარ სახლში ინციდენტის ჩადენის დღესვე დააკავეს. მან ადვოკატის აყვანაზე უარი განაცხადა. დაკავებული დუმილის უფლებას იყენებდა; ერთადერთი, განაცხადა, რომ უდანაშაულო იყო და ვაჟა კ-ძე მის მიერ არ იყო დაჭრილი. გამოძიებამ შემთხვევის ადგილიდან ამოიღო დანაშაულის იარაღი – დანა, რომლითაც, დაზარალებულის მტკიცებით, მას ჭრილობა მიაყენეს. დანაზე არ აღმოჩნდა ნოდარ მ-შვილის თითების ანაბეჭდი; უფრო მეტიც, დანაშაულის ჩადენიდან ორ საათში დანა ისე იყო გაკრიალებული, მასზე ყველა კვალი, მათ შორის სისხლის ლაქებიც კი, გამქრალი იყო. ვინ გარეცხა დანა საგულდაგულოდ იქ, სადაც დანაშაული მოხდა, გამოძიებისთვის უცნობი იყო. ამის შესახებ დაიკითხნენ დაზარალებული ვაჟა კ-ძის ქალიშვილი და სიძე, რომლებიც აცხადებდნენ, რომ კვალი თავად დამნაშავემ, ანუ, ნოდარ მ-შვილმა გააქრო. დაკავებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმე მკვლელობის მცდელობის მუხლით აღიძრა.

**ოჯახი მამის წინააღმდეგ მრთად შეიკრა, რათა მისთვის მძიმე დანაშაული დაებრალებინათ**

ნოდარ მ-შვილის წინააღმდეგ ჩვენება მისცა მისმა შვილმა, ბაჩო მ-შვილმაც. როგორც მან გამოძიებასთან განაცხადა, ის ჩხუბში მოგვიანებით ჩაერთო. „მეზობელთან ვიყავი გადასული და რა ხდებოდა ჩემს სახლში, ვერ გავიგე. როცა შინ შევედი, მამაჩემი და ჩემი სიმამრი ხელჩართულ ჩხუბში იყვნენ. გვიან შევნიშნე მამაჩემის ხელში დანა. ჩემი სიმამარი ზურგით იდგა, როგორც კი მოტრიალდა, მამაჩემმა დანა ჩაარტყა მხარში. დანა მე წავართვი ხელიდან და იქვე მოვისროლე. მერე მეზობლებიც შემოცვივდნენ სახლში. ისინი დაგვეხმარნენ და სასწრაფოში დავრეკეთ."

გამოძიება, რა თქმა უნდა, დაინტერესდა დანაშაულის იარაღზე – დანაზე გამქრალი ნაკვალევის თემით. როგორც ბაჩო მ-შვილმა განაცხადა, დანაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო მისი თითების ანაბეჭდი, რადგან დანა მან გამოსტაცა ხელიდან მამამისს და მოისროლა შემთხვევის ადგილიდან ცოტა მოშორებით. „დანა, ალბათ, მამაჩემმა იმ დროს გარეცხა, როცა ჩვენ დაჭრილს ვუვლიდით, რათა საკუთარი კვალი წაეშალა", – განაცხადა ბაჩო მ-შვილმა დაკითხვის დროს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს არ აღიარებდა, მაგრამ, არც იმას ამბობდა, რა მოხდა შემთხვევის ადგილზე. გამოძიებისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა ნოდარ მ-შვილის შვილიშვილის, 14 წლის გოგონას ჩვენება, რომელიც ინციდენტის შემთხვევითი თვითმხილველი აღმოჩნდა. რის შესახებაც არც დაჭრილმა იცოდა და არც მისმა შვილმა და სიძემ. 14 წლის გოგონამ საკუთარი თვალით დაინახა, თუ როგორ დაჭრა ვაჟა კ-ძე საკუთარმა სიძემ, ბაჩო მ-შვილმა, შემდეგ კი როგორ მოილაპარაკეს ერთმანეთში ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა და დაჭრილმა, რომ დანაშაული ნოდარ მ-შვილისთვის დაებრალებინათ, რომელსაც, მათი აზრით, ჩადენილი დანაშაულისთვის იმდენი ხნით გაუშვებდნენ ციხეში, რომ იქიდან გამოსულს ცოლის შერთვის სურვილი აღარ ექნებოდა. გამოძიებამ კიდევ დაკითხა დაზარალებული, რომელიც დამნაშავედ იქცა. სისხლის სამართლის პასუხისგება დაეკისრათ პაჩო მ-შვილს და მის ცოლს, თინიკო კ-ძეს, რომლებსაც გამოძიებას ცრუ ჩვენება მისცეს. მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმე დანაშაულის დაფარვისა და ცრუ ჩვენების მიცემის მუხლით აღიძრა. თავიდან ისინი არ აღიარებდნენ ჩადენილ დანაშაულს, თუმცა, შემდეგ ბაჩო მ-შვილმა აღიარა, რომ სიმამრი ჩხუბის დროს თავად დაჭრა, რადგან მის მიმართ ძველი წყენა ჰქონდა და, როგორც თავად განაცხადა, ახლა მიეცა ანგარიშსწორების შანსი, თუმცა, ამის შემდეგ, დაზარალებულ სიმამრს თავად შესთავაზა, რომ დანაშაული მამისთვის, ნოდარ მ-შვილისთვის დაებრალებინათ.

სასამართლომ ბაჩო მ-შვილს და ვაჟა კ-ძეს 4-4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, პირობითი სასჯელი დაეკისრა თინიკო კ-ძეს, რომელიც, მამამთილის თავიდან მოშორებას მისთვის მძიმე დანაშაულის დაბრალებით ცდილობდა. ისიც გაირკვა, რომ მეუღლის მითითებით სწორედ მან გარეცხა დანაშაულის იარაღი.

**ეკა ბარაბაძე**


გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# ქურდული ცხოვრება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-31 (657)

ხელშეუხებელი ანზორას დაპატიმრება „ცეკას“ ახალდანიშნული პირველი მდივნის სანქციით მოხდა. ახალი პირველი, ერთი მხრივ, ცენტრის საამებლად, მოსკოვს უჩვენებდა, რომ რესპუბლიკაში რკინის დისციპლინას ამყარებდა, მეორე მხრივ კი – ადგილობრივ „დელეცებს“ საკუთარი ბრჭყალები გამოუჩინა, ძალა დაანახვა და მათ სრულ მორჩილებაში მოქცევას ცდილობდა. მისი პირველი მსხვერპლი სწორედ ვერცხლისქუჩელი ანზორა იყო და სულ მალე მას სხვებიც მიჰყვნენ.

მე რომ „რეზბალნიცაზე“ გადამიყვანეს, ანზორა იქ დამხვდა და, რადგან ძველი ნაცნობები ვიყავით, ჩემი დანახვა გულწრფელად გაუხარდა.

– სიცოცხლე და ჯანმრთელობა არ მოგიშალოს ღმერთმა. როგორ ხარ, კობრა-ჯან? – მომიკითხა ანზორამ.

– სვაბოდაზე უკეთესად ვიქნებოდი. შენ როგორ ხარ?

– როგორც ციყვი გალიაში. აბა, ჩემი დაჭერა იქნებოდა? ჩალიჩს ხომ მომწყვიტეს და უსაქმოდ მაჩერებენ, ეგ კიდევ ჯანდაბას და იქით იყოს, მაგრამ, გარეთ უამრავი ადამიანი დააზარალეს. ზოგს რა სჭირდება, ზოგს – რა. ჩემ გარდა კი ვინმეს შეუძლია დეფიციტის შოვნა?! ამ ადამიანებს ვინ მოემსახურება, რას ეუბნებიან ამ ხალხს?! – მითხრა ანზორამ, თან, ფანჯარასთან მიდგმული საწოლი გაათავისუფლა, რომელზეც ჩემს მოსვლამდე იწვა, – მოეწყვე კობრა-ჯან.

ციხეს თავისი კანონები აქვს – ყველაფერი საუკეთესო იქ ქურდებს ეკუთვნით. ფანჯარასთან მიდგმული კოიკა საუკეთესოდ ითვლებოდა და ანზორამ სწორედ ამიტომ დამითმო ის ადგილი.

– ვერაფერს ჩალიჩობ, რომ გახვიდე? – ვკითხე ანზორას და კოიკა დავიკავე, თან მის მიერ მორთმეული „მარლბორო“ გავაბოლე, რომელზეც მანვე მომიკიდა „მარლბოროს“ სანთებელათი.

– ჯერჯერობით ვერა. ჩემები რას არ აკეთებენ, რომ გამიყვანონ, მაგრამ, ის არ შვრება, – ანზორამ თითი აიშვირა ზევით და ამ ჟესტით „ცეკას“ პირველი მდივანი იგულისხმა, – უკვე ექვსი თვეა, რაც აქ ვზივარ, მეტი აღარ შემიძლია.

– ეტყობა, მაყუთი ეცოტავება.

– თავის წონა ოქროს აძლევენ, მაგრამ, ფულს საერთოდ არ იღებს. ასე უთქვამს: სპეკულანტები და ცხოვრების სხვა ხორცმეტები უნდა მოვსპო, რომ მშრომელმა მოსახლეობამ მშვიდად იცხოვროსო. ამის გამო, არც მოსამართლე და არც პროკურორი არ ჰკიდებენ მაყუთს ხელს. ეს მე ვარ ხორცმეტი?! ხალხს კარგი ჩაცმა-დახურვა და წესიერი ცხოვრება უნდა. მაღაზიები კი ბარახლოთია სავსე და არავინ ყიდულობს.

ანზორას სიტყვები უკვე პოლიტიკურ ელფერს იღებდა, ქურდები კი მაშინ პოლიტიკისგან თავს შორს ვიჭერდით და ანზორას ვუთხარი:

– ეგეთები არ იყოს. ხომ იცი, რომ ქურდები პოლიტიკაში არ ვერევით.

პოლიტიკური „ბაზარი“ არც ანზორას აწყობდა. ის, უბრალოდ, ემოციებს აჰყვა. ჩემმა სიტყვებმა კი გამოაფხიზლა და მითხრა:

– მოკლედ, ჯერჯერობით არაო. მერე ვნახოთ.

მე და ანზორამ „რეზბალნიცაზე“ ოთხი თვე ერთად გავატარეთ და, ჯერ ის გავიდა, ერთი თვის მერე კი მეც დამიმთავრდა სროკი.

ვერცხლისქუჩელი ანზორას ებრაელმა ნათესავებმა იმდენი იჩალიჩეს, რომ მოსკოვში ჩააწყვეს საქმე. „ცეკას“ პირველ მდივანს კრემლიდან დაურეკეს და მძიმე ბრალდებით გასამართლებული, თოთხმეტწელიწადმისჯილი პატიმარი ათ თვეში გააშვებინეს.

გათავისუფლებამდე ორი კვირით ადრე,



ანზორამ უკვე იცოდა, რომ უშვებდნენ და მშვენიერ ხასიათზე იყო.

სწორედ იმ დღეებში გამოჩნდა თათია პირველად „რეზბალნიცაზე“ და ანზორამ მკითხა:

– მოგეწონა კობრა-ჯან?

ჩამეცინა და მივუგე:

– ეს ქალი უკვე ოცი წელია, მომწონს.

ერთი საათის შემდეგ „რეზბალნიცისა“ და ციხის ყველა კორპუსის მობინადრემ იცოდა, რომ თათია ექიმი ჩემი ახლობელი და, ესე იგი, ხელშეუხებელი იყო.

თათია მთავარი ექიმის მოადგილედ იყო დანიშნული სამკურნალო დარგში და გაცნობითი ხასიათის შემოვლას ატარებდა. მან არ იცოდა, რომ „რეზბალნიცაში“ ვიწექი. თათიამ ისიც არ იცოდა, რა გზას დავადექი ცხოვრებაში. სკოლა რომ დავამთავრეთ, თათია და თემო მშობლებმა მოსკოვში წაიყვანეს სასწავლებლად. მას შემდეგ ჩვენი გზები არ გადაკვეთილა და არც რამე მსმენია მათ შესახებ.

– დიდი ხანია, არ გინახავს? – მკითხა ვერცხლისქუჩელმა ანზორამ.

– თითქმის ოცი წელია, – მივუგე და კოიკაზე წამოვწექი.

– ჩვენთან მოდის, კობრა-ჯან, მოემზადე! – მითხრა ანზორამ.

ამ დროს საკან-პალატის კარი გაიღო და ბადრაგის თანხლებით თათია შემოვიდა. სახეზე ბალიში მქონდა დაფარებული და მხოლოდ მისი ხმა გავიგონე, რომელიც ძველებურად მტკიცე, მაგრამ, ძალიან ქალური იყო. მან ანზორას ჰკითხა:

– რა გაწუხებთ, რითი ხართ ავად?

– რა მაწუხებს და, თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ, ორ კვირაში აქედან გავფრინდები, თათია ექიმს დავენაცვლე, – ხალისიანად მიუგო თათიას ანზორამ და დაამატა: – ავად რომ ვიყო, აქ გავჩერდებოდი? კარგად ვარ, ძალიან კარგად. აი, ჩემს მეგობარს კი ნაღდად რაღაც აწუხებს და, მგონი, შველა სჭირდება.

– რა სჭირს? – სერიოზულად იკითხა თათიამ.

– აბა, მე რა ვიცი, ექიმო. გასინჯეთ და მიხვდებით, – მიუგო თათიას ანზორამ და ბადრაგს მიუბრუნდა:

– წამო, ბუთხუზ, „მალბოროს“ მოგაწევინებ, კამპანია გამიწიე. ნაღდი ამერიკულია.

21 წლის ბუთხუზას სულ რაღაც ერთი კვირის დაწყებული ჰქონდა მუშაობა, მეორე მორიგეობას ატარებდა და ციხის ნიუანსებში გარკვეული არ იყო. ამიტომ მან ანზორას უთხრა:

– პატიმრებთან ახლომეგობრული ურთიერთობების დამყარება, მათთან ერთად სიგარეტის მოწევა, ჭამა-სმა და მსგავსი მოქმედებები შინაგანაწესით კატეგორიულად აკრძალულია.

– მამა გიცხონდა, სულ ჩემთან ერთად ჭამ და სვამ, – გაეცინა ანზორას და ბუთხუ-

ზას ჰკითხა:

– წარმოშობით საიდან ხარ?

– სოფელ ოფშკვითიდან.

ანზორამ ბუთხუზას „მალბოროს“ გაუხსნელი კოლოფი და სანთებელა დაანახვა და უთხრა:

– შენი ფეშქაში იყოს, ოფშკვითში ასეთს ვერ ნახავ, წამო, წავიდეთ.

– რა ფეშქაში? – იკითხა ბუთხუზამ, რომელმაც ამ სიტყვის მნიშვნელობა არ იცოდა და ვერ მიხვდა, რომ ანზორა მას სიგარეტსა და სანთებელას ჩუქნიდა.

– ბიჭო! წამო, გარეთ გავიდეთ, – აღშფოთდა ანზორა, – თორემ, დიდთავას ვიშკიდან არ ჩამოვაშვებინებ შენს თავს.

„დიდთავა“ თბილისის ციხის უფროსი იყო და ისე უყვარდა ფული, რომ გასამრჯელოს ფასად ყველაფერზე მიდიოდა. ანზორა მას მაყუთს „უმაზავდა“ და ამიტომ სარგებლობდა პრივილეგიებით.

– გაიგე, ბიჭო, რა გითხარი? – გაუმეორა ბუთხუზას ანზორამ, – ახლა, არ მკითხო, დიდთავა ვინ არისო. ციხის უფროსზე, შენს ხაზეინზე გეუბნები.

კონფლიქტი რომ არ გამწვავებულიყო, თათიამ ბუთხუზას უთხრა:

– ბუთხუზ, გარეთ დამელოდეთ. ავადმყოფს გავსინჯავ და გამოვალ.

ანზორა და ბუთხუზა გავიდნენ, თათია კი მომიახლოვდა და მკითხა:

– იქნებ მითხრათ, რა გჭირთ?

მე ბალიში მოვაშორე, წამოვდექი და თათიას ვუთხარი:

– როგორ ხარ, თათი?

თათია წამით დაიბნა და სახე წამოუჭარხლდა, შემდეგ სიხარულისგან გაიბადრა, ჩამეხუტა და თქვა:

– გოგია! რამდენი წელი გავიდა...

ბოლოს ზუსტად ცხრამეტი წლის წინ ვნახე თათია, როცა მთელი ოჯახი მოსკოვში მიემგზავრებოდა მატარებლით, მე, ხუჭუჭა და ყბედალო კი მათ გასაცილებლად ვიყავით მისულები.

„მატარებელი თბილისი-მოსკოვი ხუთი წუთის შემდეგ გავა პირველი ლიანდაგიდან!“ – გამოაცხადა სადგურის დიქტორმა.

თათია თვალებით გავიხმე გვერდზე და, რომ დავიმარტოხელე, ვუთხარი:

– თათი, ხომ დამირეკავ ხოლმე?

– დაგირეკავ და წერილებსაც მოგწერ, – გამიღიმა თათიამ, – იცოდე, შენც მომწერე.

– მეც მოგწერ და დაგირეკავ, ხშირად დაგირეკავ ხოლმე, – ვუთხარი თათიას და ვკითხე, – გიყვარვარ?

– მიყვარხარ!

– მეც მიყვარხარ! – ვუთხარი თათიას, ხელში ოქროს ჯაჭვზე დაკიდებული ოქროს გული ჩავუდე, რომელიც ოქრომჭედელს გავაკეთებინე და ვუთხარი: ჩემგან საჩუქრად გქონდეს.

თათიამ საჩუქარი კაბის ჯიბეში ჩაიდო, ლოყაზე მაკოცა და მითხრა:

– ეს კი ჩემგან გქონდეს საჩუქრად. აბა, წავედი. რა ცხვირი ჩამოგიშვია, კობრა ხარ თუ თვალცრემლიანი პიერო?

მატარებელი რომ დაიძრა, რომელმაც თათია მოსკოვში წაიყვანა, ტირილი ძლივს შევიკავე. თათია ძალიან მიყვარდა. გული ყელში მომებჯინა და სიმწრისგან ხმას ვერ ვიღებდი.

– წამოდი, კობრა, „დარიალში“ ჩავიდეთ და დავლიოთ. მაყუთი მაქვს, – მითხრა ხუჭუჭამ. ყბედალომ კი დაამატა:

– ნუ დარდობ, ძმაო, ყველაფერი კარგად იქნება. მოსკოვში ხშირად ჩავაკითხოთ ხოლმე.

სადგურიდან რესტორან „დარიალში“ გავემართეთ, რომელიც რუსთაველის გამზირზე, სარდაფში მდებარეობდა და კარგად მოვილხინეთ. უფრო სწორად, ხუჭუჭამ და ყბედალომ მოილხინეს, მე კი თითქმის არც დამილევია და ძმაკაცებს იმიტომ წავყევი, რომ ხათრი არ გავუტეხე.

თათიამ სამი დღის შემდეგ მოსკოვიდან დამირეკა და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

– თათი, ზეგ ბიჭები დასასვენებლად მივდივართ და მე თვითონ დაგირეკავ იქიდან. მითხარი, რა დროს და რა ნომერზე დაგირეკო ხოლმე.

თათიამ ტელეფონის ნომერი ჩამაწერინა და კავშირიც გაითიშა. მას მერე თათიასთან აღარც მილაპარაკია. სამი დღის შემდეგ მე, ხუჭუჭა და ყბედალო თბილისის მილიციის სამმართველოს ოპერჯგუფმა თბილისი-სოჭის მატარებლიდან მოგვხსნა და მილიციის სამმართველოში, ბებელის ქუჩაზე წაგვიყვანეს.

საქმე ის იყო, რომ წინა დღით სამივე ერთ ავლაბრელ მევახშეს რევოლვერით დავადექით სახლში, ჩვენი უბნელის, ძია თედოს პროცენტიანი ვალი – ორასი მანეთი მივუტანეთ და ძია თედოს ოქროს სამაჯური წავართვით, რომელსაც ის უკან არ უბრუნებდა. აბა, რას ვიფიქრებდით, რომ მევახშე მილიციაში წავიდოდა. ის კი, თურმე, „ძაღლებთან“ იყო შეკრული. სიხარბემ სძლია და მილიციაში განაცხადა, მერე საცოდავი ძია თედოს მეშვეობით ჩვენზე გამოვიდნენ და სოჭში გამგზავრებამდე ხუთი წუთით ადრე „აგვყარეს“...

– აი, უფროსო, ეს ნაბიჭვრები იყვნენ, – ჩვენკენ გამოიშვირა თითი აკოფა მევახშემ, როდესაც გამომძიებლის კაბინეტში შეგვიყვანეს დასაპირისპირებლად.

– შენი ვაჭარ-მევახშე დედაც... – აბაროტი მისცა აკოფას ხუჭუჭამ, რომელიც მასთან ყველაზე ახლოს იმყოფებოდა და ისეთი წიხლი ამოსცხო ყბაში, რომ სკამიანად სალტო გააკეთებინა, შემდეგ გაავებულ მილიციელებს უთხრა:

– ვახტანგ ყიფიანის შვილი ვარ და ხელი არ გვახლოთ!

იმ პერიოდში ხუჭუჭას მამა კიდევ უფრო დააწინაურეს და „ცეკას“ ერთ-ერთი მდივნის თანამდებობა ეკავა. შესაბამისად, დაწინაურდა მისი მეგობარი, პოლკოვნიკი ბესარიონ აბრალავაც, რომელსაც მილიციის სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილის პოსტი ეკავა და ბედის ირონიით, მისმა ხელქვეითებმა მისთვის შეუტყობინებლად დაგვაკავეს.

– ეგ ვახტანგ ყიფიანი ვილაა? – დამცინავად ჰკითხა ერთ-ერთმა ოპერმა ხუჭუჭას.

– ცეკას მდივანია. მე კი მისი შვილი ვარ, – გაუმეორა ხუჭუჭამ.

– აი, მე კი, ბრეჟნევის შვილი ვარ. შენი დედაც... – უთხრა ოპერმა ხუჭუჭას, მაგრამ, ფეხებშუა ისეთი წიხლი მიიღო მისგან, რომ წამში მევახშე აკოფას შეუერთდა, რომელიც ჯერ კიდევ ღრმა ნოკაუტში იმყოფებოდა.

ეს უკვე მეტისმეტი იყო, რადგან, მილიციის ოპერის ხელყოფას მილიციის სამმართველოში არავინ გვაპატიებდა და კუნთმაგარმა და გონებაშეზღუდულმა ოპერებმა სამივეს დაგვცხეს...

– თქვენი დედაც... ძია ბესოს დაუძახეთ, თუ გინდათ, ცოცხლები დარჩეთ! – ღრიალებდა ხუჭუჭა.

– ძია ბესოს დედაც – უფრო ინტენსიურად გვიბაგუნებდნენ.

უცებ კარი გაიღო და ოთახში ბესარიონ აბრალავა შემოვიდა. ხუჭუჭამ რომ დაინახა, დაუძახა:

– ძია ბესო, გააჩერე ეს პირუტყვები!

პოლკოვნიკი ბესარიონ აბრალავა სწორედ თავისი ოპერების გასაჩერებლად შემოვარდა ოთახში. მას, თურმე, სრულიად შემთხვევით შეუტყვია ჩვენი დაკავების ამბავი და, რადგანაც იცოდა, რა დღეში ჩაგვყრიდნენ მისი ოპერები, სასწრაფოდ ჩვენს საშველად გამოიქცა.

– ეს რა უმსგავსობაა?! სასწრაფოდ შეწყვიტეთ ეს ბესპრედელი! – დაუღრიალა პოლკოვნიკმა აბრალავამ თავის ხელქვეითებს, რომლებიც უკვე „სმენაზე“ იდგნენ.

აბრალავა დასისხლიანებულ ხუჭუჭას მი-





მევახშე აკოფა ოთხად იყო მოკეცილი და შეშინებული თვალებით უყურებდა ხუჭუჭას, რადგან, მიხვდა, რომ მისგან ბევრად უფრო მეტი საფრთხე ელოდა.

– აბა, ბრძანე ერთი, როგორ დაგაყაჩაღეს ამ ბიჭებმა, – მრისხანე ირონიით უთხრა აბრალავამ აკოფას, მან კი ხმის კანკალით მიუგო:

– შემეშალა, უფროსო, ესენი არ ყოფილან.

ვარდა, წამოაყენა და ცხვირსახოცით მისი სახიდან სისხლის მოწმენდას შეუდგა. მაგრამ, ხუჭუჭამ არ დაანება: ჯერ ხის სკამი დაანარცხა ძირს, ფეხი მოაძრო და სამივე ოპერს, რომლებმაც ის დაასისხლიანეს, სათითაოდ უთავაზა, თავები გაუტეხა და მხოლოდ ამის მერე მიუბრუნდა აბრალავას:

– ძია ბესო, სოჭის მატარებელში დაგვიჭირეს და გვაბრალებენ, ამ ნაძირალას რევოლვერის მუქარით ოქროს სამაჯური წაართვითო. ჩვენ კი უიარაღონი ვიყავით და ოქროს სამაჯური პროცენტიანი ვალის დაბრუნების შემდეგ გამოვართვით, – ხუჭუჭამ თითით მიანიშნა აკოფა მევახშისკენ და დაამატა: აი, ამ დამპალის ბრალია ყველაფერი, ვერ გაძღა მისი მუცელი უბედური ხალხის ფულით!

– არაფერიც, ჩვენ ვიყავით, ოღონდ, კი არ დაგვიყაჩაღებია, ნასესხები ასი მანეთის სანაცვლოდ ორასი მანეთი მივუტანეთ და ბაჯაღლო ოქროს სამაჯური გამოვართვით, რომელიც სამი ათასი მანეთი ღირს და ძია თედოს გარდაცვლილი ცოლის ნაქონია. ძია თედოს ერთი თვის წინ ცოლი გარდაეცვალა და სამაჯური იმიტომ დააგირავა, რომ საფლავი გაეკეთებინა. ამ გარეწარს კი ოქროს ხელში ჩაგდება უნდოდა, ორასი მანეთი ეცოტავა და გვითხრა: „ჩაბარების დროს სამი საათი გადასცდა და სამასი მანეთი უნდა მოიტანოთო“, წარმოგიდგენიათ, ძია ბესო, რა ნაძირალაა?! – „გაუიასნა“ ხუჭუჭამ პოლკოვნიკს. მან მხოლოდ ის მოიტყუა, უიარაღოდ ვიყავითო.

– სამაჯური სადაა? – იკითხა აბრალავამ.

– აი, უფროსო, – თქვა ოპერმა, რომელმაც ხუჭუჭას უთხრა, ბრეჟნევის შვილი ვარო და აბრალავას ძვირფასი სამაჯური მისცა.

– თედო სადაა? – ჰკითხა აბრალავამ „ბრეჟნევის ვაჟს“.

– კამერაში, უფროსო.

– ახლავე აქ მომიყვანეთ! თქვენ კი, – აბრალავამ ოპერებს დაუღრიალა, – აქედან დამეკარგეთ! სულ მალე თქვენთვისაც მოვიცლი და შესაბამის პასუხსაც მოგთხოვთ!

როგორც მოგვიანებით გაირკვა, აბრალავამ აკოფა მევახშე საკანში გამოკეტა და მხოლოდ მას მერე გაუშვა, როდესაც მისმა ნათესავებმა სოლიდური თანხა გადაიხადეს. საცოდავ თედოს კი სამაჯური დაუბრუნა და მოუბოდიშა. ბოლოს ოთხივე საკუთარი მანქანით წაგვიყვანა მთაწმინდაზე, თავად კი სამსახურში დაბრუნდა. სანამ მანქანას დაძრავდა, აბრალავამ ხუჭუჭას ჰკითხა:

– ზურიკო, რევოლვერი მართლა ხომ არ გქონდათ, ბიჭო?

– არა, ძია ბესო, რა რევოლვერი?! თქვენი ნაჩუქარი ხანჯალი მედო უბეში, ქარქაშიდანაც კი არ ამომიღია. სამაჯური ამის შიშით დააბრუნა, თორემ, რისი მომცემი იყო, – მიუგო ხუჭუჭამ თავის ნათლიას.

აბრალავა რომ წავიდა, ძია თედოს თვალები აუცრემლდა და გვითხრა:

– ბოდიშს გიხდით, ბიჭებო, დიდ ბოდიშს. ჩემი ბრალია, რომ შარში გაგხვიეთ. მილიციელები რომ მოვიდნენ და მკითხეს, აკოფასთან ვინ იყოო, მე ალალად ვუთხარი, რომ ვალი თქვენ მიუტანეთ და, აბა, რას ვიფიქრებდი, თუ ჩაგიშვით.

– რას ამბობ, ძია თედო, რა ჩაგვიშვი. პირიქით, ბოდიშს გიხდით, რომ „ძაღლებმა“ ჩვენ გამო შეურაცხყოფა მოგაყენეს, – ვუთხარით ძია თედოს, სახლამდე მივაცილეთ და უკან გამოვბრუნდით.

მეორე დღეს ხუჭუჭას მამამ მე და ყბედალო ჩვენს მშობლებთან ერთად თავის სახლში დაგვიბარა და თქვა:

– ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ჩვენმა ღლაპებმა მთელი ქალაქი აიკლეს: ჯერ ვიღაცას მიუცვივდნენ სახლში, შემდეგ სოჭში იპარებოდნენ, ბოლოს კი მილიციაშიც მოხვდნენ. ამხანაგებო, ხვალ ჩემი შვილი ლენინგრადში მიჰყავს დედამისს სწავლის გასაგრძელებლად და, გირჩევთ, თქვენც იგივე გააკეთოთ. თუ სხვაგან ვერ გაგზავნით და არც თბილისში უნდათ სწავლა, იქნებ, გარკვეული დროით ქალაქს მაინც მოაშოროთ, რომ საბოლოოდ არ ასცდნენ პატიოსან გზას. აი, სულ ესაა, რისი თქმაც მინდოდა თქვენთვის.

იმ პერიოდში „ცეკას“ მდივნის სიტყვასა და რჩევას დიდი ფასი ჰქონდა. ჩემი და ყბედალოს მშობლებმა ყური უგდეს ვახტანგ ყიფიანს და ყბედალო როსტოვში წაიყვანეს სასწავლებლად, მე კი მამაჩემმა თავის ნათესავებთან წამიყვანა, სვანეთის ყველაზე მაღალმთიან სოფელში და მომავალ ზაფხულამდე იქიდან ფეხიც ვერ მოვიცვალე, რადგან, ბუნებრივი პირობების გამო, იქიდან გაქცევა შეუძლებელი იყო. სწორედ ამიტომ დავკარგე თათიასთან კავშირი, რასაც ძალიან განვიცდიდი და, იმედი მქონდა, რომ თბილისში დაბრუნებისთანავე დავურეკავდი... უზომოდ

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ს | ა | მ | ა | რ | ა | | | დ | | რ | | | | | | | |
| | რ | | რ | | ჩ | ა | პ | ე | კ | ი | | | | | | | |
| ს | ა | ფ | ა | რ | ი | | ე | ლ | ა | მ | ი | | | | | | |
| | ბ | ა | გ | ა | | ს | პ | ა | მ | ი | | | | | | | |
| ს | ი | ლ | ო | ს | ი | | ე | ს | ე | ნ | ი | | | | | | |
| | ქ | ა | ნ | ი | | ო | ლ | ა | რ | ი | | | | | | | |
| ს | ა | ვ | ი | ნ | ა | | ა | | უ | | ვ | | | | | | პ |
| | | ა | | ი | | ქ | | ა | ნ | ძ | ა | | ა | ქ | ი | მ | ი |
| ნ | ი | ნ | ა | | ა | ბ | ო | ვ | ი | ა | ნ | ი | | ა | | ე | პ |
| | ნ | ი | ლ | ო | ს | ი | | შ | | ფ | ი | ლ | ი | დ | ო | რ | ი |
| | ი | | ბ | | ა | ლ | დ | ა | გ | ი | | ო | | ა | | ა | ნ |
| რ | ა | მ | ე | | ქ | ი | უ | რ | ე | | გ | რ | ა | ფ | ი | ნ | ი |
| ე | | ა | რ | ხ | ი | | მ | ა | ნ | ე | | ი | დ | ი | ლ | ი | ა |
| ტ | ა | რ | ტ | უ | | | ა | | ა | | ქ | | ვ | | ი | | |
| ი | | ს | ი | ა | თ | ა | | ქ | | ქ | ა | პ | ი | ტ | ა | ნ | ი |
| | | ე | | ნ | | ნ | უ | ლ | ი | | მ | ო | ლ | ა | | ა | |
| ბ | ა | ლ | ა | ხ | ვ | ა | ნ | ი | | მ | ა | რ | ი | ნ | ა | დ | ი |
| | რ | ი | მ | ე | | ტ | ა | რ | ი | | | ტ | | ა | ლ | ი | ა |
| | დ | | ი | | ი | ო | ბ | ი | | ო | ტ | ი | ა | | ვ | | ვ |
| ვ | ა | რ | ნ | ა | | მ | ი | ნ | დ | ი | ა | | | ს | ა | ს | ა |
| | ნ | ა | დ | ი | რ | ი | | გ | | ნ | ი | ს | ლ | ი | | ა | |
| ვ | ი | ზ | ი | რ | ი | | ს | ი | ც | ი | ვ | ე | | რ | ი | გ | ა |
| ი | | ი | | ა | გ | რ | ა | | უ | | ა | რ | ზ | ა | | ა | რ |
| რ | ო | ნ | ი | ნ | ი | | მ | ი | ლ | ა | ნ | ი | | ნ | ა | ნ | ი |
| ი | | ი | | ი | | მ | ი | ლ | ი | | ი | ა | პ | ო | ნ | ი | ა |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 3 | 1 | 2 | 4 | 8 | 6 | 7 | 5 |
| 4 | 6 | 5 | 7 | 1 | 9 | 3 | 8 | 2 |
| 2 | 8 | 7 | 5 | 6 | 3 | 1 | 4 | 9 |
| 7 | 5 | 8 | 6 | 9 | 1 | 2 | 3 | 4 |
| 3 | 4 | 6 | 8 | 2 | 5 | 9 | 1 | 7 |
| 1 | 9 | 2 | 4 | 3 | 7 | 5 | 6 | 8 |
| 5 | 2 | 4 | 1 | 8 | 6 | 7 | 9 | 3 |
| 6 | 7 | 9 | 3 | 5 | 4 | 8 | 2 | 1 |
| 8 | 1 | 3 | 9 | 7 | 2 | 4 | 5 | 6 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 9 | 4 | 7 | 6 | 3 | 2 | 8 | 5 |
| 3 | 6 | 2 | 8 | 5 | 1 | 7 | 4 | 9 |
| 8 | 5 | 7 | 4 | 9 | 2 | 6 | 3 | 1 |
| 4 | 7 | 9 | 5 | 3 | 6 | 8 | 1 | 2 |
| 2 | 8 | 5 | 1 | 7 | 4 | 9 | 6 | 3 |
| 6 | 1 | 3 | 2 | 8 | 9 | 5 | 7 | 4 |
| 9 | 4 | 8 | 3 | 2 | 7 | 1 | 5 | 6 |
| 5 | 3 | 6 | 9 | 1 | 8 | 4 | 2 | 7 |
| 7 | 2 | 1 | 6 | 4 | 5 | 3 | 9 | 8 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. მავრიტანია და ნიგერია. 2. ჰერცოგი. 3. ხომალდის ეკიპაჟის მკვლელებს. 4. ნაპალმი. 5. ახალი კონკლავის არჩევა. 6. ლუიდორი. 7. ორგია. 8. კაპიტოლიუმი. 9. ცრემლებით. 10. ესკიმოსები.**

მიყვარდა და მენატრებოდა.

ერთი წლის შემდეგ ჯარში გამომიძახეს. მამამ სვანეთში ამომაკითხა და თბილისში ჩამიყვანა. თუმცა, მე სულ სხვა გეგმები მქონდა: ჯარში წასვლას არ ვაპირებდი და მყარად მქონდა გადაწყვეტილი ქურდულ გზაზე დადგომა. სახლში რომ დავბრუნდი, მაშინვე, მოსკოვში დავრეკე, მაგრამ, მითხრეს, რომ თათია სხვაგან გადავიდა და მისამართი არ იცოდნენ. ბევრი ვეძებე, თუმცა, თათიას კვალს ვერსად მივაგენი. ამასობაში პირველი „სროკიც" ავიკიდე, ქურდულ ცხოვრებაში მთელი არსებით ჩავები და შეყვარებულს მხოლოდ ცხრამეტი წლის შემდეგ, თბილისის „რეზბალნიცაზე" შევხვდი.

– გახსოვს, გოგია, მოსკოვში რომ გვაცილებდით და ვაგზალზე ოქროს ჯაჭვზე დაკიდებული ოქროს გული მაჩუქე? – მკითხა თათიამ.

– მახსოვს, – ვუთხარი თათიას.

თათიამ ექიმის ხალათის საყელო გადაიწია, ჩემ მიერ ნაჩუქარი გული დამანახვა და მითხრა:

– სულ თან მაქვს, ცხრამეტი წელია, არ მომიხსნია.

თათიამ მიამბო, რომ ქმართან გაყრილი იყო და ათი წლის ვაჟი ჰყავდა.

– შენი შვილი შენსავით ლამაზია? – ვკითხე თათიას.

– ჩემზე უკეთესი. ჩემი სილამაზე კი სადღაა, წლებმა წაიღო.

– რას ამბობ, თათი, ქალობაში უფრო მიმზიდველი გახდი!

– ამას იმიტომ ამბობ, რომ აღარ გახსოვს, როგორი ვიყავი.

– მე შენ ყოველთვის მახსოვდი. იცი, რამდენი გეძებე? მოსკოვში ვაპირებდი ჩამოსვლას და შენს იქ მოძებნას, მაგრამ, გამსროკეს.

– მე კი ყოველდღე გირეკავდი და მპასუხობდნენ, მთაშიაო.

– ვიცი, ჩემებმა მითხრეს. როგორც კი თბილისში დავბრუნდი, დაგირეკე, მაგრამ, მითხრეს, რომ სხვა მისამართზე ცხოვრობდი.

– იმ დროს უკვე უცხოეთში ვსწავლობდი. ჩემი მომავალი ქმარიც იქ გავიცანი და ხუთი წლის შემდეგ დავქორწინდით.

– თემო როგორაა? – საუბრის თემა შევცვალე, რადგან, თათიას ქმარზე ლაპარაკი არ მსიამოვნებდა.

– თემო დიდი კაცია. დიპლომატიური დაამთავრა და სულ უცხოეთში მუშაობს. ახლა ნიუ-იორკშია, გაეროში. ცოლ-შვილი ჰყავს და ძალიან ბედნიერია.

– შენ თუ ხარ ბედნიერი?

– შვილის ყოლა უკვე ბედნიერებაა და, ესე იგი, ბედნიერი ვარ, – ნაღვლიანად გამიღიმა თათიამ და მკითხა:

– შენ თუ გყავს ცოლ-შვილი?

– ქურდს რა ცოლ-შვილი უნდა ჰყავდეს? ჩემი ოჯახი ჩემი საძმოა, ჩემი სახლი კი – ციხე და, ციხეში ხომ არ მოვიყვანდი ცოლს?

– კარგი, გოგია. ახლა წავალ და სხვებსაც დავხედავ. ჯერ ხომ აქ ხარ და ერთმანეთისთვის თავის მოხერხებას კიდევ მოვასწრებთ.

– შენი არ ვიცი, მაგრამ, მე არასოდეს მომბეზრდები.

– გათავისუფლებამდე რამდენი დაგრჩა?



– ექვსი კვირა.

– ძალიან კარგი. მინიმუმ ექვსი კვირის განმავლობაში თითქმის ყოველდღე შევხვდებით ერთმანეთს და მერე ვნახოთ, – მითხრა თათიამ და გავიდა.

ციხეში ძალიან ნელა გადის დრო, მაგრამ, ექვსმა კვირამ ძალიან სწრაფად გაიფრინა. გათავისუფლების წინ თათია პალატაში მეწვია და მითხრა:

– შენი საბუთები თითქმის მზადაა და ორ საათში გაგიშვებენ. სამწუხაროდ, მე ვერ გაგაცილებ, სამინისტროში უნდა წავიდე, – თათიამ ოთხად მოკეცილი ფურცელი მომცა და დაამატა: აქ ჩემი მისამართი და ტელეფონის ნომერია. მოსვლას თუ არ მოისურვებ, დამირეკე მაინც. ისე, ერთ კვირაში ოცდაჩვიდმეტის ვხდები. დაბადების დღეს არ ვიხდი, მაგრამ, შენ გელოდები...

ერთი კვირის შემდეგ თათიას ვაკეში, სახლში ვესტუმრე. მთაწმინდის ბინა თემოს დარჩა, თათია კი ბებიამისის დანატოვარ სახლში ცხოვრობდა.

– დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო მშვენიერო, – ვუთხარი თათიას და ჯერ ვარდების თაიგული მივართვი, შემდეგ ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი გავუკეთე თითზე, ბოლოს კი ხელზე ვეამბორე და ვკითხე: ბევრი სტუმარი გეყოლება?

– მარტონი ვართ.

– ბავშვი სადაა?

– არდადეგები აქვს და დედაჩემმა ზღვაზე წაიყვანა დასასვენებლად, მახინჯაურში..

მე და თათიამ ინტიმურ გარემოში ძალიან რომანტიკული საღამო გავატარეთ. ღამითაც მასთან დავრჩი და სწორედ მაშინ ავისრულე თათიასადმი ლტოლვის დაუოკებელი სურვილი, რომელიც ოცი წელი არ მასვენებდა და ვნებიანი სიყვარულის მორევში გადავეშვი...

ექვსი თვის განმავლობაში თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი თათიას და უზომოდ ბედნიერი ვიყავი. თუმცა, ყველაფერს აქვს დასასრული, მათ შორის – ბედნიერებასაც. ერთ მშვენიერ დღეს ბერძენამ დამირეკა და ჩემთან მოსვლის ნებართვა მთხოვა, რაზეც, რა თქმა უნდა, თანხმობა მიიღო. რომ მოვიდა, მკითხა:

– ხომ მარტო ვართ?

– კი.

– მაგარი ნაკოლი მაქვს. გეტყვი და გადაწყვიტე, წამოხვალ თუ არა.

– გისმენ, ძმაო, თქვი.

ბერძენა სავარძელში მოკალათდა, გააბოლა და მითხრა:

– კობრა, ძმაო, მოსკოვში ერთი ცნობილი ანტიკვარი ცხოვრობს – ვინმე მოშე რივკინი. ბაითი ათასგვარი ანტიკვარული ბარახლოთი აქვს სავსე, მაგრამ, ეს წვრილმანია. მთავარი ისაა, რომ სპალნაში სეიფი უდგას და ის სეიფი ოქრო-ვერცხლით და ძვირფასი ქვებით აქვს სავსე. სწორედ საჩვენო საქმეა. თუ თანახმა იქნები, შეგვიძლია, ორ-სამ დღეში მოსკოვში გავემგზავროთ და ეს საქმე შევასრულოთ. სიტყვა შენზეა.

– ნაკოლშჩიკი ვინაა?

– რივკინის ყოფილი ცოლის დისშვილი. ზონაში გავიცანი და ეს ნაკოლი იქიდან მაქვს წამოღებული, – მითხრა ბერძენამ, რომელიც ბურიატიის მკაცრი, შრომა-გასწორების კოლონიიდან თვე-ნახევრის გათავისუფლებული იყო, სადაც ექვსწლიანი სროკი მოიხადა.

– სეიფის ზუსტი ადგილმდებარეობა თუ იცი?

– სეიფი ზუსტად სად მდებარეობს, არ ვიცი, მაგრამ, სპალნაში რომ არის, ასპროცენტიანია და ვიპოვით, თუ, რა თქმა უნდა, საქმეზე წამომყვები.

– მოგყვები, – ვუთხარი ბერძენას და ხელისგული გავუშვირე, რომელზეც ხელი დამირტყა. შემდეგ მან გამომიშვირა, მე დავურტყი და ქურდული შეთანხმება შედგა.

ის ღამეც თათიასთან გავატარე და ისე შემოგვათენდა, რომ დილის დადგომა კედლის საათმა გვამცნო, რომელმაც ექვსჯერ დარეკა.

– რა დრო გასულა! სამსახურში წასასვლელად უნდა მოვემზადო, შენ კი იძინე, – მითხრა თათიამ, საწოლიდან წამოდგა და სააბაზანოსკენ გაემართა. უკან რომ დაბრუნდა, ვუთხარი.

– თათი, ხვალ მოსკოვში მივემგზავრები სამიოდე კვირით.

– გასაგებია, – მშვიდად მომიგო თათიამ.

– რა არის გასაგები?

– ხვალ რომ მოსკოვში მიემგზავრები სამიოდე კვირით, – ნაღვლიანად გამიღიმა თათიამ, – ყველაფერი კარგი – ხანმოკლეა, მათ შორის – ბედნიერებაც. თუმცა, ექვსი თვე არც ისე ცოტაა. ექვს თვეს, ზოგჯერ, ახალდაქორწინებულები არ ცხოვრობენ ერთად.

– ნუ ბრაზობ, თათი... გადაუდებელი საქმე მაქვს და აუცილებლად უნდა გავემგზავრო. სამ კვირაში დავბრუნდები და ისევ ერთად ვიქნებით.

– არა, გოგია. შენ ქურდი ხარ. შენი არჩევანი გაკეთებული გაქვს და არასდროს შეცვლი. ჩვენი ექვსთვიანი ურთიერთობა ჩემი სისუსტე იყო. მორჩა. მშვიდობით...

თათიასგან უხმოდ წამოვედი...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ყველა კაცი ერთნაირია

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №12-31(657)**

## არაფრის ღირსები...

ზუკამ ისე გამოაღო მანქანის კარი და ისე ჩაჯდა უკანა სავარძელში, გიგისთვის არც შეუხედავს.

– რა გჭირს შენ, რას იბღვირები?! – გაუკვირდა გიგის, – ამ დილაუთენია გველმა გიკბინა თუ მარცხენა ფეხზე ადექი?

– მარცხენა ფეხზე ამდგარს ვახოს ნახავ თათბირზე. როგორ ფიქრობ, ასე ადრიანად იმიტომ დაგვიბარა, რომ ჩვენ მიმართ აღფრთოვანება გამოხატოს? გაგიჟებულია.

– კარგი, რა, გაუვლის. ან, რა აგიჟებს, არ მესმის. არც ერთი არ ვართ მაგის საკუთრება და პირადი ცხოვრების უფლება ყველას გვაქვს.

ზუკამ ამოიოხრა და თავი გადააქნია:

– ნეტავი შენ, როგორ არაფერი გადარდებს.

– ვინ გითხრა, რომ არ მადარდებს? მით უმეტეს, ამ ბოლო დროს ბევრი სადარდებელი გამიჩნდა. რაღაც ამერია, ბიჭო, ვერ ვხვდები, რა მჭირს.

ზუკამ ნიშნისმოგებით გაუღიმა:

– გაფრთხილებდი მე შენ და არ დამიჯერე... აუ, პროსტა, მაგიჟებ, რა!.. რაც საკუთარ თავს გაუკეთე?! უყვარდი იმ გოგოს და იყავი მშვიდად. რატომ ვერ მოისვენე? მე რომ ნინისნაირი შეყვარებული მყოლოდა, ნაშებს უკან დევნას ნამდვილად არ დავუწყებდი...

– ჰო, ვიცი, შენ ხომ ერთგულებით გამორჩეული, უკეთილშობილესი რაინდი ხარ, – დასცინა გიგიმ.

– ირონია შენი იარაღია – მივხვდი ამას და აღარ მწყინს.

– ოჰო, ეს უკვე მიღწევაა. ერთი ნაბიჯი წინ, როგორც იტყვიან. შენ ისიც გეცოდინება, რას გვერჩის ვახო და თათბირს რა საკითხზე გვიტარებს.

– ჩემთან არ შეუთანხმებია, მაგრამ, როგორც ბრძანე, პირადი ცხოვრების უფლება ყველას გვაქვსო, სავარაუდოდ, ჩვენს ამორალობაზე იქნება საუბარი.

– მართლა? მაშინ, ჩემი ადგილი მაგ თათბირზე არ არის. დამკვირვებლად თუ მიმინევს, არ ვიცი.

– აუ, შენ ახლა ეგ სისულელე არ უთხრა და უარესად არ გადარიო. პრინციპში, მე ვეთანხმები ვახოს – არავის მოეწონება ოფისში სკანდალები.

– მერე, ვინ აპირებს სკანდალის მოწყობას? ისე არ წვიმს, როგორც ქუხსო, არ გაგიგია?

– ვერ მივხვდი, რისი თქმა გინდა.

– იმის, რომ არაფერიც არ მოხდება. არც იმ სულელ გოგოს მიუვარდება ვინმე და არც შენი დულცინეა დაშორდება ქმარს. რა ქენი, გული და ხელი შესთავაზე უკვე?

– ეგ არ არის შენი საქმე, – მოიღუშა ზუკა.

– ჰო, აბა, რა, მე ხომ მტერი ვარ შენი. ბოლო დროს აღარაფერს მიყვები.

– არც არაფერია მოსაყოლი. მორჩა ეგ ამბავი.

– ისე შენ რა გითხარი, – გაეცინა გიგის და ოფისამდე ისე მივიდნენ, აღარაფერი უთქვამს.

ვახო კაბინეტში იჯდა. თანამშრომლებს წარბშეკრული დაუხვდა. თიკომ ერთი ფეხით შეასწრო ბიჭებს და ოთახის ყველაზე შორეულ კუთხეში დაჯდა. ბოლოს ლაშა შემოფრატუნდა ფეხათრეული. რამდენიმე წუთი სრულ სიჩუმეში ისხდნენ. ბოლოს ისევ გიგიმ ვერ გაუძლო:

– დიდხანს ვისხდებით ისე, თითქოს ვინმეს პანაშვიდზე ვიყოთ?

ზუკამ შეუბღვირა. თიკომ კი პათეტიკურად ამოიკრუსუნა.

– ჰო, რა ვთქვი ახლა ისეთი? თუ საქმიანი შეკრება გვაქვს, დროს ფუჭად რატომ ვკარგავთ?

ვახომ ხმამაღლა გაიცინა:

– აბა, შენ მაინც, ძალიან გადარდებს ფუჭად დაკარგული დრო. მოკლედ, ბოლო დროს, კონკრეტული მიზეზების გამო, თქვენთვის ვეღარ მოვიცალე. მეგონა, კეთილსინდისიერად გქონდათ გააზრებულ-გაცნობიერებული თქვენი მოვალეობები. უპასუხისმგებლო არც ერთი არ ჩანდით და მეც გენდეთ, მაგრამ, რა გამოვიდა? აიშვით. ყველამ ერთად და ცალცალკე.



– კონკრეტულად რა იგულისხმება აშვებაში? – მიამიტური გამომეტყველებით იკითხა გიგიმ და როცა ოთახში მყოფების განცვიფრებული მზერა შენიშნა, დაამატა: ჰო, რა იცით? მართლა მაინტერესებს, კონკრეტულად რას არ ვაკეთებთ კარგად და პირიქით – რას ვკეთებთ ცუდად.

– კარგი. რადგან არ გესმის, პირდაპირ შენგან დავიწყებ: გულახდილად მითხარი, რითი ხარ მთელი დღე დაკავებული?

– სულ დილიდან დავიწყო? რომ გავიღვიძებ და ავდგები, იმ წუთიდან თუ?

ვახომ გამეტებით დაარტყა მაგიდის ზედაპირს გაშლილი ხელი და იყვირა.

– გეყოფა! სალაღაოდ და სამაიმუნოდ რომ დადიხართ სამსახურში, სწორედ ეგ არის პრობლემა! ახლა ყველას გასაგონად ვამბობ და აღარ გავიმეორებ: ოფისში შინაგანაწესი იქნება და ყველა ვალდებული იქნებით, მას დაემორჩილოთ, გამონაკლისების გარეშე. მოდიხართ ათზე და მიდიხართ შვიდზე. შესვენება ერთი საათი ოფისიდან გაუსვლელად, თიკო, გესმის? – ოფისიდან გაუსვლელად! ერთ ოთახს მოგიწყობთ და აქვე მიირთვით ბუტერბროდები, ან, რომელიმე საოჯახო სამზარეულოში დარეკავთ და მოგიტანენ საჭმელს. არავითარი სტუმრები, თაყვანისმცემლები და ნაცნობ-მეგობრები... ოფისის გარეთ რაც გინდათ, ის გიქნიათ, მაგრამ, ეგეც ისე ქენით, რომ „ბოლის სუნმა“ აქამდე არ მოაღწიოს... გიკრძალავთ ინტერნეტ-თამაშებს, სოციალურ ქსელებში გართობას და, ზოგადად, მოიქეცით ისე, რომ თქვენ გამო გაწითლებამ არ მომიწიოს. დაიხსომებთ ამ ყველაფერს თუ ამოვბეჭდოთ და კედელზე გაგიკრათ?

თავი მხოლოდ თიკომ დააქნია.

– აბა, რისი თქმა გინდა, მაგ თავის კანტურით?

– არაფერი. პირადად ჩემთვის ყველაფერი გასაგებია-მეთქი.

– იმედია, ისიც, რომ კლიენტებთან ფლირტი და ფამილარული ურთიერთობაც დაუშვებელია.

თიკო წამოწითლდა, მაგრამ, შეკამათება ვერ გაბედა.

– მაშ, რადგან ყველამ ყველაფერი გაიგეთ, წაბრძანდით და იმუშავეთ!

– შეკითხვები შეიძლება? – წამოიკნავლა ლაშამ.

– გისმენ! – ხმა გაიმკაცრა ვახომ.

– მოკლედ ვიტყვი: მე რომ კლიენტებთან ფლირტს არ გავაბამ, ფაქტია. ამ ოხერ შესვენებაზეც საერთოდ არ მოვიცვლი ფეხს ადგილიდან, მაგრამ, ზოგჯერ, დილაობით, ბავშვს ვიტოვებ ხოლმე და ზუსტად ათზე რომ ვერ მოვიდე, დაინგრევა ქვეყანა?

ოთახში ჯერ სამარისებული სიჩუმე გამეფდა. მერე ისეთი ხარხარი ატყდა, ვახოსაც გაეცინა.

– კარგი, შენთვის გამონაკლისს დავუშვებ, თუ სიმართლეს ამბობ, რა თქმა უნდა.

– ჩემს ცოლთან შეგიძლიათ გადაამოწმოთ, – გამარჯვებული სახით მიმოიხედა ლაშამ, ანუ, შემომხედეთ, ოჯახმა როგორ გამომასწორაო.

გიგი ისევ იცინოდა. მერე თავი გადააქნია და დანანებით ჩაილაპარაკა:

– მდაა, ჩვენს მორალურ მხარეებზე გიზრუნია. მადლობის მეტი რა გვეთქმის? ისღა დაგვრჩენია, მთელი ჩვენი რესურსი საქმეში ჩავდოთ. ახლა შეგვიძლია, წავიდეთ?

ვახომ წყრომით შეხედა.

– არ იშლი, ხომ შენსას?

– რატომ, კაცო... გავიგე და ვეთანხმები შინაგანაწესს, მეტი რა ვქნა? იმედია, სახლიდან კატლეტების მოტანა არ მომიწევს. ლაშას რა უჭირს, ცოლი გამოატანს, მაგრამ, მე და ზუკა ძალიან დავიჩაგრებით.

– ჰო, კარგი, იმუშავეთ. მგონი, ყველაფერი გავარკვიეთ...

დიზაინერების ოთახში შესულმა გიგიმ სავარძელში მოიკალათა და გაიზმორა:

– საგანგებო რეჟიმზე გადავედით... ამასაც მოვესწარით...

– შენ გითხრეს, იმუშავეო, ჰოდა, ნუ გვაცდენ, – თავი წამოყო ლაშამ, – განსაკუთრებული არაფერი მოუთხოვია. არ მინდოდა, მეთქვა, მაგრამ ბოლო დროს მარტო მე ვაკეთებდი შეკვეთებს.

– ოჰო?! შეხედე ერთი, ბიჭი თურმე ნაწყენი ყოფილა ჩვენზე. იქნებ, ჩვენს გასაკეთებელსაც შენ აკეთებდი?

– არც უმაგისობა იყო და ნუ იბღვირები. მე სიმართლე მიყვარს, – არ შეეპუა ლაშა, – კლიენტი რომ მოდის და არც ერთი აქ არ ხართ, ვინ მუშაობს შეკვეთაზე? გამოდის, რომ თქვენს საკეთებელსაც მე ვაკეთებ.

– ბიჭო, შენ თავი სახლში ხომ არ გგონია, ცოლთან, რა დღეში ხარ? თუ, იქ ხმას არ გაღებინებენ და დაგიგროვდა?.. აბა, მოკეტე!

– გეყოფათ. შინაგანაწესით, ალბათ, თანამშრომლებს შორის ჩხუბიც აკრძალული გვაქვს. ასე რომ, დამშვიდდით, – ბიჭების კამათში ჩაერია ზუკა და უცებ ტელეფონმა დარეკა. მაშინვე დაავიწყდა შინაგანაწესიც, სამუშაოც, ისიც, რომ ოთახში მარტო არ იყო და დაფეთებულივით მივარდა მობილურს. გიგიმაც თავი ანება ლაშასთან კამათს, ზუკასკენ შებრუნდა და სმენად იქცა.

– ველოდი შენს ზარს... მართლა? მეც... ჰო, მეც მომენატრე... არა, რა თქმა უნდა, ოღონდ მითხარი და მაშინვე შენ გვერდით გავჩნდები... რა?! ახლავე?! – ზუკამ სასოწარკვეთით მიმოიხედა, – ვერ შევძლებ... სამსახურში ვარ... მერე ის, რომ ახლახან თათბირი გვქონდა და სამუშაო დღის დამთავრებამდე ფეხს ვერ მოვიცვლი აქედან... არ გატყუებ, შენს თავს ვფიცავ... არა, არა, რას ამბობ... მართლა ძალიან მომენატრე... კარგი, რა, აბა, რას ამბობ? სამსახურიდან გამოპარვა რა გმირობაა... ეს გჭირდება ჩემი სიყვარულის დასამტკიცებლად? საერთოდ ფეხებზე დავიკიდებდი ამ სამსახურს და წამოვიდოდი, ამის აუცილებლობას რომ ვხედავდე... მომისმინე... არ გათიშო... ლიზა...

– გათიშა, – ზუკამ მობილურს გამეტებით მოუჭირა ხელი, – რა იდიოტური დღეა დღეს! ფუ, დამაწყდა ნერვები!

– ასეა. უნდა იცოდე, თავს რაში ყოფ. ქალები სიყვარულის ღირსები არ არიან.

– შენი ბრძნული აზრების მოსმენის თავი ნამდვილად არ მაქვს.

– ჰო?! აკი ვიღაც დილით მიმტკიცებდა, მორჩა ეგ ამბავიო? ეჰ, ზუკა დაღუპული კაცი ხარ და, არ გინდა, აღიარო.

– შემეშვი...

– მართლაც, შეეშვი, რა... – გამოესარჩლა ზუკას ლაშა, – უყვარს და რა არის ამაში ცუდი? პირიქით. უბრალოდ, ქალებს ბევრი რაღაც არ ესმით. უფრო სწორად, რაღაცნაირად სხვანაირად ესმით.

გიგიმ დაუფარავი ირონიით შეხედა ლაშას:

– შენც დაღუპული კაცი ხარ და შენც ვერ ხვდები ამას...

***

ლიზამ ბრაზით მოისროლა მობილური და შეიგინა.

– გოგო, გაგიჟდი? იგინები? – გაუკვირდა ნინის, – ისევ ქმარს ელაპარაკე?

– არა. ამჯერად იმ ჩერჩეტს. ვიფიქრე, შევხვდები და გულს გადავაყოლებ-მეთქი.

– მერე?

– არ მცალიაო. სამსახურიდან ვერ გამოვალო. მერე გადმოყრის ცრემლებს და სიყვარულს შემომფიცებს!.. ეს კაცები არაფრის ღირსები არ არიან. სამსახური უფრო მნიშვნელოვანი ყოფილა, ვიდრე მე. რა უნდა ველაპარაკო.



– იქნებ, მართლა საქმე აქვს?

– კარგი რა, შენ კიდევ მაგათ მხარეს ხარ? ისევ ცდილობ, გაამართლო? თუ გიყვარს, საქმეც და სხვა რამეც მეორეხარისხოვანი უნდა იყოს შენთვის.

– შენ ასე ვინმე გყვარებია?

– მე?! – ლიზამ ტუჩი აიბზუა, – არა და არც მაქვს ამის მოთხოვნილება. ჩემი ქმარი რომ მიყვარდეს, იმაზე გაცილებით უარეს დღეში ვიქნებოდი, ვიდრე ახლა ვარ.

– მე კი გიგი მენატრება... – სევდიანად ჩაილაპარაკა ნინიმ.

– არ გინდა, რა.... ვინ გენატრება, გოგო, ეგ ქარაფშუტა და სულელი? ვერ ხედავ, როგორ იქცევა?

– ჰო, – უხალისოდ აღიარა ნინიმ, – კარგად ნამდვილად არ იქცევა... ისეთ მესიჯებს უგზავნის იმ ვიღაცას, ანუ მე, რომ ზოგჯერ საშინელი ბრაზი წამომივლის ხოლმე. მაგრამ მონატრება მაინც არ გადის. ეტყობა, ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებული...

– არა უშავს, ეგეც გაგივლის... დღეს რას აკეთებ?

– მე? რა ვიცი, ჯერ აქ ვარ...

– წამოდი, ჩემს ქმარს დავადგეთ თავზე... ცოტა ადრე წავიდეთ აქედან და პირდაპირ იმ თავის ახალ რესტორანში მივადგეთ.

– არა, არ შემიძლია, – იუარა ნინიმ.

– რატომ? რა მოხდა, ვითომ ისე მივედით სავახშმოდ, რა პრობლემაა?

– არ შემიძლია, მართლა... არ გეწყინოს, რა!

– არ მეწყინება, მაგრამ, შენ თუ ჩემ გვერდით იქნებოდი, ძალიან გამიადვილდებოდა.

– ანუ, თუ მე არ წამოგყვები, შენ მაინც წახვალ?

– აუცილებლად... მაგას ვასწავლი ჭკუას. ვერ ვიჯერებ, რომ მის შეცვლაში არავინ არის დამნაშავე.

– ეგ ვარიანტიც ხომ შესაძლებელია, რატომ გამორიცხავ?

– იმიტომ, რომ ვიცნობ ჩემს ქმარს. ერთი თვის წინ ისე შემომციცინებდა... ვერ დავიჯერებ, რომ ქალის ხელი არ ურევია ამ ამბავში... იდიოტი! როგორ მითხრა, შენ შვილი არ გჭირდებაო?!

ნინიმ ამოიოხრა და ლიზას უცნაურად მიაშტერდა.

– ასე რატომ მიყურებ?

– ლიზა, შვილი მართლა გინდა?

– ეგ ხომ უკვე მკითხე.

– გკითხე. შენც კიდევ ერთხელ მიპასუხე.

– მინდა. კაცების იმედად ვერ იქნები. მაგათი სიყვარული ბლეფია და სასაცილო. შვილი მჭირდება – მარტო დარჩენა არ მინდა.

– ისე ლაპარაკობ, თითქოს საპენსიო ასაკს მიღწეული ქალი იყო და წარსულ ცხოვრებას მისტიროდე. აი, ზუკას უყვარხარ და ცოლობაც გთხოვა.

– ჰმ, ვუყვარვარ!.. ჯერ არაფერი გაუკეთებია ჩემთვის, საერთოდ არაფერი, ერთი საათით ადრეც კი ვერ გამოვიდა სამსახურიდან, რომ შემხვედროდა... არც მაგისი მჯერა...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



ერდო ჯგუფი

როდესაც ომი
დამთავრდა,
კრიზისი დამთავრდა
და არჩევნები დამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ტოროლას სტვენასავით
გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მიწა მინდა
7 მილიონი მაქ
ალო,
მაღაზია მინდა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა
500 000 მაქ
ალო.....................................

მარიკა 599 24 28 31

# ლაპარაკი გიყვართ თუ მოსმენა?!

*საინტერესო ტესტია, სახალისოც და ბევრის მთქმელიც. მთავარია, გულახდილად უპასუხოთ შეკითხვებს და დადებითი პასუხის შემთხვევაში, თითო ქულა დაიწეროთ... მერე კი, ნახეთ შედეგები.*

**1. ლაპარაკი უფრო გიყვართ თუ მოსმენა?**

**2. შეგიძლიათ, სასაუბრო თემის გამოძებნა უცნობ ადამიანთან?**

**3. მოსაუბრეს ყოველთვის ყურადღებით უსმენთ?**

**4. ახლობლებისთვის რჩევების მიცემა გიყვართ?**

**5. თუ საუბრის თემა არ გაინტერესებთ, აგრძნობინებთ მოსაუბრეს?**

**6. ღიზიანდებით, როცა არ გისმენენ?**

**7. ნებისმიერ საკითხზე გაქვთ საკუთარი აზრი?**

**8. თუ საუბრის თემა უცნობია, მაინც განავრცობთ მას?**

**9. სამ თემაზე მაინც გაქვთ სრული და ამომწურავი ინფორმაცია?**



**10. როგორ ფიქრობთ, ხართ კარგი ორატორი?**

**ნახეთ შედეგები:**

*1-3 ქულა: ლაპარაკი გიყვართ, მაგრამ „ერთ ხმაში“. ვერც ერთი მოსაუბრე თქვენთან ლაპარაკისას სიამოვნებას ვერ იღებს – კარგი იქნება, თუ მანერებს შეცვლით და ადამიანებისთვის საინტერესო გახდებით.*

*4-7 ქულა: შეიძლება, ძალიან კომუნიკაბელური ადამიანი არ ხართ, მაგრამ ყოველთვის ცდილობთ, ყურადღებიან და სასიამოვნო თანამოსაუბრედ გამოიყურებოდეთ.*

*8-10 ქულა: საოცრად სასიამოვნო ადამიანი ხართ. უცნობებსაც კი უჩნდებათ სურვილი, დაგიმეგობრდეთ. როგორ ახერხებთ, იყოთ ასეთი კომუნიკაბელური, პროფესიონალი მსახიობივით ხომ არ თამაშობთ?!*

## ფრანგული ღვინო კელტურია?!

ფრანგმა მეღვინეებმა მთელ მსოფლიოში გაითქვეს სახელი ოსტატობით. ფრანგული ღვინო ძალიან სერიოზული ბრენდია, თუმცა, არქეოლოგები სხვაგვარად ფიქრობენ. ისინი ამტკიცებენ, რომ საფრანგეთში ღვინის წარმოება პირველად კელტებმა დაიწყეს. ეს მანამდე მოხდა, სანამ საფრანგეთის ტერიტორიას რომაელები დაიპყრობდნენ, რომლებმაც, თითქოსდა, აქ ვაზის კულტურა შეიტანეს. არქეოლოგებმა დაადგინეს, რომ კელტური დასახლებები საფრანგეთის სამხრეთში ღვინის წარმოებით რომაელების მოსვლამდეც იყვნენ დაკავებულნი. მათ მოსაზრებებს ადასტურებს ქვის საწნახელი, ასევე, გათხრებით აღმოჩენილი უამრავი ამფორა. ისინი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 475 წლით თარიღდება. ექსპერტიზამ ამფორებსა და საწნახელში ღვინის მჟავას ნარჩენები აღმოაჩინა. ასე რომ, თუ კელტების მემკვიდრეებს პრეტენზია გაუჩნდებათ, ფრანგებს და მათ იმიჯს ღვინის ბაზარზე, შესაძლოა, პრობლემა შეექმნას.

## მეფეები... მეფეებმა... მეფეებს

ლუდოვიკო მეთხუთმეტის მეფობის დროს ძალიან მოდაში იყო ცხენშებმული კაბრიოლეტები. მაღალი წრის ეტიკეტი და მოდა მოითხოვდა, ეს კაბრიოლეტები ქალებს ემართათ. მოდამ ის შედეგი გამოიღო, რომ ქუჩებში უბედური შემთხვევები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ამ მდგომარეობით შეწუხებულმა მეფემ სერ არჟანსონი მიიწვია და შეშფოთება გამოთქვა ფეხით მოსიარულეთათვის ამ მეტად საშიშ მოდაზე.



– მეფეო, გნებავთ, ეს მოდა ხვალიდანვე წარსულს ჩაბარდეს? – ომახიანად ჰკითხა ლუდოვიკოს სერ არჟანსონმა.

– კი, მაგრამ, როგორ? – გაუკვირდა ლუდოვიკოს.

– თქვენო ბრწყინვალებავ, ხვალ თავად ნახავთ.

ჭკვიანმა დიდებულმა მეორე დღეს გამოსცა კანონი, რომლითაც კაბრიოლეტის მართვის უფლება მხოლოდ ოცდათხუთმეტ წელს გადაცილებულ ქალებს ენიჭებოდათ. იმავე დღეს მოდამ კრახით დაასრულა არსებობა.

## მოცემულობა – სიმართლე...

ამერიკელებს უყვართ უცნაური სტატისტიკა. მაგალითად, მათ არ დაეზარათ და დაითვალეს: რამდენი პამპერსი იყრება ყოველწლიურად ამერიკის ნაგავსაყრელებზე. აღმოჩნდა, რომ 3,6 მილიონი ტონა. ეს ამერიკის საერთო ნაგვის 2,1 პროცენტია.

მამაკაცი, რომელიც 35 წლისაა და სექსს საშუალოდ კვირაში თორმეტ წუთს მაინც ანდომებს, 21 კალორიას წვავს.

მხოლოდ 7 კალორია იწვება ამდენივე დროის ტელევიზორთან გატარებით.

მსოფლიოს სახელმწიფოთა მეთაურების 3/4-ს აქვს ტვიტერი.

ყოველი მესამე ამერიკელი, როგორც კი თავს შეუძლოდ იგრძნობს, დიაგნოზის დასმას საკუთარი ძალებით ცდილობს, რა თქმა უნდა, ინტერნეტის საშუალებით.

## ფოლადზე მტკიცე

არქეოლოგებს მიაჩნიათ, რომ რომაელების სამშენებლო აღმოჩენების მთავარი „მშვენება“ მარტო წყალგაყვანილობა არ არის. რომაულმა ნაგებობებმა 2000 წელს გაუძლო, ანუ, უამრავ ბუნებრივ კატაკლიზმს თუ ადამიანების მმუსვრელ ხელს გადაურჩა. მაინც, რა არის ამ ნაგებობებმა სიმტკიცის საიდუმლო?! ცემენტის სიმტკიცის ვადაც შეზღუდულია და 50 წელს არ აღემატება. ყველაზე მტკიცე შენადნობიც იშლება და იფშვნება.

არქეოლოგები შეეცადნენ, გამოეკვლიათ უძველესი დუღაბის რეცეპტი.

ქიმიურმა ანალიზმა აჩვენა, რომაული ბეტონის სიმტკიცის მთავარი უპირატესობა ის იყო, რომ ლავის გაქვავების შედეგად წარმოშობილ ეფუზიურ მასალებს იყენებდნენ. ვულკანური წარმომავლობის ტუფი მდიდარია ალუმინით და ზღვის წყლით. სწორედ ამ ტუფის ფხვნილით მზადდებოდა ფოლადზე მტკიცე ბეტონი.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**



# სასიკვდილო დაბრუნება

## ბრაიენ ლოურენსი

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ერთ დღეს, ოსკარ მეირონის ბინაში ტელეფონმა დარეკა. ყურმილი თავად ოსკარმა აიღო. მისი ცოლი, ჯინა იქვე იდგა და გაფაციცებით უყურებდა ქმარს. ჯინა მეტისმეტად ეჭვიანი გახლდათ. ოსკარი, მართალია, არ ღალატობდა ცოლს, მაგრამ სხვა ქალების ჭვრეტა უყვარდა. მხედველობიდან ერთი გრძელფეხება არსებაც კი არ გამორჩებოდა, რითაც ჯინას აცოფებდა. იწყებოდა ჩხუბი, რომელიც თითქმის ყოველთვის ქალის ისტერიკით მთავრდებოდა. ოსკარს მართლა უყვარდა ცოლი, მაგრამ უკვე თოთხმეტი წელი იყო, რაც ამ ჯადოსნურ წრეზე ტრიალებდნენ. ოსკარმა ხმაზე იცნო ძველი შეყვარებული – დიანა მაკკორმიკთან ჯინას გაცნობამდე ჰქონდა რომანი. დიანა წითურთმიანი და ძალიან ვნებიანი ქალი იყო. ოსკარი ლამის ჭკუას კარგავდა მასზე, მაგრამ ერთი საშინელი ჩვევა ჰქონდა – პირველივე შემხვედრთან წვებოდა. ოსკარმა, ეს ვერ აიტანა. განშორება ხმაურიანი იყო. ოსკარმა დიანა რომ გაემწარებინა, რამდენჯერმე მის უმცროს დასთანაც „გაიგულავა“. მორისონს დის შეყვარებული ჭკუის დაკარგვამდე მოსწონდა. ძალიან ჰგავდა დას, ოდნავ უფრო მუქი, ჟღალი თმით თუ გაარჩევდით. ხასიათი და საქციელი კი ზუსტად ერთნაირი ჰქონდათ. კაცებს მორისონიც ერთმანეთის მიყოლებით იცვლიდა. მერე ოსკარი სხვა შტატში გაემგზავრა. ჯინა გაიცნო. ცოლად შეირთო და ორი შვილიც გააჩინა. ეს ამბავიც ამით მორჩა.

– გისმენ, დიანა... როგორ არ გიცანი... მახსოვხარ, რა თქმა უნდა, – ოსკარმა ცოლისგან ფერდში მწარე მუჯლუგუნი მიიღო და დაიღრიჯა, – ეს უკვე დავიწყებული ამბავია, დიანა... აღარ გინდა, წარსულზე ლაპარაკი... ვერა, ვერ შეგხვდები... კარგი, ვთქვათ, გაპატიე ყველაფერი. მორისონი აქ ცხოვრობს და მასთან ჩამოხვედი? – ოსკარს უკვე კეფაში მოხვდა მუშტი... – ვერა, ვერ შეგხვდები, დიანა... კარგად იყავი... ოსკარმა ყურმილი დაკიდა და შემობრუნდა. ჯინა მივარდა და მკლავში გამეტებით ჩაასო ფრჩხილები....

– ვინ იყო?

– ქალი, რომელსაც შენს გაცნობამდე ვხვდებოდი. ის ჩემთვის არაფერს ნიშნავს და არც ერთხელ არ მინახავს, რაც დავშორდი.

– მართლა? – ირონიულად გაიღიმა ქალმა, – აბა, საიდან გაიგო შენი ტელეფონის ნომერი? არამზადავ, არც ეცადო, ტელეფონს მიუახლოვდე!..

იმ დღის შემდეგ ოსკარს ცხოვრება ჯოჯოხედად ექცა. ყურმილს ყოველთვის ჯინა იღებდა და დიანა რამდენჯერმე გამოლანძღა, – აქ არ დარეკო, შე ძუკნაო. ოსკარს ცოლი სულ თან დასდევდა იმის შიშით, რომ კაცი ძველ სიყვარულს არ შეხვედროდა. მერე გაუთვალისწინებელი რაღაც მოხდა. ოსკარის უმცროს ვაჟს ვიღაც წითელთმიანმა ქალმა სკოლასთან წერილი გადასცა. მასში ეწერა: „სერიოზული შეცდომა დაუშვი, ჩემთან ლაპარაკი რომ არ მოინდომე. ოსკარ, მე შენი დღის და ღამის კოშმარი ვარ“.

ჯინას ისე შეეშინდა, მაშინვე პოლიციაში დარეკა. პოლიციელებმა მხოლოდ ის ურჩიეს, რომ ბავშვები სკოლაში უყურადღებოდ არ დაეტოვებინათ და დაჰპირდნენ, მსგავსი ფაქტის გამეორების შემთხვევაში, აუცილებლად მოძებნიდნენ დიანა მაკკორმიკს და გააფრთხილებდნენ...

ერთი კვირის შემდეგ ჯინამ აღმოაჩინა, რომ მათ სახლთან თითქმის მუდმივად იდგა დიდი, მუქი ლურჯი „ჯიპი“, რომლის საჭესთან ჟღალთმიანი ქალი იჯდა. ოსკარს ჯერ ბოდვა ეგონა ცოლის ნათქვამი, მერე მანქანაც დაინახა და შეფიქრიანდა. იმავე საღამოს დარეკა დიანამ. ოსკარმა ცოლს დაასწრო ყურმილის აღება და მაკკორმიკს სიტყვის თქმა არ აცადა: მომისმინე, შე ძუკნა! გაფრთხილებ, ჩემს ცოლს და შვილებს არაფერი დაუშაო, თორემ ცოცხალი ვერ გადამირჩები, არც აქ დარეკო, მძულხარ... ავადმყოფო... ამის მერე ზარები შეწყდა. მაგრამ, ოსკარმა ძალიან მალე ინანა, დიანას სათქმელი რომ არ დაასრულებინა... ჯინა სულ უფრო მეტად შფოთავდა და დიდ „ჯიპს“ ახსენებდა... თუმცა, უკვე ეს „ჯიპიც“ აღარსად ჩანდა და როცა ოჯახმა შვებით ამოისუნთქა, მაშინ მოხდა მოსახდენი. ოსკარი და ჯინა პრემიერიდან შინ ბრუნდებოდნენ. საჭესთან ჯინა იჯდა. ცოლ-ქმარი გაცხარებული მსჯელობდა სპექტაკლის შინაარსზე და მხიარულად იცინოდნენ. უცებ ჯინამ იკივლა და საჭეს ორივე ხელით მოებღაუჭა. ოსკარმა უკან მოიხედა და დიდი, მუქი ლურჯი „ჯიპი“ დაინახა. „ფრთხილად!“ – შეჰყვირა ინსტინქტურად, მაგრამ უკვე გვიან იყო – „ჯიპი“ სავალ ნაწილზე გადმოვიდა და მათი ავტომობილი შეავიწროვა. მერე გვერდიდან დაეჯახა. ჯინამ მანქანა ველარ დაიმორჩილა და ციცაბო გზიდან გადავარდა... ოსკარმა ბოლოს რაც დაინახა, ჯინას შიშისგან გაფართოებული თვალები იყო. გონს საავადმყოფოში მოვიდა. თავზე წამომდგარ მედდას მაშინვე ცოლის ამბავი ჰკითხა. ქალმა ისე შეხედა, რომ სიტყვები საჭიროც აღარ იყო... ყველაფერს ისედაც მიხვდა... საავადმყოფოდან ოთხ დღეში გამოწერეს. დეპრესია ჰქონდა. არასოდეს ჰყვარებია ჯინა ასე ძალიან. პოლიცია ვერაფერს ამბობდა. მათ ხელჩასაჭიდი ვერაფერი აღმოაჩინეს. ოსკარს ნერვიული კანკალი ეწყებოდა, როდესაც დიანა მაკკორმიკსა და მის ვერაგობაზე ფიქრობდა. ბავშვებს ცოლის დედა და და უვლიდნენ... ოსკარი კი რაღაცას ელოდა. ორი თვის შემდეგ სანატრელი ზარიც გაისმა... „საყვარელო... ახლა ხელს აღარავინ გვიშლის, მოდი ჩემთან, მენატრები“... ოსკარმა მისამართი ჩაიწერა. საგანგებოდ ნაყიდი პატარა დიქტოფონი ჯიბეში ჩაიტენა და დიანასთან წავიდა. ერთადერთი მიზანი ჰქონდა, – როგორმე ქალისთვის აღიარებითი ჩვენება დაეტყუა, ჩაეწერა და პოლიციაში წაეღო... კარი თავად დიანამ გაუღო. ორივე ხელი კისერზე შემოხვია კაცს და ტუჩებზე დააცხრა... როგორ ველოდებოდი ამ დღეს... როგორ ველოდებოდი...

– შენ ჩემი ცოლი მოკალი და შეგეძლო მეც მოგეკალი, – აღმოხდა ოსკარს, თან ხელი ფრთხილად გააპარა უკანა ჯიბისკენ, დიქტოფონის ჩასართველად. მაგრამ ქალმა ამის საშუალება არ მისცა. ის სულ უფრო ეკვროდა და მოძრაობის საშუალებას არ აძლევდა, უცებ მთელი ხმით იკივლა:

– შენი ცოლი ძუკნა იყო, მან დაიმსახურა სიკვდილი! ჩვენ შორის იდგა...

ოსკარი ვერ მიხვდა, როდის გაუჩნდა საშინელი აგრესია, როგორ დასტაცა ხელი დიდ, სამზარეულოს დანას და ქალს მთელი ძალით ჩაარტყა ყელში... სისხლმა შადრევანივით იფეთქა და ოსკარს პერანგზე შეესხა... ქალი იატაკზე დაეცა, უცებ კარი გაიღო და ოთახში დიანა მაკკორმიკი შემოვიდა. დიახ, ნამდვილი დიანა მაკკორმიკი.

– ეს რა ჩაიდინე, ოსკარ... ჩემი და მოკალი?! შეშლილი, საცოდავი ქალი... ის შენმა სიყვარულმა შეშალა ჭკუიდან. აკვიატებული ჰყავდი... ბოლოს სულ აურია, შენი მოძებნა დაისახა მიზნად და მოგაგნო კიდეც. მე უკან გამოგყევი... შენს გაფრთხილებასაც ვცდილობდი, მაგრამ ტელეფონზე არ დამელაპარაკე... რატომ მოკალი, რატომ?

– მან ჩემი ცოლი მოკლა, – იყვირა ოსკარმა და ეს თვითონ აღიარა.

– აი, პოლიციას კი სხვა აზრი აქვს ამაზე. მათ მიაჩნიათ, რომ ცოლი შენ თვითონ მოკალი. მოგაბეზრა თავი თავისი ეჭვიანობით და მოიშორე...

– გაგიჟდი? ჯინა მე არ მომიკლავს...

– ჰო? პოლიცია უკვე მოდის და მე შენს წინააღმდეგ მივცემ ჩვენებას... რა ვქნა, ვერ გაპატიე, რომ მიმატოვე...

ოსკარს თექვსმეტი წლით პატიმრობა მიუსაჯეს...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**

**გაიადვილეთ საჭმლის მონელება**

**იქონიეთ მიიღეთ ეფექტური**

**კრეზამი**

**თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს**

**www.krezam.ge**

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# მკვდარი ვერსია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №7-31(657)

მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი მურთაზ კიკნაძე მოღუშული შევიდა ზურაბის კაბინეტში. ზურაბი მზად იყო



მისი სტუმრობისთვის. მთავარ პროკურატურაში ატეხილ სროლასა და რუხაძის აივნიდან გადავარდნას არნახული აურზაური მოჰყვა. მან იცოდა, რომ ასეთ ვითარებაში მოვლენები მისთვის არასასურველი მიმართულებით განვითარდებოდა. ამიტომაც, თავის ხალხს ფიფიას სამმართველოში გადაყვანა უბრძანა და თავადაც სასწრაფოდ გაეცალა პროკურატურას. ის ჯერ არ იყო მისული სამმართველოში, რომ ტელეფონმა განუწყვეტელი რეკვა ატეხა. უკავშირდებოდნენ პროკურატურიდან, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებიდან. ყველას ერთი კითხვა აწუხებდა: რა მოხდა მთავარ პროკურატურაში და როგორ გადმოვარდა რუხაძე საკუთარი კაბინეტის აივნიდან.

ზურაბი ყველას ერთი და იმავე პასუხით ისტუმრებდა: ჯერჯერობით თავად ცდილობდა მომხდარში გარკვევას და ზუსტი ინფორმაციის მისაღებად შინაგან საქმეთა მინისტრთან დაკავშირებას აპირებდა. ბოლოს თავად შინაგან საქმეთა მინისტრიც დაუკავშირდა.

– რა ხდება, ზურაბ? – უკმაყოფილოდ წამოიწყო მინისტრმა, – ამაზე შევთანხმდით?!

– მე გაგაფრთხილე, რომ პროკურატურა ხმაურს ატეხდა.

– ხუმრობ?! – გაიკვირვა მინისტრმა, – მთავარ პროკურატურაში სროლა, ზედამხედველი პროკურორის დაჭრა და აივნიდან გადავარდნა უბრალო ხმაურად მიგაჩნია?!

– რა თქმა უნდა, არა, მაგრამ, მე, უბრალოდ იძულებული ვიყავი, იარაღი გამომეყენებინა. რუხაძემ პისტოლეტი დამიმიზნა და დარწმუნებული ვარ, სასხლეტსაც დაუშვებდა.

– სხვა რამ უნდა მოგეფიქრებინა. ეს მართლაც ნამეტანია! ტელევიზორის ჩართვაც კი არ მინდა. წარმიმოდგენია, რა ხდება საინფორმაციო საშუალებებში. ეს ხომ, დღის კი არა, თვის უმნიშვნელოვანეს თემად იქცევა. შემიძლია მოგილოცო – შენი საქციელით ნაღდად შეხვედი საქართველოს უახლოეს ისტორიაში! – ირონიულად შენიშნა მინისტრმა.

– მოლოცვები სამომავლოდ შეინახე.

– შენ ფიქრობ, მოსალოცად გექნება საქმე?

– თუ ასე არ იქნება, სამსახურიდან წავალ! – უპასუხა ზურაბმა.

– თუ ისე არ იქნება, სამსახურიდან ულაპარაკოდ წახვალ, მაგრამ, მაგით აღარაფერი შეიცვლება. მეც უკან მოგყვები!

– ასე უფრთხილდები თანამდებობას?! – ჩაიცინა ზურაბმა.

– თანამდებობის დატოვებას შესაბამისი მიზეზი სჭირდება. მართლაც ძალიან დამწყდება გული, რომ ეს შენი შეცდომის გამო მოხდეს.

– ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ამ საკითხზე. აქამდე ყველაფერი რიგზე იყო. მქონდეს თუ არა მომავალში შენი იმედი? – ჰკითხა ზურაბმა.

– კეთილი, ბოლომდე გამოგყვები. ამ ეტაპზე რას მოითხოვ ჩემგან? – ჰკითხა მინისტრმა.

– მხოლოდ ერთს, – სწრაფად უპასუხა ზურაბმა, – ერთი დღე-ღამით მაინც მომეცით მუშაობის საშუალება. რუხაძის სულელურმა გამოხტომამ ყველაფერი აურ-დაურია. ეს ხმაური და არამკითხეების ზარები ძალიან მიშლის ხელს. უბრალოდ, მინდა, რომ ჩემს საქმეში არავინ ჩაერიოს!

– რა მოხდება იმ დღე-ღამის განმავლობაში?

– ოცდაოთხი საათის შემდეგ დეტალურ ანგარიშს ჩაგაბარებ!

– მე საქმის გახსნა უფრო მაინტერესებს, ვიდრე შენი მოხსენებითი ბარათი! – შენიშნა მინისტრმა.

– ჩათვალე, რომ ეს ერთი და იგივეა!

მინისტრი მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ უპასუხა:

– კეთილი, შევთანხმდით. იმუშავე, ყველა არამკითხე კი ჩემთან გადმოამისამართე – მათ მე გავცემ პასუხს!

მაგრამ, როგორც ჩანს, მთავარი პროკურატურა არ დააკმაყოფილა შინაგან საქმეთა მინისტრის პასუხმა და ვითარების გასარკვევად სამმართველოში საგამოძიებო ნაწილის ხელმძღვანელი მიავლინა.

მურთაზმა საქაღალდე მაგიდაზე დაახეთქა, ზურაბს თვალებში შეხედა და ბრაზით მიმართა:

– იქნებ, იკადრო და აგვიხსნა, რა მოხდა რუხაძის კაბინეტში?!

– შინაგან საქმეთა მინისტრს დაუკავშირდი? – მშვიდად თქვა ზურაბმა.

– შინაგან საქმეთა მინისტრი იქ არ ყოფილა. შენ შემთხვევის უშუალო მონაწილე ხარ! – უკმაყოფილოდ განაგრძო მურთაზმა.

– დამშვიდდი, – ზურაბმა ჭიქა წყლით შეავსო და სტუმარს გაუწოდა.

– არ მჭირდება, – მურთაზს არც კი უფიქრია ჭიქის ჩამორთმევა, – რა მოხდა კოტეს კაბინეტში?

– შენმა კოლეგამ მოკვლა დამიპირა!

– სერიოზულად ილაპარაკე! – შეუბღვირა მურთაზმა.

– შენი არ ვიცი, მე კი ძალიან სერიოზულად მეჩვენება პისტოლეტის დამიზნება და მძევლად აყვანის მცდელობა! როგორც პროკურორი, რამდენწლიან პატიმრობას მოითხოვდი ამის ჩამდენი პიროვნებისთვის? – ჰკითხა ზურაბმა.

– ყოველ შემთხვევაში, სროლას არ დავიწყებდი! – ცივად შენიშნა მურთაზმა.

– მე კი დავიწყე!.. და თუ რამე არ მოგწონს, შეგიძლია, ბრალი წამიყენო!

– კარგი, ვთქვათ, კოტე აღელდა... დავუშვათ, საერთოდ შეიშალა და პისტოლეტი დაგიმიზნა, მაგრამ, ის მაინც ვერ გავიგე, რა გესაქმებოდა მის კაბინეტში? – არ მოეშვა მურთაზი.

– რუხაძე ზედამხედველობას უწევდა სისხლის სამართლის საქმეს, რომელზეც მე ვმუშაობდი...

– სირაძის საქმეს გულისხმობ? – ჩაეძია მურთაზი.

– სირაძის მკვლელობა მხოლოდ დასაწყისი იყო. ამ საქმეს მკვლელობათა მთელი ჯაჭვი მოჰყვა. მე და რუხაძეს განსხვავებული შეხედულებები გვქონდა ამ საქმეზე: მე ვცდილობდი დამემტკიცებინა, რომ ამ მკვლელობების უკან ძალიან სერიოზული დანაშაულებრივი ჯგუფი იდგა; ის კი მიმტკიცებდა, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ დამთხვევა იყო. სწორედ ამ საკითხზე სასაუბროდ მივედი რუხაძესთან და წარვუდგინე შესაბამისი მტკიცებულებები. მან კი, რატომღაც, პისტოლეტი დამიმიზნა და მოკვლით დამემუქრა. მე არაფერი მაქვს დასამალი. შენ იმაში მადანაშაულებ, რომ სროლა დავიწყე და რუხაძის განიარაღება არ ვცადე!.. პირდაპირ გეტყვი, რომ შემეძლო მისი განიარაღება, მაგრამ, შეგნებულად არ გავაკეთე ეს. ყველა, ვინც იარაღს დაუმიზნებს, იმის ანგარიშიც უნდა ჰქონდეს, რომ,



## გიორგი ჯაყელის გახსენება

ერთი წელია, უშენობას ტირის შენი ლამაზი ოჯახი და დიდი სამეგობრო. ვერ ვეგუებით იმას, რომ აღარ ხარ ჩვენ გვერდით, აღარ გვილამაზებ ცხოვრებას შენი ერთგულებით, ზრუნვით, ხალისით...

შენს ოჯახს ყოველთვის საამაყოდ ექნება, შენი ვაჟკაცური სახელი; მეგობრები ყოველთვის თვალზე ცრემლით გაგიხსენებენ და, ფეხზე ამდგარნი, ცოცხალივით გადღეგრძელებენ.

ყველას უზომოდ გვაკლიხარ, ყველას უზომოდ გვენატრები, მაგრამ, მხოლოდ ის დაგვრჩენია, რომ შენი ლამაზი სულისთვის ვილოცოთ...

**ოჯახი, მეგობრები**

ძალიან დიდი ალბათობით, თვალებშუა ჩავაჭედებ ტყვიას! განსაკუთრებით კი ეს პროკურორის თანამდებობას ამოფარებულ ვიგინდარას ეხება!.. ნაძირალას, რომელიც მთელი ამ დროის განმავლობაში მე თავგამოდებით მიშლიდა ხელს და ასეთივე თავგამოდებით ეხმარებოდა მკვლელებს! პროკურატურა მადლობელიც კი უნდა იყოს, რომ რუხაძეს იქვე არ დავანთხევინე ტვინი და მისი დაკითხვის შესაძლებლობა მოგეცით!

– რუხაძე თუ გადარჩა, მის დაკითხვას ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მაინც ვერ შევძლებთ, – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა მურთაზმა.

– რაღაც, არ მახსენდება, რომ პროკურატურას სხვა ეჭვმიტანილების მიმართ გამოეჩინოს ასეთი ლოიალობა. ჩემი აზრით, რუხაძეს განსაკუთრებული არაფერი სჭირს. თეძოში მიყენებული ჭრილობა და ორი გაბზარული ნეკნი რით უშლის ხელს დაკითხვას? ვფიქრობ, ორ-სამ დღეში სავსებით შესაძლებელი იქნება მასთან საუბარი.

– ამას ჩვენ გადავწყვეტთ! – ოფიციალური ტონით თქვა მურთაზმა.

– ეგ თქვენი საქმეა, მაგრამ, მე თქვენს გადაწყვეტილებას ვერ დაველოდები. როგორც კი მკურნალი ექიმი ნებას დამრთავს, მთავარ პროკურორს რუხაძის დაკითხვის მოთხოვნით მივმართავ!

– იცი, რას გეტყვი?!. – მკაცრად წამოიწყო მურთაზმა, მაგრამ, ზურაბმა არ დაამთავრებინა:

– ჯერ მე მომისმინე, – განაგრძო მკაცრად, – შენს პატიოსნებაში ეჭვი არ მეპარება. ვიცი, რომ წესიერი კაცი ხარ და მუნდირის ღირსების დაცვას ნუ გადააყოლებ თავს. გულწრფელად მითხარი. შენ ხომ არაფერი იცი იმ საქმის შესახებ, რომლის გამოც დამიპირისპირდა რუხაძე?

მურთაზმა დუმილით უპასუხა.

– არ იცი. შენ აქ მხოლოდ ნიადაგის მოსასინჯად გამოგგზავნეს. მთავარ პროკურატურას აინტერესებს, რა პოზიაციას დავიკავებ ვითარების გამწვავების შემთხვევაში. დასამალი არაფერი მაქვს, ყველაფერს პირდაპირ გეტყვი: თქვენთვის რუხაძის დაცვა ღირსების საკითხია, ჩემთვის კი მთავარი ამოცანა ამ საქმის გამოძიება და ყველა ნაბიჭვრისა და მათი მფარველების საბრალდებო სკამზე დასმაა. დარწმუნებული იყავი, რომ მე შევძლებ ამას!

– სად არის იმის დამადასტურებელი მონაცემები, რომ კოტე ცდებოდა?! – ჰკითხა მურთაზმა.

– თავის დროზე მთავარი პროკურატურა სრულ ანგარიშს მიიღებს!

– კონკრეტულად როდის?

– ზუსტად ვერაფერს გეტყვი. არ ვიცი რამდენი ხანი დამჭირდება საქმის გამოძიებისთვის.

– შენ რა, უარს მეუბნები საქმის დეტალების გაცნობაზე?! – გაუკვირდა მურთაზს.

– მაჩვენე დოკუმენტი, რომ შენ უფლებამოსილი პირი ხარ. ამ შემთხვევაში შენი თანამდებობა ჩემთვის არაფერს ნიშნავს. რუხაძის მაგალითზე შემიძლია, გითხრა, რომ პროკურატურას ბევრი მუქთახორა აფარებს თავს! – ცივად უპასუხა ზურაბმა.

– ნუ ჯიუტობ, ზურაბ, პროკურატურის ოფიციალურ მოთხოვნას ვერსად წაუხვალ. რად გინდა ვითარების გამწვავება? გამაცანი საქმის მასალები. თუ შენი მოსაზრებები დადასტურდა, შენ მიმართ აღარავის ექნება პრეტენზია!

– როდის ისწავლით მუშაობას?! საქმის ვითარების შესწავლა თუ გაინტერესებთ, ამოიღეთ რუხაძის კორესპონდენცია – იქ ჩემს არაერთ მიმართვასა და წერილს ნახავთ...

მურთაზმა უკმაყოფილოდ გააქნია თავი და შემდეგ თქვა:

– არსებობს მონაცემები, რომ ინციდენტის დროს რუხაძის კაბინეტში პროკურატურის გამომძიებელი რეზო ფიფიაც იმყოფებოდა.



– მართალია, ის იქ იყო, – დაუდასტურა ზურაბმა.

– შენთვის ცნობილია, სად არის ის ახლა? – განაგრძო მურთაზმა.

– რა თქმა უნდა... დროებითი დაკავების იზოლატორში.

– რაა?! – დაიბნა მურთაზი, – შენ რა, ფიფია პატიმრობაში აიყვანე?!

– ფიფია ეჭვმიტანილია ძიებისთვის ხელის შეგნებულად შეშლასა და საქმის მასალების გაყალბებაში!

– ეს უკვე ნამეტანია! – ხმას აუწია მურთაზმა, – ახლავე გაათავისუფლე!

– ნუ გაჰკივი დაზარალებულივით! – მშვიდად თქვა ზურაბმა, – ფიფია იზოლატორში დარჩება!

– მისი დანაშაულის დამადასტურებელ მონაცემებსაც არ გამაცნობ? – ჰკითხა მურთაზმა, თუმცა, დარწმუნებული იყო, რომ ამ თხოვნაზეც უარს მიიღებდა.

– როგორ არა, მე თვითონ ვაპირებდი ამის გაკეთებას. ეს ნაწილობრივ მაინც შეცვლის პროკურატურის პოზიციას, – ამ სიტყვებთან ერთად, ზურაბმა კომპიუტერი ჩართო და მონიტორი მურთაზისკენ მიაბრუნა, რათა მას უკეთ ედევნებინა თვალი ჩანაწერისთვის.

* * *

მონიტორზე დაკითხვის ოთახი გამოჩნდა. ფიფია თავჩახრილი იჯდა მაგიდასთან და კითხვებს დაბნეული პასუხობდა. მაგიდის მარცხენა მხარეს მისი ადვოკატი იჯდა. ჩანაწერზე არ ჩანდა, ვინ აწარმოებდა დაკითხვას, მაგრამ, ხმამ უმალ მიახვედრა მურთაზი, რომ ეს ზურაბი არ იყო.

– კონკრეტულად რა დავალება მიიღეთ კოტე რუხაძისგან საგამოძიებო ჯგუფში ჩართვისას? – ჰკითხა ფიფიას გამომძიებელმა.

– განსაკუთრებელი არაფერი დაუვალებია. უბრალოდ, მონაწილეობა უნდა მიმეღო ძიებაში და მისი მსვლელობის შესახებ სრული ანგარიში ჩამებარებინა რუხაძისთვის.

– ოფიციალური თუ არაოფიციალური ანგარიში? – დაზუსტება მოითხოვა გამომძიებელმა.

– მას აინტერესებდა მონაცემები, რომლებიც საქმის ოფიციალურ მასალებში არ მოხვდებოდა, პირველ ყოვლისა, ზურაბ კვაჭაძის ვერსიები. მოწმეთა და ეჭვმიტანილთა დაკითხვის დეტალები, თათბირზე გამოთქმული მოსაზრებები... მოკლედ რომ ვთქვა, ძიების შიდა სამზარეულო, – ჩაილაპარაკა ფიფიამ.

– რატომ დაუპირისპირდა რუხაძე კვაჭაძეს? – განაგრძო გამომძიებელმა.

– ძიების საწყის ეტაპზე ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ, შემდგომ კვაჭაძემ ჩათვალა, რომ ვერულიძეს არაფერი აკავშირებდა სირაძის მკვლელობასთან, უფრო მეტიც, ის თავად გახდა მკვლელობის მსხვერპლი. რუხაძე კი ემხრობოდა ვერსიას, რომ სირაძის მკვლელობის შემდეგ, ვერულიძემ თავი მოიკლა. რუხაძე და კვაჭაძე ვერ შეთანხმდნენ და პროკურორმა ძიების შეწყვეტის არაოფიციალური განკარგულება მომცა, – უპასუხა ფიფიამ.

– როგორ და რა მოტივით შეწყდა ძიება?

– ძიებისას გაირკვა, რომ სირაძესა და ვერულიძეს შორის გარკვეული დაპირისპირება არსებობდა. მე ზურაბთან შეუთანხმებლად დავკითხე გარდაცვლილი ანდრო სირაძის მეუღლე – ნანა. მას არ სურდა ქმარსა და ვერულიძეს შორის დაპირისპირებაზე საუბარი. მე დაკითხვისას არაორაზროვნად მივანიშნე, რომ წინააღმდეგობის შემთხვევაში, ძიებას მისი მხრიდან დანაშაულის დაფარვის მიმართულებას მივცემდი, რაც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა.

– ნანა სირაძე დაგეთანხმდათ ძიების შეწყვეტაზე? – ჰკითხა გამომძიებელმა.

– ამაზე საუბარი არ ყოფილა, ეს მას არც ეხებოდა. მაგრამ, მასთან საუბრისას ვიგრძენი, რომ ის წინააღმდეგობას არ გამიწევდა, – ამოიოხრა ფიფიამ.

– ზურაბ კვაჭაძე როგორ შეხვდა ძიების შეწყვეტის გადაწყვეტილებას?

– მე ის ფაქტის წინაშე დავაყენე. მან არაფერი იცოდა ჩემ მიერ ნანა სირაძის დაკითხვის შესახებ. დაკითხვის შემდეგ პირდაპირ რუხაძესთან მივედი, მან კი დაუყონებლივ გა-

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



მოიტანა დადგენილება ძიების შეწყვეტის შესახებ.

– რა ინტერესი ამოძრავებდა რუხაძეს, როდესაც ძიების შეწყვეტის შესახებ იღებდა გადაწყვეტილებას? – დაკითხვა განაგრძო გამომძიებელმა.

– მას მიაჩნდა, რომ ვერულიძემ თავი მოიკლა, ამიტომ, საქმის შემდგომი ძიება წყლის ნაყვა იყო და მეტი არაფერი.

– სხვა მოტივი?

– სხვა მოტივის შესახებ ჩემთვის არაფერია ცნობილი, – უპასუხა ფიფიამ.

– როგორც გამომძიებელი, ეთანხმებოდით მის გადაწყვეტილებას?

– არა, – თავი გააქნია ფიფიამ, – საქმეში რამდენიმე ბუნდოვანი დეტალი იყო.

– რატომ არ გაუწიეთ წინააღმდეგობა რუხაძეს, ოფიციალურად რატომ არ დააფიქსირეთ თქვენი მოსაზრება?

– რუხაძე ჩემი უშუალო ხელმძღვანელი იყო და ჩემი კარიერული ზრდა მთლიანად მასზე იყო დამოკიდებული.

– მიგაჩნიათ თუ არა, რომ ამ ქმედებით საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები დაარღვიეთ? – ჰკითხა გამომძიებელმა.

– დიახ... – ყრუდ ჩაილაპარაკა ფიფიამ.

– გასაგებია... საქმის მასალების მიხედვით, რუხაძემ მეორედაც მიგავლინათ ზურაბ კვაჭაძის საგამოძიებო ჯგუფში.

– დიახ, – დაუდასტურა ფიფიამ, – ამ შემთხვევაში ზურაბი კაკო რაზმაძის მკვლელობის საქმეზე მუშაობდა.

– რა დავალება გქონდათ მიღებული ამ შემთხვევაში პროკურორ რუხაძისგან? – ჰკითხა გამომძიებელმა.

– იგივე, რაც პირველ შემთხვევაში.

– ესე იგი, მეთვალყურეობა უნდა გაგეწიათ კვაჭაძისთვის და ყველაფერი რუხაძისთვის გეცნობებინათ?

– დიახ, – თავი დაუქნია ფიფიამ.

– შეასრულეთ რუხაძის დავალება?

– ვერა, – იუარა ფიფიამ, – კვაჭაძე აღარ მენდობოდა – არც თათბირებზე მასწრებდა და საქმის მასალებშიც არ მახედებდა.

– რატომ არ გააპროტესტეთ მისი ქმედება? – ჰკითხა გამომძიებელმა.

– მე პროკურორ რუხაძეს მოვახსენე ამის შესახებ და კვაჭაძის ჯგუფიდან გამოყვანა ვთხოვე, მაგრამ, მან უარი მითხრა.

– როგორ აღმოჩნდით მოწმედ ნანა სირაძესა და ბანკ „ჯიაიაის" შორის მიმდინარე სასამართლო პროცესზე?

– შეიძლება, მოვწიო? – იკითხა ფიფიამ.

– მოწიეთ, – გამომძიებელმა წინ სიგარეტის კოლოფი, სანთებელა და საფერფლე დაუდო.

ფიფიამ სწრაფად მოუკიდა სიგარეტს, ზედიზედ რამდენიმე ნაფაზი დაარტყა და შემდეგ თქვა:

– რუხაძემ მაიძულა, პროცესზე მოწმის რანგით მიმეღო მონაწილეობა.

– დააზუსტეთ: გთხოვათ, გიბრძანათ თუ გაიძულათ? – ჰკითხა გამომძიებელმა.

– მაიძულა. დამემუქრა, რომ, უარის შემთხვევაში, თანამდებობიდან გამათავისუფლებდა.

– რა მიზეზით?

– სირაძისა და ვერულიძის საქმეების შეწყვეტის მიზეზით!

– ძიების შეწყვეტა ხომ თავად პროკურორმა რუხაძემ გიბრძანათ და დადგენილებაც მან გამოიტანა?! – შენიშნა გამომძიებელმა.

– დიახ, დადგენილება რუხაძემ გამოიტანა, – დაუდასტურა ფიფიამ, – მაგრამ, ოფიციალურად ძიების შეწყვეტა მე მოვითხოვე. რუხაძემ მითხრა, საჭიროების შემთხვევაში, განვაცხადებ, რომ საქმის მასალებს საფუძვლიანად არ გავეცანი. ასე ვთქვათ, ჩემს სიტყვიერ განმარტებას ენდო და ძიება ისე შეწყვიტა. სრული პასუხისმგებლობა კი მე დამეკისრებოდა.

– თქვენ არც ამ შემთხვევაში გამოგითქვამთ პრეტენზია?

– ოფიციალურად – არა.

– რა ამოცანა უნდა შეგესრულებინათ სასამართლო პროცესზე მოწმის რანგში მონაწილეობით?

– ნანა სირაძემ განაცხადა, რომ ქმრის დაღუპვის შემდეგ შეიტყო მის მიერ ბანკიდან გრძელვადიანი სესხის გამოტანის შესახებ. როგორც ის ამტკიცებდა, პირადად ამ ხელშეკრულების გაფორმებაში მონაწილეობა არ მიუღია. აქედან გამომდინარე, ხელშეკრულება ყალბი იყო. მის ინტერესებს იცავდა ადვოკატი ნიკოლოზ გურული. გურული ბანკისგან მოითხოვდა სამეთვალყურეო კამერების ჩანაწერებს, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა იმის დადასტურება ან უარყოფა, რომ ნანა სირაძე ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღეს ბანკში იმყოფებოდა. ბანკი კი აცხადებდა, რომ იმ დღეს სამეთვალყურეო კამერები პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარების გამო გამორთული იყო და, აქედან გამომდინარე, არ არსებობდა ჩანაწერიც. იგივე დავადასტურე მეც. გარდა ამისა, ბანკის ხელმძღვანელობამ სასამართლოზე წარმოადგინა ჩანაწერი, რომელზეც აღბეჭდილი იყო ჩემი და ბანკის ფილიალის ხელმძღვანელის, ლორიას შეხვედრა. ამ შეხვედრისას მე იგივე ჩანაწერები მოვთხოვე ლორიას, მაგრამ, პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარების მოტივით, მან უარი თქვა ჩემი მოთხოვნის შესრულებაზე. ეს დაახლოებით ერთი თვით ადრე მოხდა, ვიდრე გურული მოითხოვდა იმ ჩანაწერებს. სასამართლომ სრულიად გაიზიარა ბანკის ადვოკატის პოზიცია და არ დააკმაყოფილა ნანა სირაძის მოთხოვნა, ხელშეკრულების გაყალბების ფაქტზე აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე და დაწყებულიყო გამოძიება.

– და, ეს სიმართლე იყო? – ჰკითხა გამომძიებელმა.

– არა! – უპასუხა ფიფიამ და სიგარეტის ნამწვავი საფერფლეში ჩაჭყლიტა, – მე საერთოდ არ მისაუბრია ლორიასთან ჩანაწერების შესახებ!

– მაშინ, საიდან გაჩნდა ჩანაწერი, რომელიც ბანკის ადვოკატმა სასამართლოს წარუდგინა?

– ჩანაწერი სასამართლომდე რამდენიმე დღით ადრე, ლორიას სამუშაო კაბინეტში გაკეთდა. მასზე თარიღი შეგნებულად იყო გაკეთებული არასწორედ.

– ლორია თავად შეგითანხმდათ ყალბი ჩანაწერის შექმნაზე?

– არა... ეს პროკურორმა რუხაძემ მიბრძანა, – მძიმედ ჩაილაპარაკა ფიფიამ.

– დააზუსტეთ, როდის და რა ვითარებაში მიიღეთ მისგან ეს განკარგულება, – მოსთხოვა გამომძიებელმა.

– მე უკვე კვაჭაძის ჯგუფში ვიყავი ჩართული, როდესაც რუხაძემ ლორიასთან შეხვედრა მიბრძანა. მიზეზი არ უთქვამს, მხოლოდ ის მითხრა, რომ ყველაფერს ლორია ამიხსნიდა, მან კი იმ ჩანაწერის შექმნაში მონაწილეობა მომთხოვა. მე უარი ვუთხარი და ტელეფონით რუხაძეს დავუკავშირდი. ტელეფონით




**ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულება - „თბილისის ტურიზმის აკადემია"**

**გიწვევთ დაეუფლოთ სადღეისოდ მოთხოვნად სხვადასხვა სპეციალობას!**

**გიდი**: ***მესამე საფეხური*** – ადგილობრივი გიდი. ***მიღების მოთხოვნები:*** 1. სრული ზოგადი განათლება (12 კლასი); 2. ასაკი 18 წელი; 3. არაფორმალური განათლების აღიარება. ***მეოთხე საფეხური*** – სპეციალიზებული გიდი: 1. სრული ზოგადი განათლება (12 კლასი); 2. ასაკი 18 წელი; 3. გიდის მესამე საფეხურის დიპლომი; 4. არაფორმალური განათლების აღიარება.

**ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი):** ***მესამე საფეხური***: 1. საბაზო განათლება (9 კლასის ზემოთ ასაკობრივი შეზღუდვა არ არის); ***მეოთხე საფეხური:*** 1. ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) III საფეხურის დიპლომი; ***მეხუთე საფეხური:*** 1. ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) IV საფეხურის დიპლომი;

**კორესპონდენტი** – ***მესამე საფეხური:*** 1.საბაზო განათლება (9 კლასის ზემოთ ასაკობრივი შეზღუდვა არ არის);

**მუსიკოს-რეპეტიტორი** – ***მეხუთე საფეხური***: 1.სრული ზოგადი განათლება (12 კლასი); 2.შემოქმედებითი ტურის გავლა.

***სწავლა დაიწყება მიმდინარე წლის ოქტომბერში სასწავლებელი ავტორიზებულია, ყველა საფეხურზე გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომი.***

**თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტი**

აცხადებს მიღებას ლიცენზირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2010 წლის 1 სექტემბრამდე ჩარიცხულ პირთათვის სწავლის გასაგრძელებლად (მობილობის წესით) 1. ფინანსები; 2. ტურიზმი; 3. ინგლისური ფილოლოგია; 4. სამართალმცოდნეობა; 5. ჟურნალისტიკა; 6. მასწავლებლის განათლება; 7. კომპიუტინგი/ინფორმატიკა.

**საჭირო საბუთები**: 1) ატესტატი (დედანი); 2) სტუდენტის ბარათი; 3) 4 ფოტოსურათი 3/4; 4) პირადობის მოწმობა (ასლი).

**საბუთების მიღება ყოველდღე ტელ: 2-93-66-03; 2-93-54-30; 2-99-96-26; 599-18-89-24**

**ორივე სასწავლებლის ხელმძღვანელი, პროფესორი ამირან მექვაბიშვილი**

ჩანაწერის შესახებ არ გვისაუბრია – რუხაძისთვის ისედაც გასაგები იყო, რაზეც ვამბობდი უარს. მაგრამ, მან არ მომისმინა და, უბრალოდ, მიბრძანა, მოვქცეულიყავი ლორიას მითითებების შესაბამისად, – თქვა ფიფიამ.

– და, თქვენც დაეთანხმეთ?

– სხვა რა გზა მქონდა?! – ჩაილაპარაკა ფიფიამ და ისევ მოუკიდა სიგარეტს.

– ყალბი ჩანაწერის შექმნაში ბანკის ადვოკატიც მონაწილეობდა?

– დიახ... ის იქ იმყოფებოდა. ჩანაწერის გაკეთების შემდეგ ჩვენ სასამართლოზე მოქმედების ყველა დეტალი შევათანხმეთ.

– როგორც გამომძიებელი, რა შეფასებას მისცემდით თქვენს ქმედებებს?

– ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ძიებისთვის ხელის შეშლა; მნიშვნელოვანი ფაქტების გადამალვა; ყალბი ნივთმტკიცებების შექმნა და თანამდებობრივი უფლებამოსილების გადაჭარბება, – უხალისოდ უპასუხა ფიფიამ.

– რა ინტერესი ამოძრავებდა ამ შემთხვევაში პროკურორ რუხაძეს?

– არ ვიცი. ჩვენ არასდროს გვისაუბრია ამის შესახებ.

– დავუბრუნდეთ მთავარ პროკურატურაში მომხდარ შემთხვევას. თქვენ უშუალოდ რუხაძის კაბინეტში იმყოფებოდით?

– დიახ.

– რა მიზეზით მიხვედით პროკურორ რუხაძესთან?

– გუშინ საღამოს ფინანსური პოლიციის წარმომადგენლებმა დააპატიმრეს კომპანია „ინტელგრუპჯორჯიას" აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ჩახვაძე. მის დაკავებაში ზურაბ კვაჭაძეც მონაწილეობდა. მე დილით შევიტყვე ამის შესახებ და ზურაბს საყვედურით მივმართე, მაგრამ, მან ჩემთან საუბარიც კი არ მოისურვა. ამის შემდეგ მე რუხაძესთან წავედი, რათა ჯგუფიდან გამოწვევა მეთხოვა, რადგანაც, აზრს ვერ ვხედავდი ზურაბ კვაჭაძესთან თანამშრომლობაში. ამ დროს მთავარ პროკურატურაში თავად ზურაბიც მოვიდა.

– რა მოხდა რუხაძის კაბინეტში? – ჰკითხა გამომძიებელმა.

– ზურაბმა პროკურორ რუხაძეს ჩახვაძისა და ბარამიძის ჩვენებების ნაწყვეტები წაუკითხა. ჩახვაძე ყალბი ხელშეკრულების შექმნის იძულებაში ადანაშაულებდა მას, ბარამიძე – შანტაჟში. შემდეგ კი ზურაბმა განუცხადა, რომ მისი ოფიციალური დაკითხვის მიზნით იმყოფებოდა მთავარ პროკურატურაში. ამის პასუხად რუხაძემ პისტოლეტი მოიმარჯვა და ზურაბს პროკურატურიდან წასვლა უბრძანა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოკვლით ემუქრებოდა.

– რა მოხდა შემდეგ?

– ზურაბმა პისტოლეტი ამოიღო და რუხაძე დაჭრა. ის ბარბაცით გავიდა აივანზე, მოაჯირს გადაევლო და ქვემოთ ჩავარდა.

– ეს შემთხვევითობა იყო თუ პროკურორი თვითმკვლელობას ცდილობდა?

– დარწმუნებული ვარ, შემთხვევითობა იყო. რუხაძისნაირი ადამიანები განსაკუთრებით უფრთხილდებიან საკუთარ სიცოცხლეს, – უპასუხა ფიფიამ.

– გამომძიებლის პოზიციიდან როგორ შეაფასებდით კვაჭაძის მოქმედებას?

– მასთან დაპირისპირების მიუხედავად, ვაღიარებ, რომ ეს წმინდა წყლის თავდაცვა იყო. რუხაძე მას მოკვლით ემუქრებოდა, მე ისიც არ ვიცი, რა ჰქონდა ჩაფიქრებული ჩემ მიმართ.

– ესე იგი, თქვენ არ გამორიცხავთ, რომ ის მართლაც გამოიყენებდა იარაღს?

– კი არ გამოვრიცხავ, დარწმუნებული ვარ, რომ, მისი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ის მართლაც ასე მოიქცეოდა. ამიტომაც ვადასტურებ, რომ ზურაბ კვაჭაძის მოქმედება სრულიად გამართლებული იყო.

– გასაგებია... ვახტანგ ბარამიძეს თუ იცნობთ? – განაგრძო გამომძიებელმა.

– ვიცი, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამედიცინო სამსახურში მუშაობს. პირადი ურთიერთობა მასთან არასდროს მქონია.

– ჯიბო ზარქუას თუ იცნობთ?

– ჯიბო ზარქუა... – ჩაფიქრდა ფიფია, – არა, ასეთ პიროვნებას არ ვიცნობ.

– თქვენ გაქვთ კითხვები? – ადვოკატს ჰკითხა გამომძიებელმა.

– ჯერჯერობით არა, – უპასუხა მან.

– რამის განცხადება ხომ არ გსურთ? – ფიფიას მიუბრუნდა გამომძიებელი

– არა, – თავი გააქნია ფიფიამ.

– ჩვენება წაიკითხეთ და ხელი მოაწერეთ, – თქვა გამომძიებელმა და დაკითხვის ოქმი და კალამი წინ დაუწყო.

ზურაბმა ჩანაწერი გამორთო და მურთაზს ჰკითხა:

– კმაყოფილი ხარ?

– მხოლოდ ერთი ჩვენება არაფერს ნიშნავს, – მცირე პაუზის შემდეგ უპასუხა მან.

– ეს შენი გადასაწყვეტი არ არის, საბოლოო დასკვნას სასამართლო გამოიტანს. თუმცა, ახლავე შემიძლია გითხრა, რომ რუხაძის წინააღმდეგ დაახლოებით იმავე ჩვენებებს სხვა ექვმიტანილებიც იძლევიან. ერთი მათგანი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამედიცინო სამსახურის თანამშრომელი ვახტანგ ბარამიძეა, მეორე – კომპანია „ინტელგრუპჯორჯიას" აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ჩახვაძე. ჩახვაძე დაკავებულია და მასთან მიმდინარეობს ოპერატიული მუშაობა. თავად დირექტორი, ინწკირველი, მიმალვაშია. გარდა ამისა, არსებობს მონაცემები, რომ რუხაძე აწარმოებდა გარკვეული თანამდებობის პირების ვიდეო და აუდიოჩანაწერებს, რასაც შემდგომ მათი და შანტაჟებისთვის იყენებდა. სწორედ შანტაჟით მიაღწია რუხაძემ საპატიმროდან რამდენიმე საშიში დამნაშავის გათავისუფლებას, მათ შორის მკვლელობის ბრლადებით ნასამარლევი პირისაც. ამ პიროვნებებს გარკვეული კავშირი აქვთ ვერულიძისა და კიდევ სამი ადამიანის მკვლელობასთან. ყველა დაღუპული საქმიან ურთიერთობაში იმყოფებოდა „ინტელგრუპჯორჯიასთან". არც ერთი მკვლელობა გახსნილი არ არის! ასე რომ, ჩემთან მოსვლამდე ვითარება თავად პროკურატურაში უნდა გაგერკვია! – თქვა ზურაბმა და მურთაზს რამდენიმე



ნაბეჭდი დოკუმენტი გაუწოდა.

– ეს რა არის? – ჰკითხა მან.

– ეს შუამდგომლობაა რუხაძის პატიმრობაში აყვანის და მის სამუშაო კაბინეტსა და ბინაში ჩხრეკის ჩატარების შესახებ.

– რუხაძე საავადმყოფოში, რეანიმაციის განყოფილებაში იმყოფება!

– ეს არაფერს ცვლის. მას ბადრაგს მიუჩენენ – გამოჯანმრთელებამდე მისი კავშირი გარე სამყაროსთან მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს! – სწრაფად თქვა ზურაბმა.

– მთავარ პროკურორთან თათბირის გარეშე ასეთ გადაწყვეტილებას ვერ მივიღებ! – უპასუხა მურთაზმა.

– აქ ვისთან მოთათბირების შემდეგ მოხვედი?! – ზურაბი დაჟინებით ჩააცქერდა თვალებში.

– არა... მე... – წამოიწყო მურთაზმა, მაგრამ, დასრულება ვერ მოასწრო – სწორედ ამ დროს, კარი გაიღო, კაბინეტში ზურაბის მოადგილემ შემოაბიჯა და სწრაფად მოახსენა:

– ნანა სირაძეზე თავდასხმა მოხდა. დაცვის ბიჭები დაიღუპნენ, თავად ნანა კი მძიმე მდგომარეობაში გადაიყვანეს საავადმყოფოში. ექიმები მისი გადარჩენის გარანტიას ვერ იძლევიან!..

ზურაბი მაშინვე წამოიჭრა ადგილიდან.

– უკან დაბრუნებულს ეგ შუამდგომლობები ხელმოწერილი დამხვდეს მაგიდაზე, თორემ, რუხაძეს მიგიწვევ გვერდში!.. – მუქარით მიაძახა მურთაზს და სწრაფი ნაბიჯით გავიდა კაბინეტიდან.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**გაიადვილეთ საჭმლის მონელება**

**იქონიეთ მიიღეთ ეფექტური**

**კრეზამი**

**თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს**

**www.krezam.ge**

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# როგორ ზრუნავს ერთდროულად ქმარსა და 3 თვის შვილზე „პირველი ვიცე-მის მსოფლიო“ – მაიკო საყვარელაშვილი და რატომ იყო მისი და მომავალი მეუღლის სიყვარულის ისტორია სასაცილო

*დაახლოებით ერთი წლის წინ, სმენადაქვეითებულთა სილამაზის კონკურსზე – „მის მსოფლიო“, „პირველი ვიცე-მის მსოფლიო“ 20 წლის მაიკო საყვარელაშვილი გახდა. მაიკო ჯერ კიდევ 2 წლის იყო, როდესაც მამა გარდაეცვალა. ის სპეციალურ სკოლა-ინტერნატში მიიყვანეს, სადაც იზრდებოდა. 14 წლის ასაკში კი დედაც გარდაეცვალა და მარტო დარჩა. მასზე მზრუნველობა სკოლის ადმინისტრაციამ ითავა. 16 წლის მაიკოზე კი მეურვეობა სკოლის მასწავლებელმა, ნანა ხარატმა აიღო, რომელიც შემდეგ მისი ნათლია გახდა. „სამი წელია, შეყვარებული მყავს. ერთ სკოლაში ვსწავლობდით და ქართულსაც ერთად ვცეკვავდით. მალე ნიშნობაც გვექნება. ძალიან გაუხარდა ჩემი გამარჯვების ამბავი. უზარმაზარი თაიგულით დამხვდა აეროპორტში. განსაკუთრებულად ამაყობს ჩემით, მაგრამ, რაც ჩამოვედი, მეუბნება: როდის დამთავრდება შენი ინტერვიუები და აქეთ-იქით სირბილი, ვეღარ იცლი ჩემთვისო. ადრე სულ ერთად ვიყავით – სამსახურში გამომივლიდა, სახლში მიმაცილებდა, ახლა კი სულ ვეუბნები: „არ მცალია, არ მცალია“... მაგრამ, მალე მოვიცლი მისთვის...“ – ეს მაიკომ ერთი წლის წინ თქვა ჩემთან ინტერვიუში, დღეს კი მასზე მისი შეყვარებული და ახლა უკვე მეუღლე, დათო ბედენაშვილი ზრუნავს, რომელიც „თეგეტა მოტორსში“ მუშაობს, მაიკო კი სტილისტია და მის ხელებს არერთი გოგონა გაულამაზებია.*







**მაიკო საყვარელაშვილი**: იმ კონკურსიდან ძალიან გახარებული და ბედნიერი ჩამოვედი, მალევე გავთხოვდი და შევქმენი ჩემი პატარა ოჯახი. თუმცა, ქორწილი ცოტა ხნის წინ გვქონდა. მე და ჩემი მეუღლე ბავშვობიდან ვიცნობთ ერთმანეთს, თანაკლასელები ვიყავით და ბოლო კლასში შეგვიყვარდა ერთმანეთი. ჩვენი სიყვარულის ამბავი ისეთია, ნამდვილად გაგეცინება: თავიდან ჩემი მეუღლე ჩემი დაქალის შეყვარებული იყო, მე კი მათი მესაიდუმლე და ორივე ყველაფერს მიყვებოდა. მერე რაღაც მიზეზის გამო დაშორდნენ და ამ დროს ჩვენ შეგვიყვარდა ერთმანეთი. ისეთი კარგი დაქალი მყავს – ჯიგარი, ის იყო ქორწილში ჩემი მეჯვარე. მე და ჩემს მეუღლეს ძალიან ლამაზი და სასაცილო სიყვარულის ისტორია გვქონდა. ყოველდღე მაკითხავდა სამსახურში, და სახლშიც მაცილებდა. ყოველთვის ვუგებდით და გვესმოდა ერთმანეთის. თვითონ არ უყვარს სიურპრიზების გაკეთება, მაგრამ, მე მიყვარს. ამიტომ, ხან ბალიშის ქვეშ ამოვუდებ საჩუქარს, ხან სხვაგან დავუმალავ და ასე ვაწვალებ.



**– როდის გადაწყვიტეთ დაქორწინება?**

– ჯერ კიდევ სილამაზის კონკურსამდე გვქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ, კონკურსის გამო გადავდეთ, ვერ გავყევი ცოლად. რომ ჩამოვედი, ნიშნობა გვქონდა, ქორწილიც დავგეგმეთ, მაგრამ, ისევ გადავდეთ. ამიტომ, ახლახან დავიწერეთ ჯვარი და ქორწილიც გადავიხადეთ. ძალიან ლამაზი ქორწილი გვქონდა ჩვენს პატარა ანასტასიასთან ერთად, რომელიც 26 აპრილს დაიბადა – ჯერ მხოლოდ სამი თვის არის. ჯვრისწერა და ხელის მოწერა მცხეთაში გვქონდა, ქორწილი კი – „ტოპ ლაუნჯში“. როგორც ყველა, ჩვენც ძალიან ვნერვიულობდით, მაგრამ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა: კარგად გავერთეთ, ვიმხიარულეთ ჩვენც და ჩვენმა სტუმრებმაც. ბევრი ლამაზი სიურპრიზი გვქონდა, განსაკუთრებით მომეწონა, რომ გავუშვით ცეცხლოვანი საჰაერო ბუშტები – ძალიან რომანტიკული იყო. ამ ყველაფერზე განსაკუთრებულად იზრუნა ჩემმა დედამთილმა.







**– როგორი ორსულობა გქონდა?**

– ძალიან კარგი ორსულობა მქონდა და მშობიარობაც მშვენიერი. ჩემი მეუღლეც დაესწრო ბავშვის დაბადებას. ძალიან უნდოდა, თავად გამოთქვა სურვილი და მეც გამიხარდა. ჩემი შვილი იყო ქორწილში დედიკოს მეჯვარე. ვფიქრობ, ძალიან კარგი დედა ვარ და თავიდან ბოლომდე ვზრუნავ ჩემს შვილზე. მეუღლეც ყველანაირად მეხმარება. მეც ვცდილობ, ორივეს – მეუღლესაც და შვილსაც – ბევრი დრო დავუთმო და, მგონი, კარგად გამომდის. ახლა აღარ მსაყვედურობს მეუღლე, ჩემთვის აღარ გცალიაო, როგორც კონკურსის შემდეგ მსაყვედურობდა. თავად ძალიან ყურადღებიანი და თბილია, იცის ქალის ფასი და ამიტომაც შემაყვარა თავი. როგორც თვითონ ამბობს, ჩემში ყველაზე მეტად ჩემი მხიარული ხასიათი და სიცოცხლის სიყვარული მოსწონს.

***P.S. ჩვენ კიდევ ერთხელ ვულოცავთ მაიკოს და დათოს დაქორწინებას, შვილის დაბადებას და დიდ ბედნიერებასა და ულევ სიხარულს ვუსურვებთ მათ პატარა, ლამაზ ოჯახს!***

**ნათია უტიაშვილი**

**ცოტა ხნის წინ „მის საქართველო“ ჯანეტ ქერდიყოშვილმა საკუთარი თავი ახალ ამპლუაში – სიმღერაში გამოსცადა. თუმცა, ეს უფრო საზოგადოებისთვის იყო ახალი, თორემ ჯანეტი ჯერ კიდევ რუსეთში ცხოვრებისას სწავლობდა მუსიკალურ სკოლაში და ძმასთან ერთად, არაერთ კონცერტსა და კონკურსში მიუღია მონაწილეობა. ახლა კი, მის ცხოვრებაში კიდევ ერთი განსხვავებული ეტაპი დაიწყო. უკრაინაში ის მონაწილეობას მიიღებს რეალითი შოუში „ХОЧУ В ВИАГРА“, რომლის შესარჩევი ქასთინგები უკვე წარმატებით გაიარა და წინ საკმაოდ დაძაბული რეალითი შოუ ელოდება.**

# რატომ გადაწყვიტა ჯანეტ ქერდიყოშვილმა მონაწილეობა მიეღო რეალითი შოუში „ხოჩუ ვ ვიაგრა“ და რა გამოცდა მოუწყო მას კონსტანტინე მელაძემ

**ჯანეტ ქერდიყოშვილი**: ჩემს ცხოვრებაში ძალიან საინტერესო, მნიშვნელოვანი და განსხვავებული ეტაპია. აჟიტირებული ვარ, რადგან არ ვიცი, რა იქნება მომავალში – ცოტა გაურკვევლად ვარ. მოკლედ, ზამთარში სანკტ-პეტერბურგში ერთი კვირით ჩავედი და როცა უკან უნდა გამოვფრენილიყავი, წინა დღეს ჩემი მეგობრის დამ მითხრა: კონსტანტინე მელაძე ქასთინგს აწყობს, ახალ ჯგუფს აყალიებებს და გოგონები სჭირდებაო. ამ ქასთინგს ხალხი მთელი წლის განმავლობაში ელოდებოდა, მე კი სრულიად შემთხვევით გავიგე და შანსი გამოვიყენე – ისე, წავედი მეგობართან ერთად არავისთვის მითქვამს – დილის 9 საათზე, სიცივეში. დამხვდა ცოცხალი რიგი, დაახლოებით 2 000-მდე მონაწილე სხვადასხვა ქვეყნიდან. რაც შეეხება პროექტს, კონსტანიტინე მელაძე ქმნის ახალ ჯგუფს, რომლის სახელწოდებაც არ იქნება „ვიაგრა“ და არც მე ვიქნები „ვიაგრას“ მესამე წევრი, როგორც ამას წერენ. საქართველოში დაიწყეს: ჯანეტი ამბობდა, ასეთი მკაცრი მამა მყავს და უცებ „ვიაგრაში“ უშვებენო... კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ეს არ არის ის „ვიაგრა“, რომელიც ჩვენ ყველამ ვიცით. ასე რომ ყოფილიყო, პროექტში მონაწილეობას არ მივიღებდი და ეს არც ჩემს მშობლებს მოუნდებოდათ. ეს არის რეალითი შოუ, რომელშიც 24 გოგონაა. 8 კვირის განმავლობაში მივიღებთ მონაწილეობას. „ვიაგრა“ 2013 წლის 1 იანვარს ოფიციალურად დაიშალა და, რადგან ამ ჯგუფზე ყოველთვის, წლების განმავლობაში, ძალიან დიდი მოთხოვნა იყო, ამიტომ დაარქვა მელაძემ პროექტს „ხოჩუ ვ ვიაგრა“. ამან გაამართლა, დიდი ინტერესი გამოიწვია პრესაში, საზოგადოებაში. სინამდვილეში, მელაძე არ აკეთებს ახალ „ვიაგრას“, უბრალოდ, ეს იქნება ახალი ჯგუფი, რომელიც სამი გოგონასგან იქნება შემდგარი. პირველ ქასთინგში, რომელიც 4 ქვეყანაში მიმდინარეობდა, დაახლოებით 8 ათასი გოგონა იღებდა მონაწილეობას. აქედან შემდეგში მხოლოდ სამასს დაგვირეკეს.

**– ანუ, პირველმა ქასთინგმა წარმატებულად ჩაიარა?**

– კი, მითხრეს: დაგირეკავთო. გავიდა სამი თვე, უკვე აღარც მახსოვდა ქასთინგის შესახებ და უცებ დამირეკეს: ძალიან მოგვეწონე და გვინდა, გიხილოთ სატელევიზიო ქასთინგზე, რომლის ტრანსლაციაც 4 ქვეყანაში მოხდებაო... მოკლედ, მოვამზადე ალსუს სიმღერა. მე არ მაქვს ჯაზის, როკის ხმა, უფრო საშუალო საესტრადო ხმა მაქვს, თუნდაც ისეთი, როგორიც, მაგალითად, „ვიაგრაშია“ საჭირო. რუსიკო ბახტაძესთან, არაჩვეულებრივ პედაგოგთან მოვემზადე 2 თვის განმავლობაში. მანანა მანიასთან შევიკერე ულამაზესი კაბა, რომელიც უფრო წითელი ხალიჩისთვის არის. მაგრამ ძალიან დიდი ეფექტი მოახდინა, ასეთი კაბა არავის ეცვა. 17 ივლისს ჩავედით კიევში, სამასი გოგო მონაწილეობდა ქასთინგში. ყველაზე აკეთებდნენ პატარა სიუჟეტებს, რა თქმა უნდა, ჩემზეც გააკეთეს: სად დავიბადე, როგორ გავხდი „მის საქართველო“. ჩემი ტრაგედიაც ჩართეს, რა გადავიტანე, რა გადავლახე. მოკლედ, დამახასიათეს. როდესაც ვიმღერე, ჟიურიში ისხდნენ: კონსტანტინე მელაძე, ალბინა ჯანაბაევა, იგორ ვერნიკი და ყველას იქვე ეუბნებოდნენ: მოეწონათ თუ არა ნამღერი და გადადიოდი თუ არა მომდევნო ტურში. საოპერო დივასავით ნამდვილად არ მიმღერია. ჩვეულებრივი, ლამაზი, ნაზი სიმღერა ვიმღერე. მაგრამ, ეტყობა, ისე მოეწონათ ჩემი ჩაცმულობა; ის როგორ ვილიმებოდი, ვლაპარაკობდი, რომ ხალხი ფეხზე იდგა და ტაშს მიკრავდნენ, ოვაციებს გამოხატავდნენ. კონსტანტინემ და ვერნიკმაც ასეთი რამ თქვეს: გემჩნევა, როგორ ოჯახში ხარ გაზრდილი, თვალებზე გეტყობა, რომ ძალიან სუფთა სამყარო გაქვსო. შემდეგ კონსტანტინემ მითხრა: მგონი, ზუსტად არ იცი სად მოხვედი და არც ის, გინდა თუ არა დარჩენა. აქ ძალიან დიდი ბრძოლის, სტრესის გადატანა მოგიწევს, ამიტომ კარგად დაფიქრდიო. ისეთი შთაბეჭდილება დავტოვე, რომ ვარ ბავშვური, ძალიან ნაზი, დაუცველი გოგონა. ინტერვიუებსაც რომ ვაძლევდი, ვერა ბრეჟნევამ, რომელიც, ასევე, ერთ-ერთი წამყვანი იყო, მკითხა: მართლა ასეთი ხარო. იქ ხომ არ დავიწყებდი: ასეთი არ ვარ-მეთქი. ამიტომ ვუპასუხე: ამას ნახავთ-მეთქი. თქმას არანაირი აზრი არ ჰქონდა, უნდა მეჩვენებინა – რა შემიძლია, რა გამოვიარე, რამდენად ძლიერი ვარ. თუმცა, მელაძის სიტყვების მერე დავფიქრდი: მინდა თუ არა ამ პროექტში მონაწილეობა-მეთქი. ჩემი ძმაც მეუბნებოდა, იქნებ არ გინდაო. მოკლედ 300-დან სულ 60 გოგონა დავრჩით. თუმცა, ვფიქრობდი: წავსულიყავი თუ არა, თან, ორგანიზატორებს ვუთხარი: სახლში მინდა წასვლა-მეთქი.

**– უარს ამბობდი დარჩენაზე?**

– კი. ეს არ დამიფიქსირებია კამერების წინ, ამიტომ, არ ვიცი, მელაძეს თუ უთხრეს ოფიციალურად. მერე შეგვიყვანეს ოთახში, სადაც ჩვენი ფოტოები იყო გაკრული. კონსტანტინემ თქვა: ვისი ფოტოებიც მარჯვენა მხარესაა, ისინი გადადიან შემდეგ ტურში, ვისიც მარცხნივ – ისინი პროექტს ტოვებენ. ვისი ფოტოც უკან კიდია, ისინი არიან, ვინც ეჭვობს: უნდა თუ არა პროექტში დარჩენაო. ჩემი ფოტო უკან ეკიდა. ასე რომ, კითხვის ნიშნის ქვეშ ვიყავით მე და რამდენიმე გოგონა. მივხვდი, მცდიდნენ. რომ დავინახე კითხვის ნიშნის ქვეშ ვიყავი და უკან ეკიდა ჩემი ფოტო, მაშინ გამეხსნა მეორე სუნთქვა და ვთქვი: უნდა დავრჩე! მომდევნო ტურში უკვე 39 გოგონა გადავედით, ყველანი ერთ სახლში ვცხოვრობდით, საკმაოდ რთულ, სტრესულ პირობებში: დღეში ერთი საათი გვეძინა, ერთხელ ვჭამდით. ჩემს ცხოვრებაში ისეთი სირთულე არ გადამიტანია, რაც იმ სამ დღეში მომიწია. შემდეგ სამ-სამი გოგონა გაგვაერთიანეს ჯგუფში, მე იმ ორ გოგონასთან ერთად დავდექი, ჩემთან რომ ცხოვრობდნენ ოთახში. ყველა ჯგუფს უნდა ემღერა „ვიაგრას“ რომელიმე სიმღერა. მთელი ღამე ვამზადებდით სიმღერას, ცეკვას, რომელიც საკმაოდ ეფექტური და შთამბეჭდავი გამოვიდა. გვეცვა შავი, მოტკეცილი კაბები. ისეთი კლასი ვაჩვენეთ, ისე ენერგიულად, ემოციურად ვიცეკვეთ, რომ მთელი დარბაზი ფეხზე იდგა. ჟიურის წევრებიც გაგიჟებულები იყვნენ. კონსტანტინემ მითხრა: რატომ გვეგონა, რომ სხვანიარი იყავი, არადა, თურმე, სცენაზე თამაშიც შეგძლებიაო. ვერნიკმა კი აღნიშნა: ჯანეტი ისე გახსნილი არ იყო, როგორც თქვენ ორნი, მაგრამ ესეც პლუსია. მისი ქართული ზომიერება იგრძნობა და ეს „იზიუმინკა“ კიდევ ერთ პლუსს გაძლევთო. როგორც გვითხრეს, 13 ჯგუფში ჩვენი ყველაზე კარგი იყო. ამის შემდეგ დავრჩით 24 გოგონა და უკვე კონსტანტინე მელაძეს უნდა დავეყავით 8 ჯგუფად. სანამ დაგვყოფდნენ, ვათვალიერებდი გოგონებს, ვფიქრობდი: ვინ შეიძლება, გახდეს გამარჯვებული, რადგან მაინც მნიშვნელობას გარეგნობას ანიჭებენ. ყაზახი გოგონა მომეწონა და კიდევ ერთი უკრაინელი, მესამე ვერ ავარჩიე. ისე მოხდა, რომ მელაძემ ერთად დაგვაყენა მე და სწორედ ის ორი გოგონა. ძალიან გამიხარდა და მივხვდი: შანსები ნამდვილად გვაქვს. მართლა, როგორც აღნიშნავენ, „ზალატოი სასტავი“ გამოვედით, ერთმანეთზე უკეთესები და, თან, ერთმანეთს ვავსებთ.



**ჩემი ფოტო უკან ეკიდა, ასე რომ, კითხვის ნიშნის ქვეშ ვიყავით მე და რამდენიმე გოგონა. მივხვდი, მცდიდნენ. მაშინ გამეხსნა მეორე სუნთქვა და ვთქვი: უნდა დავრჩე-მეთქი**

**– უკვე იცი, რა გელოდება წინ?**

– ცოტა ხანში, ისევ ჩავალ კიევში. ერთი თვე ვიცხოვრებთ ერთად. თუმცა, პროექტი 8 კვირის განმავლობაში გაგრძელდება. თითო კვირას, კონცერტის შემდეგ ერთი ჯგუფი გავარდება. გალა კონცერტი გაიმერთება მოსკოვში, სადაც სამი ჯგუფი გავა და აქედან ერთი ჯგუფი გახდება გამარჯვებული. ისეთი კარგი გოგონები მყავს გვერდით, რომ, ვფიქრობ, დიდხანს დავრჩებით პროექტში. წინასწარ ბევრ რამეს არ გვეუბნებიან. თუმცა, ვიცი, რომ ვიქნებით კიევში დიდ სახლში. იქნება კამერები, გვეყოლება ქორეოგრაფი, მუსიკის მასწავლებელი, ტრენერი. დიდი ჯგუფი მუშაობს ამ ყველაფერზე და, წესით, ერთ-ერთი რეიტინგული პროექტი გამოვა. შესაბამისად, აქ უკვე ყველაფერი დამოკიდებულია სამივეზე და არა ერთზე. ამიტომ, მოგვიწევს ერთმანეზე ზრუნვა, დაცვა. ზოგადად, ზომიერება ვიცი, მაგრამ ვერ ვიტან უსამართლობას და როცა ასეთ რამეს ვხედავ, მაშინ ვფსიხდები და შემიძლია, ბოლომდე გავიტანო საკუთარი სიმართლე. ასე რომ, თუ მსგავსი რამ იქნება, არავის არაფერს შევარჩენ. რუსულ შოუ-ბიზნეში რომ მოხვდე, გჭირდება სპონსორი, პროდიუსერი, ქმარი, მამა, ან ვიღაც. ამიტომ მიხარია, რომ ყველაფერს ჩემით მივაღწიე, თუმცა, შეიძლება, ბინძურ, მაგრამ საინტერესო სფეროში. ეს ძალიან მიხარია, მიუხედავად იმისა, არ ვიცი, თუ გავიმარჯვებ, მერე რა იქნება. რაც მთავარია, ამ ყველაფერს 4 ქვეყანის მოსახლეობა ნახავს. ვფიქრობ, ეს ჩემთვის ძალიან კარგი შანსია.

**ნათია უტიაშვილი**

# ვინ დასაჯა სიკვდილით აბიბოს ნეკრესელი და რატომ ჩაქოლეს ფეხმძიმე ქალი დღევანდელი ქაშუეთის ტაძრის ტერიტორიაზე



დავით გარეჯელის, ერთ-ერთი ასურელი მამათაგანის შესახებ, არსებობს ლეგენდა, რომელიც თბილისში მის მოღვაწეობას უკავშირდება. თურმე, ეს ლეგენდა მანამდე ზეპირსიტყვიერი გადმოცემის სახით არსებობდა და პირველად მეცხრამეტე საუკუნეში ჩაიწერა. ის იუწყება, რომ თავისი მოძღვრის, იოანე ზედაზნელის სავანის დატოვების შემდეგ, დავითს თბილისისკენ აუღია გეზი და მთის ფერდობზე მცირე ზომის გამოქვაბულში დამკვიდრებულა, სავარაუდოდ, დღევანდელი მთაწმინდის ტერიტორიაზე, რომელსაც მეორენაირად მამა დავითის მთას უწოდებენ. ლეგენდის მიხედვით, მამა დავითი კვირაში ერთხელ ჩამოდიოდა მთიდან ქვემოთ და თბილისელებში ქრისტიანობასა და ქრისტიანულ მორალს ქადაგებდა. იმ პერიოდის თბილისში გამეფებული ყოფილა ცეცხლთაყვანიმცემელთა სარწმუნოება. ცეცხლთაყვანისმცემლებს რელიგიურ დაბრკოლებას უქმნიდა წმიდა დავითის გულში ჩამწვდომი ქადაგებები, ამიტომ, გადაწყვიტეს, როგორმე თავიდან მოეშორებინათ წმიდა დავითი. ვინაიდან განდეგილ ბერს თბილისელთა შორის დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, ცეცხლის მსახურებმა მისი სახელის შებღალვა გადაწვიტეს – ფიქრობდნენ, რომ ამგვარად დაეკარგებოდა მამა დავითის ქადაგებას ძალა. ამ მიზნით, ცეცხლთაყვანისმცემლებმა მოისყიდეს ერთი ვინმე უკანონოდ დაფეხმძიმებული მეძავი დიაცი და, მამა დავითის ერთ-ერთი მორიგი ქადაგების დროს, სახალხოდ დასდეს ბრალი მქადაგებელს სიძვის ცოდვაში, დასტურად კი ქადაგებაზე დამსწრეთ ფეხმძიმე დედაკაცი წარუდგინეს, რომელმაც, თავის მხრივ, ყველაფერი დაამოწმა და თანამცოდველად წმიდანი დაასახელა. ყოველივე ამან ხალხში აღშფოთება და გაოგნება გამოიწვია. შექმნილ სიტუაციაში მამა დავითი სულაც არ შეეცადა თავის მართლებას. როგორც ჭეშმარიტ ქრისტიან ბერს შეჰფერის, ის მზად იყო, უდრტვინველად მიეღო დაუმსახურებელი ბრალდება და ლანძღვა-ყვედრება მოთმინებით აეტანა. ამიტომ იყო, რომ მან მოგვებს არაფერი უპასუხა, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს საქციელი დიდ დაბრკოლებას გამოიწვევდა სარწმუნოების გზაზე თბილისელ ქრისტიანთა შორის, რადგან, მათ თვალში მამა დავითი ქრისტიანობის იდეალს წარმოადგენდა და, ამრიგად, წმიდანმა უზარმაზარი პასუხისმგებლობის ტვირთი იგრძნო საკუთარ თავზე. სწორედ ამის გამო, მან ჩათვალა, რომ საჭირო იყო, ხალხის წინაშე სიმართლე გაცხადებულიყო. ლეგენდის თანახმად, წმიდა დავითმა ამოიღო თავისი კვერთხი, დაადო ორსულის მუცელს და ხმამაღლა თქვა: „ყრმაო, ღაღად ყავ, ნუთუ მე ვარ მამა შენი?" მოულოდნელად, ცილისმწამებელი დედაკაცის წიაღიდან მოისმა ამოძახილი: „არა... არა..." ეს იყო ნამდვილი სასწაული, რამაც გარს შემოკრებილ მრევლზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ამის მხილველი მოგვები სახტად დარჩნენ, რის შემდეგაც, თქმულების ერთი ვერსიით, მოგვებს ქვები აუღიათ და ფეხმძიმე ქალი ჩაუქოლავთ, მათ კი დანარჩენებიც აჰყოლიან. ჩაქოლილი დიაცი იქვე დაუტოვებიათ, ქვათა შუა. აქედან წარმოდგა სახელწოდება ქვათაშუეთი, ქაშუეთი. ლეგენდის მეორე ვერსიის მიხედვით, ჩადენილი მძიმე ცოდვის გამო, ცილისმწამებელ დედაკაცზე ღვთის რისხვა მოწეულა და მას ბავშვის ნაცვლად ქვა უშვია. აქედან კი მოდის სახელწოდება ქვაშვეთი, ქვაშუეთი. ორივე ვერსიით, ნახსენებ სახელწოდებებს პირდაპირი კავშირი აქვს დღევანდელ ქაშუეთის ტაძართან. ლეგენდის მიხედვით, წმიდა დავითი სწორედ ამ ადგილას, ანუ, მაშინდელი თბილისის გარეუბანში ჩამოდიოდა ყოველ კვირას და ეწეოდა ქადაგებას. ეს ტერიტორია მართლაც უშუალოდ მამა დავითის მთის ძირას მდებარეობდა და ლოგიკურია, რომ ყოველკვირეული ქადაგებებიც სწორედ აქ ტარდებოდა, სასწაულიც ამავე ადგილას აღსრულებულა და, სწორედ ამიტომ, ამ ამბის აღსანიშნავად აუგიათ აქ ტაძარი. მოგეხსენებათ, ქაშუეთის ტაძრის დღევანდელი ნაგებობა მეოცე საუკუნის დასწყისშია აშენებული სწორედ იმ ადგილას, სადაც მანამდე არსებობდა უფრო ადრინდელი ტაძარი, რომელიც ძლიერ დაზიანებულა ჟამთასვლის გამო. მის დაშლას განსაკუთრებით იმან შეუწყო ხელი, რომ, მეცხრამეტე საუკუნეში, იქვე, იმპერატორ ალექსანდრეს სახელობის ბაღის ტერიოტრიაზე, იდგა რუსული ზარბაზანი და დროის აღსანიშნავად ყოველ საათში ერთხელ ისროდა. სროლების შედეგად გამოწვეულმა ვიბრაციამ დროთა განმავლობაში ძველი ქვაშვეთის ტაძრის კედლების დაბზარვა და დასკდომა გამოიწვია. სწორედ ამიტომ, საჭიროდ ჩაითვალა, იმავე ადგილას ახალი, თანამედროვე ტაძარი აგებულიყო.

**მეოცე საუკუნის დასაწყისშიც კი, საქართველოს გასაბჭოებამდე, ყოველ წელიწადს, ამაღლების სწორ ხუთშაბათს – წმიდა დავით გარეჯელის ხსენების დღეს, შესაძლებელი იყო ხილვა მთაწმინდის ციცაბო ფერდზე, ხვეულ ბილიკზე მიმავალი ფეხშიშველა თბილისელი მანდილოსნებისა, რომლებსაც წესად ჰქონდათ ამ დღეს დავით გარეჯელის ძველი სამკვიდრებლის მოლოცვა**

რაც შეეხება მამა დავითს, ლეგენდაში აღწერილი სასწაულის შემდეგ, მას მაინც აღარ ჩაუთვლია მიზანშეწონილად მოღვაწეობის გაგრძელება ძველებური ფორმით. წმიდა დავითს სურდა, მოღვაწეობა სიმყუდროვეში განეგრძო, შორს საერო ცხოვრების ალიაქოთისგან. ამიტომ, თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად, აღმოსავლეთისკენ გაემართა და გარეჯის მრავალმთის დაუსახლებელ და უდაბნო ადგილას პოვა სამუდამო თავშესაფარი. ასე ჩაეყარა საფუძველი დავით გარეჯის შემდგომში ცნობილ სამონასტრო კომპლექსს.

ალბათ, გაგიჩნდებათ კითხვა, აქვს თუ არა კავშირი ლეგენდაში ასახულ ამბავს ისტორიულ სინამდვილესთან. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ლეგენდაში ასახული ამბავი ზუსტად ირეკლება იმ ეპოქის ანუ, მეექვსე საუკუნის ისტორიულ რეალიებში. მაგალითად, ცეცხლთაყვანისმცემელთა თავისუფალი და თავგასული ქმედებები თბილისში. ეს ხომ ზუსტად ის დროა, როცა გაძლიერებული ირანი ქართლის სამეფოში მეფობას აუქმებს და მარზპანს ნიშნავს ქვეყნის მმართველად. მარზპანის მხრიდან ძლიერდება რელიგიურ-იდეოლოგიური ზეწოლა – იგი ცდილობდა, მაზდეანობის გაძლიერებისთვის შეეწყო ხელი და ქართლში ცეცხლთაყვანისმცემელთა რიცხვი გაეზარდა. ჩდნება კითხვა: მაზდეანთათვის ამგვარი მომგებიანი პოლიტიკური ვითარების ფონზე, რატომ არ იფიქრეს მამა დავითის ლიკვიდაცია და რატომ შეეცადნენ მაზდეანები მის წინააღმდეგ ინტრიგების ხლართვას. ამ კითხვის დასმა მით უფრო აქტუალური ხდება, თუ გავიხსენებთ, რომ დავით გარეჯელის ძველი თანამოღვაწე, სხვა ასურელი მამათაგანი – აბიბოს ნეკრესელი, სწორედ მაზდეანებმა დასაჯეს სიკვდილით. ამავე პერიოდში სიკვდილით იქნა დასჯილი წმიდა ევსტათი მცხეთელიც. სიცხადისთვის, ცოტა უკეთ გავერკვათ დეტალებში: აბიბოსი იყო ნეკრესის ეპისკოპოსი, რომელმაც ვერ აიტანა თავის ეპარქიაში ცეცხლის მსახურების გაძლიერება. ამიტომ, შევიდა მათ მთავარ სალოცავში და წყლის დასხმით ჩააქრო მაზდეანთა „წმინდა, ღვთაებრივი" ცეცხლი; ხოლო ევსტათი მცხეთელი წარმოშობით სპარსი იყო და, სხვათა შორის, მოგვის შვილი, რომელმაც მცხეთაში დამკვიდრება გადაწყვიტა და ქრისტიანობა აღიარა. ეს სპარსელებმა ღალატად მიიჩნიეს და ამიტომაც გამოუტანეს ასეთი მძიმე განაჩენი. ამავე დროს, ქრისტიანობის ქადაგება და ქრისტიანული ღვთისმსახურება არ ისჯებოდა სპარსული კანონმდებლობითაც კი. შესაბამისად, წმიდა დავითი არანაირ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას არ სჩადიოდა. ამიტომ, მისმა რელიგიურმა მოწინააღმდეგეებმა ზემოთ დასახელებულ ხერხს მიმართეს, ანუ, თბილისელთა შორის ზნეობრივ შერცხვენასა და წმიდა სახელის შებღალვას შეეცადნენ, რათა ძალა დაეკარგათ მისი სულიერი მოღვაწეობისთვის და ძლიერი მეტოქე საბოლოოდ დაემარცხებინათ. მაგრამ, როგორც დამთავრდა მათი ეს მცდელობა, კარგად მოგვეხსენება.

დავით გარეჯელის ცხოვრების ეს ეპიზოდი თბილისელთა შორის თაობიდან თაობას გადაეცემოდა და ასე მოაღწია ჩვენამდე. ეს ლეგენდა ცოცხლად შემოინახა მეხსიერებამ და ამას ადასტურებს თბილისური ტოპონიმიკაც: მამა დავითის მთა, ქაშუეთი. იმის მიუხედავად, რომ ტაძარი წმიდა გიორგის სახელობისაა, ყველა თბილისელისთვის ეს ტაძარი ქაშუეთის სახელით არის ცნობილი. გარდა ამისა, თვით მეოცე საუკუნის დასაწყისშიც კი, საქართველოს გასაბჭოებამდე, ყოველ წელიწადს, ამაღლების სწორ ხუთშაბათს – წმიდა დავით გარეჯელის ხსენების დღეს, შესაძლებელი იყო ხილვა მთაწმინდის ციცაბო ფერდზე, ხვეულ ბილიკზე მიმავალი ფეხშიშველა თბილისელი მანდილოსნებისა, რომლებსაც წესად ჰქონდათ ამ დღეს დავით გარეჯელის ძველი სამკვიდრებლის მოლოცვა. გადმოცემის მიხედვით, ხსენებული სასწაულის შემდეგ, წმიდა დავითის ლოცვის შედეგად, მისი საცხოვრებლის სიახლოვეს საკურნებელი წყალი აღმოცენებულა, რომელსაც განსაკუთრებით უშვილო ქალები ესწრაფოდნენ, როგორც შვილიერების მადლის მიმცემს. ეს წყარო ამჟამინდელი მთაწმინდის პანთეონის ტერიტორიაზე დღემდე მოედინება.

**ეკა სალაღაია**

# „ფორბსის" გამომგონებელი მილიარდერები და მათი ცნობილი პროდუქტი

*„ფორბსის" მილიარდერებს შორის არიან ისეთებიც, თავიანთი დიდძალი კაპიტალი საკუთარი გამოგონებით რომ გამოიმუშავეს. გამომგონებელ მილიარდერებს შორის ყველაზე პოპულარული თომას ედისონის ფრაზაა: „გამოგონებისთვის, თქვენ დაგჭირდებათ წარმოსახვის უნარი და ნაგვის გროვა". რამდენად გამოადგათ ნაგვის გროვა „ფორბსის" მილიარდერ გამომგონებლებს, უცნობია, თუმცა, წარმოსახვის უნარმა რომ ისინი პლანეტის უმდიდრეს ადამიანებად აქცია, ფაქტია.*

### მიქელე ფერერო და ოჯახი – 20,4 მილიარდი დოლარი

იდეა: შოკოლადი გახდეს დილის საუზმის აუცილებელი კომპონენტი – პურის ნაჭერზე წაუსვით თხილისა და შოკოლადის ნაზავისგან მიღებული კარაქი. ფერეროების ოჯახი დღეს შოკოლადის ნაწარმის ყველაზე მსხვილი მწარმოებელია ევროპაში. ისინი ისეთი ბრენდების მფლობელები არიან, როგორიცაა: „ფერერო როშე", „ნუთელა", „კინდერ სიურპრიზი", „ტიკ-ტაკი". მიქელე მონაკოში ცხოვრობს.




### რალფ ლორანი – 7 მილიარდი დოლარი

იდეა: პოლოს მაისურზე ცხენის ფორმის ლოგო. ასეთი მაისურის საშუალო ფასი ამერიკის შეერთებულ შტატებში 50 დოლარია. თვითონ რალფ ლორანი, გარდა იმისა, რომ ამ ნოვაციის ავტორია, ერთ-ერთ ყველაზე გაუნათლებელ მილიარდერადაა მიჩნეული მსოფლიოში.

### ჯეფ ბეზოსი – 25,2 მილიარდი დოლარი

იდეა: წიგნების გაყიდვა ინტერნეტის საშუალებით და ამით მყიდველის გათავისუფლება მაღაზიის რიგებში დგომისგან. ინტერნეტ-მაღაზია ამაზონ.ქომის ავტორი ბეზოსი, დაიბადა ტეხასში და იზრდებოდა ფლორიდაში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ის ხანგრძლივი დროის განმავლობაში უოლსტრიტზე მუშაობდა. მაგრამ 30 წლის ასაკში უცებ ცხოვრების სტილის შეცვლა გადაწყვიტა და სიეტლში, ერთ-ერთ ავტოფარეხში ოფისი გახსნა და ინტერნეტის საშუალებით წიგნების გაყიდვა დაიწყო. 1997 წელს ბეზოსი მილიარდერი გახდა.



### მარიო მორეტი პოლეგატო – 1,8 მილიარდი

იდეა: სპეციალურხვრელებიანი აღჭურვილი ფეხსაცმლის ძირების წარმოება (ტენიანობისაგან დამცავი მემბრანა), რომელიც ადამიანის ფეხს გაოფლიანებისგან იცავს. კომპანია „გეოქსის" მფლობელმა მარიო მორეტომ „მსუნთქავი" ფეხსაცმელი 1994 წელს, ნევადის მთებში მოგზაურობისას გამოიგონა – საკუთარ სპორტულ ფეხსაცმელს ძირი გაუხვრიტა და ფეხს სუნთქვის საშუალება მისცა. საინტერესოა, რომ თავდაპირველად, ამ იდეით მარიომ „ნაიკს" მიაკითხა, მაგრამ უარით გამოისტუმრეს. ამჟამად მისი ფირმა წელიწადში 16 ათასამდე წყვილ ფეხსაცმელს ყიდის. მისი კლიენტებიდან შეიძლება გამოვარჩიოთ რომის პაპი.

### ჯეიმს დაისონი – 4,4 მილიარდი დოლარი

იდეა: მტვერსასრუტი, რომელსაც ვერტიკალურ მდგომარეობაშიც შეუძლია შესრუტვა 320 კილომეტრ-საათის სიჩქარით. ბავშვობაში ჯეიმს დაისონი ინგლისურ ენას სწავლობდა და ფაგოტზე უკრავდა, შემდეგ კი საინჟინრო ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. 1993 წელს მან მტვერსასრუტის 5 127 პროტოტიპი წარადგინა ინგლისში. დაისონის მტვერსასრუტმა DC12-მა წელს იაპონიაში გაყიდვის რეკორდები მოხსნა და გაუსწრო ადგილობრივ გიგანტებს „შარპსა" და „სანიოს".

### ჰანს რაიგელი – 2,9 მილიარდი ამერიკული დოლარი

იდეა: სხვადასხვა ფორმის, ტკბილი საღეჭი კანფეტები. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ძმებმა – ჰანსმა და პოლმა ხელმეორედ ააშენეს მშობლების დატოვებული საკონდიტრო ქარხანა. კომპანია „ჰარიბოს" წლიური ბრუნვა 2 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენს. ჰანსის უმცროსი ძმა, პოლ რაიგელი 2009 წელს გარდაიცვალა. 90 წლის ჰანს რაიგელი პლანეტის ერთ-ერთი უხუცესი მილიარდერია.

### ჰოვარდ შულცი – 1,6 მილიარდი დოლარი

იდეა: ყავის სახლის გახსნა ამერიკის ყველა ქალაქში. ყავის სახლ „სტარბაქსის" ქსელის მფლობელი ჰოვარდ შულცი ბრუკლინში გაიზარდა. ჩრდილოეთ მიჩიგანის უნივერსიტეტში ის ფეხბურთს თამაშობდა. ყავის სახლის გახსნის იდეა მას იტალიაში მოგზაურობისას გაუჩნდა 1985 წელს „სტარბაქსის" პირველი ობიექტი გაიხსნა.




ამჟამად „სტარბაქსის" ქსელი 12 ათას ყავის სახლს აერთიანებს და ყოველდღიურად 40 მილიონამდე ამერიკელს ემსახურება.

**უშანგი რუხაძე**

---

(მე-13 გვერდიდან)

# რატომ სდარაჯობდა პოეტი გიორგი ბუნდოვანი ტერენტი გრანელის საფლავს და ვინ მოიპარა ბოლოს მიცვალებული

სამასი მანეთი მე დავდე. შევუკვეთე ახალი მარმარილოს ქვა, ისეთივე სურათით და იმავე წარწერებით. მისი ნასაფლავარი მე შევინარჩუნე. მერიდება სულ ამ სიტყვას რომ ვამბობ – „ჩემი, ჩემი", მაგრამ, ასეა.

**– მის საფლავში ჩაწოლა და ღამის გათევა რატომ მოგინდათ?**

– ახალი გადასვენებული იყო და, სანამ ამოავსებდნენ საფლავს, წავედი და ჩავწექი. რა დამაძინებდა, სანთელი მქონდა წაღებული და მთელი ღამე ვწერდი.

**– კოსმონავტის გული გქონიათ.**

– პირიქით, ძალიან მშიშარა ვარ, კბილის ექიმთან მისვლის მეშინია. ახლახან გავიკეთე სკრინინგზე ანალიზი და, სანამ პასუხი იქნება, გოლგოთას გზას გავდივარ. აქ კი სულ სხვა მომენტი იყო. ტერენტი ჩემთვის ყველაფერი იყო – მამა, ძმა, მეგობარი... ყური კი მქონდა მოკრული, რომ ღამით სასაფლაოებიდან ადამიანის ფორმის ფოსფორები ანათებს, მაგრამ, ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია და, გეტყვით, რამ შემიწყო ხელი: 80-იან წლებში, როცა ვიდეომაგნიტოფონი ახალი შემოსული იყო, ვაგროვებდი საშინელებათა ფილმების კოლექციას. სახლიდან ანტიკვარებს ვყიდდი, რომ ეს კასეტები შემეძინა. ამას გარდა, ტერენტის დიდუბეში გადასვენებამდე ერთი წლით ადრე, მე ვმუშაობდი მერვე საავადმყოფოში, ქირურგიაში სანიტრად, ვესწრებოდი ოპერაციებს, მეორე ასისტენტად ვიდექი ყველა ოპერაციის დროს და იქაურ მორგშიც ვმუშაობდი: გვამებს ვკვეთდი, ანატომიას ვსწავლობდი, ისე მინდოდა ქირურგობა, მაგრამ, მაინც ვერ ჩავაბარე სამედიცინოზე. აი, მიუხედავად ამ ყველაფრისა, თქვენ წარმოიდგინეთ, ღამით ოთახში მიცვალებულთან ვერ დავრჩები. სხვა იმდენი ცოდვა მაქვს ცხოვრებაში ჩადენილი, რომ, ტერენტის საფლავში ჩაწოლა და ლექსების წერა ტერენტის სიყვარულით, არა მგონია, ცოდვა იყოს.

**– რას ცდილობდით ამით – საკუთარი თავი ხასიათის სიმტკიცეში გამოგეცადათ თუ, ეს იყო ჩვეულებრივი ცნობისმოყვარეობა, რაც ამ მისტიკას ახლავს – „ნეტავ ახლა რა შეიძლება მოხდეს?!" ასეთ რამეზე ნიძლავზეც არ მიდიან**

– არ ვიცი, მინდოდა, რაღაც მეგრძნო ჩემს თავზე. მე ხომ მაშინ არც ბუდისტი ვიყავი და არც მართლმადიდებელი და, ერთადერთი, რაც ვიგრძენი, ის იყო, რომ ადამიანი საერთოდ არაფერია, რაზეც სულ წერდა ის თავის ლექსებში. გრანელი რატომ დაირქვა ფსევდონიმად? მე ვარ მსოფლიოში მცირედი ნაწილაკი,... ესე იგი, ამით ადასტურებს, რომ ამქვეყნად ყველაფერი წარმავალია და ჩვენ არაფერი ვართ.

ერთი ძალიან საინტერესო ამბავი მინდა გიამბოთ: სახლი კლარა ცეტკინზე, სადაც ჩემს მეგობარ ზურა რთველიაშვილთან ერთად ვცხოვრობდი და ტერენტის ქვას ვინახავდი, 1981 წელს შევიძინეთ. ვისგანაც შევიძინეთ, იმ ოჯახზე წინ, იქ ცხოვრობდა ყველასთვის ცნობილი პიროვნების, ოთარ ეგაძის ოჯახი. ეს, რა თქმა უნდა, ვიცოდით. ერთ მშვენიერ დღეს, მეგობართან ვარ, ბიჭები ვქეიფობთ. მაშინ ხომ არ იყო მობილური ტელეფონები. დედაჩემი რეკავს იმ ოჯახში. მომაწოდეს ყურმილი და მეუბნება: შვილო, შეგიძლია, ცოტა ხანს მომისმინო? დედა, რა იყო, რამე მოხდა-მეთქი? დაჯექი, ცუდად არ გახდეო და ყვება: კარზე ზარია, გავაღე კარი და ოთარ ეგაძე დგას. ქალბატონო, უკაცრავად, განუხებთ, იცით, მე აქ ვცხოვრობდი ერთ დროს, აქეთ მოვხვდი, გულმა ვერ მომითმინა და შემოგიარეთო. მობრძანდით, ბატონო ოთარ, – შემოვიპატიჟე. დიდი, ოთხოთახიანი ბინა გვქონდა და ყველა დაათვალიერებინა, მერე ჩემს საძინებელში შეუყვანია. ქვა და სურათები რომ დაუნახავს, თურმე, სახეზე ფერი დაჰკარგვია და აკანკალებულა. საიდან ეს ყველაფერიო, – უკითხავს. დედაჩემმაც უამბო. კაცი კინაღამ გაგიჟდა და ყვება ასეთ ამბავს: ამ ოთახში როიალი გვედგა და ჩემი და ხშირად უკრავდა შოპენსო. ტერენტის ლექსებში აქვს ეს მომენტი აღწერილი – „მოვდივარ რუსული ტაძრიდან, მოვუყვები ქუჩას, ვჩერდები ფანჯარასთან და ქალის ხელები უკრავენ შოპენს." ტერენტი მოდიოდა, ჩერდებოდა ჩვენს ფანჯარასთან და ჩემს დას უსმენდა, როგორ უკრავდა. გავიდოდი, შინ ვეპატიჟებოდი, სულ მინოდოდა, ტანსაცმელი მეჩუქებინა ან რამეზე დამეპატიჟა, მაგრამ, არაფრის დიდებით არ შემოდიოდა – ნუ მეპატიჟებით, მე მხოლოდ მუსიკის მოსმენა მინდაო. აი, ამდენი ხანი გადის, ლამის საუკუნე, მერე მე გადმოვდივარ ამ სახლში და ისტორია მეორდება. მერე, ბუდიზმში რომ შევედი, მივხვდი, რომ ეს ინკარნაციის მომენტები იყო. ტერენტი მაინცდამაინც მაგ სახლთან რატომ ჩერდებოდა? მერე მე გადმოვდივარ მაგ სახლში და რეები ხდება... კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ არაფერი შემთხვევით არ ხდება. ჩემი პირადი განცდები – როგორ ვწერ ლექსს, სიყვარულში, მწუხარებაში რა განმიცდია... მის ცხოვრებაზე რომ ვკითხულობდი, მეგონა, ჩემს ცხოვრებას ვკითხულობ-მეთქი, აბსოლუტურად იდენტური იყო.

**ეკა პატარაია**

**„მსოფლიო ბარიტონი“, „მსოფლიოს პირველი „რიგოლეტო“, „ტრიუმფალური გამოსვლა“, „არაჩვეულებრივი მომღერალი-მსახიობი“ – ეს მცირედი ჩამონათვალია იმ შეფასებებისა, რომლებსაც ოპერის მომღერალი გიორგი გაგნიძე ყოველი გამოსვლის შემედეგ იმსახურებს. მსოფლიოს წამყვან თეატრებში მისი მოსმენის მსურველთა რაოდენობა დღითი დღე იზრდება. მუდმივად ანშლაგით მიმდინარეობს მისი სპექტაკლები და ამიტომაც, გეგმები 2017 წლამდე აქვს გაწერილი. თბილისში მხოლოდ ჰაერის ჩასასუნთქად მოახერხა ჩამოსვლა ორ ულამაზეს შვილთან და მეუღლესთან, მაია გოგოლაძესთან ერთად, რომელიც მას მუდმივად გვერდში უდგას. მეუღლის ხშირ გასტროლებს და სახლში, შვილებთან მარტო ყოფნას ქალბატონი მაია დიდი ხანია, შეეგუა... და, ყველაზე მნიშვნელოვანი: მსოფლიო ბარიტონი, რომლის სპექტაკლებიც „მეტროპოლიტენიდან“ ბევრ ქვეყანაში უმაღლესი ხარისხით პირდაპირ გადაიცემა, საოცრად უშუალო, თბილი და ყურადღებიანი ადამიანია, რაც მის პიროვნულ თვისებებს კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს.**

# რატომ იწვევენ მსოფლიოს ცნობილი თეატრების სპექტაკლებში გიორგი გაგნიძეს და რით აოცებს ის მუდმივად დიდ მაესტროებსა და მაყურებელს

**გიორგი გაგნიძე**: თბილისში დაუგეგმავად ჩამოვედი. ძალიან დატვირთული გრაფიკი მქონდა: ვიმყოფებოდი საფრანგეთში, ცნობილ ფესტივალზე – Aix-en-Provence, მარსელთან ახლოს. ვერდის „რიგოლეტოს“, რომელიც ჩემი სავიზიტო ბარათი გახდა, არანორმალურად დიდი წარმატება მოჰყვა – ჩემს გამოსვლას „ტრიუმფალური“ უწოდეს. შვიდი სპექტაკლის ნაცვლად 10 სპექტაკლი ჩავატარე, რადგან, დიდი მოთხოვნა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ბილეთები ძვირი ღირდა, ერთს ვერ იშოვიდი, სულ გაიყიდა. 12 ივლისს ინტერნაციონალურმა სატელევიზიო არხმა „არტე“ სპექტაკლის პირდაპირი ტრანსლაცია მოაწყო. ამის მერე შემომითვალეს, რომ სეულში, სამხრეთ კორეაში ჩამეტარებინა კონცერტი. ეს იმ დროს ხდება, როდესაც „მეტროპოლიტენში“ მაქვს გასტროლები, ვმღერით ორი სხვადასხვა შემადგენლობა, მაგრამ, მხოლოდ მე არ ვიცვლები. ისე გამოვიდა, რომ ექვსი სპექტაკლის ნაცვლად თორმეტს ვმღერი. ორი კვირა მომცეს დასვენებისთვის, მაგრამ ვინ გასვენებს?! მაშინვე მომაჩეჩეს ხელში კორეის კონტრაქტი და იქ მივდივარ. ამის მერე გადავდივარ ვენის შტაც-ოპერაში, შემდეგ – მიუნჰენის შტაც-ოპერასა და ბრიუსელში. საუბარია იმაზე, რომ „რიგოლეტოს“ ახალი დადგმა, რომლიც ეკუთვნის თანამედროვე, ძალიან წარმატებულ რეჟისორს, რობერტ კარსელს, რომელიც კანადაშია დაბადებული და კანის ფესტივალის რეჟისორია, ბრიუსელის გარდა, სხვა ქვეყნებშიც გაიტანონ, მაგალითად, მოსკოვის დიდ თეატრში. ახლა „ლა სკალას“ მივყვები ტოკიოში გასტროლზე „რიგოლეტოთი“, მთავარ როლში. ასევე, ჰამბურგში მაქვს პრემიერა – „ოტელოში“ იაგოს როლის დებიუტი. მთელი ზაფხული მელოდება ჩემი კონცერტმეისტერი. სულ საათებზე, რიცხვებზე ვარ დამოკიდებული. ძალიან მინდა, სამშობლოში ხშირად ჩამოვიდე, მაგრამ, ჩამოვდივარ, მხოლოდ ჰაერს ჩავისუთქავ და მივდივარ.



**უკვე გავცდი იმ ეტაპს, როცა ჩემზე ამბობდნენ: „არაჩვეულებრივი ხმა აქვს.“ დღეს მიწოდებენ მომღერალ-მსახიობს და ეს ჩემთვის ყველაზე დიდი შეფასებაა**

**– თქვენ შესახებ დიდი მაესტროები, სხვადასხვა ქვეყნის პრესა, საოცარ შეფასებებსა და ეპითეტებს წერენ. ხოსე კარერასმაც აღნიშნა, რომ თქვენ ხართ ნამდვილი რიგოლეტო. პირადად თქვენთვის რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი შეფასება?**

– ხოსე კარერასი საქართველოში რომ იყო ჩამოსული, მაშინაც ვნახე, ძალიან გაუხარდა და თქვა: ბევრი მომისმენია. ხმა ერთია, მაგრამ, შენ მთლიანად შეჭრილი ხარ როლში. რომ გიყურებ, ასე მგონია, რომ ყველაფერი სინამდვილეში არ ხდება, რადგან, ძალიან დამაჯერებელი მიმიკა, ჟესტიკულაცია და პლასტიკა გაქვსო. ჩვენი საყვარელი რეჟისორი, თემურ ბაბლუანი, ჩემთან იყო პარიზის ბასტილიაში. გაგიჟდა: ფილმში უნდა გადაგიღოო. რა ფილმში-მეთქი? მაფიოზის როლი მინდა მოგცეო. არადა, მაფიოზი ჩემგან ძალიან შორს არის... უკვე გავცდი იმ ეტაპს, როცა ჩემზე ამბობდნენ – არაჩვეულებრივი ხმა აქვსო. დღეს მიწოდებენ მომღერალ-მსახიობს და ეს ჩემთვის ყველაზე დიდი შეფასებაა... მარჯანიშვილზე დავიბადე, მოზარდ მაყურებელთა და მარჯანიშვილის თეატრებს შორის გავიზარდე: იქ ვიძინებდით და ვიღვიძებდით მე და ჩემი და, ამიტომ, თეატრი ჩემთვის უცხო არასდროს ყოფილა. ვნახულობდი ჩვენი ბუმბერაზი მსახიობების შესრულებით როლებს და უბედნიერესი ვიყავი. მიმაჩნია, რომ ქართველი კაცი თეატრალურია, არტისტული ნიჭი აქვს. ჯეიმს ლივაინმა რომ მომისმინა, მითხრა: უნიკალური ხმა, ტექნიკა გაქვთ და სად ისწავლეთო. ჯორჯიაში-მეთქი. ატლანტაში ასეთი სკოლა არ გვაქვსო. სხვა ჟორჯიაში-მეთქი, – ავუხსენი. მიხარია, რომ ბედი მიღიმის, ჩემი საქმე კარგად მიდის და, რაც მთავარია, კიდევ იმით ვარ ბედნიერი, რომ ჩემს საყვარელ საქმეს ვაკეთებ. მაგრამ, ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერება იქნება, ჩემი წარმატება ჩემს ქვეყანას მოვახმარო, უფრო მეტად ჩავერთო საქველმოქმედო აქციებში, კონცერტებში. სამწუხაროდ, არ მრჩება დრო, რომ ფონდი ჩამოვაყალიბო, თუმცა, ამის დიდი სურვილი მაქვს და მომავალში აუცილებლად დავგეგმავ. ულამაზესი ორი შვილი გვყავს: მარიამი და დავითი. გულით მინდა, რომ ფონდი გავაკეთო, მაგრამ, ოჯახს, ხელოვნებას, იმდენად ბევრი დრო და ენერგია სჭირდება, ძალიან მირთულდება.... მინდა, ქართულ სკოლას დავეხმარო, ახალგაზრდებს – ამ კუთხით ბევრი მიზანი მაქვს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ვახერხებ... თუმცა, ამის დროც მოვა.

**– შემოდგომაზე „მეტროპოლიტენ ოპერაში“ თქვენი სპექტაკლები მსოფლიოს ბევრი ქვეყნის კინოთეატრებში HD ხარისხით პირდაპირ გადაიცემა.**

– დიახ, „მეტროპოლიტენიდან“ მოხდება პირდაპარი ტრანსლაცია – HD, ანუ, მაღალი სიზუსტის ხარისხით აჩვენებენ დაახლოებით 55 კინოთეატრში. მიუნჰენის თეატრმაც მითხრა: საფრანგეთში ისეთი ტრიუმფალური გამოსვლა გქონდათ, ჩვენც გვინდა, პირდაპირი ეთერი გავაკეთოთ და ფართო მასებმა გაგიცნონო. „მეტროპოლიტენში,“ ჩემს შემთხვევაში, ეს უკვე რამდენჯერმე მოხდა, ამერიკა კი ყველაფერს ბიზნესის კუთხით უდგება. „ტოსკაზე“ დიდი მოთხოვნა იყო, გავიდა დრო და კიდევ მეძახიან – უკვე „HD ლაივი“ გვინდაო, რადგან, კარგი გაყიდვები ჰქონდათ და მოთხოვნა ისევ არის. ბევრ ქვეყანაში მაქვს ნამღერი, მაგრამ „მეტროპოლიტენს“ მაინც გამოვარჩევდი, ისეთი თბილი დამოკიდებულება აქვთ არტისტისადმი, ხელოვანისადმი. საერთაშორისო ვარსკვლავების გაშუქებაში „მეტროპოლიტენს“ ბადალი არ ჰყავს. ოპერის გენერალური მენეჯერის დამსახურებაა, რომ ოპერის მომღერლები ცნობილი სახეები გახდნენ, ხოლო ოპერები HD ხარისხით პირდაპირ გადაიცემა კინოთეატრებში, სადაც „ჰოლივუდის“ ფილმები გადის. როდესაც „ტოსკას“ პრემიერა იყო, თაიმ სქვერზე დაიდგა დიდი ეკრანი და მიდიოდა ჩვენება – უდიდესი საქმე გაკეთდა ჩვენი სფეროსთვის.

**– რომელი იყო თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი დებიუტი?**

– ჩემს საქმეში მაქსიმალისტი ვარ და ამაზე ჩემი მეუღლე სულ მეჩხუბება: რა არის, ამდენს არავინ ფიქრობს და დარდობსო. როცა რაღაც მიდევს წინ, ღამეები არ მძინავს, მინდა, ის სრულყოფილი იყოს. რა თქმა უნდა, ბევრს ვმუშაობ, რადგან, თუ დიდი წარმატება გაქვს, ბევრს თუ არ იმუშავებ, ნიჭი თავის თავს ორ-სამ წელიწადში ამოწურავს. ამიტომაც, არსებობს ნიჭის გაღვივების საშუალებები. ნიჭს დიდი გაფრთხილება, შრომა, თავდადება სჭირდება, ზოგჯერ იმ დონემდე თავდადება, რომ ჩემი ცოლი მსხვერპლი ხდება, რადგან, მისთვის არ მცალია და ამის გამო გული მტკივა. მაგრამ, მას აქვს უზარმაზარი ნებისყოფა. თუმცა, როცა ვახერხებთ, ერთად ვართ. ახლაც საფრანგეთში ერთად ვიყავით – ბავშვებს არდადეგები ჰქონდათ და წავედით. რაც შეეხება დებიუტს, ეს იყო პარმაში, ვერდის სამშობლოში, სადაც, იოლი არ არის, იმღერო. ბევრ მომღერალს, მათ შორის იტალიელს, ეშინია იქ სიმღერის, ვინაიდან, „ლა სკალაზე“ მკაცრი პუბლიკაა. მიაჩნიათ, რადგან ემილია-რომანია ვერდის სამშობლოა, ამიტომ, უფლება აქვთ, მომღერალს დაუძახონ: „ბრავო“ ან „ბუ“. მე მხოლოდ „ბრავოები“ მქონდა და, თან, „ვენდეტა“ ორჯერ ვიმღერე. იშვიათია, „ბისზე“ გამოგიყვანოს მსმენელმა და არია გაგამეორებინოს, თან – ვერდის სამშობლოში. თავს არ ვიქებ, მაგრამ, ეს ფაქტია. ჩინეთშიც ასე მოხდა: პარმის ოპერასთან ერთად ვიყავი გასტროლზე და იქაც „ბისზე“ გამამეორებინეს „ვენდეტა“. ეს იყო ჩემთვის ყველაზე დიდი და გამორჩეული დღე.

**– შვილებს აქვთ მუსიკალური მონაცემები?**

– მაია არის ჩემი შვილების ბატონ-პატრონი, მე – ჩემი ხელოვნების. გოგონას ნამდვილად აქვს მუსიკალური ნიჭი, პიანინოზეც უკრავს, ფლეიტაზეც. წელს ბიჭმა პირველად დაუკრა საფორტეპიანო პატარა კონცერტი. ის ჯერ მხოლოდ 7 წლის არის, მაგრამ, ბოლომდე კონცენტრირებული იყო საქმეზე. ჩემთვის დიდი სიხარულია, რომ ჩემი შვილები მუსიკას მიჰყვებიან. ჩემი ოჯახი დიდი მუსიკალურობით არ გამოირჩეოდა. მე და ჩემი და ქალაქურ სიმღერებზე გავიზარდეთ, გიტარაზე ვასრულებდით სიმღერებს. ძალიან მიყვარდა თამაში, მაგრამ, როდესაც ჩემი და ფორტეპიანოს გაკვეთილზე უკრავდა, მოსაცდელში ვჯდებოდი და ყურებდაცქვეტილი ვუსმენდი. ახლა ის კანადაში ცხოვრობს და ერთ-ერთ დიდ ბანკში მუშაობს, მე კი მუსიკალურ კარიერას მივყვები...

**ნათია უტიაშვილი**

# რა მიაჩნია სალომე ქათამაძეს „იურმალაზე“ საკუთარ შეცდომად და რა არ აპატია მას ტოტო კუტუნიომ

*„იურმალაზე“ სალომე ქათამაძის გამოსვლას, ალბათ, მთელი საქართველო ადევნებდა თვალს. იმ დღეებში სოციალურ ქსელებში კონკურსის ჟიურის რამდენიმე წევრის, განსაკუთრებით კი – ტოტო კუტუნიოს მისამართით, არცთუ სასიამოვნო ტექსტები გავრცელდა. წელს სალომე ნამდვილად იყო „იურმალის“ ფავორიტი. რომ არა სიმღერა, რომელიც მან დუეტ „ჯორჯიასთან“ ერთად შეასრულა, ალბათ, ის კონკურსიდან პირველი ადგილით დაბრუნდებოდა.*

**სალომე ქათამაძე**: პირადად მე ყველაფრით კმაყოფილი ვარ და ერთი ქულით წაგება ჩემთვის წაგებას არ ნიშნავს. თან, საქართველოს მოსახლეობის აზრიც ასეთია და მათი ფრაზებით – „შენ ხარ ჩვენი გამარჯვებული“ – ვწყნარდები. რაც შეეხება ჩემს გამოსვლებს, კმაყოფილი ვარ, გარდა ერთისა – „კინტაური“ არ არის ჩემი სტილი, ჟანრი და ეს ქულებზეც აისახა. პირველი გამოსვლის ეფექტი ძალიან დიდი იყო, მაგრამ, იმ დღეს, როდესაც ეს სიმღერა შევასრულე, შეიძლებოდა, უფრო ნაკლები ქულებიც დაწერილიყო, რადგან, როგორც ვთქვი: ეს არ იყო ჩემი სტილი და მაყურებელმა იგრძნო კიდეც. ისეთი გოგო ვარ, რომელსაც უფრო მეტად უხდება ამერიკული სოული. ქართული ტექსტი ჰქონდეს სიმღერას, იყოს ქართული, რა თქმა უნდა, ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ, ჟანრობრივად, მელოდიურად ხომ უნდა ჯდებოდეს ჩემს ჰარმონიაში?!

**– ვინ შეგირჩია ეს სიმღერა და რატომ არ თქვი თავიდანვე მის შესრულებაზე უარი?**

– რუსა მორჩილაძის იდეა იყო. არაჩვეულებრივი სიმღერაა, უბრალოდ, ეს არ იყო ჩემი სტილი. რაც შეეხება მესამე დღეს, ნამღერითაც კმაყოფილი ვარ, ქულებითაც. ეს დღეები სულ სხვა ცხოვრებით ვცხოვრობდი: დილით ადრე ვიღვიძებდით, მთელი დღე რეპეტიციები გვქონდა ღამის 11 საათამდე. დღეში ორჯერ ერთი საათით გამოვდიოდით გარეთ, ამოსუნთქვის საშუალებაც არ გვქონდა.



რობერტო ძალიან მომწონს, საყვარელი და ნიჭიერი ბიჭია, მაგრამ, ბოლოს ისიც ცუდ ხასიათზე იყო – უხერხულად იგრძნო თავი, პირველ ადგილზე რომ გავიდა. არის რამდენიმე ფოტო, სადაც დაფიქსირებულია, როგორი მოწყენილი სახით დგას

**– მეუღლესაც ვერ აქცევდი ყურადღებას?**

– კი, როგორ არა, სულ ჩემთან ერთად იყო, ერთ რეჟიმში ვცხოვრობდით: ერთად ვიღვიძებდით და ვიძინებდით.

**– შენსა და „ჯორჯიას“ დუეტს მინდა დავუბრუნდე: როდესაც კონკურსის ორგანიზატორებმა მოისმინეს, რა უნდა გემღერა, არაფერი გირჩიეს? ან, შენ რატომ არ თქვი უარი?**

– რევზინმა თქვა, სალომემ სხვა სიმღერა იმღეროსო. ის ამ საკითხში ძალიან კომპეტენტურია, 12 წელია, ამ კონკურსის დამდგმელი რეჟისორია და, ამიტომ, მას უკეთესად ესმის ბევრი რამ, რაც, შეიძლება, ჩვენ არ გვესმის, ან, ვერ გავიგოთ, არ ვიცოდეთ. როცა ამ ადამიანმა თქვა, სიმღერა შევცვალოთო, ძალიან ცოტა დრო იყო დარჩენილი. თან, დუეტი იყო და უნდა შეგვერჩია ისეთი სიმღერა, რომელიც მეც ვიცოდი, დუეტმაც და უნდა გაგვენაწილებინა. რაღაც სიმღერები მოვიფიქრეთ, მათაც შემოგვთავაზეს, ჩვენც, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ისეც ამ სიმღერაზე შევჯერდით.

**– ამ სიმღერის შესრულებას შეცდომად მიიჩნევ?**

– კი, კი!

**– მას შემდეგ, რაც კუტუნიომ რვიანი დაგიწერა, მთელი საქართველო ლანძღავდა, აგინებდა.**

– კუტუნიომ სოულის შემდეგ „კინტაური“ აღარ მაპატია.



თუ საქართველოს დასჭირდება, ვინმე ძალიან მთხოვს – შენ გვჭირდებიო, რა თქმა უნდა, წავალ. მაგრამ, პირადად ჩემი სურვილით – არა. იმხელა ნერვიულობა, სტრესი, დატვირთვაა, შეიძლება, ორ კვირაში დავბერდე

**– სხვადასხვა საიტები აქტიურად წერდნენ, რომ თითქოს მას შენი გამოსვლისას ჩაეძინა.**

– არა, რა ჩაეძინა, სისულელეა!.. თუმცა, შეიძლება, ჩაეძინა კიდეც, არ ვიცი, ასე არ ვაკვირდებოდი ჟიურის წევრებს. დარბაზზეც ვმუშაობდი და ჟიურიზეც, მაგრამ, არ დავკვირვებივარ, ვინმეს ეძინა თუ არა.

**– აგუტინმაც ორჯერ დაგიწერა ათიანი.**

– აგუტინმა ამის მიზეზიც დაასახელა: შუა სიმღერაში რიტმს ძალიან ანელებსო. არადა, ეს ვოკალური კონკურსია და არა სიმღერის შენელებისა და აჩქარების.

**– გალა კონცერტზე მაქს ფადიევმა და ტოტო კუტუნიომ მოგიბოდიშეს.**

– არ ვიცოდი, თუ მობოდიშებას აპირებდნენ და ეს პირდაპირ სცენაზე გააკეთეს. ფადიევმა თქვა: არ ვნანობ, ათიანი რომ დავუწერე, რადგან, მეორე ადგილი წინსვლას ნიშნავს, მაგრამ, მაინც ვნანობ და მაპატიეო. კუტუნიომ პირდაპირ სცენაზე მიმღერა ასეთი ტექსტით: „თუ ოდესმე მაპატიებ“. როცა ჟიურის წევრები ამოდიან სცენაზე, გაჯილდოებენ და თან ბოდიშებს გიხდიან, რა თქმა უნდა, ეს სასიამოვნოა. მათ დანმაშავედ იგრძნეს თავი ალბათ იმაში, რომ პირველი არ ვიყავი, შერცხვათ და ასე გამოხატეს ყველაფერი.

**– არადა, ამ კონკურსის ფავორიტად მოიაზრებოდი.**

– კი, ასე იყო. კონკურსანტებიც გიჟდეობდნენ ჩემზე, მეუბნებოდნენ, შენ გაიმარჯვებო. ჟიური, ორგანიზატორები, მართლაც ყველაზე დიდ ყურადღებას მაქცევდნენ. იგორ კრუტოი ძალიან თბილად, ყურადღებით მექცეოდა, ისევე, როგორც რევზინი და ჟიურის სხვა წევრები. რობერტო ძალიან მომწონს, საყვარელი და ნიჭიერი ბიჭია, მაგრამ, ბოლოს ისიც ცუდ ხასიათზე იყო – უხერხულად იგრძნო თავი, რომ პირველ ადგილზე გავიდა. არის რამდენიმე ფოტო, სადაც დაფიქსირებულია, როგორი მოწყენილი სახით დგას. პირდაპირ მითხრა: ეს ჩემთვის არაფერს ნიშნავს, შენ ნამდვილად გეკუთვნოდა პირველი ადგილიო. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ საქართველოს, ქართველებს, რაღაცით მაინც გავუხარე გული. დიდი მადლობა ყველას იმისთვის, რომ ამხელა ყურადღება მომაქციეს და ჩემ გვერდით იდგნენ.

**– არ ფიქრობ, რომ შენისთანა მომღერლის ადგილი არ არის ამ კონკურსზე?**

– ბევრმა მითხრა, არ უნდა გასულიყავი, შენი დონე არ იყოო. მე ეს ყველაფერი მჭირდებოდა, უპირველეს ყოვლისა, იმისთვის, რომ დიდი მასშტაბებით წარმომეჩინა საკუთარი თავი; საქართველოსთვისაც მინდოდა, დამემტკიცებინა, რომ კარგი მომღერალი ვარ. მინდოდა, საქართველოს სახელით გამეკეთებინა რაღაც კარგი და ამ ყველაფერმა ერთად გადამაწყვეტინა „იურმალაზე“ გამოსვლა. რამდენი ნიჭიერი მომღერალი ვიცი საქართველოში და, მათთვისაც მინდოდა, მეჩვენებინა, რომ შეუძლიათ, გავიდნენ ასეთი ტიპის კონკურსზე, მოიხვეჭონ სახელი და ასახელონ ჩვენი ქვეყანა.

**– რა მოგცა ამ კონკურსმა?**

– როგორც ვოკალისტს – არაფერი, მაგრამ, როგორც არტისტს – ბევრი რამ მომცა. ალექსანდრ რევზინმა ლექცია წაგვიკითხა, ბევრი გაკვეთილი მოგვცა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ სცენაზე, როგორ უნდა მივიპყროთ მსმენელის, დარბაზის ყურადღება, როგორ გავცეთ ენერგია სწორად. ყოველთვის ბევრ ენერგიას გავცემდი და სიმღერის ბოლოს ძალიან ვილლებოდი. მან კი აგვიხსნა, უკან როგორ უნდა მიიღო გაცემული ენერგია, თან, ორმაგად და სიმღერის დროს არ დაიღალო. მართლაც, რეპეტიციაზე ეს რომ გავაკეთე, პირველად ძალიან დავიღალე, მაგრამ მეორედ საერთოდ არ დავღლილვარ. თითო წამით უნდა გაჩერდე, დააკვირდე იმ ადამიანს, რომელსაც უყურებ და უკან უნდა მიიღო ენერგია. მერე უნდა გადახვიდე სხვაზე, სხვა კუთხეზე, სხვა ადამიანზე, უკან რომ ზის, მერე იმის უკან რომ ზის – ასე აგროვებ ენერგიას და სიმღერის დროს არ იღლები. ასეც მოხდა: არ დავღლილვარ და „დასტოინად“ გამოვედი სცენაზე.

**– რაში აპირებ მოგებული 30 ათასი ევროს დახარჯვას?**

– არ ვიცი, მინდა, რომ ალბომი გავაკეთო. წესით, ასე მოვიქცევი. ახლა ცოტას დავისვენებ, 16 აგვისტოს ესპანეთში მიმიწვიეს რაღაც კონცერტზე; თუ არ ვცდები, ერთ-ერთი კომპანიის კორპორაციული საღამოა.

**– კიდევ მიიღებ რომელიმე კონკურსში მონაწილეობას?**

– აღარ წავალ. თუ საქართველოს დასჭირდება, თუ ვინმე ძალიან მთხოვს – შენ გვჭირდებიო, რა თქმა უნდა, წავალ, მაგრამ, პირადად ჩემი სურვილით – არა. იმხელა ნერვიულობა, სტრესი, დატვირთვაა, შეიძლება, ორ კვირაში დავბერდე. უპირველეს ყოვლისა, მხრებზე გადევს პასუხისმგებლობა საქართველოს წინაშე და უნდა გაიტანო; მეორე – შენი თავი უნდა გაიტანო, წარმოაჩინო; მესამე – ისე უნდა იცხოვრო, ელემენტარულიც კი არ უნდა შეგეშალოს, რადგან შიდა სამზარეულო კიდევ სხვა რამეა. თუ კარგი ადამიანი ხარ, ამას უფრო მეტად აფასებენ, მხოლოდ არ კმარა ის, რომ სცენაზე გამოხვედი და კარგად იმღერე. შიდა სამზარეულოდან როცა ვინმეს უნდა შენთან კონტრაქტის გაფორმება ან რამის შემოთავაზება, როცა შენს პიროვნებაზე დადებითად საუბრობენ, მათი მხრიდან უფრო მეტი ინტერესი მოდის. ამ მხრივაც ძალიან გვაქებდნენ. რასაც მეტყოდა რევზინი, ყველაფერს ვუჯერებდი. სულ ორი შეცდომა გამისწორა პირველივე რეპეტიციაზე და ამის მერე ისე ვმღეროდი, აღარ გავუჩერებივარ. რომ მითხრა: უფრო მეტი ღიმილი, თვალები არ დახუჭო ძლიერადო, – ეს გავიგე და გავაკეთე, ამიტომ, ჩემით ძალიან კმაყოფილი იყო.

**ნათია უტიაშვილი**

# ბრძნული აზრები

**გოეთე**: ადამიანი არის პირველი საუბარი, რომელიც ბუნებამ გამართა ღმერთთან.

**დაროუ**: აზროვნება ნიშნავს განსხვავებათა პოვნას.

**მონტენი**: რასაც აგვიკრძალავენ, იმას დაგვახარბებენ.

***

ჭეშმარიტი ღირსება მდინარეს ჰგავს, რაც უფრო ღრმა არის ის, მით უფრო ნაკლებად ხმაურობს.

**სპინოზა**: შიშს წარმოშობს სულის უსუსურობა.

**პავეზე**: ცოდვა წონასწორობის მსხვრევაა.

**ჯონსონი**: ცოდნა ორგვარი არსებობს; ჩვენ ვიცნობთ თვით საგანს ან ვიცით, თუ სად ვიპოვით ინფორმაციას მის შესახებ.

**ტოლსტოი**: ცოდნა იარაღია და არა მიზანი.

**ეზნერ-ეშენბახი**: მთელი ცოდნა იწყება ეჭვით და მთავრდება რწმენით.

**კანტი**: ყველაზე ნაკლებად სიკვდილის იმ ადამიანებს ეშინიათ, ვისი ცხოვრებაც ბევრად უფრო ფასეულია.

**ბუასტი**: უბრალოება საკუთარი ადამიანური ღირსების შეგნებაა.

**მარგოლიუსი**: ყოველი სიხარული იმის შემჩნევაა, რომ ცხოვრებას აზრი ჰქონია.

**ლობერგერი**: სიძულვეილი სიყვარულია, რომელიც ამოიწურა.

**ბალზაკი**: სიყვარული ერთადერთი გზაა, რომლითაც თვით ბრიყვებიც კი გარკვეულ ღირსებას აღწევენ.

**ანიტა**: სისულელე ხშირად ის არის, რომ ჭკუას იჩენ უადგილო ადგილას.

**უაილდი**: როცა ბედნიერნი ვართ, ყოველთვის კეთილიცა ვართ; მაგრამ როცა კეთილნი ვართ, ყოველთვის არა ვართ ბედნიერი.

**პასკალი**: რაც უფრო ჭკვიანია და კეთილი ადამიანი, მით უფრო მეტად ამჩნევს იგი სხვათა სიკეთეს.

**დიუგუა**: ჭეშმარიტი სიბრძნე ცხოვრებისა ის არის, რომ ყოველდღიურობაში სასწაული დაინახო.

**სოლომონ ბრძენი**: სიბრძნით შეიძლება სახლის აშენება, ხოლო ჭკუით მისი შენარჩუნება.

**ბოვუა**: დაბერება იმას ნიშნავს, რომ შეიცნო და შეიზღუდო თავი შენი.

**შიფი**: სახელმწიფო დიდი ფიქციაა, რომლის შემწეობითაც ყველა იმას ცდილობს, რომ სხვის ხარჯზე იცხოვროს.

**ჰეგელი**: ადამიანი ის არის, რა საქმეც ეხერხება.

**იუნგერი**: ადამიანებს რომ სასწაული სწამთ, ეს არის დიდი და შეურყეველი სასწაული.

**ჰიუგო**: ძალიან ადვილია, იყო კეთილი, იყო სამართლიანი – აი, რა არის ძნელი.

**ლიხტენბერგი**: ადამიანთა უმეტესობა სათნოებად მიიჩნევს შეცდომების მონანიებას და არა მათ არიდებას.

**ჟიროდუ**: ბედი გონებისთვის მიუწვდომელ მოვლენათა სიმრავლეა.

**დანტე**: სიტყვები იმისთვისაა, რომ ადამიანმა ის გამოთქვას, რაც არ იცის, ან არადა, რისი თქმაც არ შეუძლია.

**როულენდი**: მამაკაცი პირველ კოცნას იპარავს, მეორეს გვემუდარება, მესამეს მოითხოვს, მეოთხეს დაუკითხავად იღებს, მეხუთეს გულმოწყალედ გვჩუქნის, ყველა დანარჩენს კი ითმენს.

**ბორხესი**: პუნქტუალური ქალი არც ისე სანდოა.

# თუ გამოიცნობთ

1. ამ ორ სახელმწიფოს, რომლებიც ერთმანეთის მეზობლად მდებარეობს, სახელები, ალბათ, მოსახლეობის კანის ფერის მიხედვით შეარქვეს, თუმცა, ერთს ბერძნული, ხოლო მეორეს – ლათინური სიტყვის მიხედვით. ორივე სიტყვა ერთ ფერს გამოხატავს, თუმცა პირველთან შედარებით მეორე უფრო რადიკალურია. **დაასახელეთ ქვეყნები.**

2. ასე ეძახდნენ ძველი გერმანელები ტომის სამხედრო ბელადს, ამავე პერიოდში – მსხვილ ფეოდალ-მემამულეს, შუასაუკუნეებში მთელ დასავლეთ ევროპაში კი – ერთ-ერთ მაღალი სათავადაზნაურო ტიტულის მფლობელს. **დაასახელეთ ეს სიტყვა.**

3. შუა საუკუნეების საფრანგეთის ეგრეთ წოდებული „სანაპირო კანონი" ამტკიცებდა სანაპიროზე მცხოვრებთა უფლებას ყველაფერზე, რასაც ზღვა გამორიყავდა. კანონს საფუძვლად ედო დალუპული ხომალდის ნარჩენების შეგროვების ძველი ტრადიცია. თუმცა, ამ კანონითვე, მკაცრად ისჯებოდა ავარიის მიზანმიმართულად გამოწვევა, მაგალითად, ცრუ შუქურის დადგმის ან ლოცმანის მოსყიდვის შემთხვევაში – დამნაშავეს ემქურებოდა ეკლესიიდან განკვეთა და დანაშაულის ადგილზე ჩამოხრჩობა; ან – ქონების ჩამორთმევა და სახლთან ერთად დაწვა, რომლის ადგილზეც შემდეგ ღორების ბაზარს აწყობდნენ. ყველაზე მკაცრ სასჯელად კი ითვლებოდა დამნაშავის ნახევრად დახრჩობა და შემდეგ ქვებით ჩაქოლვა. **ვის ემუქრებოდა ასეთი სასჯელი?**

4. ცეცხლგამჩენი მასობრივი განადგურების იარაღის შემადგენლობაში, რომელიც 1942 წელს გამოიგონეს, შედის ნაფტენისა და პალმიტინის მჟავების ალუმინის მარილები, რომლებიც შემაკავშირებელ და შემასქელებელ კომპონენტებს წარმოადგენენ. ეს ასახულია კიდეც მისი შემადგენლობის დასახელებაში, ძირითადი მასალა კი ბენზინი ან ნავთია. **დაასახელეთ ეს იარაღი.**

5. რომის პაპად არჩევისთანავე, იოანე-პავლე მეორემ განკარგულება გასცა თავის რეზიდენციაში, კასტელ-განდოლფოში, საცურაო აუზის გახსნის შესახებ. კარდინალებმა გააპროტესტეს – ეს დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. პაპის პასუხი კი ასეთი იყო: „ეს უფრო ძვირი დაჯდებაო". **რაზე მიუთითა პაპმა, რა დაჯდებოდა უფრო ძვირი?**

6. **დაასახელეთ** ოქროს მონეტა, რომელიც გამოიჭედა საფრანგეთში 1640 წელს ლუდოვიკო მეცამეტის დროს და მიმოქცევაში იყო 1795 წლამდე.

7. **რა ერქვა** მამაკაცის გაშლილი ხელების შუა თითების ბოლოებს შორის მანძილს (2,094 მეტრი ეგვიპტეში და 1,852 მეტრი ძველ საბერძნეთში), თუ იმავე სიტყვით გამოისახება ღმერთების პატივსაცემად გამართული საკულტო რიტუალი, ანუ, იგივე ბაკსა.

8. როგორც ცნობილია, რომი 7 ბორცვზეა გაშენებული, ესენია: ავენტინი, ვიმინალი, კვირინალი, პალატინი, ცელია, ესკვილინი... **დაასახელეთ მეშვიდე.**

9. სტრესულ მდგომარეობაში ადამიანის ორგანიზმში გამომუშავდება საშიში ტოქსინები, მაგრამ, იქ მხოლოდ ნაწილი რჩება, რადგან, ხშირად მაშინვე გამოიყოფა ადამიანის სურვილის მიუხედავად. **როგორ?**

10. ამ არქტიკის ამერიკის სანაპიროზე მცხოვრებ ხალხს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი საკუთარ თავს „ინუიტებს" ეძახიან, მსოფლიო ინდიელ-ალგონკინების მიერ შერქმეული სახელით იცნობს, რაც „უმი ხორცის მჭამელებს" ნიშნავს. **დაასახელეთ ეს ხალხი.**

***პასუხები იხილეთ მე-60 გვერდზე***

# მხოლოდ ფაქტები

* ჩინეთში გამოიგონეს ახალი, მრავალჯერადი გამოყენების ელექტრონული ქაღალდი-ფირი. მასზე თერმული ზემოქმედებით – სხვადასხვა ტემპერატურაზე გარკვეული ადგილების გახურებით იშლება ზედაპირის სტრუქტურა და მიიღება სასურველი ფერადი გამოსახულება; წაშლა მასში დენის გატარებით ხდება – ამისთვის დენის წყაროში ჩართული თითქმის ჩვეულებრივი სტეპლერი გამოიყენება. დასაბეჭდად კი, ასევე, თითქმის ჩვეულებრივი ფაქსის აპარატი.

* ეფრეიტორის სამხედრო წოდება მეოცე საუკუნის დასაწყისში არტილერიაში ბომბარდირის შეესაბამებოდა, კაზაკთა არმიაში კი – ბრძანების გამცემს.

* კატები ცოცხლობენ 12-დან 20 წლამდე; ყველაფერს ხედავენ სხვადასხვა ტონის ნაცრისფრად; შეიგრძნობენ ულტრაბგერებს და შეუძლიათ გამოსცენ 7... თანხმოვანი: ვ, გ, მ, ნ, რ, ფ, ხ.

* ყველაზე თანამედროვე წყალქვეშა სუბმარინს შეუძლია, სტანდარტულ ზღვარზე – 600 მეტრზე დაბლა იცუროს, ძირითად მასალად გამოყენებული არის ბეტონი, დაფარულია რეზინით და ხმის ჩამხშობი ნივთიერებით, რომელიც მუსიკის ჩამწერი სტუდიებისთვის გამოიყენება. ეს ყველაფერი კი შეუმჩნეველს ხდის რადარებისთვის.

* შუა აზიაში ბოშებს „ლიულებს" და „მაზანგებს" ეძახიან, ირანში – „კარაჩებს", რუსები „ციგნებს," სხვათა შორის, პუშკინმა მათ პოემაც კი მიუძღვნა.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლd4-d1!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**




მანქანით მგზავრობისას ყველა გადაიჭერს ხოლმე უსაფრთხოების ღვედს. უცხოელი: „უცბად რომ ავარია?!“ ქართველი: „უცბად რომ პატრული?!“

***

გურულს ეკითხებიან:

– შაქარი რამდენი ჩაგიყარო – ხუთი კოვზი თუ ექვსი?




– სამი, მარა, რო დევინახო, ისთე...

***

არ ვიცი, ვინ წერს ჩემი ცხოვრების სცენარს, მაგრამ, ვხედავ, რომ მას ნამდვილად აქვს იუმორის გრძნობა.

***

ვაკანსიაზე შერჩევაა. გასაუბრებაზე მეგრელი შევიდა.

– რამდენი უცხო ენა იცით?

– რუსული, ინგლისური, ფრანგული.

– თქვით რამე ინგლისურად!

– გუთენ თაგ...

– ეს ხომ გერმანულია?!

– ჰო... ესე იგი, ოთხი მცოდნია.

***

– ვერ მეტყვი, მარხვა როდის მთავრდება?

– შენ რა, ხორცს არ ჭამ?

– ვჭამ, მაგრამ, რაღაც, გემოს ვერ ვატან...

***

ნამდვილი ქალი ისე უნდა გამოიყურებოდეს, რომ, გეიმ, რომელიც მას შეხედავს, გაიფიქროს: „იქნებ, ტყუილად... ჰა?!“

***

– ჩემი ცოლი ჩემს საუკეთესო მეგობართან წავიდა...

– მოიცა, კაცო, ვინ მეგობართან, შენი საუკეთესო მეგობარი ხომ მე ვარ?!

– ახლა ის არის...

***

დირექტორი მდივანს მიმართავს:

– თუ შეიძლება, ანგარიში ჩემს მაგიდაზე შევადგინოთ.

– მაპატიეთ, მაგრამ, თვის ანგარიში მაქვს დასამთავრებელი.

ბოსი გატეხილში ბრუნდება თავის კაბინეტში.

ცოტა ხნის შემდეგ მდივანი შედის:

– იცით, შეიძლება, ანგარიში ზეპირად ან უკანა რიცხვით ჩამოვაყალიბოთ.

– არა, მადლობა, უკვე დავწერე, ხელით...

***

ქალაქის ცენტრში ექიმებმა მიტინგი გამართეს. სამწუხაროდ, მათი მოთხოვნების წაკითხვა ვერ მოხერხდა...

***

ახალდაქორწინებულები მესამე ღამეა, საწოლიდან არ დგებიან. დილისკენ კაცი ჩუმად ადგა და ბანცალით წავიდა ტუალეტისკენ... გაიღვიძა ცოლმა და ძებნა დაუწყო. შეიჭყიტა ტუალეტში და ხედავს, ქმარი თავის ტრუსიკს დასჩერებია და ჩურჩულებს:

– გამოდი, გამოდი, ნუ გეშინია, პატიოსან სიტყვას გაძლევ, სძინავს...

***

ექიმი ეკითხება პაციენტს:

– მოგიხდა უძილობის სანთლები, მე რომ გამოგიწერე?

– შესანიშნავია. ისე მეძინება, თითის გამოღებასაც ვერ ვასწრებ...

***

მიხო კვდება, მარო ტირის.

– არ წახვიდე, მიხო... ნუ დამტოვებ მარტო... იცოდე, უშენოდ ვერ გავძლებ, მალე მეც შენთან მოვალ...




– დეეტიე, ქალო, სადაცა ხარ, იქ მაინც დამასვენე ცოტა ხნითა...

***

ამერიკული ფირმა თანამშრომლებს არჩევს. შემოდის გერმანელი. წარუდგინა საბუთები: განათლების, სამუშაო გამოცდილების.

– ხელფასს რამდენს ითხოვთ?

– 3 000 დოლარს.

– რაში დახარჯავთ?

– ათასს ბანკში შევიტან, ერთს ოჯახს მოვახმარ, ერთსაც ჩემთვის გამოვიყენებ.

შემოდის ინგლისელი. იგივე კითხვები და ბოლოს:

– ხელფასი რამდენი გინდათ?

– 4 000. ათასს ბანკში დავდებ, ორი – ოჯახს ერთსაც მე დავხარჯავ საჭიროებისამებრ.

შემდეგი ქართველია.

– შესაბამისი განათლება და სამუშაო სტაჟი არ მაქვს, მაგრამ, დამიჯერეთ, ყველაფერს მაღალ დონეზე შევასრულებ.

– ხელფასი?

– 9 ათასი.

– ამდენი რად გინდათ?

– როგორ თუ რად? სამს თქვენ მოგცემთ, სამს ჩემთვის დავიტოვებ, სამად კიდევ – გერმანელი ჩემ ნაცვლად ნებისმიერ დავალებას ბრწყინვალედ შეასრულებს.

***

– ბიჭებო, ჯარში მივყავართ!

– როგორ, შენ ხომ ენურეზი გჭირს და ბრტყელტერფიანიც ხარ?

– ჰო, მაგრამ, ასე მითხრეს, იმათ მხარეზე იქნებიო...

***

– მოქალაქევ, იმედი მაქვს, დაკითხვამ ძალიან არ დაგღალათ...




– არა, უფროსო! მე უკვე ოცი წელია, ცოლიანი ვარ...

***

ახალგაზრდა წყვილი ლოგინში წევს.

– მე შენთვის პირველი ბიჭი ვარ?

– ხო, საყვარელო...

– ზურა?

– აჰ, ზურა... – ამოიოხრა გოგომ, – ის კაცია, კაცი...

***

გავიცანი ბიჭი. ერთი თვის შემდეგ გადავწყვიტეთ ერთად ცხოვრება. ვიქირავეთ ბინა გერმანული ანგარიშით – ნახევარ-ნახევარს ვიხდიდით... ერთი წლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ბინა მისი იყო.

***

ტიპი სექსოპათოლოგთან შედის და თევზსაჭერი მოწყობილობის მთელ მოწყობილობას წინ უწყობს:

– ექიმო, კარგ ფულს გადაგიხდით, ოღონდ მითხარით, ამით როგორ შეიძლება, ჰონორეა აიკიდო?

– ვერ გავიგე?!

– რა არის გაუგებარი? ცოლთან ხომ უნდა გავიმართლო თავი?!

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

# გაქართველებული სტიოპას სამარცხვინო ქორწინება

გასული საუკუნის ბოლო ოცწლეულია. ჯერ კიდევ კომუნიზმის დიადი იდეებითაა გაჟღენთილი ბალნეოლოგიური, კოპწია წყალტუბოს სასწაულმოქმედი წყაროებიდან ამოვარდნილი ჰაერი – ოხშივარი (იქაური ვარ და მაპატიეთ, თუ ჩემს კოპწია ქალაქს ეს პატარა შესავალი მივუძღვენი).




ბევრი გაქართველებული რუსი ცხოვრობს ამ ქალაქ-კურორტში. მათ შორის გახლდათ (თუ ცოცხალია, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს!) სტიოპა (სტეფანე) ისაენკო, უკრაინიდან „მოჯიშებული“ ჯეელი.

ჯარი „მოიარა“ და საცოლშვილოდაა „შეღერებული“ ბიჭი, „ნაშობა“ (ჩამოსული დამსვენებლები) არავის გვაკლდა, ეგ კი არა, ხანდახან ერთზე ხუთიც მოდიოდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ წყალტუბო პაწია იყო თავისი მაცხოვრებლებიანად და... მოკლედ, თემას დავშორდი...

სტიოპა (სტეფანე) ერთ, თერჯოლიდან შემთხვევით ჩამოსულ მზევინარ კ-ს გადაეკიდა მაინცდამაინც... გადაეკიდა კი არა, გულით შეუყვარდა.

ეს ქალი ცოტა „წაიმნაირო“ იყო და სქელჯიბიან ბიძებს დასდევდა, თან შედეგიანად... კაი ფულიც იშოვა ამ „სექსოდაჭერებში“ და აი... გამოჩნდა „ვისოოკიი, კრასივიი“, დუპლეეტიი სტიოპა და ამ შტერსაც არ შეუყვარდა?!

– ბიჭო, – გადაირია მამამისი, ვიტია (ეს რომ ბატონმა შეიტყო), – გაგიჟდი, ბიჭო? გაგიჟდი, შე შობელძაღლო?!

– მიკვარს და რა ვკნა აქლა?! – რუსულ-ქართულად იმართლებდა თავს ისაენკოების ერთადერთი ძე...

– ბუჯო! – წყალტუბოურად გადაირია ვიტია – გეიხედ-გამეიხედე, შენი დედა რა ვთქვი... მუხლზე სამტვრევი გოგოები ჩამოდიენ „სახალინიდან“ და „ჩერეპოვეცკიდან“... ერთ „სკამეიკა“ ნაშებს მოგითრევ სახში თავის სკამეიკიანად, შე უპატრონო, რა ჭირად გინდა ეს, ათას ტყეში ნახოციალები მზევინარი?!

– მორჩი, მამაჩემო, მიქვარს, ცოლად მევიქვანო მაგ მე! – მოუქცია იმერულად უკრაინელმა და... როგორ არ იომა, როგორ არ ეცადა ვიტია... არ გამოდის არაფერი. ბიჭს უნდა მზევინარი... თან, სერიოზულად... ცოლად! ვიტია მიდგა-მოდგა, ვინ არ ჩარია საქმეში, მაგრამ სულ ტყუილად... სტიოპას გადაწყვეტილება წყალშეუვალი იყო.

მერე რა, რომ ვიტია ჩამოსული იყო... ქართული წეს-ტრადიცია და ბუნება უკვე ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი. ეთაკილებოდა ქალაქში სახელგატეხილი ქალი რძლად და საცოდავ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ბოლო ღონეს მიმართა: დაიბარა შვილი „აუდიენციაზე“ სპეციალურად და ჩაგალსტუგებულმა (ოფიციალური ელფერი რომ ჰქონოდა) პირდაპირ მიახალა:

– შვილო, სტიოპა... რატომ გვიხეთქავ გულს მე და დედაშენს?!

– რატომ? – კითხვა დაუბრუნა ძემ – სტიოპამ.

– ბიჭო, ამხელა ქალაქში, მაგ გათახსირებული ქალის მეტი ვერავინ ნახე, ცოლად რომ მოიყვანო?

– რატომ? – სულ შეჯდა „ტყემალზე“ ეს სტიოპა.

– ბუჯო... მთელმა ამხელმა ქალაქმა, დიდიდან დაწყებული, „უჩებნიკი“ ბოვშვებით დამთავრებული... ყველამ, ყველამ „იხმარა“ ეგ ქალი და შენ... შენ! ცოლად მოგყავს?

– კაი ახლა, ვიტია მამიკო... დამიცქე – ამხელა ქალაქი, ამხელა ქალაქი... რა დიდი ქალაქია ცქალტუბო?!

ქორწილი 1978 წლის 12 ნოემბერს შედგა.

ზუსტად ერთ თვეში გაასვენეს საწყალი ვიტია.

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# რაში ვერ ივარგა ლამზირას ჩინელმა ქმარმა

გამარჯობა, დედა, როგორ ხარ? ძალიან მენატრებით ყველა. მე უბედნიერესი კაცი ვარ ამქვეყნად.

დედა, გილოცავ 31-ე შვილიშვილის დაბადებას. ჰო, დედა, ჩემი შვილი მოევლინა ქვეყანას. პატარა ჩინელ წრუწუნას ჰგავს. ძალიან ლამაზია. დედა, რასაც გული მიგრძნობდა ზუსტად ისე მოხდა: ექიმების ძვირად ღირებული დასკვნების მიუხედავად, რომლებიც თავგამოდებულები გვარწმუნებდნენ, რომ ბიჭი გვეყოლებოდა, პატარა, მოცუცქნული გოგო დაიბადა, ამის გამო ლამზირას ნათესაობა ხმას არ მცემს. როგორც გითხარი, საქართველოში სირცხვილად ითვლება, თუ პირველი შვილი გოგო გაგიჩნდება.

მთელი ნათესაობა სამშობიაროსთან ვიყავით შეკრებილები და მშობიარობის დამთავრებას ველოდებოდით. უამრავი შამპანური მაყიდვინეს და შეტყობინებას ელოდნენ, რომ ყველა ერთად გაეხსნათ. კარიდან ექიმი გამოვიდა და დარცხვენილმა ჩუმად გვითხრა: მშობიარობამ კარგად ჩაიარა, დედაც და შვილიც კარგად გრძნობენ თავს, მაგრამ, გოგოაო... ეს ბოლო სიტყვა თითქმის ჩურჩულით თქვა. უცებ დავინახე, როგორ გაშავდა ეს ამდენი ხალხი. შამპანურების ბოთლები ხელში შეაცივდათ, თითქოს დიდი უბედურება შეატყობინა ვინმემ. ჩემმა სიდედრმა ისეთი წყევლა ამოუშვა, მეც კი არ მქონდა მისი პირიდან მოსმენილი. მე სიხარულისგან ვხტუნავდი და ლამის ცრემლები მომდიოდა. ჩემი სიმამრი გაქვავებული სახით იდგა, მასთან მიდიოდნენ ნათესავები და ეუბნებოდნენ: „არა უშავს, რა მოხდა მერე, გაუძელი, კაცი არ ხარ?..“ „გოგოც ხო ადამიანია, კაცო რა თავ-პირი ჩამოგტირის“ და ასე შემდეგ.

სიდედრმა გვერდით ჩამიარა და მითხრა: „ადამიანს შენ არ გავხარ და, კაცად მაინც გევარგა, შე სასიკვდილე, რომ მომჭერი თავი ამდენ ხალხში!“

ვიცი, რომ არ გჯერა, დედა, მაგრამ, ასე საქართველოში ხშირად ხდება. აი სახელის დარქმევაზე დიდი ომი გადავიტანე: მე მინდოდა, შენი სახელი დამერქმია, ლამზირას დედას დიდი ბებიის სახელის დარქმევა უნდოდა, ლამზირას კი – რომელიმე წმინდანის. გაიტანეს კიდეც თავისი და ელეონორა დაარქვეს – მერე ელისოს დავუძახებთო, პირდაპირ ელისო რომ დაერქმიათ რა უშლიდათ ხელს, არ ვიცი. ამის შემდეგ, როდესაც დაბადების მოწმობას ვიღებდი, მარტო ვიყავი და, გადავწყვიტე, არ დავმორჩილებოდი რეჟიმს. არავის რომ გული არ დასწყვეტოდა, ოპერატორ გოგონას სახელისა და გვარის გრაფაში ჩავაწერინე: ჩუენ საო ელეონორა ნინო ვონგი. ხომ ლამაზად ჟღერს, დედა? მართალია, მოწმობის დანახვისას ჩემი სიდედრი სასწრაფოთი წაიყვანეს, სიმამრმა კი საფერფლე მესროლა, მაგრამ, მე მაინც ძალიან კმაყოფილი ვარ. ჯერჯერობით სულ ეს არის, დედა, მერე კიდევ მოგწერ. ძალიან მენატრებით ყველა.




**გკოცნით**
**თქვენი ტობი ვონგი**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.


HAIRLINE
INTERNATIONAL
თმის გადანერგვის კლინიკა
HAIR TRANSPLANTATION CENTRE
გვანდეთ
თქვენი
იმიჯი!
230 00 30
ქავთარაძის ქუჩა 16
www.hairline.ge



გვ. 14

**რა ბრალდებას პასუხობს ირაკლი ლომაია და რაში ადანაშაულებს ის ეკა კვალიაშვილს**



**რა გარდატეხა მოახდინა თაკო ნაცვლიშვილის ცხოვრებაში „ვიქტორიას სეკრეტის“ ჩვენებამ და სად ჩაანაცვლა მან ნინო ცქიტიშვილი**

გვ. 50



**რატომ გადაწყვიტა ჯანეტ ქერდიყოშვილმა, მონაწილეობა მიეღო რეალითი შოუში „ხოჩუ 3 ვიაგრა“ და რა გამოცდა მოუწყო მას კონსტანტინე მელაძემ**

გვ. 71


საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი ... ბადახში

# თბილისელები®

ყოველკვირეული ჟურნალი • 5 – 11 აგვისტო • №32 (658) • ფასი 1,50 ლარი

www.tbiliselebi.ge